კვირის პალიტრა

1168
2008

N46 (440)
13/XI-19/XI
ფასი 80 თეთ

ერთად გატარებული ლამაზი დღეები

რა კავშირია ნინო არაზაშვილსა და გეგა მგალობლიშვილს შორის

რას მოუტანს მსოფლიოს შავკანიანი ამერიკელი პრეზიდენტი

კაცხის სვეტის საიდუმლო და ჩვენი დროის განდეგილი

44 წლის სტუდენტის ეკლიანი გზა

თინეიჯერების ვავორიტები

პოპულარული სერიალით დაწყებული პარტნიორობა

ნიგერიელი იმიგრანტი და მისი თბილისური სასწავლებლები — უნივერსიტეტი და სამრეცხაო

„არასოდეს თქვა არასოდეს“ ანუ სიბერეში წამოწეული გ

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№46 (440)
13 - 19 ნოემბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

მოულოდნელი ბედნიერება

ფოტოკვირეული

გამოცდილება ადამიანებს ეშინიათ მიღების.

ინსპირაცია

35

■ პროფილაქტორი
„პოლიძრონიონ“ ახალ მამა-მარჩენალს“ ანუ თეთრი სახლის შავი მამასახლისი 5

■ პოლიტიკა
ევროპა უკან იხევს... ყველა ამერიკის მოლოდინშია... 6

■ ფაქტი და კომენტარი
7 ნოემბრის უშედეგო აქცია, რუსების თარეში საქართველოში და ვის ეიმედება ობამა 6

■ პროტესტი
საიდუმლო აფხაზური დელეგაცია თბილისში 7

■ აგრესორის სახე
უბიხების ბედის გასაზიარებლად გამზადებული აფხაზები 9

■ პრემიერ-მინისტრი
დარბაისელიც და ფიცხიც ანუ ქვეყნის პრემიერის მოსწავლეობის ეპიზოდები და სტამბოლში მიღწეული წარმატებები 12

■ პირველი
რას მოუტანს მსოფლიოს ფერადკანიანი ამერიკელი პრეზიდენტი? 14

■ ტანდემი
რა აღმოაჩინა თაკო აბაშიძემ და რატომ გაყო თავი შარში გიორგი კალანდარიშვილმა 16

■ პროექტი
„გასეირნება ყარაბაღში 2“ — ახალი ქართული ფილმის გადაღება დაიწყო 18

■ იმიჯი
„ერთხელ სარკის წინ ვიჯექი და ვტიროდი, დიდი ყურები მაქვს-მეთქი“... 20

■ ანტიდეპრესანტი 22

■ თემა
სიბერეში წამოწეული გრძნობა... 22

■ ნამდვილი ამბავი
ღმერთმა დასწყევლოს ეს სკლეროზი!.. 25

საიდუმლო აფხაზური დელეგაცია თბილისში

„სექტემბრის ბოლოს შემოგვთავაზეს, სოხუმის მთავარი გამმზირისთვის პუტინის სახელი გვეწოდებინა, მაგრამ უარი ვთქვით, სამაგიეროდ, სამხრეთ ოსეთში ეს უპრობლემოდ გააკეთეს“.

7

„მაინტერესებდა, ეგ ქალი ვინ იყო“

„ჩემი იდეა იყო, რომ პრესის იუმორისტული მიმოხილვა მოგვეწყო. გუნდის წევრებსაც მოეწონათ. ვფიქრობ, ეს რუბრიკა კარგად „იმუშავებს“. თან — ამოუწურავია. ჟურნალ-გაზეთებში ხომ ყოველთვის სიახლეა.“

30

— რა გინდათ?! რას გვერჩით?! თუ ყაენის ერთგული მეომრები ხართ, რაგომ გვესხმით თავს?! ყაენმა თავად მიგვიღო და მის მიწაზე ყოფნის ნებაც მოგვცა!.. თუ მძარცველები ხართ, ქარავანი თქვენს ხელთაა, წაიყვანეთ და თავი გაგვანებეთ! — სიმწრით აყვირდა ჰასანი.

— ხმა ჩაიგდე, ცოფიანო ძაღლო!.. ყაენმა დიდი პატივით მიგიღოთ. თქვენ კი სამაგიერო იმით გადაუხადეთ, რომ ძმა და ძმისწული მოუკალით და მათი ქონება გაიტაცეთ!

86

■ ადამიანი
სტუდენტი, რომელიც ყველას ლექტორი ეგონა 26

■ სტუმარი
ნიგერიელი იმიგრანტის თბილისური სასწავლებლები — სახელმწიფო უნივერსიტეტი და ავტოსამრეცხაო 28

■ ერუდიტი
„ყოველთვის მაინტერესებდა, ეგ ქალი ვინ იყო“ 30

■ საცოლი
„ვფიქრობდი, ხომ შეიძლებოდა, დავღუპულიყავი?!.“ 32

■ ჯანმრთელობა
ცხვირის წვეთები და ხალხური მედიცინა 33

■ ქურნალი ქურნალში
✓ცხოვრება 35
✓გზავნილები 51

■ ქსელი
ცნობილი საიტის ქართული ანალოგი 67

■ უცხო თვალით
რით მოიხიბლა ჯონ სტაინბეკი საქართველოში 68

■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. სხვისი ოცნების ქალი (გაგრძელება) 70

■ ტაიმ-აუტი 74

■ ვარსკვლავები 76

■ წმინდანები
„ღმობა შენი არს დავიწყება ქართულისა ენისაი“... 78

■ სავანე
კაცხის სვეტის საიდუმლო... 80

■ მსხვერპლი
აფხაზეთიდან ლტოლვილი სამუდამოდ გორში დარჩა... 82

■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 86

■ თინეიჯერული პონტები
✓რუსი ჯარისკაცებისგან დაშინებული მოზარდები 88
✓„გათხოვება „შატალოზე“ წასვლას არ ნიშნავს“ 90

■ სამართალი
„რელიგიური უმცირესობის დევნისთვის“ დაკარგული ერთი წელიწადი 92

■ ავტო 95

■ სქანვორდი 96

■ ტესტი 97

■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„ვფიქრობდი, დიდი ყურძენი მაქვს-მეთქი...“

„ბოლო დროს, საათებიც კი შემიყვარდა. ადრე საათი ხელზე რომ მეკეთა, რაგომლაც მეგონა, რომ დრო უფრო ჩქარა გადიოდა და მალე ვბერდებოდი“.

20

სიბერეში წამოწეული გრძნობა...

„ახლა ყველანი ერთად ვცხოვრობთ. ვერ წარმოვიდგენდი, თუ სიბერეში ასეთი ლამაზი ცხოვრება მეწვებოდა. გამოთქმა — სიყვარულმა ასაკი არ იცისო, მართალი ყოფილა. მე და ენრიკომ გადავწყვიტეთ, მომავალ გაფხულს, საქართველოში ჩამოვიდეთ. მას ძალიან უნდა საქართველოს ნახვა“.

22

„ხომ შეიძლებოდა, დავღუპულიყავი?!.“

„რაც მთავარია, ხელოვნურ „საცობს“ მამაკაცები მიწყობენ და ხშირად ავიწყდებათ, რომ ქალი ვარ და როგორც თანასწორს, ისე მებრძვიან ხოლმე“.

32



— მაგრამ ასე გაგრძელებაც არ შეიძლება. მთელი დღე დებილივით ვზივარ და გელოდები, როდის დამირეკავ ან როდის დააკაკუნებ კარზე.

— მე ჩემი საქმეები მაქვს, *ოცდაოთხი საათი შინ* ვერ დაგიჯდები.

— ანუ, გინდა მითხრა, რომ თავისუფალი კაცი ხარ?

— რაც ვარ, ეს ვარ. თუ მოგწონვარ, მიმიღე ასეთი, თუ არა და...

70

„პოლიქრონიონ" ახალ მამა-მარჩენალს"

ანუ თეთრი სახლის შავი მამასახლისი

ნოემბრის დადგომას გაფაციცებით ელოდა მთელი ამერიკელი ხალხი. ბუნებრივიცაა: ჩვენს ოკეანისგაღმელ მეგობრებს ძალიან აინტერესებდათ ვინ გაიმარჯვებდა არჩევნებში და გახდებოდა თუ არა ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ კვაჭანტირაძე. შესაბამისად, ჩვენ მათ არჩევნებს ვადევნებდით თვალს და ველოდით, როდის მიესალმებოდა ამერიკელ ხალხს — რომელსაც სულ არწმუნებდა, ქართველები ვართო — ჩვენი დიდი მეგობარი ჯონ მაკქეინი აშშ-ის ახალი პრეზიდენტის რანგში, მაგრამ...

პრინციპში, პოლიტიკურად ასეთი მოუმწიფებელი ქვეყნისგან სხვას რას ველოდით, ნეტავ?! 5 მილიონიც არ ვართ ქართველები და საპრეზიდენტო არჩევნებში მინიმუმ ოცი საუკეთესო კანდიდატი იყრის კენჭს. ჩვენც ვიბნევით, რომელ საუკეთესოს მივცეთ ხმა და ისევ ძველს ვტოვებთ. ამერიკა კი ამხელა ქვეყანაა, რომ ჰკითხო, მსოფლიოს აზანზარებს და არჩევნებში ორ კანდიდატს ძლივს მოუყარა თავი: ერთი ჩვენ გვანყობდა, მეორე — თვითონ ამერიკელებს და იღბალი არ გინდა? — მაინცდამაინც იმან მოიგო, ამერიკელებს რომ აწყობდათ!



მოიგებდა, აბა, რას იზამდა, როცა მაკქეინმა ლამის ეროვნება შეუცვალა ძლივს შემდგარ ერს და ქართველები ვართ ყველანიო, ამბობდა. დაიბნა ხალხი, აქ რომ ვიღაც „ჯორჯიელები" ჩამოდიან და რაღაცებს იპარავენ, იმათ რატომ გვადარებსო და მეორეს მისცა ხმა, რომელიც ერაყის ომის შეწყვეტასა და შიდა საქმეების მოგვარებას პპირდებოდა...

ასე მარტივად გადაწყდა ამერიკის, ჩვენი და როგორც ჯერჯერ, ევროპის ბედიც: ამომრჩეველთა ხმების 53 პროცენტით თეთრი სახლისა და ჩვენი მომავლის გასაღები ბარაკ ობამამ ჩაიბარა. ისე, რა ყველაფერში ჩვენ გვბაძავენ ეს ამერიკელები?! ხომ შეიძლებოდა, 52 ან 54 პროცენტით მოეგო, მაგრამ არა: ჩვენც ისეთივე დემოკრატები გვინდა ვიყოთ, როგორიც ქართველები არიანო და ზუსტად სააკაშვილის შედეგი დასვეს. ერთი კი გამიკვირდა, რატომ არ მოითხოვა მაკქეინმა იქაური ლევან თარხნიშვილის გადაყენება, მაგრამ აქ რომ არ მოხსნეს, იფიქრა, აზრი არა აქვსო და...

ჰოდა, აწი ახალ მამა-მარჩენალს უნდა კუგალობოთ „პოლიქრონიონ", რომ „მომძღვნელმან ჩვენმან" მთლად არ მიგვატოვოს, თორემ ხომ ხედავთ ევროპელმა „მამებმა", ბუნებრივი გაზისთვის პუტინს ზედ „მედვედევზე" აკოცეს, ევროკავშირის რუსეთთან მოლაპარაკების გაგრძელებას დათანხმდნენ და სარკოზის ისიც კი ათქმევინეს, ექსპუნქტიანი მემორანდუმი რუსეთმა კარგად შეასრულაო... მოვა დრო და, რუსეთი ევროპასაც შეუსრულებს(!) „ექსპუნქტიან მემორანდუმს" და პუნქტებს შორის თითო ღერსაც მოსწევს. მერე მიხვდებიან, მაგრამ გვიან იქნება.

არა, მე პროვოკატორი ვარ და ალბათ მეჩვენება, რომ ევროპის ამ ნაბიჯზე ობამას გაპრეზიდენტებამაც იმოქმედა, რადგან ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს ამბობდა ბატონი ბარაკი, რუსეთს ანგარიში უნდა გავუწიოთო. მოკლედ, უნისონში უმღერებენ ევროპაც და ამერიკაც დითირამბებს დიდ რუსეთს, ჩვენი პატრონი კაცი აღარ ყოფილა ამ ქვეყანაზე და გამოდის, რომ კოკოითის და ბალაფშისთვის მოუგია ობამას არჩევნები. მანამ არ აუდგეთ გვერდები!..

ისეთი ადამიანი ჯერ არ დაბადებულა ჩვენ რომ მისი გული ვერ მოვიგოთ და არც ბარაკ ჰუსეინ ობამას გულის მ.ოგება გაგვიჭირდება: ბოლო-ბოლო, ბუში ძმა იყო ჩვენი და წყალს გვიგზავნიდა და ახლა ბარაკ ჰუსეინს რომ ვუმღერებთ — „ჰუსეინ ბიძია, ჰუსეინ ბიძია, ნენეს უთხარი"-ს, რა დათვლის ამერიკიდან გამოგზავნილ წინდებსა და გრძელ ნიფხვებს!..

მით უმეტეს, 47 წლის კაცია და გაჭირვებაც ბევრი უნახავს და დალხინებაც: მაგის ბიოგრაფიას რომ ვკითხულობდი, ვიფიქრე, ეგნატე ნინოშვილის დაწერილია-მეთქი — საკალანდე ღორის წართმევაზე არ წერია, თორემ სუფთა გოგია უიშვილია! ჯერ მარტო, ჰონოლულუში რომ დაიბადები, თაკარა აგვისტოში კენიელი მამის ოჯახში და ინდონეზიაში გაიზრდები, ინდონეზიელი მამინაცვლის ოჯახში, როგორი გზა აქვს გავლილი, ხომ ხედებით?!

თავიდან დიდად არც მე მხიბლავდა, მაგრამ რაც პირველი პირი გახდა, აღმოვაჩინე, რომ კეთილი თვალები აქვს და დარწმუნებული ვარ, თქვენც აღმოაჩენთ — უნდა აღმოაჩინოთ, მეტი რა გზაა. კეთილი კაცის გამოყენება კი იოლადაა შესაძლებელი. აქაც ჩემი პროვოკატორული ხედვა გვიშველის: იმ ეგნატე ნინოშვილისეულ ბიოგრაფიაში წავიკითხე, რომ ორი ქალიშვილი ჰყავს. ზუსტად არ ვიცი, გათხოვილები არიან თუ — არა, მაგრამ პრეზიდენტი ახლა გახდა და მანამდე ვინ ითხოვდა მაგის გოგოებს?! ჰოდა, სანამ ინაუგურაცია შემდგარა, ვიჩქაროთ და მოვიტაცოთ ორივე. რა პრობლემაა, რომელი ქართველი არალეგალი იტყვის უარს ასეთ სასიმამროზე? სკოჩი პირზე, ბრახვანი „ბაგაჟნიკში" და წავიდა ანდებში (აქ ხომ რაჭაში ან სადმე მთებში იციან ნაყვანა), მომხდარი რომ იქნება ყველაფერი, მამამისიც აღარ დაიბრუნებს (ქართულ-კენიური ტრადიციების თანახმად) და შევრჩებით ობამებს მძახლებად. მერე ვნახოთ, ჩვენს ბედს ვერც ძაღლი და ვერც პუტინი რომ ვერ დაჰყეფს!..

P.S. თამადა ქორწილში:

— ბატონებო, მინდა, შემოგთავაზოთ ჩვენი ნეფე-დედოფლის: ზაურ კაპანაძისა და ჯენიფერ ობამას სადღეგრძელო. აბა, შენ იცი, ჩემო ზაურ, ცოლს მოეფერე და სიმამრს მამა დაუძახე.

სიძე:

— სიმამრს მამას მე არ დავუძახებ, გამორიცხულია!

თამადა:

— შე ნაშვილებო მათხოვარო, ვილაცა უშანგი კაპანაძეს ეძახი მამას და რა მოხდა, ქვეყანას სჭირდება ასე!..

პროვოკატორი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევროპა უკან იხევს... ყველა ამერიკის მოლოდინშია...

ევროკავშირის ლიდერები რუსეთთან კომპრომისზე მიდიან. საქართველოში ჩამოსული, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავად დარწმუნდა, რომ რუსეთი 7 აგვისტოს პოზიციებზე დაბრუნებას არ აპირებს. ევროკავშირის მისიის წარმომადგენლები ყოველდღიურად ხდებიან იმის მომსწრენი, თუ როგორ აწიოკებენ ადგილობრივ მოსახლეობას რუსი ოკუპანტები. ყოველივე ამის მიუხედავად, ევროკავშირის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზო აცხადებენ, რომ რუსეთმა ნაკისრი ვალდებულებები თითქმის შეასრულა და თანამშრომლობისათვის ხელს უწვდიან. რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთის მიმართ ევროკავშირის პოზიციების შერბილება და შეეწირება თუ არა საქართველო დიდი ქვეყნების პოლიტიკურ თამაშებს? ამ კითხვებზე პოლიტიკური ექსპერტები — კახა გოგოლაშვილი და თორნიკე შარაშენიძე გვიპასუხებენ.

ხათუნა ბახტურიძე

— თქვენი აზრით, ევროკავშირის ლიდერები კალინინგრადში რუსული „ისკანდერების“ შესაძლო განთავსების პერსპექტივამ შეაშინა თუ რაიმე სხვა ფაქტორის გამო თმობენ პოზიციებს რუსეთთან ურთიერთობისას?

თორნიკე შარაშენიძე:

— რუსეთი რომ ნაკისრ ვალდებეულებას არ შეასრულებდა, ეს თავიდანვე ნათელი იყო — ამ ქვეყნის პოლიტიკოსები თავიანთ პირობებს არასოდეს ასრულებენ... სარკოზის, როგორც შუამავალს, არ უნდა, მისმა შრომამ ფუჭად ჩაიაროს და ამიტომაც ამბობს, — რუსეთმა თითქმის შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და ახლა დროა, ყველა დამშ-

გაგრძელება იხ. გვ. 94

7 ნოემბრის უშედეგო აქცია, რუსების თარეში საქართველოში და ვის ეიმედება ობამა

გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად საზოგადოების დიდ ნაწილს ამერიკის არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვება მიაჩნია. გარდა ამისა, ხალხს რუსი ოკუპანტების მიერ გახსნილი ახალი უკანონო საგუშაგოებიც ძალზე აშფოთებს...

ნათია ქიმიძე

ნინო კუჭრეიშვილი, *ექიმი, 39 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა 7 ნოემბრის აქცია იყო. სიმართლე გითხრათ, გაცილებით მასშტაბურ მიტინგს ველოდი, მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. ძალიან გამიკვირდა, ხალხი რატომ არ მოვიდა ამ აქციაზე? ბევრ ადამიანთან მიწევს კონტაქტი და კარგად ვიცი, მათი მოსაზრებები. აგვისტოს მოვლენების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა რეიტინგი დაკარგა და ვინც მისი მომხრე იყო, ახლა მისი წინააღმდეგია. ამიტომ, დარწმუნებული ვიყავი, ეს აქცია მასშტაბურ ხასიათს მიიღებდა, რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა და გარკვეულ შედეგს მაინც მივაღწევდით, მაგრამ როგორც საბოლოოდ გაირკვა, სულ რამდენიმე ათასი ადამიანი აღმოვჩნდით „უსაქმურები“. პარლამენტის წინ მივედით და რამდენიმე საათში დავიშალეთ. ოპოზიციის ლიდერებმა კი მასშტაბური შიმშილობის დაწყება აპრილისთვის გადადეს. რატომ? აპრილამდე სიცივეებია და ღია ცის ქვეშ ღამეებს ვერ გაათევენ? ალბათ ოპოზიციის ლიდერების სისუსტეც იყო იმის მიზეზი, რომ აქციაზე ხალხი არ მოვიდა, თორემ სააკაშვილი რომ პრეზიდენტად აღარავის უნდა, ამაში ეჭვიც არ მეპარება...

ლაშა მათიაშვილი, *ეკონომისტი, 32 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა ამერიკის ახალი პრეზიდენტის არჩევა გახლდათ. მერე რა, რომ ეს ამერიკაში მოხდა?! აღნიშნული არჩევნები საქართველოსა და მთელ მსოფლიოსაც უშუალოდ ეხება. ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ მაკქეინი გაიმარჯვებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. არადა, ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებაში წერია, რომ მსოფლიოს ბოლო მმართველი ფერადკანიანი იქნებაო. ე.ი. რა გამოდის, სამყარო არსებობის ბოლო წლებს ითვლის? ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ხომ ყველამ იცის, რომ მსგავსი წინასწარმეტყველება ყოველთვის სრულდება. ასე იწინასწარმეტყველეს იესოს დაბადებაც და დაიბადა კიდეც. ძალიან მეშინია მომავლის! ეკლესიური ისედაც ვიყავი, მაგრამ ამერიკის არჩევნების შემდეგ ვცდილობ, ეკლესიაში ხშირად ვიარო. არ მეგონა, სიკვდილის თუ ასე შემეშინდებოდა. ღმერთმა ქნას, ეს ყველაფერი სიმართლეს არ შეესაბამებოდეს...

ნანა კაკია, *დიასახლისი, 47 წლის:*

— ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური, რასაკვირველია, კვლავ რუსი ოკუპანტების საქართველოს ტერიტორიაზე „პარპაშია“. აღშფოთებული ვარ რუსების თავხედობით. ლიახვისა და ფრონეს ხეობა არ იკმარეს, ახალგორშიც შეიჭრნენ და უკანონო საგუშაგოები გახსნეს. ახლა კი საჩხერის რაიონის სოფელი პერევიც დაიკავეს და იქაც საგუშაგო გახსნეს. ამასთან, თავხედი კოკოითი გამოდის და ამბობს, ქართველებმა გეოგრაფია კარგად შეისწავლეთ. ჩვენ სხვისი ტერიტორია არაფერში გვჭირდება, ეს ტერიტორია ჩვენიაო. ეს ყველაფერი მაინც ქართველების ბრალია. მთელი ცხოვრება რუსების ლანძღვის მეტი არაფერი გვიკეთებია. ჩვენი პრეზიდენტიც კი სახალხოდ გამოდიოდა და რუსებს დაუფარავად აკრიტიკებდა. მათი ჯარი ისევ საქართველოში იყო, გორი ისევ იბომბებოდა, სააკაშვილი კი ტელევიზიით გამოდიოდა და ამბობდა, გილოცავთ, ხალხო, ომი ჩვენ მოვიგეთო... იმის ნაცვლად, რომ დიპლომატიური მოლაპარაკებები გაემართა, რუსებს უარესად აღიზიანებდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რუსები კვლავაც ჩვენს გამოწვევას ცდილობენ, რადგან კარგად იციან სააკაშვილის ხასიათი, რომელიც საკუთარ ემოციებს ვერ აკონტროლებს და დიდი შანსია, მათ პროვოკაციას ისევ წამოეგოს და ომი დაიწყოს. მსგავსი ტრაგედია ღმერთმა გვაშოროს...

გიორგი ნაცვლიშვილი, *პროგრამისტი, 32 წლის:*

— საშინელი ფაქტი იყო, სოფელ დვანში რუსების მიერ დაჭონტაჟებული ნაღმი რომ აფეთქდა, რომელმაც კიდევ ორი ქართველი პოლიციელის სიცოცხლე შეიწირა გარდა ამისა, ქართულ სოფლებს ერთმანეთის მიყოლებით იკავებენ და უკანონო საგუშაგოებს ხსნიან. ახალგორი არ იკმარეს, ახლა საჩხერის რაიონშიც გადაინაცვლეს. ამ საქციელის გამო კი მათ პასუხს არავინ სთხოვს. სულ მალე თბილისზეც რომ გამოთქვან პრეტენზია, არ გამიკვირდება. ამ სიტუაციას ბოლო ხომ უნდა მოეღოს?! ამის გარდა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ გაჰიხარდა ბარაკ ობამას გამარჯვება. ოუმცა ჩემი ბიძაშვილი ამერიკაში ცხოვრობს და აფროამერიკელის გაპრეზიდენტებით ძალზე შეშფოთებულია. იმედია, ჩვენთვის არაფერი შეიცვლება და ამერიკა კვლავ საქართველოს მეგობარ ქვეყნად დარჩება. იქნებ, ახალი პრეზიდენტი ნატოში გაწევრებაშიც დაგვეხმაროს... ■

საიდუმლო აფხაზური დელეგაცია თბილისში

„აფხაზეთის გადასარჩენად“ — ამ სახელწოდებით 10 ოქტომბერს თბილისში აფხაზეთიდან საიდუმლო დელეგაცია ჩამოვიდა, რომელშიც პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები შედიოდნენ. სტუმრებს შორის, ის აფხაზი „დისიდენტებიც“ იყვნენ, ვინც თავის დროზე, 1991-92 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ვლადისლავ არძინბას პოლიტიკა უარყო და ქართველებთან დაპირისპირებას თავი აარიდა. მოგვიანებით, რამდენიმე მათგანმა, მაშინ მოსკოვში მყოფ სერგეი ბაღაფშთან გამონახა საერთო ენა. მაგრამ როცა ძველმა თანამებრძოლმა აფხაზეთში პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, მათი გზები გაიყარა... იყვნენ ისეთებიც, ვინც აფხაზეთში ბაღაფშის პოლიტიკას ბოლო თვეებში, რუსეთის აგრესიის შემდეგ დაუპირისპირდა. ისინი თბილისში შემოვლითი გზით — ბაქოდან ჩამოვიდნენ და აფხაზეთიდან დევნილთა ჯგუფს ერთ-ერთ სასტუმროში შეხვდნენ. საერთო ინტერესების გათვალისწინებით, მკითხველს მათი შეთანხმების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ვთავაზობთ.

„ვიცით, რომ მცირე შანსი გვაქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება...“

ლალი პაპასკირი

ბორის წვიჟბა *(გვარი შეცვლილია)*:

— აფხაზეთში ახლა, მისი არსებობის მანძილზე ყველაზე არასახარბიელო ვითარებაა. არ შემიძლია, იმ წლებს არ შევეხო, რომელმაც ორივე ხალხს ასე დაგვიმახინჯა წარსული... წლების განმავლობაში, გავლენიანი აფხაზური პოლიტიკური პარტიის წევრი ვიყავი. 90-იან წლებში ქართველი იდეოლოგების წინააღმდეგ ვიბრძოდი, მაგრამ არა იარაღით, არამედ სიტყვით. ომის დასრულებიდან სულ მოკლე ხანში კი მივხვდი, სინამდვილეში რა უნდოდა რუსეთს. მაშინ სხვა არჩევანი არ გვქონდა და კარგა ხანს მეც სხვებივით, დინებას მივყვებოდი. ახლანდელისგან განსხვავებით, მაშინდელ სიტუაციაში რუსეთის ზრახვებზე ლაპარაკი შეიძლებოდა და ის პოლიტიკოსები და ლიდერები, ვისაც მართლა შესტკიოდა გული ხალხზე, ამას ვამბობდით კიდეც, თუმცა მხოლოდ შინაურული განხილვის დროს, რაც არძინბას უმოქმედობის გამო ხდებოდა. რუსეთისადმი მის ერთგულებაში მაშინ დავრწმუნდი, როცა პრეზიდენტობის კანდიდატად რაულ ხაჯიმბა წამოაყენა. სერგეი ბაღაფშს, მასთან შედარებით, კარგი ავტორიტეტი ჰქონდა, ამიტომაც, რაღაც ნაწილი მის გარშემო გავერთიანდით. მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ არც ის იყო დამოუკიდებელი ძალა... ბაღაფშმა ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევით გააკეთა ის, რასაც არძინბა წლების განმავლობაში ვერ ბედავდა. არადა, მაშინ გვიკვირდა კიდეც — რატომ ითრევდა ფეხს ამ საკითხში აფხაზეთის ლიდერი?! ახლა ვხვდებით, რომ რუსეთის გეგმების შესახებ მან ჩვენზე ბევრად მეტი იცოდა. ის ამჟამად, ესპანეთში ცხოვრობს, რამდენიმე ხნის წინ ვესაუბრე და მითხრა, — რუსეთი ჩვენთვის კეთილმოსურნე აღარ არისო...

— რას აპირებთ — როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა?

— წინააღმდეგობის მოძრაობის ჩამოყალიბებას ვაპირებთ, სადაც ქართველებიც იქნებიან. თუ აფხაზეთი მათი სამშობლოც არის, რუსეთის წინააღმდეგ ერთად უნდა ვიბრძოლოთ... ამ გადაწყვეტილებამდე რუსეთის ქმედებებმა მიგვიყვანა, ისინი მთაში აფხაზების გადასახლებას აპირებენ; ვინც ამაზე უარს იტყვის, იმათ უფრო შორს — რუსეთის სხვადასხვა მხარეში მოუწევთ ცხოვრება. მათ ადგილებზე კი რუსი სამხედროები უნდა ჩაასახლონ, რომლებიც ქვეყნის ბიზნესგანვითარებაზე იზრუნებენ. აფხაზეთში მხოლოდ ის ნაწილი დარჩება, ვინც მათი პოლიტიკის გამტარებელი იქნება. სექტემბრის ბოლოს შემოგვთავაზეს, სოხუმის მთავარი გამზირისთვის პუტინის სახელი გვეწოდებინა, მაგრამ უარი ვთქვით, სამაგიეროდ, სამხრეთ ოსეთში ეს უპრობლემოდ გააკეთეს.

— რუსეთისგან იგივე საფრთხე ემუქრებათ ოსებსაც. მათთან თუ გისაუბრიათ ამ თემაზე?

— დიახ, მათ თანამშრომლობაც შევთავაზეთ, მაგრამ თავი შორს დაიჭირეს, — ახლა ამის დრო არ არისო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დადგება დღე, როცა ისინიც თბილისს მოაშურებენ... თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ბედს შეეგუონ. ჩვენ კი ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ. ის, რაც ახლა აფხაზეთში ხდება, საშინელებაა. სულ რაღაც 5 წელიწადში აფხაზეთი აღარ იარსებებს. რუსეთის დუმის დაქვემდე-

„ჯი. ბი. თი.“

გთავაზობთ დასაქმებას ექიმებსა და ექთანებს

10-თვიანი პროგრამის დასრულების შემდეგ საშუალება გეძლევათ, მიიღოთ მაღალანაზღაურებადი სამუშაო გერმანიაში.

მასაჟის კურსები

„ჯი.ბი.თი.“ ასევე გთავაზობთ სამკურნალო და სალონური მასაჟის 5-თვიან ინტენსიურ კურსს.

კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

მისამართი: თბილისი, ლვოვის ქ. №82გ
ტელ: 38 05 95; 30 86 61 ელ-ფოსტა: office@gbt-edu.ge

ბარებაში შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაცია — „მცირე ერების ადგილი და პოტენციალი პოლიტიკაში“, რომელშიც აფხაზთა ახალგაზრდა თაობა ქვეყნის სამართავად საჭირო განათლებას მოსკოვში მიიღებს. ამ სასწავლებელში მცირე ერების მენტალობის შეცვლასა და მათ სხვა — დიდ ერებში ათქვეფის იდეოლოგიას ასწავლიან... ჩვენ ევროპისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საშუალებას სტატუსი არ გვაძლევს, ამიტომაც მათთან ქართველებმა უნდა გვიშუამდგომლონ. მსოფლიოს უნდა დავანახვოთ, რეალურად რის გაკეთებას აპირებს რუსეთი.

— კი, მაგრამ ეუთოს თანამშრომლები აფხაზეთში უკვე არიან, მათთან საუბარი არ გიცდიათ?

— არა, მათ საქმიანობას, პრაქტიკულად, რუსეთი აკონტროლებს, გარდა ამისა, მათთვის ჩვენი პრობლემები უცხოა და აზრი არ აქვს.

— თუ იმ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ, რომელიც აფხაზებსა



და რუსებს წლების განმავლობაში აკავშირებდათ, მათ არც თქვენი ჩანაფიქრის „გაშიფვრა“ გაუჭირდებათ...

— გეთანხმებით, „ჩამშვები“ საკმაოდ გვყავდა, ამიტომაც ბაღაფშის ხელისუფლებამ არსებული რეჟიმისა და რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე მცდელობაც კი ჩანასახშივე აღკვეთა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი უნდა ჩავიქნიოთ. ბრძოლას ყოველ*თვის* აქვს აზრი, მით უმეტეს — ახლა. თავის დროზე, ბაღაფშის ინიციატივა იყო აფხაზი მოჰაჯირების ჩამოსახლება, რაც აფხაზეთში დემოგრაფიული საკითხის გამოსწორებას შეუწყობდა ხელს. ფინანსურ დახმარებას რუსეთი გვიწევდა, მაგრამ სამხედრო გენერალიტეტმა ითათბირა და გადაწყდა, რომ მოჰაჯირების ჩამოსახლება მათთვის საფრთხის შემცველი იყო. ეს გეგმაც ჩაიშალა. ამაში სხვა ფაქტორებმაც შეასრულა გარკვეული როლი, მაგრამ დიდმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნებაზე სწორედ რუსეთის ფაქტორის გამო თქვა უარი: მათ იციან, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი არ არის და რუსეთის გავლენის ქვეშ რჩება.

— როგორც მივხვდი, ნიადაგი ყველგან მოსინჯული გაქვთ და გადარჩენის ბოლო შანსი — ქართველებთან ურთიერთობის აღდგენაა...

— ასეა. ჩვენ იმ ხალხთან სასაუბროდ ჩამოვედით, ვისაც აფხაზებთან ურთიერთობა ომის შემდეგაც არ გაუწყვეტია. თუმცა მზად ვართ, შევხვდეთ იმათაც, ვინც აფხაზეთში იარაღით ხელში იბრძოდა. ახლა სენტიმენტების, წარსულში ჩადენილი ცოდვებისა და შეცდომების გახსენების დრო არ არის, პოლიტიკაში ყველაფერი იცვლება და რუსეთი — ჩვენი საერთო მტერია, ამიტომაც, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი შვილების მომავლისთვის, ისევ ერთ პოზიციაზე უნდა დავდგეთ. რუსეთთან იარაღით ბრძოლას აზრი არა აქვს — აფხაზეთის სრულად გასაკონტროლებლად, ერთი საათიც არ დასჭირდება. ერთადერთი გამოსავალი — დიპლომატიური ომია. ჩვენ ყველანარი — დოკუმენტური, ფოტო, ვიდეო და აუდიომასალა გვაქვს იმის დასადასტურებლად, თუ როგორ ცდილობს ეს სახელმწიფო აფხაზეთის მიერთებას. უამრავ რუს პოლიტიკოსთან მქონია შეხვედრა და მათ პირდაპირ უთქვამთ, — უჩვენოდ ვერ იარსებებთო... ერთხელ იური ლუჟკოვის თანაშემწემ მითხრა, — სოხუმის შესყიდვისა და განვითარების არაჩვეულებრივი გეგმა მაქვს, სადაც ყველანი ერთად, ძმურად ვიცხოვრებთო. მაშინ ეს ხუმრობად მომეჩვენა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ რუსს, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსს იუმორი არა აქვს და მხოლოდ მაშინ იღიმება, როცა სარგებელს ხედავს... ევროპა და მთელი დასავლეთი მისი იმპერიის დასასუსტებლად იბრძვის, რაც უკვე შეეტყო რუსეთის ეკონომიკას. მე მოსკოვში ვცხოვრობ და თვალყურს ვადევნებდი იმას, თუ ყოველდღიურად როგორ ძვირდებოდა იქ ცხოვრება. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ისევ ჯარის გაძლიერებაზე ლაპარაკობს, რათა მთელ მსოფლიოს და განსაკუთრებით, ჩვენ — მის დაპყრობილ ტერიტორიებს შიში გვქონდეს... იქ ახლა კრიზისია და ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ. აფხაზეთში მისი პოლიტიკა მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს.

— გამარჯვების რამდენად რეალური შანსი გაქვთ წამოწყებულ ბრძოლაში?

— ვხვდებით, რომ ეს არც ისე ადვილია, ეს ოსებმაც გვითხრეს და ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმაც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება.

ოთარ ჟანტურია *(გვარი შეცვლილია), შეხვედრის მონაწილე ქართული მხრიდან:*

— მათთან საუბრის შემდეგ, ძნელია, ამ ხალხის გულწრფელობაში ეჭვი შეიტანო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ყველა შემოთავაზებას მივიღებთ. საერთაშორისო თანამეგობრობასთან შეხვედრამდე მთელი რიგი პროცედურის გავლაა საჭირო. ასე რომ, მანამდე დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. ის, რომ აფხაზები ამ აზრამდე მივიდნენ, თავისთავად, ბევრს ნიშნავს. ისინი პირდაპირ გვეუბნებიან, — ეს თქვენი სამშობლოც არის და მის გადასარჩენად, ერთად ვიბრძოლოთო... სოხუმიდან 10-მდე აფხაზი ჩამოვიდა და თითოეულ მათგანს აფხაზეთში ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევენ. მათ ადგილობრივ საზოგადოებასთან საუბარი და, კარგი გაგებით, აგიტაციის გაწევა შეუძლიათ... ამ ეტაპზე ისინი დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისგან თავს იკავებენ, თუმცა ჩვენ მათ ავუხსენით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ საკითხზე ძალაუფლებით აღჭურვილ პირებს მოუწევთ საუბარი და იმედია, მომდევნო შეხვედრა უფრო „ჩამოყალიბებული“ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის, დღევანდელ აფხაზეთში არსებული სიტუაცია უცხო არ არის, მათი ინიციატივებით მაინც გაოცებული ვარ: მაგალითად, ისინი აპირებენ, საკუთარ ხელისუფლებას ქართველი დევნილების დაბრუნების მოთხოვნით მიმართონ. მართალია, ჯერჯერობით ეს შეუძლებელია, მაგრამ მაინც მისასალმებელია. რუსეთის აგრესიამ აფხაზებს ჭეშმარიტი რეალობა დაანახვა. ■

უპისეპის პედის გასაზიარებლად გამზადებული აფხაზები

და საუკუნოვანი აგრესიის მამხილებელი კინოდოკუმენტი

„კავკასია კავკასიელებისაგან უნდა გავწმინდოთ“, „ზღვისპირეთიდან აფხაზები და მეგრელები სრულიად უნდა ამოვძირკვოთ“, „ჩვენ საქართველოს ტერიტორია გვჭირდება და არა ქართველი ხალხი“ — ასეთი მოწოდებებით რუსი გენერლები ჯერ კიდევ საუკუნის წინ გამოდიოდნენ. რუსეთმა, რომელიც დღეს მსოფლიო საზოგადოებას არწმუნებს, თითქოს აფხაზი და ოსი ხალხების სუვერენულ უფლებებს იცავს, თავისუფლებისმოყვარე ერებთან ბრძოლაში არაერთხელ გამოიყენა სასტიკი და ყოველგვარი მორალის მიღმა არსებული მეთოდები...

ხათუნა ბახტურიძე

ქართველმა რეჟისორმა **ნიკო წულაძემ** *გადაწყვიტა, რუსეთის აგრესიული და იმპერიალისტური პოლიტიკის ხასიათი მსოფლიოს გააცნოს. ამ მიზნით, გადაწყვიტა, შექმნას სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი — „სინანულის სანაპირო“, რომელშიც მოთხრობილი და დოკუმენტურად დასაბუთებული იქნება, თუ ათწლეულების მანძილზე როგორ უსწორდებოდა რუსეთი თავისუფლებისმოყვარე კავკასიელებს. ფილმში ასევე გადმოცემული იქნება ქართველებისა და აფხაზების სინანული იმის გამო, რომ ერთი მიწისა და ერთი ცის შვილები, უცხოტომელთა წაქეზებით, ერთმანეთის მოსისხლე მტრებად იქცნენ...*

— ბატონო ნიკო, რუსეთმა მსოფლიოს თავისი აგრესიული ხასიათი უკვე კარგად გააცნო. თქვენი ფილმით ახალი რა უნდა თქვათ?

— მსოფლიომ ჯერ ნამდვილად არ იცის, თუ როგორია რუსეთის რეალური სახე. ჩემი ფილმით დავამტკიცებ, რომ რუსეთმა აფხაზური ეთნოსის განადგურება და მის ტერიტორიაზე რუსების დასახლება ჯერ კიდევ საუკუნის წინ დაისახა მიზნად.

— მაინცდამაინც აფხაზების განადგურება რატომ უნდა დაესახა მიზნად?

— რუსების მიზანი მხოლოდ აფხაზების განადგურება როდი ყოფილა, მათ სურდათ, კავკასია და შავი ზღვისპირეთი ადგილობრივი მოსახლეობისაგან მთლიანად გაეწმინდათ. იდეის განხორციელება უბიხების (ეს ხალხი ახლანდელი კრასნოდარის ტერიტორიაზე ცხოვრობდა) გენოციდით დაიწყეს. დღეს უბიხი ხალხი, როგორც ეთნოსი, აღარ არსებობს, რუსებმა დედაბუდიანად აყარა საკუთარი მიწა-წყლიდან. ამის შემდეგ აფხაზების ჯერი დადგა. 1864 წელს 20 ათასი აფხაზი გადასახლეს თურქეთში; მომდევნო 10 წლის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილი 60 ათას ადამიანს დაატოვებინეს. სამწუხაროდ, დიდმა ნაწილმა ავადმყოფობასა და შიმშილს ვერ გაუძლო და გზაშივე დაიღუპა. ამ ყველაფერს აფხაზი ისტორიკოსი — ძიძარია თავის ჩანაწერებში აღწერს. 1864-დან 1877 წლამდე რუსეთმა მთელი ზღვისპირა ზოლი დააცარიელეს. საარქივო მასალებზე მუშაობისას, ნიკო მარის ასეთ ჩანაწერს წავაწყდი: „რომ ნახოთ, გული მოგიკვდებათ, მთელი აფხაზეთის სანაპირო ცარიელია, იქ ხალხი აღარ არის“... სულ მალე, ადგილობრივებისგან დაცლილ ადგილებში კაზაკები, დუხობორები და მალაკნები ჩაასახლეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოსულები იქაურ კლიმატს ვერ ეგუებოდნენ, მალე ავადდებოდნენ და იხოცებოდნენ, რუსეთის იმპერია პროცესს მაინც არ აჩერებდა. იმ პერიოდის ერთ-ერთ გაზეთში რუსი ჩინოვნიკი წერს: რამდენი რუსიც არ უნდა დაიხოცოს, მაინც უნდა შევძლოთ მათი დამკვიდრება აფხაზეთის მიწაზე; ახლა მთავარია, მეგრელები და აფხაზები ამოვძირკვოთ აქედან. ოკუპაცია და გადასახლება ეტაპობრივად ხორციელდებოდა. აფხაზებს მალე აჭარლებიც მიაყოლეს. დღეს თურქეთის ტერიტორიაზე, საკუთარი სამშობლოდან დევნილი აფხაზები და აჭარლები ერთად ცხოვრობენ.

— ეს მასალები მხოლოდ საქართველოს არქივებში მოიძიეთ?

— არა მარტო. პეტერბურგსა და სტამბოლში ძალიან საინტერესო მასალებს მივაგენი. ბევრი ისეთი აფზახური გვარი ვნახე, რომელიც დღეისათვის უკვე გადაშენებულია. სხვათა შორის, მხოლოდ გვარები კი არა, არამედ, როგორც აღმოჩნდა, მთელი სოფლებია პირისაგან მიწისა აღგილი და ამ ყველაფერს აფხაზები თავიანთ „მფარველ“ რუსებს უნდა უმადლოდნენ.

— ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი აფხაზებმა თავად არ იციან?

— ყველაფერი იციან. მე მათ შორის ვარ გაზრდილი — 12 წელი გუდაუთასთან ახლოს, მიუსერაში ვცხოვრობდი და ძალიან კარგად ვიცნობ ამ ხალხს. აფხაზები ისეთივე ამაყები არიან, როგორიც ჩვენი მთიელი მოსახლეობა. მათ შორის ვინც განათლებული იყო, ძალით ან ნებით გადასახლეს სამშობლოდან, დანარჩენებს კი რუსული სპეცსამსახ-



აფხაზების გადასახლება

ურები წლების განმავლობაში უნერგავდნენ იმ აზრს, რომ ყველა მათი უბედურების მიზეზი საქართველო იყო. ახლა იქ გაუბედურებული, ზომბირებული ხალხი ცხოვრობს, რომლის თითოეულ სიტყვასა და ნაბიჯს რუსი აკონტროლებს. უბრალო ადამიანებს ვინღა ჩივის?! როგორც ვატყობ, ამ ბოლო დროს, აფხაზურ მთავრობასაც აღარაფერს ეკითხებიან. რუსეთი თავის ხელწერას არ ცვლის, ისეთივე ტირანი და ულმობელია, როგორიც საუკუნის წინ იყო. ემიგრაციაში წასული აფხაზები უფრო პროგრესულად, სალად აზროვნებენ და მშვენივრად იციან, თუ რა გაუკეთეს მათ რუსებმა და იმასაც კარგად ხვდებიან, აწი რას უპირებენ. კარგი იქნება, თუ ინტელიგენტ, მოაზროვნე აფხაზებთან ერთად დავსხდებით, გულწრფელად ვლაპარაკობთ, ორივე მხარის მიერ დაშვებულ შეცდომებს გავაანალიზებთ, რუსულ გავლენას თავს დავაღწევთ და ჩვენთვის სასარგებლო დასკვნებს გამოვიტანთ. მე თუ მკითხავთ, ქართველებისა და აფხაზების შერიგების თემა პოლიტიკისაგან საერთოდ, უნდა გავმიჯნოთ და სახალხო მოლაპარაკება დავიწყოთ. ჩემს ფილმში გამოყენებული დოკუმენტური მასალის დიდი ნაწილი თურქეთში გადასახლებულმა აფხაზებმა მომაწოდეს. ამ დოკუმენტებს შორის არის ის ფოტომასალა, რომელიც მათი წინაპრების ტრაგიკულ ყოფას ასახავს. ისინი გადასახლებამდე ქრისტიანები იყვნენ. წარმოგიდგენიათ, რა უქნეს რუსებმა?! რჯული, სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი — ყველაფერი შეუცვალეს, ადგილზე დარჩენილებს კი სასტიკად გაუსწორდნენ, ბევრი მათგანი უმოწყალოდ ამოხოცეს და ზღვაში ჩაყარეს. დღეს „თურქი"-აფხაზები თევზს არ ჭამენ, ამბობენ, — ეგენი ჩვენი დედების ხორცით არიან გამოკვებილებიო!.. ფილმზე სამუშაოდ, თურქეთში აგვისტოს ომის დაწყებამდე ჩავედი. იქაური აფხაზები ძალიან ემოციურად განიცდიდნენ საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიას. მათთვის ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორეს ტერიტორიის მიტაცება ისეთივე შეურაცხმყოფელია, როგორიც დედის გინება. გაოგნებულები და გაცოფებულები არიან რუსების ქმედებით. იმის გამოც ნევრიულობდნენ, რომ ამ აგრესიულმა იმპერიამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაგვიდა ერთმანეთს. მხოლოდ ოცი ან ოცდაათი კაცის აზრს არ გეუბნებით, რამდენიმე ათეული სოფელი მოვიარე და ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველას აზრი ასეთი იყო. აფხაზებსა და ქართველებს შერეული ოჯახები აქვთ შემქნილი, ჭირსა და ლხინში ერთად არიან. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ რუსული ინტრიგების გარეშე, ეს ხალხი ერთმანეთს მშვენივრად უგებს და საერთო ინტერესებით ცხოვრობს. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, მოსკოვი არც იქ აძლევს ამ ადამიანებს მშვიდი ცხოვრების საშუალებას.

— რას გულისხმობთ?

— რუსული სპეცსამსახურები იქაც ცდილობენ, ქართველებსა და აფხაზებს შორის წყლის ამღვრევას, თუმცა ისე კარგად ვერ გამოსდით, როგორც ეს აქ მოახერხეს. საკმაოდ წარმატებულად „მუშაობენ" ლაზეთშიც.

— იქაურ აფხაზებს მშობლიური ენა თუ აქვთ შენარჩუნებული?

— მშობლიური ენა, წეს-ჩვეულებები, ცეკვები და თამაშები აფხაზებმაც ისევე შეინარჩუნეს, როგორც ქართველებმა. მე ფილმისთვისაც გადავიღე აფხაზური ქორწილი და ნათლობა, ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი გამოვიდა.

— თურქეთში გადასახლებულ და სამშობლოში დარჩენილ აფხაზებს ერთმანეთთან ურთიერთობა თუ აქვთ?

— კი, როგორ არა?! სწორედ თურქეთში ყოფნის დროს შეეხვდი ოჩამჩირიდან ჩამოსულ აფხაზს, გვარად აგრბას. ეს კაცი აფხაზეთში ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა. საინტერესოდ პიროვნებად მომეჩვენა და ფილმისთვისაც გადავიღე.

— დღევანდელი გადასახედიდან, ამ ადამიანის პოზიცია როგორია?

— სინანულს გამოხატავს. ამბობს, რომ არ იცოდა, სად იყო სიმართლე. მერწმუნეთ, როდესაც საქმეში რუსული სპეცსამსახურის პოლიტიკა და იდეოლოგია ჩაერთვება, მერე სიმართლის გარკვევა მართლაც, ძალიან ძნელი ხდება.

— ფილმში აფხაზეთის ომის კადრები თუ გაქვთ გამოყენებული?

— კი, აფხაზეთის ომის უნიკალური კადრები მაქვს. მინდა, ჩემი ფილმით აფხაზი და ქართველი კაცის გულებში სინანულის გრძნობა აღვძრა იმის გამო, რომ რუსეთის მზაკვრულ პოლიტიკას წამოეგეთ და ერთმანეთთან დაპირისპირებით, საერთო მტრის წისქვილზე დავასხით წყალი. ახლა აფხაზები სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან და როგორლაც, უნდა გადავარჩინოთ. ძალიან არ მინდა, რომ მათაც უბიზების ბედი გაიზიარონ. ვცდილობ, ფილმში მიუკერძოებლად გადმოვცე ყველაფერი. ჩვენც უნდა დავფიქრდეთ, როგორ ვიცხოვრებთ მომავალში აფხაზებთან, ოსებთან ერთად და რუსებთანაც. თუ ისეთივე ბოლმიანები და სისხლისმსმელები ვიქნებით, როგორიც რუსები არიან, მაშინ მსოფლიო საზოგადოებისთვის ჩვენც მიუღებელი გავხდებით.

— ფილმზე მუშაობას როდის დაასრულებთ?

— ალბათ, წლის ბოლოს. ახლა ფინანსების გამო, ცოტა პრობლემები შემექმნა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი მალე მოგვარდება და ფილმს დროულად დავასრულებ.

— პირველი ჩვენება სად გაიმართება?

— ამ ფილმს ევროპელი საზოგადოებისთვის ვაკეთებ. სადაც ხელი მიმიწვდება, ყველგან ვუჩვენებ, მათ შორის — რუსეთშიც.

— დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთში ამის საშუალება მოგეცემათ?

— კინოთეატრებში არ შემიშვებენ, მაგრამ საკლუბო ჩვენებებს აუცილებლად მოვაწყობ. მინდა, რომ ყველამ გაიგოს, ჩვენ ვინ ვართ და რუსები ვინ არიან. როდესაც აგვისტოს ომი დაიწყო, თურქეთიდან მაშინვე წამოვედი და აქ უცხოელ ჟურნალისტებს შევხვდი. იცით, რომ ჰოლანდიელ ჟურნალისტებს ჩვენც ისეთივე ბარბაროსები ვეგონეთ, როგორებიც რუსები და მათი დაქირავებული სეპარატისტები არიან?!. ასე იმიტომ ფიქრობდნენ, რომ არ გვიცნობდნენ. საბედნიეროდ, მოგვიანებით აზრი რადიკალურად შეეცვალათ. ახლა თითოეული ქართველი უნდა ეცადოს, რა ფორმითაც შეუძლია, იმით გააცნოს ევროპას საქართველო.

ჟურნალი „ავერსი“ ხვლავ ჯანმრთელობის სამსახურშია

სამედიცინო ჟურნალ „ავერსს“ საზოგადოება უკვე კარგად იცნობს. თავისი არსებობის თითქმის ხუთი წლის მანძილზე მან უამრავი მკითხველი შეიძინა და ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. სულ ახლახან დღის სინათლე ჟურნალის 50-ე ნომერმა იხილა. „ავერსის“ მესვეურებმა საიუბილეო ნომრის გამოსვლა ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“ წვეულებით აღნიშნეს.

საღღესასწაულო საღამოზე ჟურნალ "ავერსის" თანამშრომლები და მეგობრები შეიკრიბნენ. კომპანია "ავერსის" გენერალური დირექტორისა და კომპანიის თანამშრომლების გარდა აქ იყვნენ ჟურნალის პარტნიორი ექიმები, სხვადასხვა ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლები, პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტები. იუბილეზე მიიწვიეს ჟურნალ "ავერსის" ყველაზე ხშირი რესპონდენტებიც — ის ადამიანები, რომელთა დახმარებითაც მკითხველი ჟურნალის ფურცლებიდან მისთვის საინტერესო საკითხებზე ზუსტ და ვრცელ ინფორმაციას იღებს.

წვეულება ჟურნალ "ავერსის" მთავარმა რედაქტორმა ინა პაჩიბერიძემ გახსნა. მან სტუმრებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა და ჟურნალის იუბილე მიულოცა. ჟურნალის თანამშრომლებს და სტუმრებს კომპანია "ავერსის" გენერალურმა დირექტორმა პაატა ჯურტანიძემაც მიმართა. "როდესაც ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მას ხალხი ასე შეიყვარებდა, მაგრამ ჟურნალმა არათუ გაამართლა იმედი, არამედ გადააჭარბა კიდეც მოლოდინს. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ავერსი" პოპულარული, საინტერესო, მაღალი დონის ჟურნალია, რომელსაც თავის მუდმივი მკითხველი ჰყავს და რომელიც ხალხს ძალიან უყვარს. ამ სიტყვების თქმის უფლებას ის სითბოთი სავსე წერილები მაძლევს, რომლებსაც ჟურნალის მადლიერი მკითხველები ყოველდღიურად გვიგზავნიან "ავერსის" საფოსტო ყუთების საშუალებით. გილოცავთ საიუბილეო ნომრის გამოსვლას და კიდევ უფრო მეტ წარმატებას ვუსურვებ ჟურნალს", — ბრძანა მან.

საიუბილეო საღამოზე ჟურნალ "ავერსის" ისტორიისა და თემატიკის ამსახველი პრეზენტაციაც გაიმართა.

ჟურნალის პირველი ნომერი საბელწოდებით "ჯანმრთელი სიცოცხლე" 2004 წლის პირველ მაისს გამოვიდა. ორი წლის შემდეგ გამოცემას სახელი შეუცვალეს და "ავერსი" დაარქვეს. ჟურნალი, მისი პროფილიდან გამომდინარე, დატვირთულია სამედიცინო თემატიკის მასალებით. ავტორები მკითხველს ყოველთვიურად აცნობენ სამედიცინო სიახლეებს, ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის მეთოდებს. გარდა ამისა, ჟურნალში უხვად არის ინფორმაცია დედებისათვის ბავშვის მოვლის, მისი აღზრდის შესახებ, ორსულებისთვის, მამაკაცებისთვისაც კი. არის გასართობი და იუმორისტული გვერდებიც, თუმცა განსაკუთრებული პოპულარობით ჟურნალის ჩანართი "ქალის კუთხე" სარგებლობს, სადაც ქალბატონებს შეუძლიათ ამოიკითხონ რჩევები თავის მოვლის შესახებ, კულინარიული რეცეპტები, გაეცნონ მოდის, პარფიუმერიის სიახლეებს.

ჟურნალ "ავერსის" დევიზი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაა, ამიტომ ჟურნალში სისტემატურად იბეჭდება სტატიები ჯანსაღი კვების, სპორტის, საზოგადოდ, ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ.

საიუბილეო საღამოს ამშვენებდა კლასიკური მუსიკა ცოცხალი შესრულებით, რომელიც "ქარავანის" მყუდრო და კომფორტულ გარემოს კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდიდა.

წვეულების კულმინაცია გახლდათ ულამაზესი სადღესასწაულო ტორტის გაჭრა, რომელსაც ჟურნალის ფორმა ჰქონდა და "ავერსის" სიმბოლიკით იყო გაფორმებული.

იუბილე სტუმრებისთვის საჩუქრების გადაცემით დასრულდა.

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს

AVERSI

დარბაისელიც და ფიცხიც...

წესიერი, ზრდილი, განათლებული, დარბაისელი, გაწონასწორებული, ფიცხი — ასე ახასიათებენ ახალ პრემიერ-მინისტრს ის ადამიანები, რომლებიც მას ბავშვობიდან იცნობენ. თბილისის მე-6 საშუალო სკოლის მაშინდელი დირექტორი მიხეილ მინდაძე, მომავალი პრემიერის კლასის დამრიგებელი გია ლასხიშვილი და გეგას თანაკლასელი, ტელეჟურნალისტი ნინო არაზაშვილი ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდნენ.

ანუ ქვეყნის პრემიერის მოსწავლეობის ეპიზოდები და სტამბოლში მიღწეული წარმატებები

თამუნა კვინიკაძე

როგორი მოსწავლე იყო გრიგოლ მგალობლიშვილი? რით გამოირჩეოდა თანატოლებისგან? ადვილად ექცეოდა თუ არა სხვისი გავლენის ქვეშ? როდის და რატომ ჩხუბობდა?.. ამ და სხვა კითხვებზე პასუხები ჩემი რესპონდენტებისგან მივიღე. პრემიერის უფრო სრულყოფილი პორტრეტის შესაქმნელად, მისი უახლოესი მეგობრების ჩაწერაც ვცადე, მაგრამ... მათგან მხოლოდ ის შევიტყვე, — გეგა იმასაც კი ვერ ეგუება, ყველგან პირადი დაცვა რომ დაჰყვებაო...

მიხეილ მინდაძე, *მე-6 სკოლის ყოფილი დირექტორი:*

— იმ დროს ჩვენი სკოლა თბილისში გამორჩეული იყო, ხოლო ამ სკოლაში





ნიაზ დიასამიძე, ზუმბა (ზურა კორინთელი), აჩიკო გულედანი, კოტე ჩლაიძე, გოკა გაბაშვილი და ა.შ. ისინი სწავლითაც კარგად სწავლობდნენ და ჩხუბითაც კარგად ჩხუბობდნენ

გამორჩეული, გეგას კლასი გახლდათ. კარგი ბიჭები სწავლობდნენ. მათ უმეტესობას საზოგადოება კარგად იცნობს.

— **მაგალითად?**

— ნიაზ დიასამიძე, ზუმბა (ზურა კორინთელი), აჩიკო გულედანი, კოტე ჩლაიძე, გოკა გაბაშვილი და ა.შ. ისინი სწავლითაც კარგად სწავლობდნენ და ჩხუბითაც კარგად ჩხუბობდნენ. არაფერი ეშლებოდათ. ზრდილობიანები იყვნენ, მათი პირიდან ბილწ სიტყვას ვერ გაიგონებდი... ჩვენს სკოლაში სწავლობდა გეგას მეუღლე — თაკო მახალდიანიც.

— **თანატოლებისგან გეგა რით გამოირჩეოდა?**

— გეგა საუკეთესო მოსწავლედ მიიჩნეოდა. სხვებთან შედარებით, ცოტა ფიცხი იყო. უფროსებთან ურთიერთობა უყვარდა, მათგან ყოველთვის რაღაცის სწავლას ცდილობდა. ვფიქრობ, ეს თვისება მას ბევრ რამეში დაეხმარება.

— **სკოლაში სწავლისას, ლიდერის თვისებებით თუ გამოირჩეოდა?**

— საოცრად შეკრული კლასი იყო. იმდენად ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდათ, რომ იქ ყველა ლიდერი იყო და ამავე დროს, ლიდერი არავინ იყო.

— **მისი სიფიცხე რაში გამოიხატებოდა?**

— ახლა რაიმე კონკრეტული ეპიზოდის გახსენება ძალიან მიჭირს: 18 წელია, რაც გეგამ სკოლა დაამთავრა... უსამართლობას ვერ ეგუებოდა. თუ საჩხუბარი იყო, ჩვენი ბიჭები კაცურად, ერთად ჩხუბობდნენ. დანას, იარაღს, ქვას არ იყენებდნენ.

— **სკოლის დამთავრების შემდეგ თუ გქონდათ მასთან ურთიერთობა?**

— გეგას მამა ჩემი მეგობარი იყო. ზურა მგალობლიშვილი ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში მუშაობდა, პროფესიით ბიოლოგი იყო. გეგა კარგ ოჯახში აღზრდილი ადამიანია. მას ბოლო წლებში ხშირად ვეღარ ვხვდებოდი. სულ თურქეთში იყო. როცა პრემიერ-მინისტრად მისი დანიშვნის ამბავი შევიტყვე, გამიკვირდა, თან — ძალიან გამიხარდა, სხვებივით არ შემშინებია...

— **ვის შეეშინდა?**

— იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, — ეს რას გააკეთებს? რა გამოცდილება აქვსო?!. გეგას განათლება არ აკლია, 35 წლის არის და გამოცდილებაც დაუგროვდა. ვფიქრობ, პრეზიდენტმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. შეცდომებისგან არც ერთი ჩვენგანი არ არის დაზღვეული, მაგრამ არა მგონია, გეგამ ოდესმე სანანებელი შეცდომა დაუშვას. ის დარბაისელი ადამიანია — ეს ძალიან კარგი სიტყვაა, რომელიც რატომღაც, დავივიწყეთ — და სრულად შეესაბამება გეგას პიროვნებას.

— **სხვისი გავლენის ქვეშ რამდენად ადვილად ექცეოდა?**

— საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა. არა მგონია, ვინმეს გავლენის ქვეშ მოექცეს. ბავშვობაში ყოველთვის საკუთარი აზრის გამტარებელი იყო. ჩემი აზრით, ზეწოლის შემთხვევაში ის თანამდებობას დატოვებს, ამას ვერ შეეგუება. მას წარმატებას ვუღოცავ და ვუსურვებ, რომ კიდევ უფრო დიდი წარმატებისთვის მიეღწიოს.

გია ლასხიშვილი, *კლასის დამრიგებელი, ფიზიკის მასწავლებელი:*

— მე-9 კლასში იყო გეგა, როცა სასწავლებლად ჩვენს სკოლაში გადმოვიდა. კლასში 17 ბავშვი იყო. მაშინდელი მე-6 სკოლა ძალიან მეგობრული იყო. პედაგოგებს საკუთარი შეცდომების აღიარება და ბავშვებისთვის ბოდიშის მოხდა არ გვერიდებოდა. საქმე ყვირილამდე და სახაზავის დარტყმამდე არასდროს მიდიოდა. თვეში ერთხელ 2-3-დღიან ექსკურსიებს ვაწყობდით.

— **გეგასთვის შენიშვნა არასდროს მიგიცია?**

— როგორ არა?! შენიშვნაც მიმიცია და რჩევაც არაერთხელ უკითხავს. ძალიან კარგი მოსწავლე და კარგი ბიჭი იყო. იქ, სადაც საჩხუბარი იყო, ჩხუბიც ეხერხებოდა, უსამართლობას ვერ ეგუებოდა და საკმაოდ თავმოყვარე იყო.

— მისი კლასი „შატალოზე" არ დადიოდა ხოლმე?

— „შატალო" რა იყო, მათ საერთოდ არ იცოდნენ. უკეთეს ადგილზე, ვიდრე მათი სკოლა იყო, სად უნდა წასულიყვნენ?! ძალიან შეკრული და მეგობრული კლასი იყო. ნიაზი, გოკა, ზუმბა, აჩიკო გულედანი, კოტე ჩლაიძე — დღემდე მეგობრებად დარჩნენ. მათ კლასში ერთი ბიჭი გადმოვიდა, რომლის სახელსა და გვარს არ გეტყვით, რადგან ის და მისი ძმა საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები არიან... ის ბიჭი რატომღაც, ამ კლასს ვერ შეეწყო. გაკვეთილზე სხვაგვარად იქცეოდა. მაშინ იყო პირველი შემთხვევა, როცა ხმას ავუწიე. შესვენებაზე ბიჭებმა გაიყვანეს და კარგად სცემეს. ეს მხოლოდ იმიტომ ჩაიდინეს, რომ მე ნერვები ამიშალა.

— მითხარით, ექსკურსიებზე ხშირად დადიოდითო.

— მთელი საქართველო მოვლილი გვაქვს. ერთხელ, ზამთრის არდადეგებზე ლაგოდეხში ვიყავით ჩასულები. ძველით ახალი წლის შეხვედრამ იქ მოგვიწია. 13 იანვარს დილით შევნიშნე, რომ ჩვენები იქაურ ბიჭებს საეჭვოდ ეჩურჩულებოდნენ. მივხვდი, რომ სასმელზე ჩალიჩს იწყებდნენ. თქვენ რომ ჩუმად დალიოთ, ლამაზი არ იქნებამეთქი, — ვუთხარი მათ და შევთავაზე, რომ ბაზარში ყველანი წავსულიყავით, საჭირო პროდუქტი და სასმელი შეგვეძინა და ახალ წელს ერთად შევხვედროდით. ჩემი იდეა აიტაცეს. საღამოს 30-კაციანი სუფრა გავშალეთ. ბიჭებს თითო ჩაის ჭიქა ღვინო ჩამოვუსხი: ეს არის თქვენი ნორმა, თუ გინდათ, ერთად დალიეთ, თუ გინდათ — გამოიზოგეთ-მეთქი. ღამის 2 საათამდე ისხდნენ და საუბრობდნენ. შემდეგ, სუფრასთან მარტო უფროსები დაგვტოვეს და თვითონ დასაძინებლად წავიდნენ. აი, ასეთი წესიერი ბავშვები გვყავდნენ. ექსკურსიებზე ყოფნის დროს, როცა ტყე-ღრეში დავბორიალებდით, ბიჭები დანებს ატარებდნენ. ამის უფლებას ვაძლევდი, მაგრამ იცოდნენ, რომ სასტუმროში დაბრუნებისთანავე ის დანები ჩემს ოთახში უნდა შეეტანათ და მაგიდაზე დაეტოვებინათ. ამას ყოველგვარი თხოვნისა და გამეორების გარეშე აკეთებდნენ. როცა გავიდოდით, ისევ „შეიარაღდებოდნენ". ერთხელ აზერბაიჯანის საზღვართან ვიყავით. ეს ტერიტორიები ადრე ჩვენ გვეკუთვნოდაო, — ისე განიცადეს, ლამის ომის დაწყება დააპირეს.

— გეგა თავიდანვე თუ იყო პოლიტიკით დაინტერესებული?

— არა, ასეთი ინტერესი მისთვის არ შემიმჩნევია.

— სკოლის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა თქვენი მეგობრობა?

— რა თქმა უნდა. ჩვენი ურთიერთობა არ გაწყვეტილა. ოღონდ იყო პერიოდები, როცა მას ვერ ვნახულობდი. 1991-92 წლებში სტამბოლში სწავლობდა და მუშაობდა. თავსაც ინახავდა და ოჯახსაც ეხმარებოდა. იმ წლებში თურქეთში ჩასვლა მომიხდა. გეგას დავუკავშირდი და ერთმანეთს სტამბოლში შევხვდით. სხვა ადამიანი დამხვდა — ერთბაშად „გაზრდილიყო". სტამბოლში მას ყველა იცნობს, სერიოზულ, საქმიან წრეებთან აქვს ურთიერთობა. მის სიტყვასაც ფასი აქვს. ომის დროს ბორჯომ-ხარაგაულის პარკში რუსების მიერ გაჩენილ ხანძარს თურქული ვერტმფრენები რომ აქრობდნენ, ეს გეგას დამსახურებაა.

— მას შემდეგ თუ ელაპარაკეთ, რაც ქვეყნის პრემიერი გახდა?

— არ მილაპარაკია. დედამისს — ქალბატონ მანანა ფსაკაძეს დავუკავშირდი და შვილის წარმატება მივულოცე. ვფიქრობ, დაკისრებულ დიდ პასუხისმგებლობას თავს ღირსეულად გაართმევს. მე მისი იმედი მაქვს.

ᲬᲘᲜᲝ ᲐᲠᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

— გეგასთან ერთად ბოლო წელიწად-ნახევარი ვსწავლობდი. სანამ მათი თანაკლასელი გავხდებოდი, გოკა გაბაშვილთან და კოტე ჩლაიძესთან ვმეგობრობდი. ზაფხულის არდადეგებზე ბორჯომში ერთად ვისვენებდით. გეგა კოტესთან ხშირად მოდიოდა.

— რით ერთობოდით?

— ყველაზე ხშირად, ინტელექტუალურ თამაშებს ვთამაშობდით.

— რამდენად ერუდირებული ადამიანია?

— გეგა ძალიან განათლებული და დახვწილი ადამიანია. ინტელექტუალური თამაშების დროს განსაკუთრებით საინტერესო, გეგასა და გოკას „შერკინება" იყო ხოლმე.

— გაკვეთილების შემდეგ ერთად თუ იკრიბებოდით?

— ერთმანეთის აგარაკებზე პატარა ექსკურსიებს ვაწყობდით ხოლმე. ბევრი ლამაზი დღე გვაქვს ერთად გატარებული. როცა სკოლას ვამთავრებდით, ბოლო დღეს კლასში რომ შევედით, წარწერებით აჭრელებული კედლები დაგვხვდა: უმცროსკლასელები ყველას რაღაცას გვთხოვდნენ, კედლებზე ეხატა დიდი გულები წარწერით — „გეგა, გვიყვარხარ", „უშენოდ აქ ყოფნა არ გვინდა"...

— გეგას სკოლაში შეყვარებული არ ჰყავდა?

— ვერ გეტყვი, მისი სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ არაფერი ვიცი. გეგა სკოლაში ბევრის „ფავორიტი" იყო. საერთოდ, კარგი თანაკლასელები მყავდნენ — ერუდირებულები, ნიჭიერები; მღეროდნენ, ცეკვავდნენ. გეგა ზრდილი და მოკრძალებული ბიჭი იყო.

— ერთად შეკრებილი მეგობრები პოლიტიკაზე თუ საუბრობდით ხოლმე?

— ჩვენ სკოლა ეროვნული მოძრაობის აღზევების წლებში დავამთავრეთ. პოლიტიკაზე მცირე დოზით, მაგრამ ხშირად ვსაუბრობდით. გეგას ყოველთვის თავისებური წარმოდგენა და საინტერესო ხედვა ჰქონდა. გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ დიპლომატიურ სამსახურში წავიდა. ის დინჯი და გაწონასწორებული ადამიანია. მის წინსვლას ყოველთვის თვალყურს ვადევნებდი და ვგულშემატკივრობდი. გეგა ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებს.

— ელოდი, რომ მას ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშნავდნენ?

— არა. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. იქნება თუ არა ეს მართებული ნაბიჯი მის კარიერაში, ამას დრო გვიჩვენებს. დარწმუნებული ვარ, რომ გეგა ღირსეულ კვალს დატოვებს.

— დღეს თანაკლასელები შეკრებას თუ ახერხებთ ხოლმე?

— ჯგუფ-ჯგუფად ერთმანეთს ვხვდებით, მაგრამ ყველანი ერთად ვერ ვიკრიბებით.

— გეგა ბოლოს როდის ნახე?

— უკვე წლებია, რაც აღარ მინახავს. მე არა ვარ ის ადამიანი, რომელიც

ბევრი ლამაზი დღე გვაქვს ერთად გატარებული

ძველ ნაცნობს თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ შეეხმიანება და ეტყვის: გახსოვს, ჩვენ თანაკლასელები ვიყავითო?!

— ჩვენი ჟურნალის საშუალებით გეგას რას ეტყვი?

— პირველ რიგში, მივულოცავ წარმატებას და დავპირდები, რომ არაფერზე შევაწუხებ. მას ჩემი სახით, ძალიან დიდი გულშემატკივარი ჰყავს. წარმატებები და ჯანსაღი აზრი მინდა ვუსურვო. ■

რას მოუტანს მსოფლიოს ფერადკანიანი ამერიკელი პრეზიდენტი

ბარაკ ჰუსეინ ობამა-უმცროსი ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 44-ე პრეზიდენტია, რომლის ინაუგურაციაც 2009 წლის 20 იანვარსაა დანიშნული. ამ დღიდან ის ამერიკის ისტორიაში პირველი ფერადკანიანი სახელმწიფოს მეთაური გახდება...

რას ამბობენ მომხრეები

ცნობილი კინოპროდიუსერი დევიდ გეფენი: „ობამა ახალი და ქარიზმატული ლიდერია. ამერიკა დაიღალა კლინტონებისგან, მას კომპრომისები კი არა, იდეალები სჭირდება“.

ცნობილი მსახიობი ჯორჯ კლუნი: „მე სულ რამდენიმე ასეთი, როკვარსკვლავის თვისებების მქონე პოლიტიკოსი თუ შემხვედრია. ასეთი იყო რეიგანი, ასეთი იყო კლინტონიც. ობამა ნამდვილი ლიდერია. როცა ის ოთახში შემოდის, ყველა ჩუმდება, შემდეგ კი მზად არიან, თუნდაც ქვეყნის დასალიერამდე გაჰყვნენ“.

სენატში „დემოკრატიული“ უმრავლესობის ყოფილი მეთაური თომას დეშლი: „ილინოისელ სენატორს ჩვენი ქვეყნის გამთლიანება და ახალგაზრდა ამერიკელების გაერთიანება და ისევე შთაგონება შეუძლია, როგორც მე ვიყავი შთაგონებული კენედითა და მარტინ ლუთერ კინგით“.

შტატის გუბერნატორი ჯონ ლინჩი: „თავიდან წვეულებაზე ჯგუფ Roling Stones-ის მონვეევას ვგეგმავდით, მაგრამ შემდეგ უარი ვთქვით, რადგან მივხვდით, რომ სენატორი ობამა უფრო მეტ ამონაგებს მოგვიტანდა“...

ნიუ-ჯერსის სენატორი ჯონ კორზინი: „ობამამ ყველა გაგვაოცა. თავისი არგუმენტებით ის არც ბრალს სდებდა ვინმეს და არც შეურაცხყოფდა. ის მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებით ოპერირებდა, მისი ოპტიმიზმი კი გადამდები იყო“.

რა არ მოსწონთ მოწინააღმდეგეებს

მემერჯვენე შეხედულებების მომხრე ჟურნალისტი ენ კაულტერი: „ჰილარი კლინტონს გამარჯვების მეტი შანსი თუნდაც იმიტომ აქვს, რომ ჯერ ერთი, ათობით მილიონი დოლარის შეგროვება შეძლო და მეორე, მისი მეტოქის „მომგებიანი“ სახელი — ბარაკ ჰუსეინ ობამაც დაეხმარება“...

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი: „მე რომ ერაყში „ალ-ქაიდას“ ვხელმძღვანელობდე, გამუდმებით ვილოცებდი „დემოკრატების“ და კერძოდ, ობამას გამარჯვებისთვის“...

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ბარაკ ჰუსეინ ობამა 1961 წლის 4 აგვისტოს, ჰავაის შტატის დედაქალაქ ჰონოლულუში, კენიელი ბარაკ ობამა-უფროსისა და თეთრკანიანი ამერიკელის, სტენლი ენ დანჰემის ოჯახში დაიბადა. ობამა-უმცროსი 2 წლის იყო, როცა მისი მშობლები გაიყარნენ. მოგვიანებით ენ დანჰემი ცოლად გაჰყვა ინდონეზიელ ლოლო სოეტოროს და 1967-დან 1971 წლამდე ობამა, დედასა და მამინაცვალთან ერთად, ინდონეზიაში ცხოვრობდა. შემდეგ საცხოვრებლად ისევ ჰავაიზე, დედის მშობლებთან დაბრუნდა და ერთ-ერთ პრივილეგირებულ კერძო სკოლაში განაგრძო სწავლა. სკოლის წლებში ბარაკი კალათბურთით იყო გატაცებული და 1979 წელს, სკოლის გუნდის შემადგენლობაში მყოფმა, შტატის ჩემპიონატიც მოიგო. ამასთანავე, როგორც თავის მემუარებში აღნიშნავს, უფროსკლასელობისას მარიხუანასა და კოკაინსაც ეტანებოდა, რის გამოც ერთხანს სწავლაშიც საგრძნობლად ჩამორჩა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ობამა ლოს-ანჯელესის კოლეჯში, კოლუმბიის უნივერსიტეტსა და ჰარვარდის იურიდიულ სკოლაში სწავლობდა.

1992 წელს ობამამ ცოლად შეირთო აფროამერიკელი მიშელ ლე ვონ რობინსონი. მათ ორი ქალიშვილი — 8 წლის მალია და 5 წლის საშა ჰყავთ.

1997-დან 2004 წლამდე ობამა ილინოისის შტატის სენატის წევრი იყო, შემდეგ კი ფედერალურ სენატში აირჩიეს. 2007 წელს პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლაში ჩაბმის სურვილის თაობაზე გამოაცხადა და მაშინვე იმ ყველაზე ნაკლებგამოცდილ ამერიკელ პოლიტიკოსადაც იქცა, ვისაც კი ოდესმე საკუთარი საპრეზიდენტო ამბიციების თაობაზე განუცხადებია. 2007 წლის ივნისში ობამამ „დემოკრატების“ პრაიმერიზში გაიმარჯვა და აგვისტოს ბოლოს, პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატი გახდა. თავის მეწყვილედ ანუ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტად მან გამოცდილი პოლიტიკოსი, სენატორი ჯო ბაიდენი დაასახელა.

ბარაკ ობამა ორი წიგნის ავტორია. 1995 წელს მან მემუარები სახელწოდებით — „მამისგან მემკვიდრეობით მიღებული ოცნებები“, ხოლო 2006 წელს წიგნი „იმედის სითამამე“ გამოაქვეყნა. ობამას ორივე წიგნი ბესტსელერად იქცა, ხოლო პირველის აუდიოვერსიას 2006 წელს პრემია Grammy-ც მიენიჭა. ამჟამად გამოსაცემად მზადდება მესამე, საბავშვო აუდიტორიისთვის განკუთვნილი წიგნი, რომელიც ობამამ ცოლ-შვილთან თანაავტორობით დაწერა.

ოჯახი

ბარაკ ობამას მამა კენიის პატარა სოფელ ალეგოს მკვიდრი იყო. ის ბავშვობაში ნახირს მწყემსავდა, მაგრამ მოგვიანებით, სახელმწიფო სტიპენდიის მიღება და ამერიკაში ეკონომიკის შესასწავლად ჩასვლა მოახერხა.

ობამას დედა — სტენლი ენ დანჰენი კანზასის შტატის პატარა ქალაქის მკვიდრი გახლდათ. ობამას დედ-მამამ ერთმანეთი ჰავაის უნივერსიტეტში სწავლის დროს გაიცნო. ცოლთან დაშორების შემდეგ, ობამა-უფროსი სამშობლოში დაბრუნდა და იმ დღიდან მამა-შვილმა ერთმანეთი მხოლოდ ერთხელ ნახა.

1982 წელს, 21 წლის ობამას მამა ავტოავარიაში დაეღუპა, რის შემდეგაც, ბარაკმა ისედაც თითქმის უცნობი მამა სამუდამოდ დაკარგა. თუმცა ბოლომდე შემორჩა მასზე ოცნება, რომელიც თავის მემუარებში აღწერა. პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყების შემდეგ, ობამა კენიაში თავად ჩავიდა და მამისა და ბაბუის საფლავები მოინახულა. კენიელები მას, როგორც ეროვნულ გმირს, ისე შეხვდნენ.

ობამას დედა მეორე ქმართან ერთად, კარგა ხანს ინდონეზიაში ცხოვრობდა. ის 1995 წელს კიბოთი გარდაიცვალა. ახალ პრეზიდენტს დედის მხრიდან, ნახევარდები, ორივე მშობლის მხრიდან კი — რამდენიმე ნახევარძმაც ჰყავს.

თავად ობამა თავს „სტაჟიან“ მეოჯახედ მიიჩნევს და ოჯახის წევრებზე ზრუნვა, უფროს ქალიშვილთან ერთად გაკვეთილების მომზადება და უმცროსთან თამაშიც ძალიან უყვარს. მეტიც, ყველა ანკეტის გრაფაში — „მთავარი ინტერესები“ — პირველ ადგილზე ყოველთვის ოჯახს ასახელებს.

ბარაკ ობამა ბოლომდე კენიელი ემიგრანტის შვილად დარჩა. მისი მეუღლე — მიშელ რობინსონიც აფროამერიკელია და ამიტომაც, მათი ქალიშვილების სისხლში კანზასელი თეთრკანიანი ბებიის სულ ცოტა სისხლი ჩქეფს.

კარიერა

უნივერსიტეტში ობამა განსაკუთრებული მონდომებით, პოლიტოლოგიასა და საერთაშორისო ურთიერთობებს სწავლობდა. 1983 წლიდან, ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ, მან გამოცდილების დაგროვება საერთაშორისო ბიზნესკორპორაციებში სამსახურითა და საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობით სცადა. 1988 წელს ობამამ ჰარვარდის იურიდიულ სკოლაში განაგრძო სწავლა, ორი წლის შემდეგ კი ჰარვარდის იურიდიული კლუბის პრეზიდენტიც გახდა. ეს ფაქტი ობამასთვის საკუთარი უნიკალურობის პირველ დადასტურებად იქცა — ის ხომ ჰარვარდის კლუბის 104-წლიანი არსებობის მანძილზე მისი პირველი აფროამერიკელი პრეზიდენტი გახდა!

1991 წელს ობამამ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიიღო და ჩიკაგოში დაბრუნდა. მსხვილ იურიდიულ ფირმაში — „მინერ ბარნჰილ გალანტში" მუშაობისას, მისი ინტერესის ძირითად საგანს სამოქალაქო სამართალი წარმოადგენდა. იმავე წელს ლექციების კითხვა დაიწყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1996 წელს კი ილინოისის ადგილობრივ სენატში აირჩიეს.

ბარაკ ობამას პოლიტიკური კარიერა სწორედ ილინოისის შტატის სენატში დაიწყო, სადაც ის 8 წლის განმავლობაში — 1997-დან 2004 წლამდე, დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. 2000 წელს ობამამ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში მონაწილეობა სცადა, მაგრამ მოქმედ კონგრესმენ და მოძრაობა „შავი ავაზების" ყოფილ მონაწილე ბობი რაშთან პრაიმერიზი წააგო.

2004 წელს ობამამ ამერიკის სენატში მოხვედრა გადაწყვიტა და პრაიმერიზში 6 მეტოქეზე დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა. 2004 წლის 29 ივლისს ობამამ დემოკრატიული პარტიის ეროვნულ ყრილობაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა და მას მთელ ქვეყანაში დიდი პოპულარობა მოუტანა. სენატორობის კანდიდატმა საზოგადოებას, ფესვებთან მიბრუნებისა და „ღია შესაძლებლობების" ქვეყნად ამერიკის კვლავ გადაქცევისკენ მოუწოდა. სენატის არჩევნებში ობამამ დიდი უპირატესობით დაამარცხა „რესპუბლიკელი" ალან ჯეისი და 2005 წლის 4 იანვარს ამერიკის ისტორიაში მეხუთე ფერადკანიანი სენატორი გახდა.

ჰარვარდის კლუბის 104-წლიანი არსებობის მანძილზე მისი პირველი აფროამერიკელი პრეზიდენტი გახდა!

„ამერიკული ოცნება"

ობამა თავიდანვე ძალიან საფუძვლიანად მოეკიდა საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიასაც. ინტერნეტში აქტიური აგიტაცია გასწია, მოიპოვა ჰოლივუდის ვარსკვლავების მხარდაჭერა და ამერიკული პრესის სიმპათია. ზოგიერთი მონაცემით, მან საკუთარ საარჩევნო კამპანიაზე, კონკურენტებზე ბევრად მეტი ფულიც დახარჯა. პრესაში დაირხა ხმები, რომ მან სახსრების ნაწილი ჩიკაგოელი მშენებლის, ენტონი რეზკოს ყალბი კომპანიების გავლით მიიღო. ეს ის რეზკოა, რომელიც მოგვიანებით, თაღლითობის, ფულის გათეთრებისა და გამოძალვისთვის სამართალში მისცეს. ობამამ ამ „გაუგებრობის" გამო საჯაროდ მოიხადა ბოდიში და იმის პირობაც დადო, რომ „სავარაუდო" გამომძალველს მთელ ფულს უკან დაუბრუნებდა.

პრეზიდენტობის კანდიდატი 2007 წლის იანვარში გავრცელებულმა სკანდალურმა ბრალდებებმაც საგრძნობლად დააზარალა. მაშინ პრესაში ხმა დაირხა, რომ ინდონეზიაში ცხოვრებისას ის ისლამურ სკოლა-მედრესეში სწავლობდა, სადაც მისი მასწავლებლები ვაჰაბიტების სექტის რადიკალური წარმომადგენლები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრალდება მალევე გაბათილდა, ობამას იმიჯს ამან მაინც სერიოზული დარტყმა მიაყენა.

არანაკლები პრობლემა შეექმნა აღმსარებლობასთან დაკავშირებითაც. მარტში ამერიკის ტელევიზიით გადაიცა ამონარიდები ობამას პასტორის, იერემია რაიტის ქადაგებიდან, სადაც მან ამერიკის პოლიტიკა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების ერთ-ერთ მიზეზად დასახელა და წარმოთქვა ფრაზა: „წყეულიმც იყოს ამერიკა!" ობამამ რაიტისგან გამიჯვნა არ დახანა და 2008 წლის მაისში ცოლთან ერთად, ეკლესიიდან გამოსვლის თაობაზეც გამოაცხადა. თუმცა ცოლ-ქმარ ობამების ოფიციალური ბიოგრაფიების თანახმად, ორივე — ჩიკაგოს ერთ-ერთი ქრისტიანული ეკლესიის — Trinity United of Crist მრევლია.

ყველა ანკეტის გრაფაში — „მთავარი ინტერესები" — პირველ ადგილზე ყოველთვის ოჯახს ასახელებს

საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ საკვანძო თეზისად, ბარაკ ობამამ „ამერიკული ოცნების" აღორძინება აქცია. მისი აზრით, ეს ოცნება არის: საკუთარი ჭერის ქონის, სამედიცინო დახმარების მიღებისა და შვილებისთვის განათლების მიცემის საშუალება, რომლის განხორციელებაც, მისი აზრით, ბუშის ადმინისტრაციის მიერ გატარებული საგადასახადო პოლიტიკის პირობებში შეუძლებელი იყო. ამიტომაც, ობამას განზრახული აქვს, ეს ოცნება ამერიკელებს თავად და რაც შეიძლება, მალე აუხდინოს.

მასმედია — ობამას მეგობარი

ბარაკ ობამა, როგორც საჯარო პირი, ჯერაც გზის დასაწყისში იყო, როცა მასზე უკვე არაერთი ავტორიტეტული გამოცემა წერდა და წამყვანი ტელეარხი ლაპარაკობდა.

ჟურნალმა Time 2004 წელს მკითხველს, ობამასთვის საგანგებო ყურადღების მიქცევა ურჩია, თავად კი ახალგაზრდა პოლიტიკოსი „ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანად" მოიხსენია და „20 ლიდერისა და რევოლუციონერის" ანუ პოლიტიკის, ბიზნესისა და კულტურის კაშკაშა ვარსკვლავთა თავის ყოველწლიურ ჩამონათვალში შეიყვანა. ობამა ასევე მოხვდა იმათ ათეულში, „ვისაც სამყაროს შეცვლა შეუძლია".

ჟურნალმა Newsweek თავის „2006 წლის ამერიკის კულტურულ კვლევაში" ობამა იმ პოლიტიკოსებს შორის დაასახელა, ვისი პოზიციებიც საგრძნობლად გამყარდა.

ცნობილი მიმომხილველი მარკუს ჰადსონი წერდა: „თუ „დემოკრატების" კანდიდატებს გადახედავ, იქ მხოლოდ ერთ ახალ სახელს აღმოაჩენ, სხვა დანარჩენი კი — კარგად დავიწყებული ძველია".

საერთოდ კი მასმედიის დიდი ნაწილი მიჩნევს, რომ ბარაკ ობამა არის:

ქარიზმატული ლიდერი

„ბარაკ ჰუსეინ ობამა ბევრს, ძმებ კენედებს ახსენებს. დღევანდელ დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში, როცა ამომრჩეველთა უმეტესობა თეთრი სახლით უკმაყოფილოა, ობამა ამერიკელებში უცილობელ ნდობას იწვევს. რიგითი ამერიკელები მის მცირე პოლიტიკურ გამოცდილებას ყურადღებას აღარ აქცევენ. ობამას ესოდენ გამოკვეთილი ქარიზმა შთაგონებით ავსებს ადამიანებს და ამერიკისთვის ესოდენ კრიზისულ მომენტში მათ დიდ იმედსაც უნერგავს".

ნიჭიერი ორატორი

„ბარაკ ობამა ერთადერთი ფერადკანიანი პოლიტიკოსი როდია, ვისაც სახელმწიფოს მეთაურობას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა თვით მისი ოპონენტებიც კი არ უარყოფენ, რომ ობამა ჩინებული პოლიტიკური ალღოთი და უნიკალური ქარიზმით გამოირჩევა, რომელიც მხოლოდ უდიდეს საზოგადო მოღვაწეებსა და ორატორებს ახასიათებდა და ამის წყალობით, სხვადასხვა ეროვნების, სოციალური წრისა და აღმსარებლობის ადამიანებს აერთიანებდა. გულახდილობა ობამა-ორატორის მთავარი თვისებაა“.



ჩინებული პოლიტიკური ალღოთი და უნიკალური ქარიზმით გამოირჩევა

ცვლილებების მომტანი

„ობამა ამერიკული პოლიტიკის ცინცხალი სახეა და ცვლილებების მომტანის როლს მისი კანდიდატურა იდეალურად მიესადაგება... მოულოდნელი აღიარება მას 2004 წლის ნოემბერში, შესანიშნავი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ეწვია. მისი ბოლო გამოსვლები უცილობლად ადამიანთა დიდი თავყრილობების ფონზე მიმდინარეობს, ხოლო ის, რომ სენატში ობამა ერთადერთი ფერადკანიანია, ლიბერალურად განწყობილ ამერიკელებს ლამის ერაყში ომის კრიტიკაზე მეტადაც კი მოსწონთ“.

ყველაფერში დემოკრატი

„ბარაკ ობამა არაორდინარული შეხედულებების მქონე ადამიანია. ის მზადაა, აბორტებზე ქალების უფლებისა და იმიგრანტებისადმი შერბილებული პოლიტიკის მოთხოვნის დასაცავად, მიაჩნია, რომ გადასახადების გაზრდა საჭირო არ არის. ის არის დემოკრატი, რომელსაც ამერიკის სინამდვილის ყველა სფეროზე მართლაც დემოკრატიული შეხედულებები აქვს“.

რა უყვარს ბარაკ ობამას

თავის წიგნში „იმედის სითამამე“ ობამა ერთ სასაცილო შემთხვევას აღწერს. ერთხელ კაფეში მან ოფიციანტ გოგონას რომელიღაც კონკრეტული სახეობის მდოგვის მოტანა სთხოვა, მისი წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზატორმა კი შენიშვნა მისცა, — პოლიტიკოსმა უნდა მიირთვას ნებისმიერი მდოგვი, რომელიც კი კაფეში მოიპოვებაო. ერთი სიტყვით, ბარაკ ობამას ბევრი ინტერესი, ასე თუ ისე, მაინც მის პოლიტიკურ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

ობამას ძალიან უყვარს ჯაზი, რაც მხოლოდ მის კარგ გემოვნებაზე მეტყველებს. ის ნიჭიერი მწერალია. თანაც, მისი სამწერლო საქმიანობა, ნიჭთან ერთად, იმის ნათელი დადასტურებაცაა, თუ როგორ შეიძლება, მსგავსი ჰობით მარტო სიამოვნება კი არა, კარგი შემოსავალიც მიიღო...

ბარაკ ობამას ერთი მავნე ჩვევაც აქვს — ის „არამდგრადი“ მწეველია. ასეთ ტერმინს იმ ადამიანების მიმართ იყენებენ, ვინც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში — ვთქვათ, მეგობრების წრეში გამართულ წვეულებაზე ან რესტორანში მსუყე სადილის შემდეგ ეწევიან. და რადგანაც ობამას ხელში სიგარეტის დანახვა მის არაკეთილმოსურნეებსაც კი ძალიან უჭირთ, ვერც საყვედურებით ავსებენ. ზოგის აზრით კი სიგარეტი ობამას ისედაც სულში ჩამწვდომ ხმაზე მხოლოდ დადებითად თუ მოქმედებს.

ამრიგად, ბარაკ ობამას ინტერესთა სფეროში შეიძლება ჩაეწეროთ: ოჯახი, როგორც მთავარი ინტერესი; მწერლობა, როგორც საყვარელი საქმე; ჯაზი, როგორც საყვარელი მუსიკა. საერთოდ კი მან ცხოვრებაში იმდენად შეჯერებული და პოლიტიკურად სწორი სტრატეგია აირჩია, რომ მის იმიჯმეიკერებს დიდი ჯაფა ნამდვილად არ დასდგომიათ.

თუ თქვენც გიყვართ ბარაკ ობამა...

დაბოლოს, ისმის კითხვა — მაინც რატომ უყვართ ამერიკელებს და არა მხოლოდ მათ ბარაკ ჰუსეინ ობამა? ამ კითხვაზე პასუხი მრავალგვარია. მაგრამ ამჯერად ერთ-ერთ უცხოურ ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნებულ მხოლოდ ერთადერთ და ფრიად ნიშანდობლივ განმარტებას მოვიხმობთ: „თუ ბარაკ ობამა გიყვართ, მაშინ, ისევე, როგორც პოლიტიკით დაინტერესებულმა ნებისმიერმა ამერიკელმა ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რა იცით ამა თუ იმ საკითხზე მისი შეხედულებების შესახებ? იქნებ, 2004 წელს „დემოკრატების“ ყრილობაზე მისი ცნობილი გამოსვლა გაიხსენოთ? თუ გახსოვთ, რას ლაპარაკობდა ან ვის მიმართავდა ეს გაწონასწორებული ფერადკანიანი მამაკაცი, რომლის სასიამოვნო ხმა ერთდროულად, იმედსაც გისახავდათ და მიმართულებასაც გაძლევდათ? მაინც, რას ამბობდა იგი? შეამჩნიეთ, რომ თქვენთვის ეს მნიშვნელოვანი არ არის? ობამა შესანიშნავი პოლიტიკოსი „როკვარსკვლავია“ და ეს მიწა ბრალი სულაც არ არის. მან დაწერა და გამოაქვეყნა ძალიან ცნობილი წიგნები — საკუთარი ბიოგრაფია და მსჯელობები პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე. მაგრამ საეჭვოა, იმ მილიონობით ადამიანიდან, ვინც მისი წიგნები იყიდა, თუნდაც ათს ჰქონდეს წაკითხული რამდენიმე გვერდზე მეტი. მათ ობამას შესაყვარებლად, მისი ნაწერის კითხვა როდი სჭირდებათ. მათ უბრალოდ, უყვართ ყველაფერი, რასაც ის წერს და აქვეყნებს. მათ უყვართ მისი ლაპარაკის მანერა. მათ ის ისეთი უყვართ, როგორიც არის. მათ უყვართ ის, თუ როგორ წარმოაჩენს მათ წინაშე საკუთარ თავს“... ■



მეგობრობაში ერთგულება რომ აუცილებელია, ამაზე სერიალის — „ჩვენი ოფისი“ — გმირები — თაკო აბაშიძე (ნატა) და გიორგი კალანდარიშვილი (დოჩე) არ დაობენ. მათ შესანიშნავი მეგობრული ურთიერთობა აქვთ: „ერთმანეთთან ჩხუბის რომ არ გერიდება, მე და თაკო ისეთი მეგობრები ვართ“, — მითხრა გიორგი კალანდარიშვილმა. დავძენ იმასაც, რომ ისინი ბოლო დროს თინეიჯერების ფავორიტებად იქცნენ.

მარეხ ჭონიშვილი

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

თაკო:

— ეს იყო დიდი ხნის წინ...

გიორგი:

— არც ისე დიდ ხნის წინ. თაკო „ჩიფსების თაობის“ კასტინგზე გავიცანი. ოთახში რომ შემოვიდა, მისით ყველა მოვიხიბლეთ.

თაკო:

— კარგი, რა, გიორგი, ახლა არ დაიწყო...

გიორგი:

— არ ვაჭარბებ, მართლა ასე იყო. რომ მოვიდა, ყველანი შოკში ჩავცვივდით. სერიალის გამოსვლის შემდეგ კი შოკში მთელ ერს აგდებს. კასტინგი ორივემ წარმატებით გავიარეთ და პარტნიორები გავხდით. გადაღებებზე დილიდან საღამომდე ერთად ვართ და დავმეგობრდით.

— თქვენი აზრით, რა არის მეგობრობა?

თაკო:

— ჩემთვის მეგობრების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. კარგი მეგობარი კი იმ შემთხვევაში იქნები, თუ ერთგული ადამიანი ხარ.

გიორგი:

— თაკოს ვეთანხმები. ისევე, როგორც სიყვარულში, მეგობრობაში ერთგულება აუცილებელია.

რა აღმოაჩინა თაკო აბაშიძემ და რატომ გაუო თავი შარში გიორგი კალანდარიშვილმა

— რაზე ჩხუბობთ ხოლმე?

თაკო:

— თბილი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, სერიოზულად არასდროს გვიჩხუბია, უფრო, ელემენტარულ რაღაცებზე ვკამათობთ. ეს კამათიც ხშირად, იუმორში გადადის.

გიორგი:

— ხანდახან ხაჭაპურის გამო ვჩხუბობთ.

თაკო:

— საჭმელად „პერაშკს“ ან ხაჭაპურს რომ მოიტანენ, აქ მერე იწყება ჩხუბი: ზოგს — ხაჭაპური უნდა, ზოგს — კი „პერაშკი“.

— ერთმანეთს რჩევებს ხშირად აძლევთ?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. მეგობრისგან კი რაღაც რჩევა ყოველთვის გჭირდება.

გიორგი:

— ცოტა ხნის წინ, თაკომ მირჩია, ჩემი ძაღლი მასთან ოფისში მიმეყვანა. მისი ეს რჩევა გავითვალისწინე...

თაკო:

— ცხოველთა დაცვისა და ჯიშიანი ძაღლების მოყვარულთა საზოგადოების პიარმენეჯერი ვარ. გიორგი ჩვენთან ოფისში დავპატიჟე, თავისი ძაღლიც მოიყვანა. ფასდასკლების ბარათი აიღო და ჩვენი ოფისის მომსახურებით სარგებლობს.

— თაკო, რატომ დაინტერესდი ამ საკითხით?

— ოჯახში შინაური ცხოველები ყოველთვის გვყავდა. ისინი ძალიან მიყვარს და მათი ბედი მაწუხებს. ცოტა ხნის წინ, კლიპი გადავიღე, რომელიც ძაღლების დაცვას მიეძღვნა. ამ კლიპის ნახვის შემდეგ ცხოველთა დაცვის საზოგადოებიდან დამიკავშირდნენ და იქ მუშაობა შემომთავაზეს. მეც დავთანხმდი. ჩემი სამუშაო ძალიან მომწონს, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის პერიოდში ბევრ ისეთ საკითხს წავაწყდი, რომელიც არ ვიცოდი. სამაგიეროდ, ახლა ვსნავლობ და ნელ-ნელა ყველაფერში ვერკვევი.

— ერთმანეთის რჩევები პირად საკითხებში თუ დაგჭირვებიათ?

— გიორგის თავისი პირადი ცხოვრება ლამაზად აქვს მოწყობილი. მშვენიერი ცოლი და შვილი ჰყავს. აქედან გამომდინარე, მას ამ საკითხში რჩევის მიცემა არ სჭირდება. ასევე ვარ მეც — პირად ცხოვრებაში არანაირი პრობლემა არ მაქვს.

გიორგი:

— პირად საკითხზე ადამიანს რაიმე ურჩიო — ცოტა ძნელია, მაგრამ თუკი თაკოს ჩემი დახმარება დასჭირდება, ყველანაირად გვერდით დავუდგები. ჩვენ დამოუკიდებელი ახალგაზრდები ვართ. შეიძლება, ცოტა უხეშად იყოს ნათქვამი, მაგრამ რჩევებს მშობლებისგანაც აღარ ვიღებთ. ვცდილობთ, ჩვენი ცხოვრება ჩვენ თვითონ ავიწყოთ.

თაკო:

— ჩვენს ასაკში ადამიანი დამოუკიდებელი უნდა იყოს, შეძლოს საკუთარ ცხოვრებაზე ზრუნვა. სამწუხაროდ, დღეს ბევრი ახალგაზრდა, ოჯახზეა დამოკიდებული. არ აქვს სამუშაო და აქედან გამომდინარე, პირადი ცხოვრება. ამიტომ ბევრი, სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს და ჭორების გავრცელებით არის დაკავებული.

— ალბათ, ჭორები შენზეც გსმენია.

— ბევრჯერ „გამათხოვეს“ და „გამომათხოვეს“.

გიორგი:

— თაკოზე, ხშირად, ასაკთან დაკავშირებით ჭორაობენ. უფრო დიდი ჰგონიათ, ვიდრე სინამდვილეშია. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ თაკო ჯერ კიდევ ახალგაზრდა გოგოა (*იცინიან*).

— გიორგი, თაკო როგორი პარტნიორია?

— ძალიან კარგი პარტნიორია. თუკი რაიმე კარგად ვერ ვთქვი ან გავაკეთე, მისწორებს. ასე რომ, შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს.

თაკო:

— გიორგის რეპლიკის შემდეგ ჩემი ტექსტი უნდა ვთქვა ხოლმე, ხშირ შემთხვევაში, მას რეპლიკის თქმას არ ვაცლი და ჩემს ტექსტს ვიწყებ.

გიორგი:

— თაკო, როგორც მსახიობს, მძირავს (*იცინიან*).

თაკო:

— გიორგი, გარდა იმისა, რომ ნიჭიერი მსახიობია, მხიარული და ერთგული ადამიანია. მასთან არ მოიწყენ. არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს.

— გასართობად ერთად თუ დადიხართ?

— სერიალში ყველა მხიარული ადამიანია დაკავებული, აქ მოწყენილი ვერ გაჩერდები. ერთმანეთთან სახლშიც დავდივართ. გიორგისთან სახლში „პოკერის“ თამაში ვისწავლე, ძალიან მომეწონა და დიდი გატაცებით ვთამაშობ. აღმოვაჩინე, რომ საშინლად აზარტული ადამიანი ვყოფილვარ.

გიორგი:

— დიდ შარში გავყავი თავი. რაც „პოკერის“ თამაში ვასწავლე, კაზინოდან ვეღარ გამომყავს.

თაკო:

— არ დაიჯეროთ, იტყუება!

— ხშირად ამბობენ, ქალსა და მამაკაცს შორის ნამდვილი მეგობრობა არ არსებობს.

— მეგობრობაში მნიშვნელობა არა აქვს, გოგოა თუ ბიჭი. ბავშვობიდან ბიჭებთან უფრო ვმეგობრობ და მიმაჩნია, რომ ისინი უფრო ერთგულები არიან.

ქალთა სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრი
“ზეევთან” (ისრაელი)

*გინეკოლოგია
*ენდოკრინული გინეკოლოგია
*კოსმეტოლოგია
*ფოტოეპილაცია
*ფოტოგაახალგაზრდავება
*ისრაელის ელიტარული კოსმეტიკა
*ფიტნესი
*იოგა
*სამედიცინო ტურიზმი ისრაელში

მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №9 (ვაჯე, მრგვალ ბაღთან ახლოს)
ტელ: 23 28 93; 893 27 57 97
ელ-ფოსტა: info@microgen.ge
www.zeevs.ge

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი:

— ჩემი აზრით, ასე კომპლექსიანი ადამიანები ფიქრობენ. ბევრი მეგობარი გოგო მყავს და მათ დიდ პატივს ვცემ.

— სერიალში თუ იყო ისეთი სცენა, რომლის თამაშზეც უარი თქვით?

თაპო:

— ჩვენ რეჟისორის შემოთავაზებასა და გადაწყვეტილებაზე უარს არ ვამბობთ. თან, ამ სერიალში არც ყოფილა ისეთი სცენები, რომლის შესრულებისას უხერხულობას ვიგრძნობდი.

გიორგი:

— თუ კარგი მსახიობი ხარ, ყველანაირი როლი უნდა შეასრულო.

— სერიალმა პოპულარობა მოგიტანათ. ამით თუ გისარგებლიათ?

თაპო:

— ნამდვილად ასეა, ამ სერიალის წყალობით, პოპულარულები გავხდით. მანამდე, 4 წელი, თეატრში ვმუშაობდი, მაგრამ არავინ მიცნობდა. როგორც კი ეთერში პირველი სერია გავიდა, ხალხი იმ დღიდან მცნობს; ქუჩაში მაჩერებენ და ჩემ მიმართ სიმპათიებს გამოხატავენ. ბევრ „ტაქსისტს" დავუმეგობრდი.

გიორგი:

— პოპულარობის გამო ჩვენთვის სახლი არავის უჩუქებია, მაგრამ ეს ცხოვრებისეული წვრილმანების მოგვარებაში მეხმარება. თუმცა პოპულარობა ბოროტად არასოდეს გამომიყენებია. ხშირად ბანკში რიგის გარეშე ვიხდი გადასახადებს. სამარშრუტო ტაქსიში ფულს არ მართმევენ.

თაპო:

— ეს სერიალი ძალიან მიყვარს. კარგი ჯგუფია და აქ თავს, როგორც ოჯახში, ისე ვგრძნობ.

— ახალი რა არის თქვენს შემოქმედებაში?

გიორგი:

— რეჟისორმა — გიორგი შალუტაშვილმა სანდრო ახმეტელის თეატრში მიმიწვია. გიორგი ქართველიშვილის პიესას დგამს. ვფიქრობ, რომ კარგი სპექტაკლი გამოვა.

თაპო:

— ძალიან დაკავებული ვარ. თეატრიდან ორ შემოთავაზებაზე ვთქვი უარი. ახლა მხოლოდ გოგი ქავთარაძის სპექტაკლში — „სიყვარულის თამაში" ვმონაწილეობ.

— ერთმანეთის სპექტაკლებს თუ ესწრებით?

— ვცდილობთ, მაგრამ ხშირად ვერ ვახერხებთ, რადგან ჩვენ-ჩვენი საქმით ძალიან ვართ დაკავებული.

— რას ურჩევდით მეგობრებს?

თაპო:

— უყვარდეთ ერთმანეთი.

გიორგი:

— და გულახდილები იყვნენ: მეგობრობას პირფერობა არ უხდება.

„გასეირნება ყარაბაღში 2"

— ახალი ქართული ფილმის გადაღება დაიწყო

საქართველოს კინოთეატრებს მალე ახალი ფილმი შეემატება. მას „დამოუკიდებელი პროექტი" და Mooving pictures ერთობლივად იღებენ. „გასეირნება ყარაბაღში 2"-ის გადაღება 11 ნოემბერს დაიწყო, ფილმის პრემიერა კი საქართველოს ყველა კინოთეატრში ერთობლივად, 2009 წლის თებერვალში შედგება. მსახიობები გადამღებ ჯგუფს თითქმის არ შეუცვლია. თუმცა, მათ მხოლოდ ნინა ბადურაშვილი და ზურაბ ყიფშიძე დაემატათ. ფილმის რეჟისორი ვანო ბურდული გახლავთ, სცენარის ავტორი კი — ირაკლი სოლომონაშვილი.

ელენე ბასილიძე

ლევან კორინთელი, *პროდიუსერი:*

— „გასეირნება ყარაბაღში 2" მისი წინამორბედის გაგრძელებაა. ვისაც ჩვენი პირველი ფილმი ნანახი აქვს, მიხვდება, რომ იგი პირველი ნაწილის გაგრძელებაა. ვისაც არ უნახავს, დამოუკიდებელ ფილმად მიიღებს ანუ მასში არ არის ისეთი მომენტები, რაც წინა ფილმის აუცილებლად ნახვას მოითხოვს.

— რატომ გადაწყვიტეთ, ფილმის მეორე ნაწილის გადაღება?

— პირველმა ნაწილმა დიდი მოწონება დაიმსახურა, რამაც გვაფიქრებინა, რომ მისი მეორე ნაწილის გადაღება ურიგო არ იქნებოდა. ვიმედოვნებთ, მაყურებელს ისიც მოეწონება.

— ვინ აფინანსებს ფილმს?

— ფილმი „საზოგადოებრივი მაუწყებლის", ეროვნული კინოცენტრისა და კინოთეატრების მხარდაჭერით გამოვა. მცირებიუჯეტიანი ფილმია (25.000 დოლარი).

— ფილმში კვლავაც ნარკოტიკებზე გაკეთდება აქცენტი?

— ფილმში მოქმედება 1993 წელს მიმდინარეობს. ყველანაირად ვეცადეთ, რეალური ფაქტები მოგვეძიებინა. ის პერიოდი კარგად ახსოვს ყველას და ალბათ, ნარკოტიკის თემასაც ვერ გავექცევით.

— სცენარის ავტორი ირაკლი სოლომონაშვილია. ლიტერატურული პირველწყაროს ავტორმა, აკა მორჩილაძემ თუ მიიღო მონაწილეობა სცენარის შექმნაში?

— არა, აკა მორჩილაძე სცენარის შექმნაში არ მონაწილეობდა, თუმცა რომ არა მისი მოთხრობა, არც ჩვენი პირველი ფილმი შეიქმნებოდა... უბრალოდ, ჩვენ მისგან ნებართვა ავიღეთ: შეგვეძლო თუ არა, მისი მოთხრობის მიხედვით შექმნილი ფილმის მეორე ნაწილი გადაგვეღო. მან თანხმობა მოგვცა... ფილმის გმირები ისევ ჩადიან ყარაბაღში, თუმცა ყარაბაღის სცენებს საქართველოში გადაიღებენ.

ნიაზ დიასამიძე, *მუსიკის ავტორი:*

— ფალმისთვის მუსიკა ანუ საუნდტრეკები უკვე შექმნილია...

ზურა ყიფშიძე, *მსახიობი:*

— მე ფილმში ახალი პერსონაჟი ვარ — ქურდი დოდო. პროტოტიპი ნამდვილად არ მყავს, თუმცა იმედია, როლს ნამდვილი ქურდივით ვითამაშებ.

— ადვილად დათანხმდით როლზე?

— არა, რა თქმა უნდა, ბოლო წუთამდე ვყოყმანობდი. ქურდის როლი არასოდეს მომირგია და იმედია, ამ საქმეს თავს გავართმევ. მე ინტელექტუალი ქურდის განსახიერებას ვაპირებ.

ნინი ბადურაშვილი, *მომღერალი:*

— მე მიშა მესხის პერსონაჟის (გოგილო) აუხდენელი და მიუწვდომელი სიყვარული ვარ.

— აუხდენელი და მიუწვდომელი რატომ?

— ჩემი გმირი მისი ბავშვობის მეგობარია, რომელიც პატარობიდანვე უყვარს და გრძნობას ვერ უმხელს. სამწუხაროდ, ისინი ბოლოს ერთად მაინც არ არიან...

კაბუ, *მსახიობი:*

— კაბუ, ფილმის მეორე ნაწილშიც უბნის „კაი ბიჭი" ხარ?

— კარგი კი არა, „ძალიან კარგი ბიჭი" ვარ! თენგო მქვია და ის ქურდსაც კი ხელს ურტყამს (*იცინის*).

— ქურდსაც?

— აბااა... (*იცინის*). თენგო მაგარია, თავისი ბარი აქვს, თავისი კაბინეტი... ქურდებს უნდათ, მისგან რაღაც წაიღონ, თენგო არ ატანს და არის ერთი ამბავი...

მიშა მესხი, *მსახიობი:*

— მე ისევ ერთი „საწყალი" ბიჭი ვარ, რომელიც სხვისი გულისთვის შარში ეხვევა, ჭკუა ვერ ვისწავლე, რა. ვერ დავღვინდი ამ 4 წელიწადში (*იცინის*), მაგრამ სიტუაციიდან თავს მაინც ვიძვრენ, რისი გოგლიკო ვარ აბა, მე?!

რატომ უნდა მივირთვათ ქათმის ხორცი და კვერცხი?

როგორი პროდუქტით ვიკვებებით, მათი დამზადების დროს რამდენად დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები – საბოლოოდ, ეს ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება. ქართულ ბაზარზე გვხვდება, როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქცია. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ნუტრიციოლოგი (კვების ჰიგიენის სპეციალისტი) ბელა ყურაშვილი უპირატესობას სამამულო ნაწარმს ანიჭებს.

თამუნა კვინიკაძე

— პროდუქტის შეძენის დროს რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?

— თითოეულმა ჩვენგანმა ამა თუ იმ პროდუქტის შეძენის დროს უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა პირობებში ხდება მათი დამზადება, რამდენად დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და ა.შ. მაგალითად, ქათმის ყიდვის დროს არჩევანს ჩვენი მეფრინველეობის ფაბრიკის მიერ მოწოდებულ პროდუქციაზე ვაჩერებ. ქათამი უფრო მიმზიდველად რომ გამოიყურებოდეს, ხშირ შემთხვევაში გამყიდველები ათასგვარ ეშმაკობას მიმართავენ: გამიგონია — მდუღარე წყალში დებენ და რომ გაიბერება, სწრაფად იღებენ, ან შპრიცით კანქვეშ წყალი შეჰყავთ. წყალი კი მიკრობების გამრავლებისთვის, საუკეთესო გარემოა. მომხმარებელი უპირატესობას ყვითელი შეფერილობის ქათამს ანიჭებს, ჰგონია, რომ უფრო ცხიმიანია. ბევრმა არ იცის, რომ სარეალიზაციოდ გამზადებულ ქათმებს ყვითელ შეფერილობას სპეციალური საღებავით აძლევენ. ჩვენ ხომ არ ვიცით, ის საღებავი რა შემადგენლობისაა, იქნებ, ორგანული არც არის (ორგანული საღებავი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის)?! სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბაზარში გასაყიდად გამოტანილ, ხშირ შემთხვევაში შეუფუთავ ქათამს, ქარხნული — წარმოებული ქათმის ხორცი და კვერცხი მირჩევნია. აუცილებელია აქვე აღვნიშნოთ, რომ არავინ იცის, იმპორტირებული ქათმები, რომლებითაც გაჯერებულია ადგილობრივი ბაზარი, შენახვის რა პირობებით თუ ნორმებით არის დაცული, ან რა პირობებში ხდება მათი ტრანსპორტირება. ტრანსპორტირების დროს შესაძლებელია, მათი არაერთხელ გალღობა და შემდეგ ხელახალი გაყინვა, რის შედეგადაც ხდება მიკრობების გამრავლება.

— ადგილობრივი წარმოებიდან, პირადად თქვენ, რომელ საწარმოს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?

— ადგილობრივი წარმოების თითქმის ყველა ბრენდს, მაგალითად შედარებით ახალი ბრენდია „დილა". ვიცი, რომ ეს ფირმა თანამედროვე ტექნოლოგიით არის აღჭურვილი და იქ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვა ხდება. პროდუქტს თან უნდა ახლდეს სერტიფიკატი, რაც მის სიახლეზე, ხარისხზე, კვებით და ბიოლოგიურ ღირსებებზე მეტყველებს.

— ადამიანის ორგანიზმისთვის ისეთი პროდუქტების მიღება, როგორიც ქათმის ხორცი და კვერცხია, რამდენად მნიშვნელოვანია?

— ქათმის ხორცი და კვერცხი ჩვენს კვებით რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს. მოგეხსენებათ, ორგანიზმისთვის ცხოველური ცილების მიღება აუცილებელია. ცხოველური ცილები მცენარეული წარმოშობის საკვებშიც არის, მაგრამ შეწოვა ცხოველური წარმოშობის საკვებიდან გაცილებით უკეთესად ხდება. ქათმის ხორცი ნაზია და კუჭი მას იოლად ინელებს, იგი ნაკლები რაოდენობის ქოლესტერინს შეიცავს. ქოლესტერინი უმეტესად, კანში იყრის თავს, ამიტომ ექიმები იმ ადამიანებს, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები აწუხებს, ქათმის კანგაცლილი ხორცის მიღებას ურჩევენ. უნდა ვიცოდეთ, რომ ქათმის ხორცში სრულფასოვანი ამინომჟავები შედის. მათ ახვაგვარად, შეუნაცვლად ამინომჟავებსაც უწოდებენ. რაც შეეხება კვერცხის კვებით ღირებულებას — მისი წონა საშუალოდ, 50 გრამია, აქედან ცილა — 58%-ია, გული — 30%, ხოლო ნაჭუჭი — 10-12%-ს შეადგენს. კვერცხის ცილა მდიდარია ლიზოცინით, ხოლო გულში ბიოლოგიურად აქტიური ყველა ნივთიერებაა თავმოყრილი: ლიპიდები, მიკროელემენტები, D, E, A, K ვიტამინები. იგი შეიცავს, როგორც წყალში, ასევე ცხიმში ხსნად ვიტამინებს. კვერცხი აუცილებელია, როგორც ზრდასრული ადამიანებისთვის, ასევე ბავშვებისთვის, რათა შემდგომში არ მოხდეს რაქიტის განვითარება. კვერცხი მაღაზიის დახლებზე დადებიდან მაქსიმუმ ორსამ დღეში უნდა მოხვდეს, ხოლო მაცივარში დაახლოებით 10 დღე შეიძლება შევინახოთ.

„ერთხელ სარკის წინ ვიჯექი და ვტიროდი, დიდი ყურები მაქვს-მეთქი“...

„ვარსკვლავების აკადემიის“ გამარჯვებული ძეთი ორჯონიკიძე, დამეთანხმებით, კონკურსანტებისგან, გარდა თავისი მუსიკალური მონაცემებისა, ორიგინალური იმიჯი-თაც გამოირჩეოდა. ის საკუთარ გარეგნობაში არაფრის შეცვლას არც აპირებს, პირიქით, ამბობს, რომ ძალიან მოსწონს, რაშიც დიდი წვლილი პროექტის ორგანიზატორ-ებსა და პედაგოგებს მიუძღვით.

სოფო ჭონიშვილი

— ქეთი, „პანკ-როკერი“ გოგონას იმიჯი დისკომფორტს ხომ არ გიქმნის?

— არა. მიმაჩნია, რომ ეს იმიჯი მიხდება. საერთოდ, შემიძლია, ყველანაირი იმიჯი მოვირგო. მელანქოლიური ტიპაჟი არ ვარ და ამიტომაც არ გამჭირვებია ამ იმიჯის მორგება.

— მხიარული ადამიანი ხარ?

— შეიძლება ითქვას, რომ მხიარული ვარ. თუმცა ჩემი ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მაცვია. სპორტული სამოსი კარგ ხასიათზე მაყენებს. თუ კლასიკურად მაცვია და ქუსლიან ფეხსაცმელზე ვდგავარ, მაშინ, საშინელ ხასიათზე ვარ. კლასიკური სტილი მძაბავს.

— ქუსლიან ფეხსაცმელს ხშირად იცვამ?

— მეგობრებთან ერთად როცა ვარ, ყოველთვის დაბალძირიანი ფეხსაცმელი მაცვია. თუ პაემანზე ან რაიმე სერიოზულ შეხვედრაზე ვარ, მაშინ აუცილებლად მაღალქუსლიანით „ვიჩითები“.

— ვიდრე პროექტში — „ვარსკვლავების აკადემია“ მოხვდებოდი, როგორი იმიჯი გქონდა?

— სხვათა შორის, „ვარსკვლავების აკადემიაში“ ჩემი იმიჯი რადიკალურად არ შეუცვლიათ. ჩაცმის სტილი ყოველთვის ისეთი მქონდა, როგორიც დღეს მაქვს. ყოველთვის ტიპურად და თანამედროვედ ვიცვამდი.

— რომელია შენი საყვარელი ფერები?

— ყველაზე მეტად, შავი, თეთრი და წითელი ფერები მიყვარს. ისე, რუხი ფერის სამოსიც მაქვს. მომწონს, მწვანე და ყვითელი ფერის შეხამებაც.

— სილამაზის სალონებს ხშირად სტუმრობ?

— სილამაზის სალონში კვირაში ერთხელ, როცა გადაღება ან კონცერტი მაქვს, ვარცხნილობის გასაკეთებლად მივდივარ. ამ შემთხვევაში, კარგ სტილისტს ვირჩევ, რათა სასურველი „პრიჩოსკა“ გამიკეთოს. საერთოდ კი, სილამაზის სალონში წასავლელად კარგი განწყობილება მჭირდება.

— თმის ფერს ხშირად იცვლი?

— თმის ფერს ადრე უფრო ხშირად ვიცვლიდი. ბოლო პერიოდში თმა სულ წითლად მაქვს შეღებილი. ჯერჯერობით არ გამჩენია სურვილი, თმის ფერი შემეცვალა.

— პედიკიურსა და მანიკიურს თავად იკეთებ?

— რომ არ მოგატყუო, პედიკიური კარგა ხანია, არ გამიკეთებია. მანიკიურისთვის ძირითადად სალონში მივდივარ.

— ყოველდღიური მაკიაჟი შენი სტილია?

— მაკიაჟის გაკეთებას ლონდონში გადავეჩვიე. იქ უნივერსიტეტში ყველა უმაკიაჟოდ და სპორტულად დადიოდა. ამიტომ ამ პროცედურით ყოველდღე თავს არ ვიწუხებ. თუმცა მსუბუქ მაკიაჟს, სახლიდან გასვლისას, ყოველთვის ვიკეთებ.

— შენი სილამაზის საიდუმლო რეცეპტი გაგვიმხილე. სახის კანს როგორ უვლი?

— ჩემი სილამაზის რეცეპტი ფრანგული კოსმეტიკაა (*იცინის*). ყოველდღიურად სახის კანის დამატენიანებელ კრემს ვიყენებ. ზედმეტი რაღაცებით კანს არასდროს ვიტვირთავ. მყავს კოსმეტოლოგი, რომელთანაც 6 თვეში ერთხელ მივდივარ და სახის კანს ვიწმენდ.

— როგორც აღნიშნე, თმას ხშირად იღებავ, საღებავი თმას ძალიან აუხეშებს. რას აკეთებ იმისთვის, რომ შენი თმა ყოველთვის ჯანსაღად გამოიყურებოდეს?

— მართალია, ხშირი ღებვისგან თმა „ფუჩეჩივით“ ხდება, მაგრამ ჩემს თმას ამის საშიშროება არ ემუქრება, რადგან თმის მოვლისა და გაჯანსაღების უამრავ საშუალებას ვიყენებ. ვყიდულობ თმის ძირებში შესაზელ სპეციალურ ნიღბებს, ბალზამს, რომელიც თმას ყოველთვის ბუნებრიობას უნარჩუნებს.

— ქეთი, საკუთარ გარეგნობაში რას შეცვლიდი?

— ასეთ რაღაცებზე ბავშვობაში ვფიქრობდი. მახსოვს, ერთხელ მთელი დღე, სარკის წინ ვიჯექი და ვტიროდი, დიდი ყურები მაქვს-მეთქი. არადა, ამ დროს, ისეთი პატარა ყურები მაქვს, ძლივს მემჩნევა (*იცინის*). ერთი პერიოდი ჩემი ცხვირი არ მომწონდა. ამ ახირებამაც გადამიარა, რადგან უარესი ცხვირებიც მინახავს (*იცინის*).

— რას აკეთებ იმისთვის, რომ ყოველთვის ფორმაში იყო? სპორტულ დარბაზში დადიხარ?

— სამწუხაროდ, სპორტულ დარბაზებში არ დავდივარ. პროექტში ყოფნისას ბევრს ვვარჯიშობდით. ვამბობდი, აქედან რომ გავალ, აუცილებლად ვივარჯიშებ და ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვრებ-მეთქი, მაგრამ რატომღაც ვერ ვახერხებ. დილით ადრე გაღვიძება არ შემიძლია. საერთოდ, ისეთი აღნაგობა მაქვს, რომ ფორმის შესანარჩუნებლად დიდი ზრუნვა არ მჭირდება. გარეგნობაში განსაკუთრებულ ყურადღებას მუცელს ვანიჭებ. ვერ ვიტან გამობერილ და ნაკეცებიან მუცელს,



ძალიან გამაღიზიანებელია.

— აქსესუარების ტარება გიყვარს?

— ძალიან. ჰალსტუხი ჩემი განუყოფელი ნაწილია. უჰალსტუხოდ იშვიათად ვარ ხოლმე. ბოლო დროს, საათებიც კი შემიყვარდა. ადრე საათი ხელზე რომ მეკეთა, რატომღაც მეგონა, რომ დრო უფრო ჩქარა გადიოდა და მალე ვბერდებოდი (*იცინის*). რაც შეეხება სათვალეს, მიყვარს, თუმცა ხშირად მაინც არ ვატარებ. მაქვს 5-6 ძალიან კარგი სათვალე, რომელთაც სათუთად ვუვლი ხოლმე.

— თანხას დაუნანებლად რაში ხარჯავ?

— თეთრეულსა და კოსმეტიკაში. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ფასი ხარისხს არ განსაზღვრავს.

— ქეთი, 3 თვის განმავლობაში ლონდონში სწავლობდი. იქაურ მაღაზიებში ხშირად დადიოდი?

— კი. უამრავი რამ შევიძინე: 13 წყვილი ფეხსაცმელი, 9 პიჯაკი, 8 შარვალი, უამრავი მაისური, აქსესუარები, კოსმეტიკა. მოკლედ, რაც კი მომეწონა, ყველაფერი ვიყიდე.

— ყველაზე დიდი თანხა რაში გადაიხადე?

— ფრაკსა და „არმანის" პიჯაკში. ოღონდ ვერ გეტყვით (*იცინის*), რამდენი გადავიხადე.

— როგორი სუნამოები მოგწონს?

— ტკბილი სურნელის სუნამოები არ მიყვარს.

— დილით, გაღვიძების შემდეგ, რას აკეთებ იმისთვის, რომ დღის განმავლობაში კარგი განწყობილებით იყო?

— თვალების გახელის შემდეგ, ვდგები და მუსიკას ბოლო ხმაზე ვრთავ, შევდივარ სააბაზანოში, თავს ვიწესრიგებ. შემდეგ კი მუსიკის ფონზე ვიცვამ და ფორმაში მოვდივარ. მერე ვურეკავ მეგობრებს და დღეს ერთად ვგეგმავთ...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. დახლოებით 7500 წლის წინ, შავი ზღვა მტკნარი ტბა იყო.

2. ისრაელის ტანკის — „მერკავა“ — ჯავშნის სისქე გასაიდუმლოებულია.

3. ბურგუნდიელებმა ჟანა დ'არკი 10.000 ლივრად მიჰყიდეს ინგლისელებს.

4. მსოფლიო მოსახლეობის ერთ მესამედს არასდროს უსარგებლია ტელეფონით.

5. იტალიაში, მუსოლინის მმართველობის დროს, ვესტერნის ჟანრის ფილმები აკრძალული იყო.

6. „მუშჩინა კაკ ბანნი ლისტ, სნაჩალა პრისტაიოტ, პატომ სმივაეტსა“, — ამბობს კლარა ნოვიკოვა.

7. „ღმერთს დაუბერტყია უხვი კალთა ამ ქვეყანაში“, — ამბობდა საქართველოს შესახებ ენათმეცნიერი არტურ ლაისტი.

8. „პატრიოტიზმი პროფესიონალიზმია და თუ კარგი პროფესიონალი ხარ, ესე იგი პატრიოტი ხარ შენი ქვეყნისა“, — ამბობდა რეზო თაბუკაშვილი.

9. იოჰან სებასტიან ბახის ძეგლს ლაიფციგში ამოტრიალებული ჯიბეები აქვს, რაც კომპოზიტორის სიღატაკეზე მიანიშნებს.

10. სქაიდაივინგი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სპორტია მსოფლიოში. ყოველწლიურად 30-მდე სპორტსმენს არ ეხსნება პარაშუტი და ტრაგიკულად იღუპება.

11. ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკიდან ფაშისტებს ებრაელების დამწვარი გვამების ფერფლი გამოჰქონდათ და მოყინულ გზებზე ყრიდნენ, მანქანები რომ არ მოცურებულიყო.

12. ამერიკელი ასტრონავტების სკაფანდრი 20 მილიონ დოლარამდე ღირს; 40 ათასი დოლარი მარტო ხელთათმანები ჯდება. ეს ხელთათმანები ყველა კოსმონავტისთვის ინდივიდუალურად იკერება და მხოლოდ 25-ჯერ შეიძლება მისი გამოყენება.

13. 98 წლის პორტუგალიელი მანუელ დე ოლივეირა ყველაზე ხანდაზმული კინორეჟისორია, რომელიც დღემდე აგრძელებს ფილმების გადაღებას.

14. მინდვრის თაგვებში წრუწუნების ხოცვა ჩვეულებრივი ამბავია. მდედრები შვილებს უხოცავენ მეზობლებს, რათა გააფართოონ საკუთარი ტერიტორია; მამრები კი მდედრთან შეწყვილების დაჩქარების მიზნით კლავენ პატარებს.

15. პანამის არხის გახსნისას გაჩნდა ლოზუნგი: „მსოფლიოს ერთიანობისათვის გაყოფილი მიწა!“ გახსნისას, ჟუდრო ვილსონმა ღილაკს თითი დააჭირა, წყლის შემაკავებელი უკანასკნელი ბარიერი აფეთქდა და არხიც გაიხსნა.

16. ათი ათასი წლის წინ, დედამიწის მოსახლეობა 5 მილიონს შეადგენდა, ეგვიპტის აღზევების ეპოქაში — 40 მილიონს, ჰომერ-

სიბერეში ნამონეული მრძნობა...

„არასოდეს თქვა არასოდესო“...

ამბობენ, ადამიანი რომ დაიბადება, მისი ბედი ბედისწერის დიდ წიგნში უკვე დაწერილიაო. იმასაც ამბობენ, ბედს თავად კაცი ქმნის და არა ბედი — კაცსო. ჩემი რესპონდენტებიც ასე ფიქრობენ, რომ თავიანთი ბედი თავად შექმნეს. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ შეიძლებოდა, სიყვარული ადამიანს სიბერეში სწვეოდა. მათი ამბები ბევრს შეიძლება დაუჯერებლად მოეჩვენოს... მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანი მთელი ცხოვრება წუთისოფლისგან გასაოცარ სიურპრიზებსა და მოულოდნელობებს ყოველთვის უნდა ელოდეს.

სოფო ჭონიშვილი

ელენე, *75 წლის:*

— ზესტაფონის რაიონში დავიბადე. იმ დროს, მამაჩემის ოჯახი, შეძლებულად მიიჩნეოდა; დიდი მიწა და ვენახი გვქონდა. ნაწილს ვაქირავებდით, ნაწილს კი თავად ვამუშავებდით. წლიდან წლამდე იმდენი მოსავალი მოგვყავდა, რომ ყიდდით კიდეც. ჩემს მშობლებს, დედისერთა, ნებიერი შვილი ვყავდი. 15 წლის რომ გავხდი, მშობლებმა საქმრო მომიძებნეს და გამათხოვეს. როდესაც ჩემი საქმრო პირველად ვნახე, ძალიან მომეწონა, მაგრამ ცოლად ისე გავყევი, არ მყვარებია. მაღალი, ახოვანი, ულაზაგადაგრეხილი ვაჟკაცი იყო. ის გვერდით მდებარე სოფელში ცხოვრობდა. ახალ ოჯახს იოლად შევეჩვიე. 3 წელიწადში 3 შვილი გავაჩინე, 2 გოგო და ერთი ბიჭი. თუმცა ჩვენი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც გრიშა მალე გარდაიცვალა. დავრჩი სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად, მაგრამ ფარხმალი არ დამიყრია. შვილები გავზარდე, ვასწავლე... უფროსმა გოგონამ ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ამერიკაში წასვლა გადაწყვიტა. მე ვურჩიე — ამერიკაში ნუ წახვალ, ოჯახის შექმნაზე იფიქრე-მეთქი. არ დამიჯერა. მაინც თავისი გაიტანა და წავიდა. მისი წასვლის შემდეგ, საშინელი დღეები გადავიტანე, ძალიან გამიჭირდა. 4 წლის მერე, თავისი ძმაც წაიყვანა. ჩემი ბიჭი მხატვარია. ამერიკაში პროფესია დაუფასდა. ჩემი შვილები საქართველოში დაბრუნებაზე არც ფიქრობდნენ: ბიჭმა იქ ქართველი გოგონა გაიცნო და დაქორწინდა კიდეც. უმცროსი გოგონა ჩემთან იყო; დღე და ღამე ტიროდა, და-ძმა ენატრებოდა, მაგრამ რა ექნა, მე ვერ მტოვებდა. შემეცოდა და ვუთხარი: შვილო, შენც წადი, ახალგაზრდა ხარ, ჩემ გამო, მომავალს ნუ დაკარგავ. მე თუ რამე დამემართება, მეზობლები გაგაგებინებენ და ჩამოხვალთ-მეთქი. მისი წასვლის შემდეგ, სულ მარტო დავრჩი, არაფერი მაკლდა, მაგრამ თავს მარ ენც ცუდად ვგრძნობდი. შვილები მენატრებოდნენ; მათზე დარდითა და ნერვიულობით ლოგინად ჩავვარდი. მეზობლის ქალი მივლიდა. შვილები ჩემი მდგომარეობით შეწუხებულები იყვნენ, მაგრამ რა ექნათ? ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ. 2 თვის მკურნალობის შემდეგ, ცოტა მოვმჯობინდი, ფეხზე დავდექი და შვილებმა მორიდებით მთხოვეს — მათთან გავმგზავრებულიყავი. აქ ძლივს დავდივარ, ამერიკაში როგორ ჩამოვალ-მეთქი, — გავიკვირვე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ შეიძლება, ისე მოვმკვდარიყავი, რომ სამარეში საკუთარი შვილების ცრემლებიც კი არ ჩამყოლოდა. ამიტომ, ამერიკაში გამგზავრება გადავწყვიტე. შვილები მოუთმენლად მელოდნენ. ისინი ერთ დიდ სახლში ცხოვრობდნენ. ცხოვრება აწყობილი ჰქონდათ. იქაურობას მალე შევეგუე. ერთ თვეში შვილიშვილიც შემეძინა, ბავშვს მე ვუვლიდი, რძალი სამსახურში გავუშ-

ვი. მთელი დღის განმავლობაში, მე და პატარა ნიკოლოზი შინ მარტო ვიყავით. შვილები კარგად მივლიდნენ. თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი. სარკეში რომ ვიყურებოდი, საკუთარ თავს ველარ ვცნობდი. მშვენივრად გამოვიყურებოდი. შინ ჯდომა, რომ მომწყინდა, იქვე, სახლთან ახლოს მდებარე პარკში ნიკოლოზთან ერთად სეირნობა დავიწყე. ერთხელაც, პარკში, დაახლოებით, ჩემი ასაკის მამაკაცი მომიახლოვდა და ინგლისურად სახელი მკითხა. ინგლისური ენა არ ვიცოდი, მაგრამ რაც მკითხა, მივხვდი. მეც გავუღიმე და ჩემი სახელი ვუთხარი. სულ ეს იყო, ჩვენი ურთიერთობა ამ ორიოდე ფრაზით დასრულდა. შინ რომ დავბრუნდი, შვილებს ვუთხარი, ინგლისური უნდა ვისწავლო-მეთქი. მათ სიცილი დაიწყეს. უცხო ენას ველარ ისწავლი, უკვე ასაკში ხარო. გავბრაზდი, ეს როგორ მაკადრეთ-მეთქი. ჩემი გავიტანე და ინგლისურის სწავლა მაინც დავიწყე. უცხო ენაში სამივე შვილი მამეცადინებდა. პარალელურად, ყოველ საღამოს, ჩემს ამერიკელ მეგობარს პარკში ვნახულობდი და თითო-თითო სიტყვით რაღაცას ვაგებინებდი. რაც მთავარია, მისალმება და მოკითხვა კარგად ვიცოდი. ერთი თვის შემდეგ კი გაჭირვებით, უკვე წინადადებასაც ვამბობდი. ინგლისური ენის ლექსიკონი ჯიბით დამქონდა, თუ რაღაც დამავიწყდებოდა, ლექსიკონს ვიშველიებდი. სიმართლე გითხრათ, ჩვენი საუბარი ძალიან სახალისო იყო. მე და ენრიკომ (ასე ერქვა მას) ერთმანეთს კარგად გავუგეთ. ნელ-ნელა თავის შესახებ რაღაცებს მიყვებოდა. აღმოჩნდა, რომ ცოლი არასოდეს ჰყოლია, რასაც ძალიან ნანობდა. მითხრა — შვილი რომ არ მყავს, ყველაზე ძალიან ამას განვიცდიო. ბავშვები ძალიან უყვარდა. ჩემს ნიკოლოზს გამუდმებით ეფერებოდა, საჩუქრები მოჰქონდა. დროთა განმავლობაში, მე და ენრიკო დავახლოვდით. ერთ საღამოს კი ჩემს შვილებს ენრიკოს შესახებ ვუამბე. დედა გათხოვებას ხომ არ აპირებო? — ჩემმა ბიჭმა მკითხა. მე კითხვას ღიმილით ვუპასუხე. აი, თურმე ინგლისური ენის სწავლა რატომ დაიწყო — ჰყვა მეორე გოგონა. მოკლედ, მთელი საღამო ჩემზე და ენრიკოზე იხალისეს. ენრიკოს მართლა ძალიან შევეჩვიე, ისიც ყოველთვის პარკში მელოდებოდა და თავის წარსულზე მიყვებოდა. ერთ დღესაც, მან თავის სახლში, ყავაზე დამპატიჟა. თავიდან ვიუარე, მაგრამ შემდეგ დავთანხმდი. რა თქმა უნდა, ნიკოლოზიც თან წავიყვანე. თითქმის ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა. ენრიკო ძალიან მდიდარი ადამიანი აღმოჩნდა. შესანიშნავი სახლი ჰქონდა, რომელიც ულამაზესი ყვავილების ბაღში იყო ჩაფლული. მასთან მისულებს კარი ახალგაზრდა, სიმპათიურმა გოგონამ გაგვიღო. როგორც შემდეგ გავარკვიე, ეს გოგონა ენრიკოს მოსამსახურე იყო, ქართველი და თანაც იმერელი. რამაც ძალიან გამახარა. ამ გოგონას საშუალებით მე და ენრიკოს ურთიერთობა უფრო გაგვიადვილდა, ის ჩვენი თარჯიმანიც გახდა... იმ დღეს ენრიკოსთან ცოტა ხანს დავყავი, ყავა მივირთვი და შინ დავბრუნდი. ამ სტუმრობის შესახებ, შვილებისთვის არაფერი მითქვამს, ვიცოდი, რომ ისევ დამცინებდნენ. რაც დრო გადიოდა, ვრწმუნდებოდი, რომ ენრიკოსთან ურთიერთობა ძალიან მომწონდა. თან, საკუთარ თავს, შევაგონებდი — 75 წლის ქალი რამ გამაგიჟა, რაღა დროს ჩემი მამაკაცზე ფიქრია-მეთქი, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. ენრიკომ, თავისი მოსამსახურე გოგონასგან საქართველოს შესახებ უამრავი რამ იცოდა. ისიც იცოდა, რომ ქართველებს გემრიელი სამზარეულო გვაქვს. განსაკუთრებით ხინკალი და საცივი მოსწონდა. ერთხელ მთხოვა, რომ მისთვის საცივი მომეზადებინა... მოკლედ, ვგრძნობდი, რომ ენრიკო მიყვარდა. ერთხელაც მითხრა — მოდი, ვიქორწინოთ და დარჩენილი სიცოცხლის წლები ერთად ტკბილად და ბედნიერად გავატაროთო. დავთანხმდი, მაგრამ ვერ წარმომედგინა, ეს ამბავი შვილებისთვის როგორ უნდა მეთქვა. მოსაფიქრებლად ერთი კვირა მომცა. სხვა გზა არ მქონდა, შვილებისთვის ჩემი გრძნობის შესახებ უნდა გამეგზილა და მეც გავბედე. ვალიარე, რომ ეს ადამინი მიყვარდა და გათხოვებას ვაპირებდი. ჩემდა გასაოცრად, შვილებმა გამიგეს, მითხრეს — სიყვარული გვიან არასდროს არისო. იმ ღამეს სიხარულით არ მძინებია. როცა ენრიკოს მის წინადადებაზე თანხმობა ვუთხარი, გაუხარდა და ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მაჩუქა. მოკრძალებული ქორწილიც გადავიხადეთ და საცხოვრებლად ენრიკოსთან გადავედი. ჩემს შვილებს ის ძალიან მოსწონთ. სულ ახლახან ენრიკომ მითხრა, შვილები საცხოვრებლად ჩვენთან გადმოიყვანე, ქირას რატომ იხდიან, ამ სახლში უამრავი ადგილია, ყველანი თავისუფლად მოვთავსდებითო. თავდაპირველად, ამ წინადადებაზე შვილები არ დამთანხმდნენ, მაგრამ ბოლოს ენრიკომ ისინი მაინც დაიყოლია... ახლა ყველანი ერთად ვცხოვრობთ. ვერ წარმოვიდგენდი თუ სიბერეში ასეთი ლამაზი ცხოვრება მექნებოდა. გამოთქმა — სიყვარულმა ასაკი არ იცისო, მართალი ყოფილა. მე და ენრიკომ გადავწყვიტეთ, მომავალ ზაფხულს, საქართველოში ჩამოვიდეთ. მას ძალიან უნდა საქართველოს ნახვა.

ლეილა, *55 წლის:*

— ცხოვრებაში ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. გაჭირვებაში, შიმშილსა და სიცივეში გავიზარდე. მამა ომში დამელუპა და დედამ 5 შვილი ობლად გაგვზარდა. ისე გვჭირდა, რომ ზამთარში ბავშვები სახლიდან გარეთ ვერ გავდიოდით, რადგანაც ფეხსაცმელები არ გვქონდა. მხოლოდ რეზინის კალოშები იყო ჩვენი ავლადიდება, რომელსაც და-ძმანი რიგრიგობით ვიცვამდით. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, დედას ჩვენც ვეხმარებოდით და სული მოვითქვით. სიმინდი, ლობიო და სოია მოგვყავდა, ნაწილს ვყიდდით კიდეც. 3 ძმა და 2 და ვიყავით. ძმებმა სკოლა რომ დამთავრეს, მეზობლის კაცმა, რომელიც რუსეთში მშენებლობაზე მუშაობდა, იქ წაიყვანა. იქ ჩასულებმა, დებიც და დედაც დაიბინეს. მე და ჩემი და ამდენი შრომისგან, ადამიანებს აღარ ვგავდით. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ მალე ჩემი დაც გათხოვდა და დედასთან ერთად მარტო დავრჩი. დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. 29 წლის რომ გავხდი, ჩვენი უბნელი ბიჭი გადამეკიდა, ძალიან მომწონხარ და ცოლად უნდა შეგირთოო. თავდაპირველად, ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა. ბოლოს, მეც შემიყვარდა და ვთხოვე, ჩვენთან ოჯახში მოსულიყო და დედაჩემისთვის ჩემი ხელი ეთხოვა. რაზეც მისგან მტკიცე უარი მივიღე, ოჯახში მოსვლა რა საჭიროა, მრცხვენია, — მოდი ერთად ვიცხოვროთ. ჩვენი პაემნის ადგილი სოფლის ბოლოს, ცაცხვის ხესთან იყო.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა ღვალი

ეპოს წიგნაკიდან:

ოსის პერიოდში, ელინისტურ ხანაში — 100 მილიონს. ნაპოლეონის ეპოქაში — უკვე 1 მილიარდს, „ბითლზის" ხანაში — 3 მილიარდს. დღესდღეობით დედამიწაზე 6 მილიარდ 670 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

17. ამ ქართულ მხატვრულ ფილმს თავდაპირველად, „შეწყვეტილი სიმღერა" ერქვა, მაგრამ შემდეგ სათაური შეუცვალეს და მაყურებელმა იგი „რაჭა, ჩემი სიყვარულის" სახელწოდებით გაიცნო. „რაჩა, ლასკა მაია" — ასე ყლერს ფილმის სახელწოდება სლოვაკურად.

18. მაჰათმა განდის მშობლები უმაღლეს კასტას ეკუთვნოდნენ. განდიმ განათლება ინგლისში მიიღო, ადვოკატი გახდა და ორი წლით სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა სამუშაოდ. ამ ქვეყანაში კანის ფერის გამო არაერთხელ შეექმნა პრობლემა. ერთხელ მატარებლიდანაც კი ჩამოაგდეს და მთელი ღამე ბაქანზე გაატარა იმის ფიქრში, თუ სად ეპოვა სამართალი.

19. გერმანული ქალაქის, შტრალზუნდის მცხოვრებნი დატყვევებულ მეკობრეებს ქაშაყისთვის განკუთვნილ კასრებში ჩაძრომას აიძულებდნენ. დატყვევებული ყაჩაღები გულმოდგინედ ცდილობდნენ ამ პატარა და ვიწრო კასრებში ჩატეულიყვნენ, რადგან სხეულის ნაწილს, რომელიც კასრს გარეთ რჩებოდა, ჯალათი კვეთდა.

20. ნიკო ბერძენიშვილი იგონებდა, სტალინს ქართველი მეცნიერებისათვის უკითხავს საქართველოს ისტორიაში ვინ უფრო დიდ ადამიანად მიგაჩნიათ, მე თუ ილია ჭავჭავაძეო. რა თქმა უნდა, თქვენო, უთქვამთ მისთვის (სხვა პასუხს ვინ გაბედავდა?!..). „ვაი თქვენს პატრონს!..", — ხელი ჩაუქნევია სტალინს.

21. ქართული დასის მიერ პირველად დადგმული „ჰამლეტი" ჩავარდა. მაყურებელი სიცილით იგუდებოდა. შექსპირის ტრაგედია ანტონ ფურცელაძის მიერ იყო ნათარგმნი და სცენიდან ამდაგვარი ფრაზები ისმოდა: „ქოროღლო მერზავეცო, რა უყავი ჩემი ბაშმაკები".

22. მიქელანჯელოს ქმნილებებში ჯვარცმული ქრისტეს სახე ისეთი მხატვრული სიძლიერითა და დამაჯერებლობით არის გადმოცემული, რომ მოქანდაკეს ხმები დაუყარეს საკუთარ სახელოსნოში მათხოვრებსა და მაწანწალებს იტყუებს, აწამებს და მენატურეებად იყენებსო. მოქანდაკის შთამბეჭდავ ნამუშევართა შემხედვარეს, ბევრს მართლაც სჯეროდა ეს ამბავი, რის გამოც მიქელანჯელო იძულებული იყო ემტკიცებინა, რომ მსგავსი სისასტიკე ფიქრადაც არასდროს გაუვლია.

ერთ საღამოსაც, პაემანი დიდხანს გაგვიგრძელდა. სახლში გვიან მისვლის შემეშინდა, ვიფიქრე, დედა გამიბრაზდება-მეთქი და იმ ხის ძირში გათენება გადავწყვიტეთ. ჩემმა შეყვარებულმა ამით ისარგებლა და დამიმორჩილა. მეც წინააღმდეგობა არ გამიწევია. იმ დღის შემდეგ, ის ბიჭი სოფლიდან გადაიხვეწა. ცოტა ხანში მივხვდი, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ამ ამბის გაგების შემდეგ, დედა მალე გარდაიცვალა. სულ მარტო დავრჩი. ჩემს დედმამიშვილებს არც კი მოვუკითხივარ. 9 თვეში გოგონა გავჩინე. დამხმარე არავინ მყავდა, ბავშვსაც ვუვლიდი და თან, ყანასა და ვენახშიც ვმუშაობდი. მოკლედ, შვილი დიდ გაჭირვებასა და ტანჯვა-ნამებაში გავზარდე. სკოლა რომ დაამთავრა, ჩვენმა რაიონელმა ბიჭმა მოიტაცა. შინ ყოველთვის მარტო ვიყავი. ჩემთვის არავის ეცალა. კვირაში 2-ჯერ, რაიონის ბაზარში მივდიოდი. მოყვანილ მოსავალს, ქათამს, კვერცხსა და ყველს ვყიდდი. ფულს ვაგროვებდი და სახლის, რომელიც უკვე დანგრევის პირზე იყო, შეკეთება დავიწყე. სიმარტოვის გარდა, არაფერი მაწუხებდა. სიძე ცუდი თვისებების ბიჭი აღმოჩნდა. ჩემს შვილს ჩემთან ხშირად არ უშვებდა. ბაზარში სიარულის დროს, ერთი ჩემი ასაკის მამაკაცი გავიცანი. მასაც ჩემსავით ლობიო ჰქონდა გასაყიდი. ერთმანეთს ჩვენი გასაჭირი გავუზიარეთ. აღმოჩნდა, რომ ისიც ჩემსავით მარტო ცხოვრობდა. შვილები დაეზარდა და საცხოვრებლად დედაქალქში წასულიყვნენ; ცოლი კი ადრეულ ასაკში გარდასცვლოდა. ცუდად გამოიყურებოდა — ეტყობოდა, რომ ოჯახში ქალი არ ჰყავდა. მოკლედ, ქალის ხელი აკლდა. ერთი თვის შემდეგ მითხრა, რომ შენნაირ მშრომელ ქალს, ცოლად დიდი სიამოვნებით მოვიყვანდიო. საშინლად გავბრაზდი. ვიფიქრე — ეს როგორ გამიბედა-მეთქი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჩემ მიმართ ისეთი ყურადღება და პატივისცემა გამოამჟღავნა, რომ მის წინადადებაზე სერიოზულად დავფიქრდი; თან, უკვე მომწონდა კიდეც. რაც მე გამიცნო, თავის მოვლა დაიწყო, სუნამოსაც კი იპკურებდა ხოლმე. ბაზარში ყოველი შეხვედრისას ერთსა და იმავეს მეუბნებოდა, მპირდებოდა, რომ ფიზიკურად არ მამუშავებდა. დიდი სახლი მაქვს და მხოლოდ იმას მიხედე, დალაგე და საჭმელი მომიმზადეო. თავდაპირველად მებრალებოდა, მერე კი ეს სიბრალული სიყვარულში გადამეზარდა. გაპრანჭვა და კოხტაობა მეც დავიწყე. ადრე თუ საამისო განწყობილება არ მქონდა, ახლა საკუთარ თავზე ზრუნვა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ერთ დღესაც გადავწყვიტეთ, რომ ერთად გვეცხოვრა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ ერთი რამ მადარდებდა: როგორ შეხვდებოდა ჩემი შვილი ამ გადაწყვეტილებას. ერთი თვის შემდეგ, როცა ჩემმა შვილმა ეს ამბავი გაიგო, ძალიან გამიბრაზდა, რაღა დროს შენი გათხოვება იყოო. ამის გამო სიძემ მას ჩემთან ურთიერთობა აუკრძალა. მიუხედავად ამისა, თავს მაინც უკეთესად ვგრძნობდი, ცეზარს ძალიან დიდი და ლამაზი სახლი ჰქონდა, რომელსაც ვუვლიდი, საჭმელს ვამზადებდი... ცეზარის შვილებმა, როცა მამის დაქორწინების შესახებ შეიტყვეს, ძალიან გაუხარდათ. მითხრეს — ოღონდ მამაჩვენს მიხედე და არაფერს მოგაკლებთო. უამრავი ტანსაცმელი, სამკაული და კოსმეტიკა მაჩუქეს. მართალია, ასეთი საქციელი სხვისიც არასოდეს მომწონებია, მაგრამ რა მექნა?! მარტოობას ველარ ვუძლებდი. იმედია, ამის გამო ღმერთი არ დამსჯის. ქალი ვარ და სითბო მჭირდებოდა. დიდი სურვილი მაქვს, რომ ცეზარს ერთი შვილი მაინც გავუჩინო. თურმე სიყვარული და ბედნიერება გვიან არასდროს ყოფილა.

თამუნა, *48 წლის:*

— სკოლა ისე დავამთავრე, არც შეყვარებული მყოლია და არც პაემანზე ვყოფილვარ. თუ ამბიციურ ნათქვამად არ ჩამომართმევთ, კლასში კი არა, სკოლაში ყველაზე ლამაზი გოგო ვიყავი. მშობლები მკაცრად მზრდიდნენ, რადგანაც ეშინოდათ, ვინმე გიჟი არ გადამკიდებოდა. ამიტომ, სკოლაში ყოველთვის დედა დამყვებოდა. უკვე დამამთავრებელ კლასში ვიყავი და გაკვეთილების შემდეგ, სკოლის ჭიშკართან ისევ დედა მელოდებოდა. ამ დროს კი ჩემს თანატოლ გოგონებს შინ შეყვარებულები ან თაყვანისმცემლები აცილებდნენ. მამაჩემს კლასელ ბიჭებთან ერთადაც რომ დავენახე, სერიოზულად მიბრაზდებოდა. უფლება არ მქონდა, სახლში კლასელ ბიჭს დაერეკა. როცა ჩემი კლასელები დაბადების დღეებს იხდიდნენ და მთელ კლასს პატიჟებდნენ, სახლში ვერც კი ვამხელდი. ვიცოდი, რომ იქ მაინც არ გამიშვებდნენ. გული ძალიან მტკიოდა, მაგრამ რა მექნა?! ჩემს დაბადების დღეზე მხოლოდ გოგონებს ვეპატიჟებოდი. მშობლების ამგვარი მოპყრობის გამო, ძალიან დათრგუნვილი და შეურაცხყოფილი ვიყავი. სკოლის დამთავრების შემდეგ მეგონა, მამა უმაღლეს სასწავლებელში არ გამიშვებდა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ინსტიტუტში შესატანი საბუთები თავად შემიგროვა და დედაქალაქში ჩამომიყვანა. ინსტიტუტში პირველსავე წელს ჩავირიცხე. რადგან თბილისში ბინა არ გვქონდა, ამიტომ მშობლებმა ნათესავთან დამტოვეს. მამამ, ნათესავების თანდასწრებით დამარიგა, რომ ბიჭებს არ დავლაპარაკებოდი და ლექციების შემდეგ პირდაპირ სახლში მიმსულიყავი. გამაფრთხილა, რომ თუ დარეკავდა და შინ არ დავხვდებოდი, მაშინვე რაიონში დამაბრუნებდა და სწავლის გაგრძელების უფლებას არ მომცემდა. ინსტიტუტი ისე დავამთავრე, მამაკაცისკენ არც კი გამიხედავს. უამრავ ბიჭს მოვწონდი, სიყვარულს მეუბნებოდნენ; დალაპარაკების საშუალებას რომ არ ვაძლევდი, წერილებს მწერდნენ და კართან მიტოვებდნენ. კიდევ კარგი, დეიდა თამილა ამის შესახებ მამაჩემს არაფერს ეუბნებოდა... თაიგულებს მიგზავნიდნენ, საღამოს სერენადებს მიმღეროდნენ, მე კი მათ ჩამოშორებას ყველანაირი ხერხით ვცდილობდი. ინსტიტუტი წარმატებით დავამთავრე. ასპირანტურაშიც ჩავაბარე. სამსახურიც ვიშოვე და ისევ დეიდა თამილასთან ვცხოვრობდი. ცხოვრება დამოუკიდებლად ავიწყე. ამასობაში, ჩემმა მშობლებმა ბინა იყიდეს და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ. მამაჩემი თავისას მაინც არ იშლიდა, პატარა გოგოსავით მაკონტროლებდა. თუ ვინმე ტელეფონზე დამირეკავდა, აუცილებლად უნდა ეკითხა — ვინ იყო? რატომ რეკავდა? რა უნდოდა? უკვე 30 წლის ვიყავი და ყველას უკვირდა, რომ ასეთი ლამაზი გოგო არ ვთხოვდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემის უკვე აღარ მეშინოდა და მის საყვედურებს ყურადღებას აღარ ვაქცევდი, იმ კომპლექსს, რაც მშობლებმა ბავშვობიდან ჩამომიყალიბეს, ვერაფრით ვიშორებდი. 31 წლის რომ გავხდი, მამაჩემმა წუწუნი დაიწყო — რატომ არ თხოვდებიო. მაშინ კი საშინლად გავუბრაზდი. ვუთხარი — როცა თაყვანისმცემლები გარს მეხვეოდნენ და ხელს მთხოვდნენ, მაშინ ტერორისტივით უკან დამყვებოდი და მათთან დალაპარაკების საშუალებას არ მაძლევდე; ახლა მათთან ურთიერთობა თავად აღარ მინდა, თავს ასეც კარგად ვგრძნობ-მეთქი. ჩემი პასუხი არ მოეწონა და თავი დამნაშავედ იგრძნო. ამის შემდეგ, ჩემს გათხოვებაზე ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს. დედა კი მაინც მახსენებდა, რომ დრო იყო, ოჯახი შემექმნა. 45 წლის რომ გავხდი, თანამშრომლის დაბადების დღეზე ერთი სიმპათიური მამაკაცი გავიცანი, პროფესიით ექიმი იყო, მასაც ძალიან მოვწონე. გაცნობის დღიდან მოსვენება აღარ მომცა. ამ დროს მამაჩემი უკვე აღარ მეკითხებოდა, ვინ მირეკავდა და რატომ? უკვე 3 წელია, მე და ლევანი ერთმანეთს ვხვდებით, ყოველ შეხვედრაზე მთხოვს, რომ ცოლად გავყვე, მიყვარს, მაგრამ ვერ გადამიწყეტია, რა ვქნა. მიმაჩნია, რომ ოჯახის შექმნისთვის უკვე ასაკოვანი ვარ. როცა ლევანს ამ მიზეზს ვუუბნები, ხუმრობით მპასუხობს — მაშინ, ოჯახი ადრე შეგექმნა და მსგავსი კომპლექსი აღარ გექნებოდაო. როცა მას, მამაჩემის დესპოტური გამოხდომების შესახებ ვუამბე, გაოცებული მისმენდა. რაც ყველაზე მეტად მადარდებს, ის არის, რომ შეიძლება, შვილი აღარ გამიჩნდეს. მამაჩემმა დღემდე არ იცის, რომ შეყვარებული ვარ და შეიძლება დღეს, ხვალ ოჯახი შევქმნა. დედას გავუბედე და ვუთხარი. ლევანმა გადაწყვიტა, 2009 წელს ერთად შევხვდეთ. უარს ველარ ვეტყვი, რადგან შეიძლება, ამდენი ხვწნით ისიც დაიღალოს და მიმატოვოს. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ 48 წლის ასაკში კიდევ გათხოვებაზე ვიფიქრებდი. ნათქვამია — არასოდეს თქვა არასოდესო. ■

ღმერთმა დასწყევლოს ეს სკლეროზი!..

ინგა ჯაყელი

პაპა ანდრია გასულ შემოდგომაზე 88 წლის გახდა და ერთი შეხედვით, საკმაოდ მხნედ გამოიყურება — მუხლიც ერჩის და არც მკლავის ძალას უჩივის; მაგრამ მისი ოჯახის წევრები ამითაც ღიზიანდებიან, რადგან მოხუცს ერთ ადგილზე ვერ აკავებენ — საქმიანი კაცივით დილაადრიან დგება, საგარეოდ გამოეწყობა და ჭიშკართან მდგომი ბოლთას სცემს, თან მწარედ აგინებს „პირად მძღოლს", რომელიც 20 წელია, აღარ ჰყოლია — მას შემდეგ, რაც რაიკავშირის ყოფილი თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს და მალე პენსიაშიც გააცილეს...

საქმე ისაა, რომ პაპა ანდრიას სკლეროზი სჭირს და თანაც ძალზე უცნაური ფორმის: მხოლოდ ის ახსოვს, რაც სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებდა ცხოვრებაში, რაც ცუდი იყო, ყველაფერი „დაბლოკა" მისმა დაავადებულმა გონებამ.

თავი რომ ისევ „დიდი კაცი" ჰგონია, უკვე გითხარით. ახლა ისიც უნდა გაგიმხილოთ, რომ რაც ახალგაზრდობაში ქალები ჰყოლია, დღემდე ყველა სახელებით ახსოვს და არც ის ეშლება, ვის რა დროს და სად ხვდებოდა?!. განსაკუთრებით ეთერი ვერ ამოიგდო გონებიდან, — ფულის გულისთვის სტუდენტი გოგო 50 წლის კაცის საყვარელი რომ გახდა ბევრი ფიქრის გარეშე და ნებისმიერი ფანტაზია, ყველზე ბილწიც კი — რეალობად უქცია...

არ დავიწყებია პაპა ანდრიას, „ქვეყნის ფული" რომ დაახარჯა გოგოს, ჩააცვა, დაახურა და ბინაც კი უყიდა. სხვათა შორის, დიპლომიც, რადგან ეთერი დიდად არასოდეს იწუხებდა თავს სწავლით...

მას შემდეგ ლამის 4 ათეული წელი გავიდა. ეთერი გათხოვდა, 3 შვილიც გააჩინა და უკვე შვილიშვილებიც ჰყავს. რაც ოჯახი შექმნა, აღარც ანდრიას გაჰკარებია და აღარც სხვა კაცს. თავიდან, ანდრიაც პატივს სცემდა მის გადაწყვეტილებას და თუმცა გაუჭირდა, შეეშვა ქალს, მაგრამ... დაემართა სკლეროზი და დაავიწყდა ეთერის ქმარიც, შვილებიც და შვილიშვილებიც, მხოლოდ ის დარჩა მის გონებაში, რომ საყვარელი ჰყავდა და „პატრონობა სჭირდებოდა"... თან, თავისდა ჭირად, ეთერი საცხოვრებლად სხვაგან კი არ გადასულა, ანდრიას ნაყიდ ბინაში მიიყვანა ქმარი. მართალია, დროთა განმავლობაში, მეზობლების ბინაც შეისყიდეს და მიიერთეს, მაგრამ მისამართი ხომ იგივე დარჩა! ჰოდა, ერთხელაც, სახლიდან გაპარული ანდრია ნაშუაღამევს მიადგა ეთერის კარს. წლების წინ დათქმული პაროლის მიხედვით დააკაკუნა და კარგა ხნის შემდეგ, 60 წელს გადაცილებულმა, „გოდორა" კაცმა გაუღო კარი, რომელიც „ნუ პაგადის" ჭრელ ნიფხავში იყო გამოწყობილი და ნამძინარევ თვალებს უკმაყოფილოდ იფშვნეტდა...

წესით, დამხვდური უნდა გადარეულიყო, მაგრამ პაპა ანდრიამ გაიგიჟა თავი და ყელში სწვდა მოულოდნელი თავდასხმით გაოგნებულ კაცს: — ჰაიტ, თქვე ჩათლახებო, მოღალატეებო!.. ვის უბედავთ, რო უბედავთ, თავს ლაფის დასხმას?! ჩემს მოწყობილ სახლ-კარში, ჩემს ლოგინში, ჩემს ქალს რავა ბურჯგნი?!..

პირველმა ელდამ რომ გაუარა კაცს, პაპა ანდრიას გაკოჭვა, ბუნებრივია, არ გასჭირვებია; თივით სავსე ტომარასავით შეათრია სასტუმრო ოთახში და სავარძელში ჩააგდო. ამასობაში, ხმაურზე გაღვიძებული და დამფრთხალი ოჯახის სხვა წევრებიც გამოცვივდნენ, მათ შორის — 60 წელს მიტანებული, ჩასუქებული ეთერიც, რომელიც ანდრიამ ვერ იცნო — ის ხომ 25 წლის საყვარელთან მოვიდა პაემანზე!.. სამაგიეროდ, ეთერიმ იცნო ძველი მიჯნური და ლამის ტვინში სისხლი ჩაექცა. ოჯახის წევრების ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანა, რაც შეიძლება ხმამაღლა შეიცხადა: — არ გადამრიოთ, ეს გადაღრძუებული ბებერიც საყაჩაღოდ მოგვივარდა?!..

დაირცხვინა ანდრიამ და ვეღარ გაამხილა: საყვარელთან მოვედიო, დამფრთხალმა თავის მართლება სცადა:

— აქ ადრე ჩემი ნათესავი ქალი ცხოვრობდა, მეგონა, იმან „იკადრა" რამე, მარტოხელა იყო.

— ვინ ხარ, ბაბუა, და რა დროს სტუმრობაა ამ შუაღამისას? მგონი, „მატორზე" ვერ უნდა იყო! — მიუახლოვდა ორმოცს მიტანებული „მუტრუკი", ალბათ — ეთერის სიყრმის შვილი... დაფრთხა ანდრია, ლამის ჩაისველა, ცოტა დააკლდა ატირებას...

— შეეშვით, ვერ ხედავთ, რომ ვერაა სრულ ჭკუაზე! — მაინც შეებრალა ეთერს.

— ვინ ხარ, სად ცხოვრობ, შენს ახლობლებს დავურეკავთ! — ისევ იმ „მუტრუკმა" ჰკითხა.

სახელი კი თქვა ანდრიამ, მაგრამ ვეღარც გვარი გაიხსენა და ვეღარც მისამართი.

— აუ-უ, დავიღუპეთ, ამას სკლეროზი აქვს და იქნება, წლობით ვერ მოვიდეს აზრზე. ესღა გვაკლდა ამ საგიჟეთში! — ლამის ტანსაცმელი... უფრო სწორად, საცვლები შემოიხია ეთერის ბიჭმა.

— კარგი, დაწყნარდით, წადით, ჩაიცვით და მე მანამდე როგორმე მისამართს ვათქმევინებ! — ეთერმა, რომელსაც მშვენივრად ახსოვდა ანდრიას გვარიც და მისამართიც: როცა კაცი ცოლშვილს აგარაკზე გაისტუმრებდა, კვირაობით რჩებოდა მის სახლში...

...მოკლედ, ჩასვეს მანქანაში ბებერი დონჟუანი და სახლში მიიყვანეს. ახლა მისი ოჯახის წევრები დააფეთეს და გადარიეს შიშით, ბოდიშიც მრავლად ახდევინეს...

მას შემდეგ ვეღარც დღისით ტოვებენ მარტო მოხუცს და ვეღარც დღეხან „თათბირზე" გარბის და ხან 20 წლის წინ გარდაცვლილი მეგობრის „ქორწილზე"...

ლამისაა, კედელს ურტყან თავი მისმა შვილებმა:

— რა იქნებოდა, ტვინი შერჩენოდა და არც ხელი ჰქონდეს, არც ფეხი — ოქროს „გარშოკს" ვუყიდდით და პლატინით გაწყობილ ინვალიდის ეტლსო... ■

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲔᲒᲝᲜᲐ

როცა **ემზარ კობაიძე** საქართველოს ერთ-ერთ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა, სხვა აბიტურიენტები გაოცებულ მზერას ვერ აცილებდნენ. სულ მალე მისი უშუალობითა და ახალგაზრდული შემართებით სტუდენტები მოიხიბლნენ და დაუმეგობრდნენ კიდეც. ერთი ეგაა, რომ საკუთარი ჯგუფელების გარემოცვაში მყოფი, უცნობ ადამიანებს ლექტორი უფრო ჰგონიათ, ვიდრე სტუდენტი. მიზეზი მარტივია: ემზარი 44 წლის გახლავთ...

ᲔᲗᲝ ᲧᲝᲠᲦᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

— მისაღები გამოცდები 40 წლის ასაკში ჩავაბარე, მცირედი მომზადების შედეგად. სკოლაში საკმაოდ კარგად ვსწავლობდი, განსაკუთრებით — ჰუმანიტარულ საგნებს. მართალია, ჩემი პედაგოგებიდან ბევრი ცოცხალი აღარაა, მაგრამ ვინც არის, შეუძლიათ დაგიდასტურონ, რომ კარგი მოსწავლე ვიყავი. მოკლედ, თავის ქებას არ დავიწყებ... დღეს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობ — მაგისტრატურის პირველ კურსზე ვარ.

— ვიდრე ინსტიტუტში სწავლის გაგრძელებას გადაწყვეტდით, მანამდე რას საქმიანობდით?

— ციხეში სასჯელს ვიხდიდი. სასჯელის მოხდის შემდეგ, იურიდიული განათლების მიღების სურვილი გამიჩნდა. თუმცა ამ სფეროში გარკვეული ცოდნა ციხეშიც მივიღე: იქ ყველა დამნაშავემ იცოდა კანონის ყველა თავი, პუნქტი, მუხლი... როდესაც საკანში 20 ადამიანია და თითოეულს ბრალდება სხვადასხვა მუხლით აქვს წაყენებული, კანონებს კი ისწავლი. მინდა, რომ საქართველოში, მოსამართლეები თითქმის უდანაშაულო ადამიანებს ისეთ დილეტანტურ დონეზე არ ასამართლებდნენ, როგორც ეს დღეს ხდება. დამნაშავეს მაგალითი უნდა მისცე, რათა სასჯელის მოხდის შემდეგ, ცხოვრების სწორ გზას დაადგეს. შესაძლოა, ძალიან კრიტიკულ შეფასებად მიიჩნიოთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: როდესაც პარლამენტში სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანას განიხილავენ, პარლამენტართა 99%-მა მუხლებიც კი არ იცის!.. მათ არც ის იციან, თუ რა უნდა გამოიტანონ ძირითად დასკვნად... ქურდობის, ყაჩაღობის, მკვლელობის სახეობები — ამ საკითხებში პარლამენტარები ნაკლებად ჩახედული არიან, ხოლო მეცნიერთა აზრს დღემდე არ ითვალისწინებენ. იურიდიულ სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე: 8 წლის განმავლობაში პატიმარი ვიყავი, 4 წელი კი — სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ვისწავლე. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, ხარისხი უნდა დავიცვა — როგორც სწავლების სისტემა მოითხოვს. ვეცდები, რომ ჩემი გამოცდილების საფუძველზე, ფსიქოლოგიური ანალიზი გავაკეთო და ცოდნა სხვებსაც გავუზიარო.

— ციხეში სასჯელს რისთვის იხდიდით?

— ციხეში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობის ბრალდებით მოვხვდი. სკოლის დამთავრების შემდეგ, ფსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. მერე საქართველოში დავბრუნდი. 1990 წელს ცხინვალში სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ვიბრძოდი. თბილისში სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების დასაცავად დავბრუნდი. მინდოდა, სამშობლოს ისე დავხმარებოდი, როგორც შემეძლო, მაგრამ... ომს არ ვამართლებ, მაგრამ ის ზვიად გამსახურდიას არ დაუწყია. ჩვენ ე.წ. „წითელი ინტელიგენცია“ დაგვესხა თავს, რომლის წარმომადგენლები დღესაც მრავლად არიან, როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე — ოპოზიციაში. ამ რეკლამირებულმა „პოზიციამ“ და ოპოზიციამ საქართველო მაშინაც გაყიდა და ახლაც ყიდის. შემიძლია, მათი ვინაობაც გითხრა, არ მოვერიდები: ხელისუფლებიდან — გივი თარგამაძე, გიგა ბოკერია, ოპოზიციიდან — გოგა ხაინდრავა. ასევე შემიძლია, დაგისახელო ძმები ბერძენიშვილები... 1992 წლის სექტემბერში დამაპატიმრეს და ჩემ მიმართ წაყენებული ერთ-ერთი ბრალდების შესახებ მხოლოდ წლისა და 4 თვის შემდეგ შევიტყვე: თურმე გურჯაანის ნავთობტერმინალი უნდა ამეფეთქებინა! ეს ბრალდება ანზორ ბალუაშვილმა (მაშინ გენერალური პროკურორის მოადგილე გახლდათ) წამიყენა. მხოლოდ სასამართლოზე გავიგე, გურჯაანში ნავთობბაზა საერთოდ რომ არსებობდა!.. დამრჩა ერთადერთი ბრალდება — ხელისუფლების დამხობის მცდელობა. როგორც იურისტს, დღეს უკვე შემიძლია განვსაზღვრო, რომ 1992 წლის 1-ელ სექტემბერს, სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით ჩემი დაპატიმრების უფლება არ ჰქონდათ, რადგან ქვეყანას სახელმწიფო სამხედრო საბჭო მართავდა. მანამდე, ვიდრე 1992 წლის 11 ოქტომბერს „იმედის არჩევნები“ ჩატარდებოდა, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია გახლდათ. შესაბამისად, ნახსენები ბრალდების ჩემთვის წაყენების უფლება არ ჰქონიათ — კანონიერ ხელისუფლებას ვიცავდი.

— პატიმრობაში გატარებულ წლებზე რას მეტყვით?

— თავის დროზე, 300 ადამიანზე მეტი დაგვაპატიმრეს. სხვადასხვა საკანში, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებთან ერთად გამოგვამწყვდიეს. ფაქტობრივად, კრიმინალური დამნაშავეები და პოლიტპატიმრები ერთ ქვაბში ვიხარშებოდით. შავი სამყაროს წარმომადგენლები უფრო უკეთესად გვექცეოდნენ, ვიდრე — ხელისუფლება. კრიმინალებმა იცოდნენ, რომ მათი წრის ადამიანები არ ვიყავით. უდანაშაულოდ მიგვიჩნევდნენ... ერთმანეთთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. რა თქმა უნდა, ბოროტმოქმედი ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა დაისაჯოს, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ მათში ადამიანური ურთიერთობა დაკარგული არაა. ეს სამართალდამცავმა ორგანოებმაც უნდა გაიგონ: ისინი, ვის იზოლაციასაც ახდენენ, ჩვეულებრივი ადამიანები არიან, უბრალოდ, ცხოვრების პირობებმა მიიყვანა დანაშაულის ჩადენამდე... ციხეში გატარებულმა წლებმა საშუალება მომცა, გამეცნო ის სამყარო, რომელსაც მანამდე არ ვიცნობდი... იცი, შემეძლო, პატიმრობიდან იმაზე ადრე გავთავისუფლებულიყავი, ვიდრე 2000 წლის 20 აპრილი დადგებოდა, როცა გარეთ გამოვედი: ჩვენთან ელენე თევდორაძე, რუსუდან ბერიძე მობრძანდნენ, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ შევარდნაძის სახელზე შეწყალების თხოვნა დაგვეწერა. ასეულობით პოლიტპატიმარმა (მათ შორის — მეც) სასჯელის მოხდა განაგრძო და შეწყალება მაინც არ ითხოვა. შევარდნაძის სახელზე შეწყალების თხოვნა მხოლოდ იმ ადამიანებ-

მა დაწერეს, რომლებმაც ციხის უმძიმეს პირობებს ვერ გაუძლეს. შემდეგ, 2000 წლის 20 აპრილს პარლამენტმა მიიღო მანიფესტი, რომლის საფუძველზეც პატიმრობიდან გავთავისუფლდით. თავიდან მანიფესტში ეწერა, რომ შეწყალების საფუძველზე გვათავისუფლებდნენ. პოლიტპატიმართა პროტესტის გამო, იძულებულნი გახდნენ, რომ სიტყვა „შეწყალება" შეეცვალათ და ჩაეწერათ — „მანიფესტის საფუძველზე".

— აღნიშნეთ, კრიმინალებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდაო. გაცნობიერებული გაქვთ, რომ შესაძლოა, ერთ დღეს თქვენი მეგობრის გასამართლებაც მოგიხდეთ?

— მეოთხე კურსზე სწავლისას, სასამართლოში პრაქტიკანტად ვმუშაობდი. იქ იმ ადამიანებთან შეხვედრა მიწევდა, რომლებიც სასჯელს ჩემთან ერთად იხდიდნენ. ცოტა არ იყოს, უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი... იმ ადამიანის მიმართ, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, დაუნდობელიც ვიქნები, მაგრამ სიმართლე გითხრა, გამიჭირდება... მოკლედ, მსურს, პროფესიონალი ადვოკატი გავხდე!..

— ეი. მოსამართლეობა არ გსურთ?

— გასაგებია, ყველა ჯარისკაცი გენერლობაზე უნდა ოცნებობდეს, მაგრამ მე ჩემი „გენერლობა" უკვე გავიარე — სასჯელმა ჩემს პიროვნებაზე თავისი ზემოქმედება მოახდინა... ვეცდები, კანონდამრღვევები დავიცვა, რათა იმაზე მძიმე სასჯელი არ მისცენ, ვიდრე იმსახურებენ. რა თქმა უნდა, ყველას არ გავამართლებ. სამწუხაროდ, უამრავი ადამიანი, დილეტანტი მოსამართლე-გამომძიებლების მსხვერპლია.

— ეი. მიგაჩნიათ, რომ სასამართლოებში არაპროფესიონალები მუშაობენ?

— სასამართლოებში ბევრი განათლებული ადამიანი მუშაობს. მათ კარგად იციან მუხლები, კოდექსები... სამწუხაროდ, ჩვენში მეცნიერულ დონეზე სისხლის სამართლის კოდექსი ნაკლებადაა დამუშავებული. წიგნების უმეტესობა კალკირებულია და ქართულ ფსიქოლოგიასთან შესაბამისობაში არ არის მოყვანილი. ამიტომ ძნელია, მოსამართლის კვალიფიკაცია შეაფასო.

— ალბათ, ინსტიტუტში ყველაზე კარგად სწავლობთ...

— სახელმწიფო გამოცდაზე ყველაზე მაღალი ქულა მივიღე. შემდეგ მაგისტრატურის გამოცდები ჩავაბარე. უნარ-ჩვევების ტესტებისთვის შედარებით სუსტად მომზადებული გახლდით — ჩემს დროს უნარ-ჩვევები სად იყო?! მიუხედავად ამისა, ამ გამოცდასაც წარმატებით გავართვი თავი. მართალია, მათემატიკის გარკვეული მაგალითების ამოხსნა გამიჭირდა, მაგრამ მაინც მაღალი ქულა მივიღე.

— ლექტორები მკაცრად ხომ არ გექცევიან?

— ჩემი ასაკის წყალობით, ლექტორები ისე მექცევიან, როგორც თავიანთ ტოლსა და სწორს. მართალია, ყველა სტუდენტთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ, მაგრამ რაღაც პრივილეგიები მაქვს — ჩემთან უფრო ხშირად აქვთ მეგობრული საუბარი, ვიდრე 20-21 წლის გოგო-ბიჭებთან. გამოცდაზე ყველანი ერთნი ვართ — არავითარი პრივილეგია!.. ვაღიარებ, რომ იდეალური სტუდენტი არა ვარ. ზოგჯერ ლექციაზე მისვლას ვაგვიანებ, მაგრამ ამის გამო, ლექტორს აუდიტორიიდან არასოდეს გავუგდივარ. ყოფილა შემთხვევა, რომ რაღაც პრობლემის გამო, ლექციაც გამიცდენია. აი, „შატალოზე" კი არასოდეს ვყოფილვარ!..

ყოფილა შემთხვევა, რომ რაღაც პრობლემის გამო, ლექციაც გამიცდენია. აი, „შატალოზე" კი არასოდეს ვყოფილვარ!..

— მატყუებთ...

— არა, არა, შემიძლია, ხატზე დავიფიცო!.. არც მე და არც ჩემი ჯგუფელები, „შატალოზე" არასოდეს წავსულვართ! ჩვენთან ასეთი რაღაცები არ ხდება.

— ჯგუფელებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— თავდაპირველად, ფსიქოლოგიური ფაქტორი მოქმედებდა: 40 წლის კაცი 17-18 წლის სტუდენტებთან ერთად ვიჯექი და ბუნებრივია, მათ გაოცებულ სახეებს ვხედავდი. ამ ბარიერის გადასალახავად, რამდენიმე თვე დამჭირდა... ჯგუფელებს ძალიან დავუახლოვდი. თუკი რაიმე პრობლემა აქვთ, მეგობრული რჩევის მისაღებად, პირველად ჩემთან მოდიან.

— მაინც, რა სახის პრობლემები აქვთ ახალგაზრდებს?

— მაგას რომ არ ვამხელ, იმიტომაც მიყვებიან ყველაფერს (*იცინის*)... ყველასთან ვმეგობრობ. როცა ჩემი ჯგუფელები ქეიფს გადაწყვეტენ, მეც აუცილებლად მეპატიჟებიან. სტუდენტების ოჯახში სტუმრად რომ მივდივარ, მათი ოჯახის წევრებს ლექტორი ვგონივარ. ერთხელ ერთ-ერთმა ჯგუფელმა მთელი კურსი დაბადების დღეზე დაგვპატიჟა. მისალოცად ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხში გავემგზავრეთ... იუბილარის მშობლებმა სუფრა გაგვიშალეს და სოფელში ვინც კი აბიტურიენტი ცხოვრობდა, ყველა ჩემ გვერდით დასვეს.

— მგონი, მიზეზს ვხვდები...

— (*იცინის*) ყველას რექტორი ვეგონე და იფიქრეს — ბავშვებს უმაღლესში მოწყობაში დაეხმარებაო!.. აბიტურიენტებიც, — აქაოდა, რექტორიაო, — საუკეთესო კერძებს მთავაზობდნენ...

— გარდა იმისა, რომ სწავლობთ, კიდევ რას საქმიანობთ?

— სოფელ ახალ სამგორში მეურნეობა მაქვს, რომელსაც ძირითადად, ჩემი მშობლები უძღვებიან. მე დროის უმეტეს ნაწილს სწავლას ვუთმობ. მყავს დაოჯახებული და. ის საბერძნეთში ცხოვრობს. მართალია, მისი დახმარება დიდად არ გვჭირდება, მაგრამ მაინც ყველანაირად მხარში გვიდგას.

— რაც შეეხება თქვენს პირად ცხოვრებას...

— (*მაწყვეტინებს*) დედისერთა ბიჭი ვარ და გვარს გაგრძელება სჭირდება! რა თქმა უნდა, ცოლს აუცილებლად შევირთავ. თან — ახლო მომავალში.

— შეყვარებული ხართ?

— კარგი, გოგო, რაღა დროს ჩემი შეყვარებულია?!. კი, გული არ ბერდება, არსებობს სიყვარული, მაგრამ ჩემამდე ჯერ არ მოსულა და... ახალგაზრდობაში, ჩემს ცხოვრებაში ვიღაც-ვიღაცები იყვნენ, პატარ-პატარა გატაცებები მქონდა... ერთი ანეკდოტი გამახსენდა: მოხუცი კაცები ერთმანეთს ეკითხებიან: — გახსოვს, ქალებში რომ დავდიოდითო? — ეგ როგორ არ მახსოვს, მაგრამ რისთვის დავდიოდითო (*იცინის*)?.. ყველაფერს ხომ ვერ გეტყვი! ჩემი თაობის გოგონები „გზას" კითხულობენ. ჰოდა, ამ ინტერვიუსაც წაიკითხავენ და გავახსენდები...

ნიგერიელი იმიგრანტის თბილისური სასწავლებლები – სახელმწიფო უნივერსიტეტი და ავტოსამრეცხაო


სილვესტე


პატრიკი

„გამარჯობა", „ნახვამდის", „დიდი მადლობა", „როგორ ხარ", „ჯარგად ვარ", „არა მიშავს", „გავრეცხო", „20 ლარი" – და ჯიდევ ბევრი უხამსი სიტყვა ნიგერიელმა მეგობრებმა – პატრიკმა და სილვესტემ საქართველოში ჩამოსვლიდან ერთ წელიწადში ისწავლეს. ამ სიტყვებს გრამატიკულად ისე ჯარგად გამოთქვამენ, ბევრ ქართველსაც ჯი შეშურდება. სტუდენტი მეგობრები თბილისში სწავლობენ და პარალელურად, ავტოსამრეცხაოში მუშაობენ.

თორნიკე ყაჯრიშვილი

ინტერვიუს ჩასაწერად, მათ სამსახურში მივაკითხე. პატრიკი ავტომობილს რეცხავდა, უქმად მყოფი სილვესტე კი სიამოვნებით დამთანხმდა ინტერვიუზე. სანამ ინტერვიუს ვწერდით, სამრეცხაოს ზედამხედველი — თამაზი, მომსახურე პერსონალის მოცდენის გამო, ჩემ მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ნიგერიელ თანამშრომელს დაჟინებით სთხოვდა, სამუშაოს დაჰბრუნებოდა. სილვესტე კი ქართულ-ინგლისურად, ზედამხედველის მოგერიებას ცდილობდა და მებოდიშებოდა sorry, sorry-ო...

— სიცივეში არ გიჭირს მანქანის რეცხვა?

— საერთოდ, არა. მანქანას ეგრეთ წოდებული პისტოლეტით ვრეცხავთ და წყალთან შეხება თითქმის არ გვაქვს. ასე რომ, არ მცივა.

— რამდენი ხანია, რაც საქართველოში ჩამოხვედით?

— ზუსტად 1 წელი და სამი თვეა, რაც აქ ვარ. საქართველოში სასწავლებლად ჩამოვედი. ალბათ მკითხავ, — რატომ საქართველოში და არა სხვა ქვეყანაშიო? სწავლის საფასური აქ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო ხელმისაწვდომია. მანამდე საქართველოს მხოლოდ ინტერნეტით ვიცნობდი. ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტში გავდივარ მაგისტრის სასწავლო კურსს. ზაფხულში ვამთავრებ და ისევ ჩემს ქვეყანაში გავემგზავრები.

— პროფესიით ვინ ხარ, რა ფაკულტეტზე სწავლობ?

— პროფესიით ისტორიკოსი ვარ.

— ამ პროფესიის ადამიანმა, აქ რატომ დაიწყე მუშაობა?

— სასწავლებელში კვირაში 3 დღე დავდივარ, თავისუფალი დრო საკმაოდ ბევრი მქონდა და გადავწყვიტე, არასასწავლო დღეები სამსახურით შემევსო. აქვე ვცხოვრობ და ამ ადგილის გამოვლა ხშირად მიწევდა. ერთ დღესაც ვიკითხე, — ადგილი ხომ არ გაქვთ-მეთქი? — და მითხრეს, — თუ მუშაობის დაწყება გინდა, იმუშავეო. შემდეგ მოვილაპარაკეთ ხელფასზეც და როგორც ხედავთ, ვმუშაობ. სამსახური სწავლაში ხელს ნამდვილად, არ მიშლის. ჩემს ქვეყანაშიც ვმუშაობდი, ოღონდ აეროპორტში. 34 წლის კაცი ვარ და მანქანის რეცხვა აქ ვისწავლე. სხვათა შორის, ამის სწავლას არაფერი უნდა. თავიდან სალონს ვწმენდ, შემდეგ გარედან ქაფს ვასხამ და ბოლოს წნევით ვრეცხავ.

— ერთი გარეცხილი მანქანიდან რამდენს გაძლევენ?

— მართალია, ხელფასი მიზერულია, მაგრამ სულ ისე, უსაქმოდ ყოფნას მირჩევნია. ჩემი ხელფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ მანქანას გავრეცხავ დღეში. ერთი გარეცხილი მანქანიდან 1 ლარს მაძლევენ. რომ გითხრა, თავს ვინახავ და ყველაფერში მყოფნის-მეთქი, მოგატყუებ. თვეში დაახლოებით 300 ლარს გამოვდივარ.

— თავისუფალი დრო არ გრჩება, ასე გამოდის, ხომ?

— თუ ცუდი ამინდია და წვიმს, იმ დღეს არ ვმუშაობ. მაშინ ვმეცადინეობ. ვცდილობ, ეს დრო ფუჭად არ დავკარგო და მაქსიმალურად გამოვიყენო.

— საიდან ხარ?

— წარმოშობით, ნიგერიიდან ვარ. ჩემი ოჯახი იქ ცხოვრობს. თითქმის ყოველდღიურად ვეკონტაქტები მათ ტელეფონით. ძალიან აინტერესებთ და ხშირად მეკითხებიან, როგორი ხალხი ცხოვრობს აქ? ვეუბნები, ქართველები ძალიან კეთილი და კარგი ხალხია-მეთქი. მართლა, ვისთანაც ვურთიერთობ, ყველა ძალიან კარგი ადამიანია. ბევრი ქართველი მეგობარი შევიძინე, ძირითადად — უნივერსიტეტში. სამსახურში ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ განსაკუთრებით, ერთ ადამიანთან ვმეგობრობ, რომელსაც ერიკა ჰქვია.

— მოდი, ისევ შენს სამსახურს დავუბრუნდეთ: კლიენტებთან ურთიერთობა ხომ არ გიჭირს?

— საერთოდ, არა. ჯერ ერთი, ვისაც აქ მანქანა მოჰყავს, უმეტესობას ინგლისური ესმის და ენის ბარიერის პრობლემა ნამდვილად არ მაქვს. თუ არიან ისეთები, რომლებმაც ინგლისური არ იციან, ჟესტიკულაციით იმდენს ვაგებინებთ ერთმანეთს, რომ ვხვდები, მარტო სალონის გაწმენდა უნდა თუ მთლიანად მანქანის გარეცხვა. არც თანამშრომლებთან მექმნება პრობლემა. ერიკას ცოტა ესმის ინგლისური, მე და პატრიკმაც ვისწავლეთ ცოტა ქართული, გინებაც გვასწავლეს. გითხრა?.. *(იცინის)*

— აქაური მძღოლი გოგონები მოგწონს?

— კი. ძალიან თავაზიანები და სიმპათიურები არიან, მაგრამ ცოტა საჭის მართვა უჭირთ. რომ შემოდიან, გარეთ ვეღარ გადიან და მე ვეხმარები ხოლმე (*იცინის*).

— მომავალში ქართველ გოგონასთან ოჯახის შექმნას ხომ არ აპირებ?

— არ არის გამორიცხული, მაგრამ აქ დარჩენას არ ვაპირებ. დიდი გეგმები მაქვს და ისევ ჩემს სამშობლოში უნდა დავბრუნდე. თუ დავქორწინდი, ჩემს მეუღლესაც იქ წავიყვან და იქ ვიცხოვრებთ.

— აგვისტოს ომის დროს შენს ქვეყანაში დაბრუნებაზე ხომ არ ფიქრობდი?

— სიმართლე რომ გითხრა, საერთოდ, არ შემშინებია. მჯეროდა, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში მალე ჩადგებოდა და ასეც მოხდა. ჩემი მშობლები კი ძალიან განიცდიდნენ. შეშინებული დედაჩემი მეუბნებოდა, ჩამოდიო. იმ დროს, მსოფლიოს წამყვანი ტელევიზიების ყველა საინფორმაციო გამოშვება საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქებით იწყებოდა და ჩემი ოჯახი ყველა გამოშვებას ადევნებდა თვალყურს.

ჩვენი საუბარი ამით დავამთავრეთ, რადგან მანქანების სიმრავლემ სილვესტეს საშუალება არ მისცა, სხვა ჩემს კითხვებზე ეპასუხა. მე კი იქვე უქმად მდგარი მისი თანამშრომელი ერიკასკენ გავეშურე, რომელმაც ნიგერიელი მეგობრები ასე დამიხასიათა:

— ვაკელი სილვესტე ძალიან მორწმუნე ადამიანია. კვირაობით არ მუშაობს, რადგან ყოველ კვირა დღეს კათოლიკურ ეკლესიაში მიდის და ლოცულობს. რომც დაურეკოს უფროსმა და უთხრას, — ბევრი მანქანაა გასარეცხი და ბიჭები ვერ ასწრებენო, — მაინც არ მოვა. ეროვნულ ტანსაცმელს იცვამს და „ბიბლიით" ხელში მიდის ეკლესიაში. იმდენად მორწმუნე ადამიანია, რომ სანამ პირჯვარს არ გადაიწერს და ლოცვას არ იტყვის, მანამდე სუფრას არ მიუჯდება. პირადად მე, როდესაც აქ ვარ, ჭამა ხან როდის მიწევს, ხან — როდის, ერთი სიტყვით, როცა ვახერხებ ხოლმე. მას გარკვეული დრო აქვს დაწესებული და გამორიცხულია, რომ დროზე ადრე ჭამოს ან გადააცილოს. მითხრა, — სანამ ცოლს არ მოვიყვან, მანამდე ქალთან წასვლის უფლება არ მაქვსო. ერთხელ ჩემთან დავპატიჟე და სამსახურის შემდეგ სახლში წავიყვანე. სანამ სუფრაზე დავსხდებოდით, მითხრა, — უნდა ვილოცოო. ლოცვა წაიკითხა და პირჯვარი გადაისახა. ამის შემდეგ დაჯდა სუფრასთან. შევეკითხე, რომელ სასმელს დალევ-მეთქი? მიპასუხა, — მხოლოდ ღვინოს და ლუდს ვსვამო. ჭაჭის არაყი შევთავაზე და მითხრა, — არაყს არ ვეკარებიო. ძალიან მოსწონს ქართული სამზარეულო, განსაკუთრებით — ხინკალი და ქაბაბი. ერთი სიტყვით, ღვინო დავლიეთ. ჭიქებიდან ყანწებზე გადავედით და კარგად დავთვერით (*იცინის*). წასვლა რომ დააპირა, ვუთხარი, — ტაქსი გამოვიძახოთ და იმით წადი-მეთქი. არ მინდოდა, ფეხით გამეშვა, რადგან ნასვამი იყო. არ ვიცოდი, როგორი სიმთვრალე აქვს, ვიფიქრე, გზაში არავინ აუშარდეს ან პირიქით-მეთქი და ა.შ. ერთი სიტყვით, ტაქსის შეთავაზებაზე ცივი უარი მტკიცა. მეტრომდე გამაცილე და მერე მე ვიცი, — მითხრა. სხვა რა გზა მქონდა, გავაცილე მეტრომდე. სახლში მისვლისთანავე დამირეკა და მითხრა, — სახლში მივედი და არ ინერვიულოო. ძალიან მესიამოვნა, უყურადღებოდ რომ არ დამტოვა. სხვათა შორის, იმ დღის შემდეგ ჩემ მიერ ნასწავლ სადღეგრძელოებს ამბობს ხოლმე. ყოველთვის აღნიშნავს, რომ დედმამიშვილების სადღეგრძელო მე ვასწავლე. ეს სადღეგრძელო განსაკუთრებულად უყვარს, რადგან მრავალშვილიანი ოჯახიდან ყოფილა — 8 დედმამიშვილი ჰყოლია. ჩემი დაპატიჟების შემდეგ კი მან დამპატიჟა თავის სახლში. ის და პატრიკი აქვე ცხოვრობენ და შესვენებაზე მივედით. იცით, რამ გამაკვირვა?.. საწოლები არ ჰქონდათ, იატაკზე დაფენილ ლეიბებზე ეძინათ და რომ ვკითხე, — აქ რატომ გძინავთ-მეთქი? — მიპასუხა: „ჯანმრთელობა კარგიაო" (*იცინის*). ჩემთან რომ იყო სტუმრად, ჩემი და მოსწონებია და მაშინ გამიმხილა, — შენი და გამომაყოლე ცოლადო. ხომ შეიძლებოდა, პირდაპირ ჩემი დისთვის ეთქვა, მაგრამ კაცურად მოიქცა და მე მითხრა. ვუთხარი, — ასეთი რაღაც არ მოხდება-მეთქი...



ერთადერთი თანამშრომელი, რომელსაც ვერ შეეწყო, თამაზია

— რატომ? ზანგი რომ არის, იმიტომ?

— მანაც იგივე კითხვა დამისვა. არა, ეს რა შუაშია-მეთქი?! — ვუთხარი. არ მინდოდა, სწყენოდა და ვუთხარი, — ერთადერთი და მყავს და თუ ცოლად გამოგაყოლე, თქვენ ნიგერიაში წახვალთ და ერთმანეთს დავკარგავთ-მეთქი. მითხრა, — მერე რა მოხდა, პატრიკს საერთოდ, დედმამიშვილი არ ჰყავს, ეგ რა პრობლემაა?! გამაჩუმა, მაგრამ ვუთხარი, რომ ვერ შევეგუები, ჩემი და სამუდამოდ სხვა ქვეყანაში რომ ცხოვრობდეს. აღარაფერი უთქვამს.

— ინგლისური იცით?

— რაღაცას ვახერხებ. ერთმანეთს თითქმის ყველაფერს ვაგებინებთ, არ გვაქვს ამ მხრივ პრობლემა. კანის ფერი აქვს მუქი, თორემ სულით და გაგებით, ქართველი ადამიანია. ერთადერთი თანამშრომელი, რომელსაც ვერ შეეწყო, თამაზია (*იცინის*). სილვესტე ამბობს, — ხანდახან ზედმეტს მამუშავებსო... სილვესტე სიმართლის მთქმელი კაცია. თბილისში რომ დაბადებულიყო, ნამდვილი ქართველი იქნებოდა. ძალიან „გაგებული" და სიმართლისმოყვარე ადამიანია. არ უყვარს ბევრი ლაპარაკი და ყველასთან არ იხსნება... ერთი ასეთი კურიოზი მახსენდება: ზაფხულობით საერთოდ, გვიანობამდე ვმუშაობთ ხოლმე და ერთ დღესაც, „დენი წავიდა". ამ დროს კლიენტი შემოვიდა მანქანით და რადგან ბნელოდა, სილვესტე ვერ შეამჩნია და კინაღამ დაეჯახა. სილვესტე მიხვდა და სიცილი აუტყდა. თეთრმა კბილებმა რომ გამოანათა, მძღოლმა მაშინვე დაამუხრუჭა. კაცი დაიბნა და შემდეგ მოუბოდიშა: უკაცრავად, ვერ დაგინახეთო. სილვესტემ უთხრა, — არა უშავს, პირველი არ ხარ, ვისაც ასე მოსვლიაო. ბევრი ვიცინეთ... სილვესტემ მითხრა, რომ სწავლისა და ყველანაირი ხარჯისთვის საჭირო ფულს ნიგერიიდან ოჯახი უგზავნის. მატერიალურად საკმაოდ ძლიერი ოჯახი ჰქონია. ეს მარტო მე მითხრა. ჩემ გარდა, უამრავი აქაური ძმაკაცი ჰყავს. როდესაც ვკითხე, — საქართველოში რატომ ჩამოხვედი-მეთქი? — მიპასუხა, რომ ეს ქვეყანა მისთვის, ტრამპლინია, აქედან ევროპის სხვა ქვეყანაში აპირებს წასვლას. ალბათ სწავლას რომ დაამთავრებს, მერე დატოვებს საქართველოს. გერმანიაში ან ინგლისში წავალ, რადგან იქიდან ნიგერიაში დაბრუნების შემდეგ კარგი თანამდებობა გარანტირებული მექნებაო, — ამბობს. სად აპირებს მუშაობის დაწყებას და რა გეგმები აქვს, ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ■

„ყოველთვის მაინტერესებდა, ეგ ქალი ვინ იყო“

მას საყვარელი მწერალი არ ჰყავს. პოეზიას იშვიათად კითხულობს, არც ბესტსელერები უყვარს და ცნობილ მწერლებზე მეტად, უცნობი ავტორები იზიდავს. ბავშვობაში ქადრაკზე დადიოდა. სერიოზული წარმატებებიც ჰქონდა. ერთხელ, როცა გასვლით ტურზე თერვოლაში იმყოფებოდა, წიგნების მაღაზიაში შევიდა, ანეკდოტების წიგნი მოეწონა; რადგან ფული არ ჰქონდა, წიგნი მოიპარა. იმავე ღამეს წაიკითხა და მეორე დილით უკან დააბრუნა. სკოლაში სწავლის დროს, ყველაზე მეტად, ციტატების დაზეპირება ეზარებოდა. შემდეგ სწავლა სამედიცინო უნივერსიტეტში, პედიატრიის ფაკულტეტზე განაგრძო. იმისთვის, რომ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბში“ მოხვედრილიყო, წლების შემდეგ სასწავლებელი მიატოვა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტის II კურსზე გადავიდა. დღეს „ვანო ჯავახიშვილის შოუში“ ქართული პრესის მიმოხილვას ამზადებს. რუბრიკის სტუმრის ვინაობას ალბათ მიმიხვდით. ვნახოთ, რამდენად ერუდირებულია ზაქრო ინწკირველი.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— გვინდოდა, რომ გადაცემაში სიახლე შეგვეტანა. ახალ რუბრიკაზე ფიქრი ყველამ ერთად დავიწყეთ. იდეები ფურცლებზე ჩამოვწერეთ და გავაანალიზეთ. ჩემი იდეა იყო, რომ პრესის იუმორისტული მიმოხილვა მოგვეწყო. გუნდის წევრებსაც მოეწონათ. ვფიქრობ, ეს რუბრიკა კარგად „იმუშავებს“. თან — ამოუწურავია. ჟურნალ-გაზეთებში ხომ ყოველთვის სიახლეა.

— ჟურნალ-გაზეთებს რა ნიშნით არჩევ?

— ძალიან ბევრ ჟურნალსა და გაზეთს ვკითხულობ. უფრო ყვითელმა პრესამ „გაამართლა“. გაზეთებში უმეტესად, ისეთი რამეები წერია, რომელიც სატირალი უფროა, ვიდრე სასაცილო. განსაკუთრებით „სიტყვა და საქმე“ მომწონს. იქ ბევრი „კარგი“ განცხადება ქვეყნდება.

— „გზაზე“ რას გვეტყვი?

— ყველაზე სოლიდური და სადა ჟურნალია. მართალია, შიდა ფურცლები შავ-თეთრია, მაგრამ მრავალფეროვანი მასალები ქვეყნდება. თქვენი სტილი გაქვთ და არავის ჰგავხართ.

— რომელ ქვეყანას მართავდა ფარაონი?

— ეგვიპტეს.

— გურამ ფანჯიკიძის რომელ რომანში გადაუნერგავენ ტრავმირებულ სტუდენტს მომაკვდავი აკადემიკოსის ტვინს?

— ამ რომანის მიხედვით ფილმიც გადაიღეს, არა?

— დიახ.

— „სპირალი“.

— რა ჰქვია რიცხვთა ჯამის განაყოფს ამ რიცხვთა რაოდენობაზე?

— საშუალო არითმეტიკული.

— რა ჰქვია ზარებისთვის განკუთვნილ პურს?

— სეფისკვერი.

— ყოჩაღ, ზაქრო, კარგად დაიწყე. ვინ თამაშობს მარგალიტას როლს ფილმში „შერეკილები“?

— აუ! ყოველთვის მაინტერესებდა, ეგ ქალი ვინ იყო (*იცინის*). მისი სახელი და გვარი არ ვიცი.

— არიადნა შენგელაია. ვის მიმართა დახმარებისთვის წრუწუნამ მულტფილმში „წუნა და წრუწუნა“?

— ფიცხელას.

— რას მივიღებთ, თუ 1-იანს 12 ნულს მივუწერთ?

— არ ვიცი.

— ტრილიონს. რომელი მწერლის დეტექტიური რომანების გმირია პოლიციის კაპიტანი მეგრე?

— ჟორჟ სიმენონის.

— რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის „მიმინო“?

— (*ფიქრობს*) გია ყანჩელმა, არა?

— დიახ. რა ჰქვია მთავარ გმირს ვიქტორ ჰიუგოს რომანში „კაცი, რომელიც იცინის“?

— არ მახსოვს.

— გიუნლენი. რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ველინგტონი?

— ახალი ზელანდიის.

— რომელი მსახიობი თამაშობს შვარცენეგერის ტყუპისცალს ამერიკულ ფილმში „ტყუპი“?

— დენი დე ვიტო.

— ვის მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგი“?

— ვერ გიპასუხებ.

— გოეთეს. რა გვარი იყო იეთიმ გურეში?

— ესეც არ ვიცი.

— დაბლაშვილი. ამ ქართველი პოეტის დედა გრიგოლ ორბელიანის და და ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო. დასახელე ეს პოეტი.

— ნიკოლოზ ბარათაშვილი.

— რა ერქვა მზის ღმერთის — ჰელიოსის ვაჟს?

— მითოლოგიურ სახელებს ვერ ვიმახსოვრებ.

— ფაეტონი. რომელი ცხოველი ჩამოახრჩო ივანე მრისხანემ?

— სპილო, რადგან მან მეფის წინაშე მუხლი არ მოიდრიკა.

— ამ ხელსაწყოს სახელი ორი ლათინური სიტყვისგან წარმოიშვა. ეს სიტყვებია „წყვილი თვალი“–

— ბინოკლი.

— დასახელე ფილმი, რომელშიც იპოლიტე ხვიჩიამ თავისი სეხნია პერსონაჟი განასახიერა — „მხიარული რომანი“, „არ იდარდო“ თუ „თოვლინები იცინიან“?

— ჩამოთვლილთაგან — „მხიარულ რომანში“, მაგრამ თეატრალებისგან ვიცი, რომ მას საკუთარი სახელი არაერთ ფილმში ჰქვია.

— რომელი სრუტე აერთებს შავ და აზოვის ზღვებს?

— ქერჩის სრუტე.

— რომელი სახელმწიფო აკონტროლებს გიბრალტარის სრუტეს?

— ვერ გიპასუხებ.

— დიდი ბრიტანეთი. რომელია ყველაზე პატარა კონტინენტი?

— ეს ადვილი კითხვაა.

— მაინც უნდა მიპასუხო.

— ავსტრალია.

— რომელ მხატვარს ეძღვნება ალა პუგაჩოვას

ცნობილი სიმღერა მილიონი ვარდის შესახებ?

— ფიროსმანს.

— რომელი ხის ფესვები საუბრობენ ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ფესვები“?

— წიფლის.

— ცდები. მუხის ფესვები. რომელი ოკეანის აუზშია ბარენცის ზღვა?

— ბარენცის ზღვა? (*ფიქრობს*) ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში.

— რომელ სახელმწიფოს აკავშირებს დიდ ბრიტანეთთან გვირაბი „ინგლიშ ჩენელი“?

— ალბათ, საფრანგეთს.

— გამოიცანი. რომელმა მხატვარმა მოიგონა საკუთარი სიკვდილი, რათა შემდგომში მისი ნახატები ძვირად გაყიდულიყო?

— ასეთი რამ მოხდა?!. არ ვიცი.

— ასეთი რამ რემბრანდტმა მოიგონა. 1895 წელი კინემატოგრაფის დაბადების წელია; რომელ ქალაქში შედგა პირველი კინოსეანსი?

— მგონი, პარიზში.

— ნამდვილად ასე იყო. ანჯელინა ჯოლი, ჯულია რობერტსი, იზაბელ ადჯანი, ნიკოლ კიდმანი — ამ მსახიობებიდან, რომელია ტომ კრუზის ყოფილი ცოლი?

— ნიკოლ კიდმანი.

— ჰამბურგი, დრეზდენი, ბრემენი, ჰანოვერი — ამ ქალაქებიდან რომელი არ შედიოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში?

— დრეზდენი.

— ძველ რომში, როცა კონსული თანამდებობას იბარებდა, ფიცს დებდა, რომ კანონებს კეთილსინდისიერად დაიცავდა. რას აკეთებდა 1 წლის შემდეგ, როცა მისი თანამდებობიდან წასვლის დრო მოდიოდა?

„ვიდრე არ ჩაუყლაპავს წყვდიადს ყველაფერი, ცხოვრებას ყოველი წუთი...“
— „...უნდა დასტყუო“.

— ხალხის წინაშე ფიცს დებდა, რომ კანონებს მომავალშიც დაიცავდა.

— არასწორად მიპასუხე. ფიცს დებდა, რომ სიტყვა პატიოსნად შეასრულა. რის შიშს ნიშნავს მონოფობია?

— მონო ერთს ნიშნავს — ე.ი. სიმარტოვის.

— სად არსებობდა ძველი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბიბლიოთეკა — ათენში, ალექსანდრიაში, როდოსში თუ სირაკუზაში?

— ალექსანდრიაში.

— რომელი სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული თამბაქო?

— რომელიღაც სამხრეთამერიკული სახელმწიფოს გერბზე, ზუსტად არ მახსოვს.

— ბრაზილიის. რა ჰქვია ჰპინა ერისთავის ძალს ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“?

— პერი.

— ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ბიბლიური თემატიკა — რომელი ჟანრის ნაწარმოებებითაა ცნობილი რუსი მხატვარი ივან აივაზოვსკი?

— ნატურმორტებით.

— ცდები. ის პეიზაჟებით გახდა ცნობილი. ლონდონი, დელი, თეირანი, ნიუ-იორკი — ამ ქალაქებიდან რომელში არ არის მეტროპოლიტენი?

— ლონდონი და ნიუ-იორკი გამოვრიცხოთ. (*ფიქრობს*) ალბათ, დელიში, არა?

— სწორი პასუხია. რამდენი ხვრელი აქვს ბილიარდის მაგიდას?

— 6. ბილიარდის თამაში მიყვარს.

— „სიმართლე ძალიან მახინჯია“, — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— არ ვიცი.

— ნიცშეს. „ფრთხილად იყავი, პუტინო, თავი არ გაგვაპუტინო“, — რომელ თანამედროვე პოეტს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ამას კოტე ყუბანეიშვილის გარდა, არავინ იტყოდა.

— ნამდვილად ასე. რას ნიშნავს ქართულად „ზახრუმა“?

— ზუსტად როგორ ითარგმნება, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ კარგს არაფერს ნიშნავს.

— „ზახრუმა“ სპარსული სიტყვაა და არგადარჩენას ნიშნავს. „ჩემი თავია ჩემივე მტერი, თავი რომ არა, მე რა დამწვავდა“, — მიხეილ ქვლივიძის ლექსის მიხედვით, რომელი საგნის „მონოლოგია“ ეს სიტყვები?

— ანუ თავიდან ცეცხლი რომელ საგანს უჩნდება? (*ფიქრობს*) მგონი, გამოვიცანი: ასანთი, არა?

— გამოიცანი. რამდენი სპორტსმენია წყალბურთის გუნდში?

— შვიდი.

— სად გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები დავით გურამიშვილმა?

— უკრაინაში.

— როგორ ამბობს რუსთაველი: „თუ ყვავი ვარდსა იშოვის...“

— „...თავი ბულბული ჰგონია“.

— ეთიოპია, ზამბია, ომანი — ჩამოთვლილთაგან, რომელი სახელმწიფო არ მდებარეობს აფრიკის კონტინენტზე?

— ომანი.

— რომელ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტი ადამიანი მსოფლიოში?

— ჩინურზე.

— რომელ ქვეყანაში მდებარეობს „ბიბლის“ სათავო ოფისი?

— დიდ ბრიტანეთში.

— დასასრულე რემარკის ცნობილი გამონათქვამი: „ვიდრე არ ჩაუყლაპავს წყვდიადს ყველაფერი, ცხოვრებას ყოველი წუთი...“

— „...უნდა დასტყუო“. ■

ერუდიტი +

სიცოცხლის განმავლობაში ზვიგენი 30 ათასამდე კბილს იცვლის.

სამამულო ომისდროინდელი პლაკატი — „როდინა მატ ზავიოტ“ — ირაკლი თოიძის შექმნილია.

ისლანდიის პარლამენტს ალთინგი ჰქვია, ისრაელის პარლამენტს — ქნესეთი, ხოლო ნორვეგიის პარლამენტს — სტოტინგი.

ლეო არმსტრონგმა საკუთარი დაბადების დღის თარიღი არ იცოდა. რომ წამოიზარდა, ამ დღედ 4 ივლისი — ამერიკის დამოუკიდებლობის დღე აირჩია.

პაგანინის გარდაცვალების შემდეგ, მის ვიოლინოს „პაგანინის ქვრივი“ შეარქვეს.

დარბაზი, სადაც კანის ფესტივალის დაჯილდოების ცერემონია იმართება, 2800 მაყურებელს იტევს და ძმები ლუმიერების სახელს ატარებს.

თბილისში, მტკვრის სანაპიროსთან მდებარე ე.წ. „მშრალი ხიდი“ 1851 წელს იტალიელი არქიტექტორის — ჯოვანი სკუდიერის პროექტით აიგო.

18 ნოემბერს, ლალი მოროშკინა იუბილარი გახლავთ. ცნობილია, რომ ის ყოველთვის განსაკუთრებულად აღნიშნავს ხოლმე საკუთარ დაბადების დღეს. წინასწარ ვულოცავთ, მკითხველს კი ვაცნობებთ, რომ ამჯერად ის, ცოტა არ იყოს, განსხვავებული რუბრიკის სტუმარია. ცხოვრება გმაა, ადამიანი — მესაქე. გვიწევს დამუხრუჭებაც, ლოდინიც, გზის დათმობაც... გზაზე მოძრაობისას საცობს ვხვდებით ხოლმე, ცხოვრებაში კი — დაბრკოლებას. ცხოვრებისეულ „საცობებსა" და მათი გადალახვის ხერხებზე ქალბატონი ლალი გვესაუბრა:

„ვფიქრობდი, ხომ ფეიქალეგოდა, დაკვლუკულიყავი?!"

თიკო კალანდაძე

— ადამიანებს, მძიმე ცხოვრებისეული მომენტები გამოსაბრძმედად ესაჭიროებათ. ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლება თუ „საცობი" შემხვდა, რამაც უფრო გამაკაჟა და გამზარდა. ზედმიწევნით კარგად ვიცი ყველაფერი, იმის შემდეგ, რაც ცხოვრებაში გადამიტანია, უდაბნოშიც რომ მოვხვდე, ახალ ცხოვრებას იქაც ავიწყობ.

— პირველად, როდის მიხვდით, რომ „საცობში" მოხვდით?

— თავდაპირველად, კომპლექსი და აქედან გამომდინარე, პრობლემები ჩემი გვარის გამო გამიჩნდა. ბევრმა გადაიკეთა გვარი. მე დიდ პატივს ვცემ ჩემს წარმომავლობას, ამიტომ კომპრომისზე არ წავსულვარ. თუმცა გაორმაგებული ძალისხმევით მიწევდა იმის მტკიცება, რომ ქართველი ვარ. დავდიოდი ეროვნულ ცეკვებზე, ძალიან კარგად შევისწავლე ქართული ადათ-წესები და დიდი ძალისხმევის შედეგად გადავლახე ხელოვნური თუ ბუნებრივი ბარიერები, რის შემდეგაც დავამტკიცე, რომ მე ქართველი და საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ!

— საქმიანობდით სრულიად სხვადასხვა სფეროში. ეს ფაქტი, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „საცობში" მოხვედრის შემდეგ, სხვა გზით მიდიოდით ხოლმე?

— დგება მომენტი, როდესაც ვფიქრობ, გარკვეულ სფეროში ჩემი თავი ამოვწურე-მეთქი. ტელევიზიაში ათი წლის მუშაობის შემდეგ მივხვდი, რომ თუ კიდევ ამ სფეროში გავაგრძელებდი მუშაობას, რაიმე ახლის კეთებას ვეღარ შევძლებდი. ამიტომ ეთნიკური უმცირესობის პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია შევქმენი, რომელიც დღემდე ძალიან აქტუალურია. მართალი გითხრათ, არ შემიძლია დიდხანს ერთი და იმავე საქმის კეთება. მიყვარს ახლის შექმნა და სწავლა. ავიაციაში მუშაობის ტაქტიკას სრულებით არ ვიცნობდი, მაგრამ ვისწავლე; ასევე შრომატევადი, მაგრამ საინტერესო იყო „განსაკუთრებულ საქმეთა" სამინისტროში მუშაობა.

— პრობლემები სტიმულს გაძლევთ ხოლმე თუ პირიქით, დეპრესიაში გაგდებთ?

— ბოლოს, რა პრობლემაც მქონდა, მასზე ნამდვილად ვერ ვიტყვი, სტიმული მომცა-მეთქი. ავარიაში მოყოლის შემდეგ, სიარულიც კი მიჭირდა, მაგრამ ოპტიმისტი ვარ და ვფიქრობდი, ხომ შეიძლებოდა, დავღუპულიყავი?! მაგრამ ცოცხალი ვარ, ეს კი გარკვეულწილად, ჩემთვის ახლის კეთების ბიძგია. ამ პრობლემამ განსაკუთრებით კარგად დამანახვა, ვინ ვინ არის. მჯერა, რომ პრობლემურ პერიოდს ყოველთვის ლამაზი და კარგი ხანა მოჰყვება.

— ხელოვნურ „საცობში" თუ მოყოლილხართ?

— კი და ეს ნორმალური ვითარებაა — როდესაც თვითდამკვიდრებისათვის იბრძვი, ჯუნგლების კანონი მოქმედებს. რაც მთავარია, ხელოვნურ „საცობს" მამაკაცები მიწყობენ და ხშირად ავიწყდებათ, რომ ქალი ვარ და როგორც თანასწორს, ისე მებრძვიან ხოლმე. თუმცა მეეჭვება, ვინმემ თქვას, რომ ჩემთან ბრძოლაში გაუმარჯვია. ისე კი უნდა აღვნიშნო, რომ ქალი კონკურენტი არ მყოლია.

— სხვისი დახმარებით პრობლემები მოგიგვარებიათ?

— ჩემს ცხოვრებაში ყოფილან ადამიანები, რომლებიც დამხმარებიან პრობლემების დაძლევაში. ძალიან ბევრ ადამიანს დიდი როლი უთამაშია ჩემს ცხოვრებაში. ასეთები იყვნენ: ზაზა დარასელი — ტელევიზიაში, რომლის ოჯახსაც უდიდეს პატივს ვცემ, როინ მეტრეველი — უნივერსიტეტში; კონფლიქტოლოგად ჩემს ჩამოყალიბებაში კი, ლომის წილი მამუკა არეშიძეს მიუძღვის.

— დაბოლოს, „საცობიდან" თავის დაღწევის თქვენეული ვარიანტი...

— ოპტიმიზმი, პროფესიონალიზმი და საკუთარ თავზე მუდმივი მუშაობა, ნაკლები ამპარტავნობა და, რაც მთავარია, პირველმა წარუმატებლობამ აპათიაში არ უნდა ჩაგაგდოს! ■

შვილებთან ერთად

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ცხვირის წვეთები და ხალხური მედიცინა

წერილი რედაქციას

„სურდოს დროს გამუდმებით ვხმარობ ცხვირის წვეთებს, მაგრამ არ მშველის არც მე და არც ჩემს შვილიშვილებს. თანდათან ვრწმუნდები, რომ ამ „ვაი-წამლებს“ სამკურნალო თვისებები საერთოდ არ აქვს. გთხოვთ, მირჩიოთ რაიმე საშუალება (უმჯობესია, მცენარეული), რომელიც მიშველის სურდოს დროს.

პატივისცემით, გულო ბლიაძე“.

ხშირად გაგვიგონია ფრაზა: გამუდმებით ვხმარობ ცხვირის წვეთებს და სურდო მაინც ვერ მოვიშორე... სხვათა შორის, სურდოს მიზეზი ამ შემთხვევაში, თავად ცხვირის წვეთები შეიძლება იყოს.

მოსახლეობაში სურდოს მკურნალობის ერთ-ერთ პოპულარულ საშუალებად მიჩნეულია ცხვირის წვეთები. ზოგ შემთხვევაში, ის მართლაც უხსნის ადამიანს ცხვირის გაჭედვის პრობლემას და ნორმალური სუნთქვის საშუალებას აძლევს. ჩვენში ყველაზე „მოდური“ ცხვირის წვეთებია — ნაფტიზინი და გალაზოლინი. მათ მილიონობით პაციენტი იყენებს, მაგრამ უმეტესად არასწორად ანუ ძალიან ხშირად და დიდხანს. ეს კი, გარდა იმისა, რომ იწვევს პრეპარატისადმი ორგანიზმის შეჩვევას და აქედან გამომდინარე — უეფექტობას, ცხვირ-ხახის სხვა დაავადების განვითარების მიზეზიც ხდება. კერძოდ, შეიძლება დაირღვეს სისხლძარღვთა ტონუსი და სურდოს მუდმივი ხასიათი მიეცეს. ეს სპეციფიკურ მკურნალობას საჭიროებს და თან, სხვა დაავადების განვითარების რისკ-ფაქტორია.

ცხვირის წვეთების არასწორი მოხმარების შემთხვევა განსაკუთრებით ხშირია პედიატრიაში. ბევრი დედა, როგორც კი ბავშვს სურდოს შეამჩნევს, მაშინვე უწყებს ცხვირში ნაფტიზინის ჩაწვეთებას და მიუხედავად იმისა, რომ ეს საშუალება მათ პატარას არ შველის, ჯიუტად აგრძელებს მის მოხმარებას, რადგან ნაფტიზინი სურდოს სამკურნალო საშუალება ჰგონია. არადა, ეს წვეთები მხოლოდ და მხოლოდ გაჭედილ ცხვირს ხსნის. მეტიც, ნაფტიზინი არცთუ ისე უვნებელი საშუალებაა — აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. თუ ძალიან გაგვიტაცებს მისი მოხმარება, შეიძლება, გვერდითი ეფექტი მივიღოთ:

- პერიფერიული სისხლძარღვების შევიწროება;
- არტერიული წნევის მატება;
- გუგების გაფართოება.

კიდევ ცოტა რამ ცხვირის წვეთებზე

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ცხვირის წვეთები არსებობს ორგვარი: სისხლძარღვების შემავიწროებელი (გალაზოლინი, ოტრივინი, ნაზივინი და სხვა) და ზეთოვანი ბუნების (პინოსოლი).

სისხლძარღვების შემავიწროებელი პრეპარატები ეფექტურია ნებისმიერი ხასიათის სურდოს დროს, მაგრამ უნდა გამოვიყენოთ მაშინ, თუ ჩვეულებრივი საშუალება, როგორიცაა მარილწყლით ცხვირის ღრუს გამორეცხვა, ინჰალაცია, ცხვირის მასაჟი და ა.შ. არ გვიუმჯობესებს სუნთქვას. ღამე, იმ იმედით, რომ სურდო თავისით გაივლის, არ დაიძინოთ გაჭედილი ცხვირით (მით უმეტეს, ბავშვები არ დააძინო ასე). გახსოვდეთ, ნებისმიერი ხასიათის სურო უხსნის კარს ისეთ სერიოზულ დაავადებებს როგორიცაა: ოტიტი, სინუსიტი, ლარინგოტრაქეიტი, ბრონქიტი, ფილტვების ანთება. ე.წ. ცხვირის წვეთების დახმარებით კი ადვილია, ცხვირის ლორწოვანის შეშუპების მოხსნა და თავისუფალი სუნთქვის აღდგენა. აღსანიშნავია, რომ იმავე პრეპარატებს იყენებენ მკურნალობის ერთ-ერთ საშუალებად სინუსიტისა და ოტიტის დროს.

სისხლძარღვების შემავიწროებელი წვეთების ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს: ცხვირის ღრუს სისხლძარღვთა დამბლა, რასაც მოჰყვება პრეპარატის უკუეფექტი ანუ სურდო გაძლიერდება. ამიტომ, სისხლძარღვების შემავიწროებელი ცხვირის წვეთების 4-5 დღეზე მეტხანს გამოყენება, არ არის რეკომენდებული, თანაც მაქსიმუმ 4 საათში ერთხელ. თუ ამ საშუალებამ არ გიშველათ, გადადით დამარბილებელ საშუალებებზე — ატმის ზეთი, დიმედროლის წვეთოვანი ხსნარი (განსაკუთრებით თუ სურდო ალერგიული ხასიათისაა), ინჰალაცია. ძალიან კარგი იქნება, თუ ცხვირის წვეთების მოხმარებამდე, ექიმს კონსულტაციისთვის მიმართავთ. იგი გირჩევთ, დადებითი ეფექტის მისაღწევად, თუ რომელი წვეთები, რა დოზით და რამდენ ხანს დაგჭირდებათ.

სურდოს საწინააღმდეგო ზეთოვანი ბუნების წვეთებს ზოგჯერ უსაფუძვლოდ ნიშნავენ. არადა, მას ეფექტი მხოლოდ ატროფიული სურდოს (ამ დროს ცხვირში ჩნდება მშრალი ქერქოვანი წარმონაქმნი) დროს აქვს. ჩვილ ბავშვებში მისი დანიშვნა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს — ზეთი შეიძლება მოხვდეს სასმენ მილში, რაც შუა ყურის მწვავე ანთებას გამოიწვევს. უკეთესია, პატარებს დაენიშნოთ ტიზინი, რომელშიც შედის როგორც სისხლძარღვთა შემავიწროებელი, ასევე ზეთოვანი კომპონენტები.

ხშირად სურდოს დროს ბავშვებს პროტალგოლისა და კოლარგოლის წვეთებს უნიშნავენ. ისინი ანტისეპტიკებია. მათი დანიშვნა მხოლოდ ჩირქოვანი სურდოს დროსაა მიზანშეწონილი (როცა ბავშვს ცხვირიდან მომწვანო ჩირქოვანი გამონადენი მოსდის) და პარალელურად, სისხლძარღვთა შემავიწროებელი პრეპარატების გამოყენებაცაა საჭირო.

ხალხური საშუალებები

რინიტების სამკურნალოდ ბევრი ხალხური საშუალება არსებობს. თუმცა ეს საშუალებები შედარებით ეფექტურია კატარული, ჰიპერტროფიული და ატროფიული რინიტების დროს. რაც შეეხება ვაზომოტორულ რინიტს, ამ დროს ხალხურ მე-

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
ა.ს. „ელვასერვისი“
ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

დიცინას მხოლოდ დროებითი ეფექტის მიღწევა შეუძლია.

● ღამე ცხვირში ჩაიყარეთ მდოგვის ფხვნილი ან ყოველ საღამოს გაიკეთეთ ფეხებზე ცხელი (როგორსაც გაუძლებთ) მდოგვიანი წყალხსნარის აბაზანა. პროცედურის ხანგრძლივობაა 15-20 წუთი.

ყურადღებით! თუ გაქვთ გულის ან თირკმლების მხრივ პრობლემები, მაშინ ფეხებზე ცხელი წყლის აბაზანა გეკრძალებათ. ასევე არ შეიძლება ამ პროცედურის ჩატარება ორსულთათვის და მენსტრუალური ციკლის დროს!

● ვაზომოტორული რინიტის შესამსუბუქებლებად კარგია, თუ ორივე წინამხარს (იდაყვებზე ოდნავ მაღლა) ჩავდებთ 37 გრადუს წყალში. შემდეგ თანდათანობით, კერძოდ, ყოველ ორ წუთში თითო-თითო გრადუსით გავზრდით წყლის ტემპერატურას (10 წუთის განმავლობაში ტემპერატურა 43-ზე უნდა ავიყვანოთ). პროცედურის ხანგრძლივობა 10 წუთია.

● სურდოს კარგად შველის ნივრისა და ნატურალური თაფლის (1:1) ნარევი, ამ თვითნაკეთი ელექსირის მიღება ღამითაა რეკომენდებული — 1 ს/კ ნარევს მიაყოლეთ გადადუღებული წყალი.

● არანაკლებ ეფექტურია თაფლისა და კენკროვანი ხილის ნაყენი: თითო-თითო ს/კ თაფლს, ასკილს, მოცხარს და მოცვს დაასხით 100 მლ მდუღარე წყალი და თბილ, ბნელ ადგილას გაჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში 15 წუთი. შემდეგ ეს ნაყენი მიიღეთ ჭამამდე, 1/2 ჭიქის ოდენობით, დღეში 2-3-ჯერ. გაითვალისწინეთ, ეს საშუალება უკუნაჩვენებია იმ პირთათვის, რომლებიც ფუტკრის პროდუქტების მიმართ მომატებული მგრძნობელობით გამოირჩევიან.

წურბლები ცხვირში

სურდოს სამკურნალოდ მრავალი საშუალება არსებობს, ისეთი ეგზოტიკურიც კი, როგორიცაა ჰირუდოთერაპია. სამ დღეში ერთხელ, წურბლებს ისვამენ ცხვირის ღრუს შესასვლელში არსებულ სპეციალურ წერტილებზე (პროცედურის დროს გამოიყენება 1-3 წურბელა). ამის შემდეგ, ცხვირი გაჭედილი აღარ გექნებათ, რადგან უმჯობესდება მიკროცირკულაცია, ხდება სისხლის გადანაწილება და თან, ადგილობრივი იმუნური მექანიზმების სტიმულაცია. მაგრამ ჰირუდოთერაპია მხოლოდ ექიმის დანიშნულებით და მისი მეთვალყურეობით უნდა ჩატარდეს, რადგან ზოგჯერ ამ მეთოდს არავითარი ეფექტი არ აქვს და პირიქით, ზიანის მოტანაც კი შეუძლია.

მზე კარგი მკურნალია

ვაზომოტორულ რინიტთან ბრძოლის საკმაოდ უჩვეულო მეთოდი გამოიყენებოდა ხმალთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების მკურნალების მიერ. ისინი რინიტების დროს მიმართავდნენ მკურნალობას მზის სხივების ათინათით. მეთოდი საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ ცუდია იმით, რომ მისი გამოყენება, როგორც ალბათ უკვე მიხვდით, მხოლოდ მზიან ამინდშია შესაძლებელი.

აიღეთ ნებისმიერი პატარა სარკე. უმჯობესია, თუ მას მრგვალი ფორმა ექნება, მიაბრუნეთ მზისკენ ზურგით, „დაიჭირეთ" მზის სხივი და „დაისვით" იგი ცხვირის ძგიდეზე. ამასთან, სარკე ცხვირიდან ისეთ მანძილზე უნდა იყოს დაშორებული, რომ მისგან არეკლილმა სხივებმა ცხვირი გაგითბოთ. პროცედურა გააგრძელეთ ცხვირში დისკომფორტის შექმნამდე. ეს დროს ყველასთვის ინდივიდუალურია, ზოგისთვის რამდენიმე წუთს შეადგენს, ზოგისთვის — ნახევარ საათს.

რჩევები

● არ შეიკავოთ ცემინება, რადგან ეს ორგანიზმის ნორმალური რეაქციაა და ცხვირის ღრუდან ვირუსის ლორწოს, ალერგენის გამოძევებას უწყობს ხელს.

● ცხვირი მოიწმინდეთ სწორად: ძალდატანების გარეშე, რიგრიგობით — ჯერ ერთი, მერე მეორე ნესტო. თანაც, როცა ერთ ნესტოს იწმენდთ, მეორე მჭიდროდ უნდა დახუროთ თითით.

● ერიდეთ ლორწოს წარმომქმნელი საკვების მიღებას, განსაკუთრებით რძისა და მისი პროდუქტების, ასევე რაფინირებული ნახშირწყლების (მზა, რძიან ფანტელებს, ფუნთუშებს, ნამცხვრებს და სხვა).

ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე

ოჯახური

თქვენთვის, ქალბატონებო!

შიში, რომელიც არ მამარითლება

მარინა ბაბუნაშვილი

ადამიანის ბუნება ასეთია, თუ ცხოვრებაში რაიმე სერიოზული პრობლემა შეხვდა, გამოსავლის პოვნას კი არ იწყებს, ცდილობს, იპოვოს ადამიანი, ვისაც ამ ყველაფერს გადააბრალებს... თეასაც ასე მოუვიდა. იგი შეშფოთებული იყო თავისი დის მომავლით, ამას კი მამას აბრალებდა.

რა იყო მისი შიშისა და შფოთვის მიზეზი, ამას ქვემოთ გიამბობთ და რადგან ინტერვიუს ჩაწერიდან წელიწადზე მეტი გავიდა და თეას ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეებიცაა, ამასაც „მეორე ამბავში" შემოგთავაზებთ.

ამბავი პირველი

„ჩემ არა მაშის გულგრილობა"

თეა და ნანა პატარაობაში დაობლდნენ. დედას არც უავადმყოფია, ისე უცებ გამოეცალა ხელიდან. გოგონებმა ძალზე მტკივნეულად გადაიტანეს დედის სიკვდილი, მაგრამ მათთვის მეორე დიდი ტკივილი მამის დაქორწინება იყო. მან ბერძენი ქალი შეირთო ცოლად, რომელიც თბილისში დაბადებულ-გაზრდილი იყო. მაშინ თეა 14 წლის იყო, ნანუკა კი — 10-ის. გოგონებმა დედინაცვალთან ცხოვრება არ ინდომეს და საცხოვრებლად ბებია-ბაბუასთან (დედის მშობლებთან) გადავიდნენ. მამა უყურადღებოდ არ ტოვებდა შვილებს, ფულსაც უტოვებდა სიდედრ-სიმამრს და კვირაში ერთხელ ბაზრიდან დატვირთულიც მიდიოდა მათთან. მერე გაჩნდა ზურიკო (ბერძენ ქალთან ბიჭი შეეძინა) და თეას ეჭვიანობაც იმ დღიდან დაიწყო. მას ეჩვენებოდა, რომ მამა სათანადო ყურადღებას აღარ აქცევდა გოგონებს. თეა უცხო ენების ინსტიტუტის პირველ კურსზე იყო, როცა ერთმანეთის მიყოლებით, ჯერ — ბებია, მერე ბაბუა გარდაეცვალა. მამამ სთხოვა, საცხოვრებლად მასთან გადასულიყვნენ, მაგრამ დებმა ცივი უარი სტკიცეს. სტუდენტობაშივე დაიწყო თეამ ბავშვების მომზადება და მალე კარგი სპეციალისტის სახელიც გაითქვა. როცა ნანუკამ სკოლა დაამთავრა, საბანკეტოდ თეამ გამოაწყო. სამწუხაროდ, ნანუკამ მაღალი ქულების დაგროვება ვერ მოახერხა, ამიტომ ის კომერციულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სწავლის ქირა იქნებოდა გადასახდელი. თეა საკმაოდ ამაყი აღმოჩნდა, მამას არასდროს სთხოვდა ფულს და ნანუკაც გაფრთხილებული ჰყავდა, — არ გამაგონო, რომ მასთან რამეზე დაიწუწუნოო. თეას უკვე დამთავრებული ჰქონდა უმაღლესი სასწავლებელი და მთელ დღეებს მოსწავლეებთან ატარებდა...

დედინაცვალმა 2002 წელს აიჩემა, ჩემს სამშობლოში ყველა ქართველმა მოითქვა სული და მე რატომ არ უნდა წავიდე საბერძნეთშიო?! მართლაც, მოახერხა და შვილთან ერთად, ნათესავების მიწვევით საბერძნეთში გაემგზავრა. ქმარს კი დაჰპირდა, რომ 2 წელიწადში მასაც წაიყვანდა. ორი წელი ცოტა გაიწელა და კაცმა მხოლოდ 2006 წელს მოახერხა გამგზავრება. წასვლის წინ გოგონები მოინახულა და უთხრა: თუ გინდათ, იმ ბინაში გადადით, სადაც ადრე ყველა ერთად ბედნიერად ვცხოვრობდით, ბებია-ბაბუის ბინა კი გააქირავეთ; თუ გინდათ, ისევ აქ დარჩით, ის ბინა გააქირავეთ და ფული მოიხმარეთ; იქიდან ჯერ ვერ დაგეხმარებით, რადგან წასვლისთვის საკმაოდ ბევრი ვისესხე და ვალი მაქვს დასაფარავი. თეა ამის გამოც გაუნაწყენდა მამას. თუმცა არაფერი უთქვამს. მას მიაჩნდა (და

ნანუკასაც ამას უნერგავდა), რომ დედის სიკვდილის მერე მამას ქალიშვილების მიმართ მშობლიური გრძნობა გაუნელდა.

თავის მეგობრებთანაც არ მალავდა, რომ მამაზე გულნატკენი იყო და ამბობდა: „ეჰ, სწორი ყოფილა, რომ ამბობენ, დედა რომ მოკვდება, მამა მამინაცვალი ხდებაო".

მამის გამგზავრების მერე ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა. თეა კვლავ ოჯახიდან ოჯახში დადიოდა ბავშვების სამეცადინოდ, ზოგი შინაც აკითხავდა. სწორედ, მამის „გულგილობას" და თავის მოუცლელობას აბრალებდა იმას, რომ ნანუკამ პატიმრობაში მყოფი თაზო შეიყვარა. ყველანაირად ეცადა, დაერწმუნებინა, რომ პატიმართან ურთიერთობით მომავალს იფუჭებდა, მაგრამ შეყვარებულ გოგოს არაფრის გაგონება არ სურდა. მობილურით დაწყებული ფლირტი დიდ სიყვარულში გადაიზარდა და ნანუკამ რამდენჯერმე კოლონიაშიც მოინახულა გულის სწორი.

ამონარიდი წერილიდან: *„თაზო 28 წლისაა. ტელეფონით მეც ვესაუბრე. თავაზიანად, მოწიწებით მელაპარაკა — ნანუკა ღმერთმა გამომიგზავნა, ჩემი სიცოცხლეა და ნუ ეცდებით, დაგვაშოროთ; მალე გამოვალ და ერთად ვიქნებით, ხელისგულზე ვატარებ, არაფერს მოვაკლებ; შეცდომა ყველას მოსდის. მეც უნდა მაპატიოთ ის შეცდომა, რისთვისაც აქ მოვხვდიო.*

თაზო ნანუკას ხშირად უგზავნის ფულს — რაც გინდა, ის იყიდეო. ვერ გამიგია, საიდან აქვს ამდენი ფული პატიმარს? მუშაობს თუ რა?! ნანუკას არაერთხელ ვთხოვე, ხელი არ ახლო მაგ ფულს-მეთქი, მაგრამ ვინ მოგისმინა? თებერვალში 19-ის გახდა და 19 წითელი ვარდი მოუტანა ვილაცამ — თაზომ გამოგიგზავნაო".

ჩემი და თეას ინტერვიუც აქ შეწყდა — ანუ იმის მოლოდინში, რომ თაზო მალე გათავისუფლდებოდა და მერე?.. აი, მერე რა იქნებოდა, სწორედ ეს აშინებდა უფროს დას.

ამგავი მეორე „ის საიმედო ადამიანი აღმოჩნდა"

თეა ისეთი შეშინებული აღარ მეჩვენა, როგორც ერთი წლის წინ. ალბათ იმიტომ, რომ მისი ეჭვები არ გამართლდა...

— ხომ დარწმუნდი, რომ წინასწარ ნერვიულობა არ ღირს?! — ვეუბნები მას.

— მართალი ხარ, მაგრამ როცა გაურკვეველი სიტუაციაა, მომავალიც მუქ ფერებში გესახება. მიმაჩნდა, რომ კარგი არაფერი ხდებოდა ჩემს თავს და ამიტომაც ვიყავი ასეთი შეშინებული. მამა საბერძნეთში იყო. ჩემს დას პატიმარი უყვარდა და მის მოსანახულებლად კოლონიაში დადიოდა. აბა, რა ჭკუაზე უნდა ვყოფილიყავი? ნანუკას ხან ვეჩხუბე, ხან დავუყვავე თაზოს გამო, მაგრამ ვერაფერი შევასმინე და მამაზე ვიყარე ჯავრი. დავურეკე და ცხელ გულზე ისეთი რამეები ვუთხარი, რაც არ უნდა მეკადრებინა. მამა ძალიან განერვიულდა, ნანუკას სთხოვა, არ აჩქარდე, თორემ ერთი არასწორი ნაბიჯით მთელ ცხოვრებას გაიფუჭებო. თაზო კი ძველებურად ანებივრებდა ჩემს დას. მობილურზე თანხას სისტემატურად ურიცხავდა, საჩუქრებს უგზავნიდა და ა.შ.

— რა დანაშაული ჰქონდა თაზოს ჩადენილი?

— მოპარული მანქანები მასთან მიჰყავდათ, ის კი ვლადიკავკაზში ყიდდა. თაზო ამას ბიზნესს ეძახდა, თუმცა მოგვიანებით აღიარა, რომ ეს არ იყო კარგი და პატიოსანი ბიზნესი... მოკლედ, თაზო 9 წლის ნაცვლად, 5 წელიწადში გათავისუფლდა. თვითონ ამბობდა, რომ პატიმრობის ბოლო წელიწად-ნახევარი გაუჭირდა ყველაზე მეტად — ანუ ის პერიოდი, როცა ნანუკა გაიცნო და შეუყვარდა. ნანუკამ კი იცოდა, რომ ზაფხულში უნდა გათავისუფლებულიყო, მაგრამ ზუსტი თარიღი არ იყო ცნობილი. კვირადღე იყო, მეც შინ ვიყავი, აბიტურიენტი უნდა მოსულიყო ჩემთან. კარზე ზარის ხმა გაისმა. ნანუკას გავძახე, — შენ გააღე-მეთქი. უეცრად ნანუკას კივილი მომესმა. ისე შემეშინდა, სისხლი გამეყინა ძარღვებში. გავვარდი და რას ვხედავ! თაზო დგას კარის ზღურბლთან დიდი, ულამაზესი თაიგულით ხელში და ამ ჩემს აწიოკებულ დას უღიმის. ვერც ერთი და ვერც მეორე ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. იმხელა სიყვარული იღვრებოდა ახალგაზრდა კაცის თვალებიდან, გული მომეწურა. მოვკიდე ხელი და შინ შემოვიყვანე. გარეგნობითაც მომეწონა და ქცევებითაც. ანუკას დაჰპირდა, ივლისის ბოლოს ანტალიაში წავიდეთ და დავისვენოთ, მანამდე კი ჯვარი დავიწეროთ და პატარა ქორწილიც გადავიხადოთო. თაზო არ ყოფილა ხელწამოსაკრავი პიროვნება, ბევრი კარგი მეგობარი ჰყოლია, რომელიც გაჭირვებაში ჩავარდნილს ყოველთვის ხელს უმართავდა. მისი ოჯახიც ძალიან მომეწონა. ნათესავები შევყარე. მამასაც გავაგებინე, — ნანუკა გვითხოვდებამეთქი. სულ არ ველოდი, რომ ჩამოსვლას მოინდომებდა, მაგრამ ჯვრისწერამდე სამი დღით ადრე ჩამოვიდა ზურიკოსთან ერთად. უამრავი საჩუქარი ჩამოგვიტანა — მასაც და მეც. ისეთი ემოციური იყო ჩვენი შეხვედრა, სიტყვით ვერ გადმოგცემთ. ამდენი წლის მანძილზე ჩემს გულში არსებული ყინული ერთბაშად გალღვა. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. ივლისის ბოლოს თაზო და ნანუკა ანტალიაში გავაცილეთ. მერე მამა და ზურიკოც წავიდნენ და დავრჩი მარტო, მაგრამ სიცარიელეს აღარ ვგრძნობდი, რადგან სიმშვიდე დამეუფლა. ომი რომ დაიწყო, თაზო მთხოვდა, ბილეთს დაგიჯავშნი და შენც ჩვენთან წამოდიო, მაგრამ იმედი მქონდა, ეს ორომტრიალი მალე დასრულდებოდა. ახლა თაზო და ნანუკა ცალკე ცხოვრობენ, მეც ყურადღებას არ მაკლებენ. ბავშვს მარტის დასაწყისში ელოდებიან. წყვილი მართლაც ბედნიერია. თაზო არაჩვეულებრივად საიმედო, თბილი და მოსიყვარულე ადამიანი აღმოჩნდა.

„ეს სიყვარულია თუ ანომალია?"

„ვეხმაურები წინა ნომერში დაბეჭდილ წერილს, „სიყვარული ყოველთვის როდი გვამაღლებს"?! ალბათ, დიდი გრძნობა ათასი რამისკენ გიბიძგებს, კარგისკენაც და ცუდისკენაც. ცუდისა რა გითხრათ, მაგრამ სიყვარულმა მეც უცნაურ ბადეში გამხვია. თავმოყვარე და ამაყი გოგო ვიყავი ყოველთვის (მე მგონი, ახლაც ვინარჩუნებ ამ ღირსებებს), მაგრამ საკუთარ თავზე მაინც ვბრაზდები, რადგან ვერ ვერევი ჩემს გრძნობას. ნეტავ, ასეთი რა სჭირსო? — იფიქრებთ ჩემზე. ახლავე მოგახსენებთ... შემიყვარდა ბიჭი, რომელთანაც არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. დავინახე და თითქოს ცხელმა ტალღამ გადამიარა. იმ დღიდან, თვალს მოვკრავ თუ არა, ელეთმელეთი მემართება. ჩემმა მეგობრებმაც იციან ამ უცნაური გრძნობის შესახებ. ყველა გაფრთხილებული მყავს, რომ ბიჭს არაფერი არ აგრძნობინონ, მაგრამ დაფარული, ხომ იცით, არაფერი რჩება. მან გაიგო ჩემი სიმპათიის შესახებ, თუმცა თავს იკავებს, რომ პირველი ნაბიჯი გადმოდგას, ეტყობა, მე მელოდება. მე კი სიამაყე არ მაძლევს იმის უფლებას, პირველი გამოვუტყდე სიყვარულში და უკვე წელიწადზე მეტია, ასეთ დღეში ვარ. არადა, ჩვენს სასწავლებელში საკმაოდ პოპულარული ბიჭია, თანაც დიდი მექალთანე. არ მახსოვს, გოგონას გარეშე მენახოს. არ ვიცი, ცალმხრივ გრძნობას შეიძლება კი დიდი სიყვარული ეწოდოს? ამას წინათ, მეგობარმა გოგონებმა მითხრეს, ერთ ჩვენს კურსელს უყვარხარო, მე კი არავის გაგონება არ მინდა. ოცნებად გადამექცა იმ ბიჭის გვერდით ყოფნა, რომელსაც ნორმალურად არც კი ვიცნობ. მითხარით, ამას რა ჰქვია? ალბათ, ანომალია, არა?

ლ.მ. თბილისი".

„ნუთუ, არ არსებობს ერთგული მამაკაცი?"

„მინდა, დეიდაჩემის ამბავი მოგიყვეთ.

დეიდა ნატა ულამაზესი ქალია დღესაც. ახლა იგი 50 წლისაა. 18 წლის იყო, როცა თენგო ბიძიამ მოიტაცა. ჩემი ბებია-ბაბუა სულ სხვა მომავალს უმზადებდა უმცროს ქალიშვილს (მე უფროსის შვილი ვარ), სულაც არ აპირებდნენ მის გათხოვებას. ეს იცოდა თენგომ, ამიტომ შუამავლები აღარ მიუგზავნია, დახვდა გზაზე და წაიყვანა. ნატასაც უყვარდა, აღარ აუტეხავს წივილ-კივილი და ასე შექმნეს ბედნიერი და სამაგალითო ოჯახი. იცით, როგორ უყვარდათ ერთმანეთი? — აღმერთებდნენ ერთურთს და ამას ყველგან გამოხატავდნენ. ვაჟკაცი კაცი იყო ბიძაჩემი. ზოგიერთს ცოლისადმი სიყვარულის გამოხატვა რატომღაც ეთაკილება ხოლმე. თენგოს კი არასოდეს დაუმალავს, რომ ნატა უსაზღვროდ უყვარდა. სამი შვილი შეეძინათ — ორი ვაჟი და ერთიც გოგონა. თენგო ბიძია ამ ოთხი წლის წინ ავტოავარიაში დაიღუპა. არავის გვეგონა, ნატა დეიდა ამ ტრაგედიას თუ გადაიტანდა. ლამის საფლავში ჩაჰყვა ქმარს. საფლავზე მარტო არ ვუშვებდით, რადგან ვიცოდით, თავს მოიკლავდა ტირილით. ოქტომბრის ერთ-ერთ შაბათ საღამოს აგვიტყდა, სიზმარი მაქვს ნანახი, ახლა უნდა წავიდე საფლავზეო. მე და სოფოც გავყევით, აბა, რა უნდა გვექნა?! თენგო ბიძიას საფლავს რომ მივუახლოვდით, შორიდანვე დავლანდეთ ახალგაზრდა ქალი და პატარა, ასე 5-6 წლის ბიჭი. ქალი 30 წლამდე იქნებოდა, შავები ეცვა. საფლავის კუთხეში მიმჯდარიყო და ტიროდა. ბიჭი ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. ნატა დეიდა გაოცებული მიუახლოვდა საფლავს. ჩვენც არანაკლებ გაკვირვებულები ვიყავით. ბიჭმა ჩვენ რომ დაგვინახა, დედისკენ გაიქცა. ქალი არ მოგველოდა. აშკარად შეცბა და წასასვლელად მოემზადა. ვინ ბრძანდებითო? — ჰკითხა ნატამ. — მისი ძველი ნაცნობი ვარ, ერთად ვმუშაობდითო, — აშკარად დაბნეული პასუხობდა ქალი...

რაღა ბევრი გავაგრძელო და, ის ქალი და ბიჭი თენგო ბიძიას საყვარელი და შვილი აღმოჩდნენ. საოცარია პირდაპირ, ხომ ასე ძალიან უყვარდა დეიდაჩემი, იმ ქალთან რაღას დადიოდა ან შვილს რატომ აჩენინებდა? მერე სხვებისგან გავიგეთ, რომ იმ ქალს, გურანდას, არასოდეს აკლებდა ყურადღებას. მათ თურმე დიდი ხნის ნაცნობობა არ აკავშირებდათ, მაგრამ მართლაც ერთად უმუშავიათ; ახალგაზრდა ქალს ძალზე შეჰყვარებია ასაკით უფროსი მამაკაცი და სიყვარულშიც გამოსტყდომია. თენგოც არ დარჩენილა გულგრილი ამ აღსარებით და მათი ურთიერთობა ასე გაღრმავებულა.

ნატა დეიდა ამ ახალი ამბით ისეთი შოკირებული იყო, არც გაბრაზება ეტყობოდა, არც შეურაცხყოფა. სოფომ და მისმა ძმებმა პატარა გიორგი შინ მიიყვანეს და ახლა, კვირა არ გაივლის, ძამიკო არ ინახულონ და საჩუქრებით არ აავსონ. ამ ყველაფრის მერე კი ბუნებრივია, გამიჩნდა კითხვა: არსებობს ამქვეყნად ბოლომდე ერთგული და უღალატო კაცი?

ელენე ქუთაისი".

„ვიგეს ყოველთვის თვალდასუჭული ვენდობოდი“

გიგა ჩიხლაძე საოცრად ნიჭიერი და ენერგიული კაცი იყო. ალბათ, ამიტომ, ყველაზე მეტად მოერგო ჟურნალისტურ ცხოვრებას. სტუდენტობიდანვე დაიწყო მუშაობა. მუშაობდა გაზეთ „კლაქსონის“ რედაქციაში, მერე სააგენტოებში, ბოლოს „ალანიის“ საინფორმაციო განყოფილების უფროსი იყო, პარალელურად, „ნიუსუიკის“ მოსკოვის ბიუროსა და ფრანგულ რადიოსთანაც თანამშრომლობდა. ერთი სიტყვით, ჟურნალისტად გახლდათ დაბადებული და თავისი საქმე უსაზღვროდ უყვარდა.

აგვისტოს ომის დროს ჟურნალისტები ცხელ წერტილებში იმყოფებოდნენ და იქ ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას.

ცნობილია, რომ ომისა და კონფლიქტების დროს ბევრი ჟურნალისტი დაღუპულა და დაზარალებულა. გამონაკლისი არც წლევანდელი აგვისტო აღმოჩნდა.

ომის დაწყებისთანავე შემზარავი ინფორმაცია ელვისებურად გავრცელდა — ცხინვალის შესასვლელში ოსებმა გიგა ჩიხლაძე და საშა კლიმჩუკი („ალანიის“ ოპერატორი) დახვრიტესო. ეს ყველასთვის შემზარავი ფაქტი გახლდათ. ექიმი და ჟურნალისტი ხომ ყველგან ხელშეუხებელი უნდა იყოს?

ნატა მუმლაძე
(გიგა ჩიხლაძის ქვრივი):

— როგორც კი ომი დაიწყო, გული მიგრძნობდა, რომ გიგა თბილისში ვერ მოისვენებდა, ვერც გორის შტაბბინაში (ჟურნალისტები იქ იყვნენ თავმოყრილები) გაჩერდებოდა დიდხანს. იგი მუდამ მოვლენების ეპიცენტრში იყო, მუდამ ექსკლუზიურს და განსხვავებულს ეძებდა.

ბავშვები ჩემს მშობლებს აგარაკზე დავუტოვე, 8 აგვისტოს კი თბილისში წამოვედი. გიგა საღამოს რომ არ გამოჩნდა, ცოტა შევშფოთდი, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდი; ვფიქრობდი, ალბათ გორშია და მასალას ამზადებს-მეთქი. იმ დღეებში მობილურით ძალიან ჭირდა დაკავშირება. „ალანიაში“ დავრეკე და მითხრეს, საშასთან და კიდევ ორ ჟურნალისტთან ერთად ცხინვალისკენ წავიდაო. მოსვენება დავკარგე. კარგი არაფერი ხდებოდა და ძალაუნებურად, ცუდისა და უსიამოვნოსკენ გამირბოდა ფიქრი. 9 აგვისტოს, ცნობილი გახდა გიგასა და საშას (ისინი მეგობრები იყვნენ) დახვრეტის ამბავი. ათი დღე მოვუნდით მოლაპარაკებებს... მათი ცხედრები ცხინვალის საავადმყოფოს პროზექტურაში იყო. თავად, იმ ოსებს გადაუსვენებიათ იქ, რომლებმაც ისინი დახვრიტეს. მოგვიანებით, რომ გაიგეს, ჟურნალისტები მოუკლავთ, „ინამუსეს“ და ქუჩაში აღარ დატოვეს.

გიგა ჩიხლაძე მუდამ ახალ-ახალი იდეებით იყო აღსავსე. ომის დაწყებამდე პროექტი მოამზადა. ეს გახლდათ ჟურნალი სავარაუდო



სახელწოდებით — „ქალი საჭესთან“. მამაკაცთა ინტერესის სფეროს ხომ მუდამ წარმოადგენდა ქალი და ავტომობილი. ასე რომ, გიგა ფიქრობდა, ჟურნალი არა მარტო ქალებს, კაცებსაც დაინტერესებდა. პროექტში გათვალისწინებული იყო ყველა საკითხი, რაც კი ქალსა და მანქანას უკავშირდება. გიგამ პროექტი „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის ხელმძღვანელს წარუდგინა. პროექტი მოიწონეს და გადაწყდა, რომ ჟურნალი ჯერ „რეიტინგის“ ჩანართი იქნებოდა (ისევე, როგორც „გზავნილებია“ „გზის“ ჩანართი), მერე კი დრო აჩვენებდა, შეიძლებოდა თუ არა მისი დამოუკიდებლად არსებობა. „რეიტინგის“ რედატორთან, მანანა ღოღობერიძესთან პირველი საქმიანი შეხვედრა და შეთანხმება აგვისტოს შუა რიცხვებში უნდა შემდგარიყო, მაგრამ...

ცხოვრება გრძელდება, მართალია, ცრემლითა და სევდით, მაგრამ მაინც იმედითა და მიზნით...

ნატა მუმლაძემ სამედიცინო ინსტიტუტი კი დაამთავრა, მაგრამ მეუღლის მსგავსად, ისე უყვარდა დინამიკური ცხოვრება, რომ მეორე პროფესიად ჟურნალისტობა აირჩია. ნატამ და გიგამ ხომ „რია-ნოვოსტის“ სააგენტოში გაიცნეს ერთმანეთი. 2 წელი გაგრძელდა მათი რომანი, მერე კი — 1999 წელს დაქორწინდნენ.

ნატა მუმლაძე:

— გიგასთან გატარებული ყოველი დღე საოცრად ლამაზი და მიმზიდველი იყო. ეს იმიტომ, რომ თავად გიგა იყო საინტერესო, მუდამ ხალისიანი და იუმორით აღსავსე. ჩემი ოცნებაა, გიგას ჩანაფიქრს ფრთები შევასხა და მისი დაწყებული პროექტი გავაგრძელო. მას მიაჩნდა, რომ „ქალი საჭესთან“ საინტერესო საკითხავი იქნებოდა. მას არაჩვეულებრივი ჟურნალისტური ალღო ქონდა, ყოველთვის თვალდახუჭული ვენდობოდი ოჯახშიც და პროფესიულ საქმეშიც. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისი პროექტი ყველას დაინტერესებს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ხელმძღვანელებთან შეთანხმებით არჩევანი ამ სახელწოდებაზე შეჩერდა — „ქალბორბალა“. ვფიქრობ, ამ სიტყვაში კარგად ჩანს ის შინაარსი და მიმართულება, რომელსაც სულ მალე გაეცნობა ჩვენი მკითხველი.

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით mbabunashvili@mail.ru

ჯეროდ ჰაჰჯარჰჯალი ჰარჩელო ჰასტროიანი და „ჯაკინ ლენავი“

დასაწყისი იხ. „გზა“, №45

...მოახლოებული ბედნიერებით მთვრალი, საუკეთესო განწყობილების მქონე მარჩელო წითელი „იაგუარით“ მიქროდა ნიცისკენ მიმავალ გზაზე და მხიარულ, იტალიურ მელოდიას ღიღინებდა, თან უკანა ხედვის სარკეში ხშირ-ხშირად იყურებოდა და საკუთარ ორეულს თვალს უკრავდა. საბარგულში 2 ყუთი შამპანური ედო, რომელიც ერთმანეთთან შეხებისას ზარივით ხმას გამოსცემდა; უკანა სავარძელი ყვავილებით ჰქონდა სავსე, ჯიბეში კი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ედო.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მარჩელო კატრინთან ხელის სათხოვნელად მიდიოდა. მან მთავარი გზიდან უკვე გადაუხვია. წინ მოხუცი ქალი შეხვდა, რომელიც სახვევებში გამოკრულ თოჯინას ისე ანანავებდა, თითქოს ხელში ცოცხალი ბავშვი ეჭირა. ამის შემხედვარე მარჩელოს გული მოეწურა. მოხუცის გზაზე დახვედრა ცუდად ენიშნა, საჭეზე სამჯერ დააკაკუნა, მხარს ზემოთ სამჯერ გადააფურთხა და სარკეში საკუთარ ორეულს გაუღიმა.

ნახევარი საათის შემდეგ, როდესაც მას კატრინისთვის ყველაფერი ნათქვამი ჰქონდა, გაოგნებული უყურებდა, როგორ აესახა ქალს, ბედნიერების ნაცვლად, სახეზე ჯერ შიში, შემდეგ — შეძრწუნება. თითქოს მამაკაცი ხელის სათხოვნელად კი არა, სამტროდ მისულიყო.

მომდევნო ნახევარი საათის შემდეგ მარჩელო თაიგულებს წყალში ერთმანეთის მიყოლებით ყრიდა და თვალცრემლიანი უყურებდა, როგორ მიჰქონდა ისინი დინებას.

კატრინმა მას ბოლომდეც კი არ მოუსმინა, ისე უთხრა: „ეს შეუძლებელია!“; შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და პარიზში გაემგზავრა.

აქამდე მარჩელოს არც ერთი საყვარლის ცოლად მოყვანის სურვილი არ გასჩენია. ფეი დანაუეის სწორედ იმიტომ დაშორდა, რომ ამ უკანასკნელმა მათი ურთიერთობის კანონის ფარგლებში მოქცევა მოითხოვა. კატრინმა კი მისი წინადადება უარყო. თუმცა, მისმა უარმა მარჩელოს ვნება უფრო გაუცხოველა.

მარჩელო შინ დაბრუნდა. მისი ცოლი, ფლორა ფიქრობდა, რომ ეს წკიპურტი ქმარს გონზე მოიყვანდა და მისკენ მოაბრუნებდა, მაგრამ ცდებოდა. მარჩელომ ჭრილობა ოდნავ მოიშუშა თუ არა, პარიზში გაემგზავრა და დაგეგმილი გადაღებები ჩაშალა.

...და აი, 1971 წლის შემოდგომის მთავარი სენსაცია: კატრინ დენევი მარჩელოსგან ფეხმძიმედაა! როდესაც ჯულიეტა მაზინამ ეს ამბავი შეიტყო, ფელინის უთხრა: „საბრალო მარჩელომ უკანასკნელი ხერხი იხმარა კატრინის დასამორჩილებლად“.

მართლაც, მარჩელო ბედნიერებისგან ბრწყინავდა. ყველაზე მეტად კი ის უხაროდა, რომ კატრინი ბედნიერად გამოიყურებოდა. მას არასოდეს ენახა ქალი ასეთი გალაღებული და გახარებული.

კატრინი და მარჩელო ყოველდღე დადიოდნენ მაღაზიებში და ყველაფერს, რაც კი მოეწონებოდათ, ყიდულობდნენ. პარიზის უნივერმაღლების მომსახურე პერსონალი სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს, როგორ ირჩევდა ცნობილი წყვილი ბავშვის საფენებს, პერანგებს, კომბინეზონებს, სათამაშოებს, ფარდებსა და საწოლის გადასაფარებელს. კატრინი თავის დაქნევით მიუთითებდა მოწონებულ ნივთზე, მარჩელო კი მოითხოვდა, რომ ის ნივთი მის ანგარიშზე ჩაეწერათ.

მარჩელო წამითაც არ შორდებოდა კატრინს და ექიმთანაც კი დაჰყვებოდა. მომავალი მამა ექიმებს ათასგვარი კითხვით აწუხებდა; მოითხოვდა, რომ ფეხმძიმობის განვითარების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მიეწოდებინათ. კლინიკაში ყოველი ვიზიტის შემდეგ, მათ, კართან უამრავი ჟურნალისტი ხვდებოდა. მარჩელო თავს ვერ იკავებდა, რომ მათთვის დაწვრილებით არ ეცნობებინა ყოველი სიახლე.

1971 წლის 28 მაისს ქვეყანას შარლოტა მასტროიანი მოევლინა. ამ დროს მარჩელოს 50 წელი შეუსრულდა. მან მთელი ვაგონი შამპანური იყიდა და ქუჩაში გამვლელებს დაურიგა. „მე ქალიშვილი შემეძინა!“ — მთელი ხმით გაყვიროდა ის და ბედნიერებას ასხივებდა. შარლოტა ბოლომდე მამის უსაყვარლეს გოგონად დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მარჩელოს ცოლთან ერთი გოგონა და უამრავი უკანონო შვილი (რატომღაც მხოლოდ გოგონები) ჰყავდა. მას ხშირად ავიწყდებოდა შვილების სახელები, და ისიც, ვინ — ვისი შვილი იყო... შარლოტას მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს ახსნას თავადვე უძებნიდა: „მის დედას ვაღმერთებდი“.

მარჩელო გრძნობდა, რომ კატრინის მონადირება ბოლომდე მაინც ვერ შეძლო. ის ხშირად იხსენებდა იმ დღეს, როდესაც კატრინთან შინ მივიდა. ბუხრის თავზე უამრავი ამულეტი იდო, რომელსაც კატრინი გვერდიდან არ იშორებდა მას შემდეგ, რაც მისი და ავტოკატასტროფაში დაიღუპა. 24 წლის კატრინმა დის სიკვდილი მტკივნეულად განიცადა — გაცილებით მტკივნეულად, ვიდრე ბავშვობაში დედის სიკვდილი. მაშინ კატრინმა უთხრა: „ჯერ დედის და მერე დის სიკვდილმა შემაშინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონია, რომ მეც მოვკვდები. ძალიან მეშინია ტკივილის. ნებისმიერი სიყვარულის უკან კი დიდი ტკივილი და საბოლოოდ — სიკვდილი იმალება".

მარჩელომ თავისი განცდების შესახებ მეგობარს, ფელინის უამბო. „თუ მისი დაკარგვა არ გინდა, სასწრაფოდ უნდა დაქორწინდე", — ურჩია მან. მარჩელოს იმედი ჰქონდა, რომ საერთო შვილი კატრინის თანხმობის საწინდარი იქნებოდა. თანაც, მშობიარობის შემდეგ კატრინი მოლბა, უფრო დამყოლი გახდა. მარჩელომ გადაწყვიტა, თავისი კაცური თავმოყვარეობისთვის გადაებიჯებინა და კატრინისთვის ხელი ხელმეორედ ეთხოვა. მან თვალდახუჭულმა შეარჩია დღე, როცა ეს უნდა გაეკეთებინა და აი, ეს დღეც დადგა.

კატრინი და მარჩელო თავიანთ საყვარელ ნიცაში მიემგზავრებოდნენ. საჭესთან მჯდომმა კატრინმა შენიშნა, რომ უკან პაპარაცი ასდევნებოდათ და უზომოდ განრისხდა. მარჩელო ამაოდ ცდილობდა მის დამშვიდებას. როდესაც მანქანებს შორის მანძილი მინიმუმამდე შემცირდა, კატრინმა მკვეთრად დაამუხრუჭა და უკანა მანქანას კაპოტი დაუზიანა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, მაგრამ მარჩელო გაოგნებული იყო მომხდარით. მას ლამის გულმა უმტყუნა. კატრინმა ადგილზე მოსულ პოლიციელებს უთხრა, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევისთვის სასამართლოში ჩივილს აპირებდა. მასტროიანი მიხვდა, რომ ხელის სათხოვნელად შესაფერისი მომენტი არ იყო, მაგრამ ნიცაში, შინ მისულმა სხაპასხუპით ჩაილაპარაკა: „თანახმა ხარ, ცოლად გამომყვე?"

იმავე საღამოს ცოლს დაურეკა და უთხრა, რომ გული აწუხებდა. ბოლოს დაამატა: „მან ისევ უარი მითხრა".

ხელმეორე უარის შემდეგ მარჩელო დანაღვლიანდა. თუმცა, კატრინს ის არ გაუგდია, წყვილი კვლავ ერთად ცხოვრობდა. მარჩელოს აღარ სჯეროდა, რომ კატრინს უყვარდა.

მსახიობმა სმა დაიწყო და მეგობრებს სულ უფრო ხშირად ეუბნებოდა, რომ სიკვდილი სწყუროდა. ერთხელ, იახტაზე ყოფნის დროს უგონოდ დათვრა და მიშელ პიკოლიმ ძლივს დააკავა, როდესაც წყალში გადახტომას ცდილობდა.

1963 წელს კატრინმა როჟე ვადიმისგან ვაჟი გააჩინა და ქორწინებაზე მასაც უარი უთხრა. არადა, სწორედ ვადიმის დამსახურება იყო, კატრინს უკვე მთელი მსოფლიო რომ იცნობდა. სწორედ ვადიმმა გადაიღო ის პირველ ფილმში. როდესაც კატრინი დაორსულდა, რეჟისორმა მას ქორწინება შესთავაზა და... ვადიმი ამბობდა, რომ კატრინი მას დათანხმდა. ისინი ტაიტიზეც გაემგზავრნენ, რათა ეგზოტიკურ ქვეყანაში დაქორწინებულიყვნენ. გზად ერთ-ერთ სასტუმროში შეჩერდნენ. ნომერში ტელეფონი აწკრიალდა. ვადიმის ყოფილი ცოლი, ანეტი რეკავდა. მან ქმარს განუცხადა, რომ თუ კატრინზე დაქორწინებას გაბედავდა, შვილზე მეურვეობაზე უარს ეტყოდა. კატრინმა მათი საუბარი მოისმინა და ვადიმს უთხრა: „მე არ მინდა, ვინმეს ტკივილის მიზეზი ვიყო". 20 წლის ასაკში მან მარტოხელა დედობა ამჯობინა.

მარჩელომ ეს ამბავი შემთხვევით, ერთ-ერთი ჟურნალიდან შეიტყო და გაახსენდა, რომ ერთხელ კატრინი სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო. ის და კატრინი ერთ-ერთ სასტუმროში იყვნენ, როდესაც ფლორამ დარეკა და უთხრა, რომ თუ შინ არ დაბრუნდებოდა, შვილთან ურთიერთობას აუკრძალავდა. რას გრძნობდა ამ დროს კატრინი? მან თავი კვლავ დამნაშავედ იგრძნო, რადგან ოჯახის დანგრევის მიზეზი გახდა. ბუნებრივია, რომ საკუთარი ოჯახის შექმნაზე უარს ამბობდა. ხომ შეიძლებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ოჯახიც დანგრევის საშიშროების წინაშე დამდგარიყო? სწორედ მაშინ, კატრინმა ერთი ფრაზა წარმოთქვა, რომლისთვისაც მარჩელოს მნიშვნელობა არ მიუნიჭებია: „ყოველთვის მეშინოდა და ახლაც მეშინია ისეთი ურთიერთობების, რომელიც შესაძლოა გართულდეს, რადგან სამყაროში 2 შეყვარებული ადამიანის გარშემო უამრავი, მათთან დაკავშირებული ადამიანია. ამას კი იმედგაცრუებამდე და ცუდ დასასრულამდე მივყავართ".

ბოლო ერთობლივი ფილმის — „თეთრ ქალს ხელს ნუ ახლებ" გადასაღებ მოედანზე მასტროიანი და დენევი უკვე აშკარად ჩხუბობდნენ. ხოლო როდესაც შარლოტას 1 წელი შეუსრულდა, კატრინმა იმ საძინებელში, სადაც ისინი ასე ბედნიერები იყვნენ, განუცხადა: „ჩვენი ურთიერთობა ამოიწურა. მე აღარ მინდა ამ ფარსის გაგრძელება. ყველაფერი დასრულდა!" კატრინს მეტი აღარაფერი უთქვამს, ისე გაემგზავრა პარიზში, ამჯერად — სამუდამოდ.

მას მარჩელოსთვის შვილის მონახულება არასოდეს დაუშლია. ერთხელ კატრინმა გოგონა ლოსანჯელესში, გადაღებაზე წაიყვანა. ბრაზილიაში მყოფმა მარჩელომ ამის შესახებ შეიტყო თუ არა, მაშინვე შვილის მოსანახულებლად გაემგზავრა. მან გოგონა სასეირნოდ წაიყვანა. ჯერ ქალაქში იხეტიალეს, შემდეგ კინოთეატრში შევიდნენ და ნახეს ფილმი, სადაც მთავარ როლს კატრინი თამაშობდა. შუა ფილმის დროს შვილმა სთხოვა: „მამა, წავიდეთ, თორემ ძალიან მეცოდები. მთელი ფილმის განმავლობაში ტირი".

მას შემდეგ, რაც დენევი და მასტროიანი ერთმანეთს დაშორდნენ, მარჩელო კეთილმა და მიმტევებელმა ფლორამ ისევ მიიღო, კატრინი კი კვლავ მარტო დარჩა და 2 შვილს ზრდიდა. ვიდრე შარლოტა პატარა იყო, მარჩელო ხშირად ჩადიოდა პარიზში მის სანახავად და სადარბაზოსთან ჩასაფრებული ელოდა, როდის გამოვიდოდა ხელჩაკიდებული დედა-შვილი. შემდეგ თვალებგაშტერებული შეჰყურებდა ქალს, რომელმაც მის სიყვარულზე უარი თქვა.

დასასრული

დაჭიკვებული ამბავი

მოპარული და დაკარგული მილიონის შესახებ

ამ ზაფხულს ჩემს მეგობარს მოლდაველი სტუმარი ჰყავდა – ვადიმ ციპლაკოვი. ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო ვადიმი სამშობლოში გამგზავრებას ვერ ახერხებდა და საქართველოში ყარგა ხანს შემორჩა. რუსულად მშვენივრად ლაპარაკობდა და ქართველებთან ურთიერთობაც არ გასჭირვებია. აქ იმდენი ხანი დაყო, რომ დამეგობრებაც ჯი მოვასწარით. სულ იმას მეუბნებოდა, შენ როგორი ჟურნალისტი ხარ, ჩემგან ინტერვიუს რომ არ იღებ, უცხოელი ვარ და ნუთუ არ გაინტერესებს, საქართველოზე როგორი შთაბეჭდილება მაქვსო?

მარი ხაფარიძე

— თუ გინდა, გამოვიცნობ, რას ფიქრობ ჩემს სამშობლოზე, რა მოგეწონა და რა — არა, — შევთავაზე მოლდაველს.

— აბა, მიდი, მაგრამ როგორ მოახერხებ? — შემაგულიანა და თან ეჭვი გამოთქვა.

— მე შემიძლია, გიმკითხაო. თუ არ გჯერა, ყავა დალიე, — მივუთითე მის წინ მდგარ ქაფქაფა ყავის ფინჯანზე, — ფინჯანი გადააბრუნე და მე „ჩაგიხედავ“.

— მართლა? ესეც შეგიძლია?

— კი, მართლა, — თავი მორცხვად დავხარე.

— მაგარია, უნიჭიერესი ხარ, — გულით შემაქო.

ქება, რა თქმა უნდა, შევიფერე და ცოტა ხანში, როდესაც მისი ფინჯანი სამკითხაოდ მზად იყო, გამოცდილი მჩხიბავივით ჩავიჭყიტე ძირში და დავიწყე:

— აღფრთოვანებული ხარ ქართველების სტუმართმოყვარეობით. მართალია? — ისე ვკითხე, თითქოს მართლა გამოცნობა სჭირდებოდა, მის შთაბეჭდილებებს.

— კი, მართალია.

— ქართული კერძებიდან ძალიან მოგეწონა საცივი და ხინკალი. ესეც გამოვიცანი?

— კი, ესეც, — სახეზე გაკვირვება ეწერა.

— ფიქრობ, რომ ჩვენს კულტურულ ძეგლებს, რომლებიც უკვე დაათვალიერე, მოვლა-პატრონობა სჭირდება.

— „ვაუ!“

— გაოცებული ხარ ჩვენი ბუნების სილამაზით (რამდენიმე რაიონში ექსკურსიაზე იყო).

— მართალია. შენ იმას თუ მეტყვი, რა გავიფიქრე, როდესაც დასავლეთ საქართველო მოვინახულე?

— რა და... — დავფიქრდი, თან ფინჯანი შევაბრუნე და კარგად დავაკვირდი — გაიფიქრე, რომ დასავლეთის ბუნება ძალიან ჰგავს მოლდავეთის ბუნებას და ერთი გაფიქრება ისიც კი გაივლე გუნებაში, ნეტავ, ჩემს ქვეყანაში ხომ არ ვარო?!.

— „ვაااააუ“! მაგარია! როცა აღმოსავლეთი ვნახე?

— მაშინ გაიფიქრე, რომ შენს სამშობლოშიც ისეთივე ვენახებია, როგორიც აქ, მაგრამ ქართული ღვინო ასეთი კარგი რატომაა, ამას კი ვერ მიხვდი.

— კლასია! სუპერია! კიდევ რას მეტყვი? ჩემს პირად ცხოვრებაზე რა შეგიძლია, მითხრა?

— კიდევ? — აქ უკვე გავიჭედე, — კიდევ ის, რომ... გამდიდრების შანსი გქონდა და ხელიდან გაუშვი... — ალალბედზე წამოვროშე და პირდაპირ ათიანში გავარტყი.

— „ვააუ“! — მერამდენე „ვაუ“ იყო, დამეთვალა მაინც.

— ჰა, რას იტყვი? — „მკითხაობა“ დასასრულისკენ წავიყვანე.

— მაგარია, მაგრამ კიდევ ერთი კითხვა მაქვს და მორჩა.

— მიდი, — ახლა მე შევაგულიანე და არ შევიმჩნიე, რომ ცოტა ავღელდი. არ მინდოდა, ტყუილში გამოვეჭირე.

— ახლა ის მითხარი, ის შანსი რომ დავკარგე, მაგას სხვა ამბავი არ მოჰყოლია?

— მოიცადე, კარგად ვნახო, — ჭიქას უაზროდ ვატრიალებდი და ვცდილობდი, რაღაც ისეთი მეთქვა, რაც შესაძლებელი იყო, მართლა მომხდარიყო.

გონება დავძაბე. რადგან ასეთი კითხვა დასვა, ალბათ მართლა მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი. რა შეიძლება, ისეთი ბუნების ადამიანისთვის, როგორიც ვადიმია, მნიშვნელოვანი იყოს? — ლოგიკას მივყვებოდი — თუ ადამიანის ფსიქოლოგიის რაიმე გამეგება, ეს უნდა იყოს სიყვარული, გრძნობა, ქალი... აჰა... მგონი, საჭირო პასუხს მივაგენი...

— მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ სიყვარული გეწვია და შენი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა.

— „ვაააااააუ“! — ამსიგრძე „ვაუ“ პირველად გავიგონე.

— აჰა, ხომ გითხარი, ყველაფერს გავიგებ-მეთქი? — გავიბღინძე, როცა მივხვდი, რომ ათიანში მეორედ გავარტყი და ტყვია ტყვიაში ჩავსვი.

გაოცებილი ვადიმი პირდაღებული მიყურებდა.

— ნამდვილი ვანგა ხარ, — თვალების ფახულით მითხრა.

— ისე, საინტერესო იქნება იმ ამბის მოსმენა, როგორ დაკარგე გამდიდრების შანსი და როგორ იპოვე სიყვარული, — დრო ვიხელთე.

— ეს მართლაც საოცარი ამბავია, რომელსაც არავის ვუყვები, მაგრამ შენ ისეთი ნიჭი გქონია, რომ მოიწადინო, მაინც გაიგებ და ბარემ ჩემით მოგიყვები.

ახლა, მის მონაყოლს გადმოგცემთ. შესაძლოა, ცოტა დაუჯერებლადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ვადიმი ირწმუნება, რომ თითოეული სიტყვა ჭეშმარიტებაა და არავითარი სიცრუე.

— მილიონი დოლარი. წარმოგიდგენია, რამდენი ფულია? ამსტერდამი, ლონდონი, მონტე-კარლო, ღამის კლუბები, კაზინოები, ძვირფასი ავტომობილი, ვისკი, მთელი კასრი ვისკი... ქალები... — ნახვამდის, დავემშვიდობე ბანკის კართან მდგარ ლუიზას, ბანკის იურისტს. გულში კი სამუდამოდ გამოვემშვიდობე. მთავარია, თავი ხელში ავიყვანო და არავინ არაფერი შენიშნოს, ვფიქრობდი და გული ღამის ბუდიდან ამომვარდნოდა. კიშინიოვში ზაფხულის ცხელი საღამო იდგა. სიცხისგან დაღლილი ხალხი კაფეებსა და ბარებში იჯდა და სამუშაო საათების შემდეგ ისვენებდა. ნასიამოვნები სახით ცივ ლუდს წრუპავდნენ, მაგრამ ყველაზე ბედნიერი მე ვიყავი. ბანკს ნელ-ნელა ვშორდებოდი. იმ ბანკს, სადაც უკვე მოლარედ აღარ ვმუშაობდი, იმიტომ, რომ მუშაობა საერთოდ აღარ მჭირდებოდა. ერთ ხელში კეისი მეჭირა, რომელშიც 1 მილიონი დოლარი იდო. ყველაფერი წინასწარ მქონდა გათვლილი. ჩემს ნაქირავებ ბინაში ჩალაგებული ჩემოდანი და ყალბი პასპორტი „მელოდა“, რომელიც ადასტურებდა, რომ რუმინეთის მოქალაქე ვიყავი. ასევე „მელოდა“ ბილეთი კიშინიოვ-ბუქარესტის მატარებელზე. მატარებელი ღამის 11 საათზე გადიოდა. ჯერ საღამოს 6 საათი იყო. დრო ნელა გადიოდა და მოუსვენრობა მიპყრობდა. გამვლელები აზრზეც არ იყვნენ, რა იდო დიპლომატში. საიდან უნდა სცოდნოდათ? ლუდი მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე. სულ ცოტაც და, ჩეხური ლუდი, ლონდონური ნისლი და ბუდაპეშტში ექსკურსია გარანტირებული მექნებოდა. სულ მალე ევროპა შეისრუტავდა იმას, რაც დიპლომატში იდო.

სადგურში წასვლამდე ცოტა წავუძინე. ან როგორ მოვახერხე დაძინება? ახლაც მიკვირს. როგორც იქნა, ტაქსის გამოძახების დრო დადგა. დიასახლისს ბინის ქირა მაგიდაზე დავუტოვე და სახლის კარი გავიხურე.

როგორც იქნა, მივაღწიე სადგურამდე. მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. ბაქანზე შესვლამდე ბილეთი შემიმოწმეს და კეთილი მგზავრობა მისურვეს. აი, ჩემი მატარებელიც გამოჩნდა. თვალით მეთვრამეტე ვაგონი მოვძებნე და მისკენ გავემართე.

საპირისპირო მხრიდან მომავალი ლამაზი ქალი შევნიშნე. მაღალი, მუქი თმით, ირემივით მოდიოდა და თან ჩემოდანს მოაგორებდა. თვალი ვერ მოვწყვიტე. ის იყო, გავიფიქრე, ნეტავ, ასეთ მზეთუ-

ნახავს აქ რა უნდა-მეთქი? — რომ... ვიღაც მამაკაცმა მხარი ისეთი სიძლიერით გამკრა, უკან გადავყირავდი. ამ დროს კეისი ხელიდან გამიფრინდა და ზევით წავიდა. ბაქანზე მდგარ ბოძს შეეხეთქა და გაიხსნა. დასტებად შეკრული ფული ბაქანზე გაიშალა. მე კი ძირს ვეგდე. როდესაც წამოვდექი, პირველი, რაც დავინახე, ის ლამაზი ქალი იყო. როდესაც გავაცნობიერე, რაც მოხდა, შიშმა შემიპყრო. ბაქანზე მდგარი ხალხი ფულს დაესია.

— ხომ არაფერი იტკინეთ? — მკითხა ლამაზმა ქალმა და პერანგი ჩამომიფერთხა.

ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? მინდოდა, მივვარდნილიყავი და ხალხისთვის ფული ხელიდან გამომეგლიჯა. „რა ლამაზია", ვფიქრობდი იმ ქალზე. სიტუაცია უმართავი იყო. მე აღარაფრის შეცვლა შემეძლო.

— იქ რა ხდება? — იკითხა ქალმა და მოყაყანე ხალხისკენ გაიხედა. — ღმერთო ჩემო, რამდენი ფულია! — აღმოხდა მერე.

ტირილი მინდოდა, როცა ვხედავდი, როგორ ინაწილებდნენ ჩემს ფულს.

— კიშინიოვში პირველად ვარ, ხომ არ იცით, სად არის სასტუმრო „მეტროპოლი"? იქ ჩემს სახელზე ნომერია დაჯავშნული.

ეს მშვენიერი ქმნილება რაღა ახლა, აქ, ამ დროს გამომეცხადა? სადაც იყო, გული წამივიდოდა...

— დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი სადმე ქალაქგარეთ, პატარა, კერძო სახლში, მაგრამ მამაჩემი უარზეა. მამაჩემი დიპლომატია, მოლდავეთში საქმეზე ჩამოდის. მე ყოველთვის თან დავყავარ.

შემთხვევის ადგილზე უკვე პოლიციელებიც გამოჩნდნენ. ახლა საჭირო იყო, აქედან გამესწრო.

— გინდათ, ჩვენი ღირსშესანიშნაობები დაგათვალიერებინოთ? — ვკითხე ლამაზ ქალს და თვალებში ჩავხედე.

— სიამოვნებით, თქვენ ამის ორგანიზება შეგიძლიათ?

— ერთი წუთით, — ვუთხარი და ხალხში შევძვერი. 1-2 დასტა ფული ვიგდე ხელთ და უკან გამოვძვერი.

ახლა მილიონი აღარ მაღელვებდა, რადგან წინათგრძნობა მეუბნებოდა, რომ წინ რაღაც ძალიან კარგი მელოდა.

ლამაზ ქალთან დავბრუნდი, ჩემოდანი ჩამოვართვი, ჩემი ჩემოდანიც გამოვიყოლე და წამოვედი.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მოლდავეთში ასეთი რამ ყოველდღე ხდება. ხალხმა აღარ იცის, ფული სად წაიღოს და ასეთი გასართობი მოიგონეს. მაშ, თქვენ პირველად ხართ მოლდავეთში? ხვალვე საუკეთესო ადგილებს დაგათვალიერებინებთ. სხვათა შორის, მე ვადიმი მქვია.

— მე ნატალია ვარ, — მითხრა ქალმა და ისე გამიღიმა, ლამის გული წამივიდა.

ქუჩაში გამოვედით და ტაქსის ხელი ავუწიე. მე უკვე შეყვარებული ვიყავი და აღარც იმ მილიონზე მწყდებოდა გული.

მეორე დღეს, კიშინიოვთან ახლოს მდებარე ჩემს აგარაკზე დავპატიჟე და იმის მერე სულ ერთად ვართ. ნატალია ჩემი ცოლი გახდა. მისი დიპლომატი მამიკო ციხიდან თავის დახსნაში დამეხმარა და რამდენიმე მილიონიც მაჩუქა, რომ კარგი ბიზნესი წამომეწყო. ასე რომ, ახლა ყველაფერი კარგადაა და ამას ალბათ შენც დაინახავდი, ყავის ჭიქაში.

●

არსებობს თუ არა სიცოცხლე ქორწილების შემდეგ?

• ქორწინების შემდეგ სიცოცხლე არ არსებობს, რადგან ლუნამ მითხრა, — ადრე ლორელაი მწერდა და ახლა, რაც გათხოვდა, აღარ მწერსო. კაჭკაჭი.

• ეგ ჩემს ქმარს უნდა ჰკითხოთ. სულ იმას ამბობს, რაც ცოლად მოგიყვანე, ხელმეორედ დავიბადეო. ეი. — არსებობს! ლორელაი.

• ჰმ, სიყვარულის შემდეგ არ არსებობს სიცოცხლე და ქორწინების მერე ალბათ ნეშტიც აღარ იქნება. ასე, ასე... კაცთმოძულე ეშმაკუნა.

• კი, როგორ არა, მერე უკვე ბავშვები ხდებიან მშობლების მაცოცხლებლები. ტოპოლინა.

• ვინც ნამდვილი სიყვარულით ქორწინდება, მისთვის სიცოცხლე და ცხოვრება მერე იწყება. ყველას ვუსურვებ დიდ ბედნიერებას. მარი.

• არსებობს თუ არა სიცოცხლე ქორწინების შემდეგ? კი, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სტერვა" დედამთილი არ დაგხვდება ახალ სახლში. :-) პანდა9.

• ჩემი შორეული ნათესავი მლეროდა ხოლმე, დაქორწინებიდან მრავალი წლის შემდეგ: „ლალეები, ლალეები, რობიზონას ჭუკჭუკელა თვალეებიი... ლალეებიი, ლალებიი, ნათელას დაეთხაროს თვალებიი (რობიზონი თვითონ იყო, ნათელა — მეუღლე)". ჰოდა, ცოლს რომ თვალის დასაფსებად იმეტებ კაცი, დავიჯერო, ქორწილის შემდეგ სიცოცხლის არსებობისა? რა ვიცი, რა ვიცი... მე.

• ქორწინების შემდეგ სიცოცხლე ძალიან ლამაზია. აბა, რა სჯობს პატარა ბავშვებს, თბილ ოჯახს, ქმარი შინ რომ დაბრუნდება, ცოლი კი სადილს დაახვედრებს?! აუ, რა მაგარი იქნება, არა? სიკვდილის შემდეგ თუ არსებობს სიცოცხლე ნეტავ? ლამაზი თოჯინა.

>>> 11

როგორ უნდა მოიქცე, რომ საყვარელმა ქალმა ჩვენად არ გაქციოს

ურთიერთობისას ადამიანები რაღაცას გასცემენ და სამაგიეროს იღებენ. ურთიერთობა ხომ მუდმივი კომპრომისია. ქალებს მუდამ აქვთ თავიანთი მოთხოვნები. თუმცა, ზოგიერთი ძალზე ბევრს მოითხოვს.

ბრაფი თარხანი

ცხადია, რომ ქალის ბედნიერებას მამაკაცისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ნებისმიერი მამაკაცი ფრთხილად უნდა იყოს, რომ მისმა საყვარელმა ქალმა ზღვარს არ გადააბიჯოს და „ძალიან ბევრი“ არ მოითხოვოს.

ერთია, როცა მამაკაცს თავი რაინდად მიაჩნია და სულ სხვაა, როდესაც გრძნობს, რომ საყვარელი ქალის „საფულედ“ გადაიქცა. ასეთ დროს, ქალთან წარმატების მისაღწევად მოქნილი ქმედებაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მონად გადაიქცეს. მამაკაცმა მაშინვე არ უნდა თქვას — „არა“.

თუ ქალს მძღოლი სჭირდება, შეიძლება თუ არა, მიუჯდეს მამაკაცი საჭეს, თუ ისინი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე მიდიან? რა თქმა უნდა! შეიძლება თუ არა, წაიყვანოს მაღაზიაში, მეგობრებთან ერთად? არავითარ შემთხვევაში!



თუმცა, არსებობს გამონაკლისი. თუ საღამოს ის მეგობართან შემორჩა, შეიძლება, გაუაროს და შინ მიიყვანოს. ეს მისი მოვალეობაცაა.

ურთიერთობა პარტნიორობას ნიშნავს. ამიტომ თუ ქალს სურს, რომ მამაკაცმა ოჯახის გაძღოლა საკუთარ თავზე აიღოს, მაშინ საქმე თანაბრად უნდა განაწილდეს, რაც მათ თანაბარუფლებიანობას ხაზს გაუსვამს. თუ მამაკაცს ნაგვის გადაყრა სძულს, ქალს კი შარვლის დაუთოება, მაშინ, შეიძლება, საქმე „გაცვალონ“. ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც მოსწონს და კარგადაც გამოსდის. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ზოგიერთი საქმის შესასრულებლად, შესაძლებელია, მორიგეობაც დააწესონ — მაგალითად, პროდუქტის შეძენა, სანტექნიკოსის გამოძახება და ბავშვის სკოლაში წაყვანა.

რაღა თქმა უნდა, ქალს შეუძლია იწუწუნოს, თუ მამაკაცს უკვე არაერთხელ „დაავიწყდა“ თავისი მამაკაცური მოვალეობის შესრულება.

ზოგიერთ ქალს სურს, რომ საყვა-

რელმა მამაკაცმა მის მეგობრებთან ერთად დრო გაატაროს. მოსწონს მისი მეგობრები თუ არა, მამაკაცი ვალდებულია, მათ გარკვეული დრო დაუთმოს, მაგრამ შეუძლებელია, მუდმივად საყვარელი ქალის მეგობრებთან ერთად იყოს. წყვილმა უნდა იცოდეს, რომ აუცილებელია, ერთმანეთს მეტი თავისუფლება მისცენ. თუ ქალს ქმრის მეგობრები არ მოსწონს, მან უნდა შეძლოს, მათ კომპანიას თავი აარიდოს. თუკი ცოლს ქმრის მეგობრებთან მარტო გაშვება არ სურს და არც თავად მიჰყვება, კაცი აუცილებლად უნდა წავიდეს და ცოლი გააფრთხილოს: თუ გადაიფიქრებს და მათთან ყოფნა მოუნდება, შეუძლია, მოგვიანებით შეუერთდეს.

დიდი „მადის“ მქონე ქალები ხშირად მიიჩნევენ, რომ იარლიყზე მითითებული ფასი გასაყიდი საქონლის ხარისხის პირდაპირპროპორციულია და თანხა, რომელსაც საყვარელი მამაკაცი მისთვის ხარჯავს, სიყვარულის სიძლიერეზეა დამოკიდებული. კაცს ძუნწის სახელი რომ არ დაერქვას, მისი ხელფასი ქალის მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს. თუ ქალი ხარჯს ვერ აკონტროლებს და უზომოდ ბევრს მოითხოვს, მაშინ მამაკაცმა ხარჯის განაწილება უნდა შესთავაზოს.

რაც შეეხება ლოგინს, ამ შემთხვევაში, უდავოა, რომ მამაკაცმა პირველ რიგში ქალის მოთხოვნილებები უნდა გაითვალისწინოს, მაგრამ არც საკუთარი სურვილები დაივიწყოს.

იმის მიუხედავად, მომთხოვნია ქალი თუ უბრალოდ, თავისი უფლებების დაცვას ცდილობს, მამაკაცმა მისი სურვილები უნდა დააკმაყოფილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთობა დიდხანს არ გასტანს. თუ მამაკაცი გრძნობს, რომ ქალს მისი „ჩვრად“ გადაქცევა

<<< 9

არსებობს თუ არა სიცოცხლე ქორწინების შემდეგ?

• ქორწინებამდე ვცხოვრობთ, ქორწინების მერე კი ვცოცხლობთ... თავს უფლებას მივცემთ, მაგრამ ველარასდროს ვიქნებით ჩვენივე თავის უფალი. „თავისუფალი“ ლოკოკინა.

• ქორწინების შემდეგ სიცოცხლე ბევრად საინტერესო და მრავალფეროვანია. საყვარელი მეუღლე, პატარა სიცოცხლის დაბადება, მასზე ერთობლივი ზრუნვა და კიდევ ვინ მოთვლის... მართალია, ყოველთვის რომანტიკულად არ წარიმართება ხოლმე სიცოცხლე ქორწინების შემდეგ, მაგრამ მაინც საინტერესოა. განა ამ ყველაფრის გარეშე აზრი აქვს სიცოცხლეს? როცა ფაქტის წინაშე აღმოჩნდები, ჩემს გამოცდილებას გაგიზიარებთ. გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

• სიცოცხლე ნამდვილად არსებობს, მაგრამ სიცოცხლეს გააჩნია... ქორწინების შემდეგ ზოგისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იწყება, იშვიათი და ბედნიერი გამონაკლისებისთვის კი — სიცოცხლე.

• თუ ქორწინებას ფუნდამენტად სიყვარული, სითბო, გაგება და ნდობა აქვს, სიცოცხლე ქორწინების შემდეგ ნამდვილად არსებობს, თანაც — უფრო საინტერესო და ლამაზი. crazy girl.

• სიცოცხლე რომ არ არსებობდეს ქორწინების შემდეგ, მე უკვე მკვდარი ვიქნებოდი. ამის თქმის საშუალებას კი ჩემი მეუღლე მაძლევს. ის არასოდეს მიზღუდავს თავისუფლებას (შესაბამისად, არც მე ვზღუდავ). ნათქვამია, ქორწინება სიყვარულის დასაფლავებაა, მაგრამ ეგრეც არ არის. ელისო.

• ქორწინების შემდეგ იწყება სიცოცხლე, როცა გიყვარს. თუ ქორწინება ანგარებიანია, ქორწინების შემდეგ მთავრდება სიცოცხლე და იწყება ცხოვრება. საჩალელი.

• არ მესმის, რატომ ჰგონიათ, რომ ქორწინება სიყვარულს ასამარებს? ჩემს მშობლებს დღესაც ისე უყვართ ერთმანეთი, როგორც 20 წლის წინ ან უფრო მეტადაც კი. დარწმუნებული ვარ, ჩემი რჩეულიც ისეთივე მოსიყვარულე იქნება მერეც, როგორიც ახლაა. ქორწინების შემდეგ არსებობს ბევრად ლამაზი სიცოცხლე, რადგან მას შვილები ამშვენებენ. პარიუანკა.

• ქორწინების შემდეგ? ალბათ თავისებური ხიბლი აქვს, მაგრამ ჩემთვის მაინც ბლეფია, რა... :) green girl.

• ქორწინების შემდეგ სიცოცხლე არსებობს, მაგრამ ეს სიცოცხლე ძირითადად, ცოლის კაპრიზების სიხშირეზე და ქმრის გამძლეობის ხარისხზეა დამოკიდებული. იკუშკები.

>>> 12

აქვს განზრახული, თავს უნდა უშველოს და შეაგნებინოს, რომ მათ საერთო აღარაფერი აქვთ. თუ ქალი მოთხოვნილებებს ვერ იკმაყოფილებს, არ არის აუცილებელი, მის ნაცვლად ყველაფერი მამაკაცმა გააკეთოს. სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ ურთიერთობის ხარისხი მამაკაცის ჯიბეზე არ არის დამოკიდებული.

ახლა მინდა, თქვენს შეკითხვებს ვუპასუხო. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომ ჰგონია მკითხველს, რომ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა შემიძლია. უამრავი შეკითხვა დაგროვდა და იმისათვის, რომ პასუხი გამეცა, ინტერნეტში კარგა ხანს ვიქექებოდი. ჰოდა, ახლა თქვენს ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებ.

რატომ ცივა ჩრდილოეთ პოლუსზე?

ერთ-ერთი თქვენგანი მეკითხება: **„გამარჯობა, გრაფო, სადღაც წავიკითხე, რომ სამხრეთ პოლუსზე უფრო ცივა, ვიდრე ჩრდილოეთზე. მართალია თუ არა და რატომ ხდება ასე?“**

სავარაუდოა, რომ „უფრო ცივაში“ ალბათ უფრო „დაბალ ტემპერატურას“ გულისხმობდი. ეს მართლაც ასეა და ისევე, როგორც ზღვის დონიდან უფრო დიდ სიმაღლეზე უფრო მეტად ცივა, სამხრეთ პოლუსზე უფრო დაბალი ტემპერატურაა: მდებარეობის გამო ჩრდილოეთ პოლუსი (ზამთარში საშუალო ტემპერატურა -30 გრადუსია) ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ყინულოვან „მინდვრებზეა“ განთავსებული. სამხრეთ პოლუსი (საშუალო ტემპერატურა -60 გრადუსია) ზღვის დონიდან 2800 მეტრზე მდებარეობს და ანტარქტიდის ყინულოვან საფარზეა განთავსებული. გარდა ამისა, სამხრეთ პოლუსზე ჰაერი გაიშვიათებული და შესაბამისად, უფრო მშრალი და ცივია. ნაკლებია ღრუბლიანობაც. ტემპერატურის სხვადასხვაობა ასევე სხვადასხვა ნახევარსფეროზე ჰაერის მასების სხვადასხვაგვარი ცირკულაციითაა გამოწვეული.

ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე არსებული კონტინენტები ატმოსფეროში „პლანეტარულ ტალღებს“ გზავნის. ეს ტალღები სითბოს ჩრდილოეთ პოლუსზე გადაიტანს. ანტარქტიკის მაღალი მთები დაბალი წნევის ზონებს გადაადგილებაში ხელს უშლის და ისინი მატერიკის სიღრმეში შესვლას ვერ ახერხებს.

ვინ ხატავს ფანჯრებს

„გრაფო, მაინტერესებს, ყინვის დროს სახლის ფანჯრებს ასე ლამაზი „უზორებით“ ვინ ხატავს? გთხოვ, უყურადღებოდ ნუ დამტოვებ. 15 წლის დაჩი“.

მართლაც საოცრად ლამაზად იხატება ხოლმე ფანჯრის მინები, როდესაც ღამით ყინავს. საქმე ის გახლავთ, რომ ცივ ამინდში მინა უცებ ცივდება და ფანჯარასთან ახლოს არსებულ ჰაერში წყლის ორთქლის მოლეკულებსაც აცივებს. წყლის მოლეკულების ტემპერატურა შესაძლოა, ნულს ქვემოთ დაეცეს, მაგრამ ამ დროს მოლეკულები არ იყინება. ცივ მინასთან შეხების დროს ეს გაცივებული წყლის ორთქლი ყინვად გადაიქცევა.

მოლეკულები თვალით შეუმჩნეველ ნაკაწრებში გროვდება და კრისტალებს წარმოქმნის, რომლისგანაც ლამაზი ორნამენტები იქმნება. მისი ფორმა მინის ნაკაწრების ფორმაზეა დამოკიდებული. ბუმბულის ფორმის ორნამენტები შედარებით სუფთა ზედაპირის მქონე მინაზე წარმოიქმნება.

მოკლე ჩართვა <<< 11

არსებობს თუ არა სიცოცხლე ქორწინების შემდეგ?

• ქორწინებიდან იწყება ქალის მთელი სიყვარული და ქალის ბედნიერებაც ილუპება, თუ იმას გაჰყვა ცოლად, ვინც არ უყვარს. ამ შემთხვევაში სიცოცხლე არ არსებობს ქორწინების შემდეგ. აზიელი.

• სიცოცხლე სწორედ ქორწინების შემდეგ იწყება... როცა ორი გული ერთმანეთს უერთდება, როცა ოთხი თვალი ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებს... როცა ერთად ცხოვრებით ნეტარებას შეიგრძნობს წყვილი... როცა ერთი მეორესთვის მთელი სამყაროა და მე ვიტყოდი, რომ სიცოცხლე სწორედ ქორწინების მერე არსებობს! განა ქორწინების მერე არ ჩნდება ახალი სიცოცხლე? აი, ეს არის ყველაფერი ის, რისთვისაც ღირს ამქვეყნად ცხოვრება. ნერტისი.

• ქორწინების შემდეგ სიცოცხლის ახალი ფაზა იწყება. მისი შედეგიანობა კი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ულერადი ყელის იოგები ექნება ცოლს და რამდენად ამტანი და გამძლე ნერვები — ქმარს ანუ „ნასკი გამხადე, ქალოოო“... ხუმრობა იქით იყოს და, ღვთით კურთხეული, უანგარო ქორწინების შემდეგ სიცოცხლის ის ახალი გზა იწყება, რომელსაც წინ ვერ აღუდგება ვერც უსიამოვნებათა კასკადი, ვერც ეჭვიანობის საცობები, ვერც განშორების ბარიერი და ვერც ფინანსური გამყინვარება. ამორ-ძალი მეგერა.

ჯოტო, რომელიც ნიერნიერა ღაჯარგა



• „პუტინი ტირის — ვინ მეტყვის, სად ვიმყოფები?“

• „ხმა ზევიდან: აქ ადრე კრემლი იყო, შენი გაპრეზიდენტების შემდეგ ტყე დარჩა, ედისონი.

• „რაო, ძმაკუშ, არ მოგწონს ქართული პლანი? რა ვიცი, კარგად კი იტენი პირში და ჯიბეში?! შე კაცო, გეთქვა და ისე მოგცემდით, ომი რა საჭირო იყო?“ ვიკა.

• „ზნაეშ, ეტა ვკუსნა“.

• „ეჰ, პუტინ, გვიანია თითზე კბენანი. ქვეყნად თუ არა, იმ ქვეყნად გამართულ სამსჯავროს ვერ გაექცევი. მებრალები“...

• „თავს სინანული სჯობია, ბოლოჟამს დანანებასა“. კეთილი ფერია.

• „ცუდადაა, ბიძია, შენი საქმე, ამდენი სიბოროტის მერე თუ მეორედ მოსვლა გიწერია, სარეველა ბალახზე მეტი მაინც ვერ იქნები“. ტირიფი73.

• „ეგა ჩვენებური კანაფია, ჯო! მაგის მოსავალს უფასოდ გიფეშქაშებდით, დაბომბვა რად გვინდოდა?“

• „პუტინი ცუდი ბაიაა, დიდი გაიზალდა, მალა ფლჩხილების კვნეტას ველა გადაეჩვიაოოო“.

• „ნუ გეშინია, თავის მოკვლა არც ისე ძნელია, შენ ოღონდ გაბედე, დარიშხანს უცებ მოგირბენინებ“.

• „შე არარაობავ, უნდა იამაყო, რომ ერთ დროს საქართველოში ცხოვრობდი“.

• „მივყვები ამ მინდორს და ასე მგონია, ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა, პატარა... ეჰ, კასპი, კასპი... მშობლიური პანგები სულ სხვაა...“ მე.

• „მე მინდა ვიყო ჯელალედინი, შენი ფაშვები დავაგო ჩანგალს“. მე.

• „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ, ას ლიტრა რკინას დავლეჭავ, კევივითა და ყლაპს ვუზამ. პატარა პუტინის დიდი ამბიციები“.

• „პუტინ, რამდენჯერ უნდა გითხრა, ფრჩხილებს ნუ ლოლნი-მეთქი?“ გრეენ გირლ.

• „პუტინიამ ბომბი დაგვცხო, აგვაფეთქა და მოხია, დაეწია ძია ბუში და ცხვირ-პირში მაგრად ბია. არ გეგონოთ, მიწას უცქერს, ძირში მისი კბილი გდია“.

• „მედვედევთან მიედიოდი, სინდისი გადმომივარდა, პირში ხელი გამოვისვი, ნეტავი სად დამივარდა?“

• „ეჰ, მშობლიურო კასპო, როგორ მენატრები... მენატრები, ჩემო დედავ“... წიწილა.

• „მდაა... კიდევ რა დავუშავო ამ ხალხს?“

• „ეს პატარა საქართველო კბილში გამეჩხირა და მაწუხებს“.

• „პუტინი ახლა რას ფიქრობს? როგორ დაიპყროს ყოველი... ბოროტის ნაბოზებისგან სიკეთეს ნულარ მოველით“. ამორ-ძალი მეგერა.

• „ენა ყველას აქვს, ჭკუა კი ცოტას, პუტინსაც ასე ჯიშისგან მოსდგამს, თუ კიდევ დალევ მაგ რუსულ „ვოდკას“, ძებნას დაუწყებ „ბორჯომის“ „პრობკას“. ამორ-ძალი მეგერა.

• „ძია პუტინ, ნამდვილად ვიცი, „ტრუხაა“. მანაგუასთვის თუ გამოდგება“. ელისო.

• „ტაკ ზნაკომილ სენიორ უგო ჩავეს ვლადიმირა პუტინა სო სვოიმი გენიალნიმი პლანამი“. პანურგი.

• „აბა, ქართველების ჩუკოტკაზე შემოშვება შეიძლებოდა?“ პანურგი.

• „საქართველო... ბუნდოვნად მახსოვს“...

ფოტო, რომელიც ლაპარაკობს ყველაფერზე

ამ ფოტოსთვის ზესაბამისი წარწერა უნდა
გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.63.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

ზეიარალებული, საშიში, მეწვეული

დასაწყისი — „გზა", №38-45

მარი ჯაფარიძე

ჩემი მშობლების საუბარი ნელ-ნელა ჩხუბში გადაიზარდა. ხმას არ უწევდნენ, არ ყვიროდნენ, მაგრამ გაცხარებით ლაპარაკობდნენ. მე კი იმას მივხვდი, რომ ამ ორომტრიალში დამნაშავე მამა იყო. დედისთვის ვიღაც ქალს დაურეკავს და უთქვამს, რომ ის და მამა დაქორწინებას აპირებდნენ. მამა თავს იმართლებდა, ღალატს უარყოფდა, მაგრამ დედა არ უჯერებდა...

დაღლილობამ თავისი გაიტანა და ჩამეძინა.

დილით დედის კოცნამ გამაღვიძა.

როდესაც საუზმეს მიმზადებდა, თვალს არ ვაშორებდი. დედა ძალიან ლამაზი იყო. ნეტავ, მასზე ლამაზი ქალი თუ არსებობს-მეთქი? — გულში ვფიქრობდი და მტკიცედ გადავწყვიტე, მამას კაცურად დავლაპარაკებოდი. ახლა სასაცილოდ ჩანს, ალბათ, IV-კლასელი ბავშვი მამასთან კაცურ ლაპარაკს რომ გადაწყვეტს, მაგრამ მაშინ თავს ბავშვად არ მივიჩნევდი და თანაც, დედაზე ძალიან შემტკიოდა გული.

იმ დღეს პირველად გავაცდინე სკოლა. სკოლაში დილაობით მამის მძღოლს დავყავდი. ადგილზე მისული, კლასში არ შევსულვარ. თვალს მივეფარე და როდესაც მძღოლი წავიდა, უკან გამოვბრუნდი. მამაჩემის სამსახურამდე ტაქსით მივედი. მძღოლს ვთხოვე, გარეთ დამლოდებოდა. მამის კაბინეტში დაუკაკუნებლად შევედი. გრძელ მაგიდასთან უამრავი ადამიანი იჯდა. როგორც ჩანს, თათბირი ჰქონდათ. მამას ჩემი დანახვა გაუკვირდა. წამოდგა, რა მოხდაო? — მკითხა.

ქვემოთ ტაქსი მელოდება და ფული არ მქონდა, რომ გადამეხადა-მეთქი, პირველ რიგში, ეს ვუთხარი. ხუთმანეთიანი გამომიწოდა. სირბილით გავიქეცი და მძღოლს ფული გადავუხადე. უკან რომ დავბრუნდი, მამა მარტო დამხვდა. ფანჯარასთან იდგა და მივხვდი, თვალყურს მადევნებდა.

— აბა, რა მოხდა? — მომიბრუნდა, როგორც კი ოთახში შევედი.

— კაცურად უნდა დაგელაპარაკო, — შევუბღვირე და ამოვიოხრე.

იოლი სულაც არ იყო, მამასთან ამ თემაზე ლაპარაკი. ძალიან მიჭირდა, მაგრამ თავი იმ რაინდად მყავდა წარმოდგენილი, რომელიც გველეშაპისგან პრინცესას დახსნას ცდილობს. ეს კი მხნეობას მმატებდა. თუმცა, ახლაც მახსოვს, როგორ მეშინოდა „გველეშაპის", მუხლები მიკანკალებდა და მამის თვალებში ვერ ვუყურებდი.

— აბა, გისმენ, — მამამ იღლიებში ხელები ამომდო და სკამზე დამსვა.

თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, რადგან პატარა ბავშვივით მომექცა. ყელში ბურთი გამეჩხირა

თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, რადგან პატარა ბავშვივით მომექცა. ყელში ბურთი გამეჩხირა. თვითონ ჩემ წინ დაჯდა, ხელები მაგიდაზე დააწყო და გაჩუ[illegible]ა.

— გუშინ დედა ტიროდა, — ძლივს ამოვთქვი და ბღავილი ამოვუშვი.

მამამ გვერდზე გაიხედა.

— ჩვენ რომ ვლაპარაკობდით, არ გეძინა? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

თავი უსიტყვოდ გავუქნიე.

უხერხულობისგან ჩაახველა.

— მე დედაშენი ძალიან მიყვარს...

— დედა გეუბნებოდა, რომ მაია გიყვარს, — ძლივს წარმოვთქვი.

— დედა ცდება. მე მხ[illegible]ოდ დედაშენი მიყვარს. მაია კი ვინ არის? არავინ, დღეს არის, ხვალ არ იქნება, — მართლა კაცივით მელაპარაკებოდა მამა, — გაიზრდები და გაიგებ, მამაკაცის ცხოვრებაში ცოლის გარდა სხვა ქალებიც შეიძლება, არსებობდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცოლი არ უყვარს. შენ ჯერ პატარა ხარ, ძნელი იქნება შენთვის ამის გაგება.

— დედამ თქვა, რომ შენ და მაია დაქორწინდებით...

მამა წამოდგა, ჩემ წინ ჩაიმუხლა, კისერზე ხელი მომხვია და ჩემი თავი მკერდზე მიიხუტა.

— იცი, ყველა ადამიანი სხვადასხვანაირია. არსებობენ ბოროტი და კეთილი ადამიანები. მაია ბოროტი აღმოჩნდა, საიდუმლო ვერ შეინახა, დედას დაურეკა და ყველაფერი მოუყვა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ ჩემთვის და დედაშენისთვის გული ეტკინა. ჰოდა, ახლა მაია აღარ არსებობს, ბუჰ, გასკდა ბუშტივით... — როგორც შეეძლო, ისე ამიხსნა.

— იმიტომ, რომ ბოროტია?

— ჰო, იმიტომ, რომ ბოროტია.

— ე.ი. შენ და დედა ისევ ერთად იცხოვრებთ?

— ჰო, ისევ ერთად ვიცხოვრებთ.

— მე ორივე მიყვარხართ, — ვთქვი და ავქვითინდი. თან ძალიან შემრცხვა, რომ მამაზე ძალიან ცუდ რაღაცებს ვფიქრობდი; ცუდი, ბოროტი ადამიანი მეგონა, გველეშაპად მყავდა წარმოდგენილი და თუ დამჭირდებოდა, მის მოკვლასაც კი ვაპირებდი.

ეს ყველაფერი მისთვის არ მითქვამს, მაგრამ საკუთარი თავის შემრცხვა.

ასე და ამგვარად, ერთ დღეში ბევრი რამ გავიგე. მაგალითად, ის, რომ თურმე მამაკაცებიც ტირიან, როცა მარტო არიან და ეს სირცხვილი არ ყოფილა და ისიც, თურმე რომ გავიზრდები და ცოლი მეყოლება, სხვა ქალებშიც შემიძლია სიარული...

ჰმ, სასაცილოა...

ნეტავ, მაშინ ქალებში სიარული რა მეგონა?

ვიხსენებ, მაგრამ არაფრით მახსნდება, როგორი წარმოდგენა მქონდა მაშინ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე. ერთადერთი, რაც გამახსენდა, ის იყო, რომ ვიცოდი — როცა ქალსა და მამაკაცს ერთმანეთი უყვარდათ, ისე კოცნიდნენ ერთმანეთს, როგორც ჩემი მეზობელი გულთამზე თავის გაბურძგნილ შეყვარებულს, როცა სიბნელეში, სახლის კუთხეში იდგნენ ხოლმე. მიყვარდა მათი ყურება. ჩემი ოთახის ფანჯრიდან კარგად ჩანდა, როგორ „ზასაობდნენ" ისინი და შემეძლო, საათობით ვმდგარიყავი და მეყურებინა.

ამის გახსნებამ ღიმილი მომგვარა და გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ ნიცას ეზოში ვიდექი. მის ფანჯრებს ავხედე და უკან გამოვბრუნდი.

გზაში მოსვენებას არ მაძლევდა ნიცას ნათქვამი — „მამაჩემმა თქვა, მაგას ისეთი მფარველი ჰყავს, რომ დაიჭირონ, ისევ გამოუშვებენ"... უხილავი მფარველის ხელს ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ არასოდეს დავფიქრებულვარ, ვინ იყო ის. 4-ჯერ დამიჭირეს, ოთხჯერვე ისე გამოვედი, „სროკი" არ მომიხდია. ჩემი ბიჭები ყოველთვის პოულობდნენ ისეთ ადამიანს, ვინც ჩემს გამოშვებაზე ზრუნავდა. ფული, რომელიც საამისოდ იყო საჭირო, არც მე და არც მათ არასოდეს გადაგვიხდია. მეგონა, ჩემი სახელი მოქმედებდა... ახლა კი დავფიქრდი... ვინ არის ის, ვინც ჩემს უსაფრთხოებაზე ზრუნავს?

შინ ვიტალი, ლევანი და 3 ქალი დამხვდა. მათგან ორს ვიცნობდი. ერთი ვიტალის საყვარელი იყო, მარინა, მეორე კი ლევანის საყვარელი, — ვიკა. მესამეს არ ვიცნობდი. მივხვდი, ის მარინას და ვიკას მეგობარი იქნებოდა, რომელიც ბიჭებმა ჩემთვის გაითვალისწინეს. ბიჭები სამზარეულოში ფუფუსებდნენ, ქალები კი დივანზე ჩამომსხდარიყვნენ და ხმამაღლა კისკისებდნენ. გოგონები გადავკოცნე, „მესამეს" თვალი შევავლე... ლამაზი, კოხტა აღნაგობის გოგონა ჩანდა.

მოვიბოდიშე და ჩემს ოთახში გავედი. საწოლზე მივწექი, ფეხები ძირს ჩამოვყარე და თვალები დავხუჭე. გული მისაღები ოთახისკენ მეწეოდა, გონება კი ნიცასკენ. ვიდრე ჩემი გული და გონება ერთმანეთს ებრძოდა, ოთახში ვიტალი შემოვიდა.

ვიტალი — მაღალი, ქერა, ლამაზი მამაკაცია. ეროვნებით რუსია, ხასიათით კი ნამდვილი ქართველია. ვაუკაური, ერთგული, შემტევი, ამაყი და თავმოყვარე. ხშირად ვეუბნებოდი, კარგად გამოჰკითხე დედაშენს, იქნებ ქართველი მამა გყავს-მეთქი. ამაზე ნამდვილ, „პატრიოტულ პასუხს" მაძლევდა ხოლმე — ნამდვილი რუსი, სწორედ ჩემნაირიაო.

— რა იყო, მოხდა რამე? — თავზე წამომადგა.

— არა, არაფერი. ცოტა დავიღალე.

— წამო, წამო, ცოტა გაერთობი და დაღლილობა დაგავიწყდება.

ვიტალი გავიდა. ცოტა ხანში მეც უკან მივყევი.

სუფრა უკვე გაეწყოთ. მე „მესამე" მომისვეს გვერდით და პირველი სადღეგრძელო წარმოთქვეს, მერე — მეორე... მესამე... მესამე ჭიქის შემდეგ მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რაც შეიძლება მალე შემეტყუებინა „მესამე" ჩემს ოთახში. რამდენიმე ჭიქის მერე შორიდან მოვლას პირდაპირ თქმა ვამჯობინე.

— ახლა მე გავალ და შენც გამომყევი, რაღაც მინდა, გითხრა, — ყურში ჩავჩურჩულე.

მთვრალი თვალები შემომანათა და გამიცინა. რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე ჩემს ოთახში ვიყავით. ზურგს უკან კარი მიხურა თუ არა, ხელი მოვხვიე. ლამის ჩამადნა მკლავებში.

— აპოლონს ჰგავხარ, ძალიან ლამაზი ხარ, — მეჩურჩულებოდა და ხელისგულებით ჩემს სხეულს სწავლობდა.

— ლამაზებს, იცი, რას უშვრებიან? — ჩავიცინე.

— რას? — გაოცებულმა შემომხედა.

— იმას, რასაც ახლა მე შენ გიზამ, — ხელი ვკარი და ლოგინზე დავაგდე.

შემომცინა. მის თვალებში სრული მორჩილება იკითხებოდა.

დილით ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. გენო იყო, ცნობილი ქურდი. „სხოდკაზე" მიბარებდა. ვიცოდი, დღეს თუ ხვალ ეს „სხოდკა" შედგებოდა. ბოლო დროს რაიონების გადასანაწილებლად რამდენიმე დაჯგუფება იბრძოდა. ამის გამო სისხლიც იღვრებოდა. დიდი ხანია, ვამბობდი, რომ ეს საკითხი გადასაწყვეტი იყო და როგორც იქნა, მოაბეს თავი. „სხოდკა" ხვალ იყო, დღეს კი მთელი დღე წინ მქონდა, რომ ნიცასთან ყოფნით დავმტკბარიყავი. ახლაღა გამახსენდა ჩემი წუხანდელი სტუმარი.

საწოლს გადავხედე...

„მესამე" წასული დამხვდა.

ნეტავ, რა ერქვა?

თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

ახლა მთავარია, დღევანდელი საქმეები მოვაგვარო.

ტელეფონს დავწვდი და ნიცას ნომერი ავკრიბე.

— ალო, ჩავძახე ყურმილში, როგორც კი მისი ტკბილი ხმა გავიგონე, — ნიცა, შენ ხარ?

— ნომერი შეგეშალათ, — მიპასუხა და ყურმილი დაკიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

13 - 19.11.2008

ფეხბურთული ფილები

მარი ჯაფარიძე

მოულოდნელი ბედნიერება

„მეჯაცთანე" თიჯოსთან მანქანით მოვარდნილი და 44 ზომა ბედნიერება

მოგესალმებით, როგორ ხართ? იმედია, მალე „მოხუთშაბათდა" და დიდი ხნით არ მოიწყინეთ. ამ კვირაში რალაც, გაგიჭირდათ საინტერესო ამბების გამოგზავნა და რაშია საქმე? დარწმუნებული ვარ, ამბები არ შემოგლევიათ. ალბათ, თემა არ მოგეწონათ. ასეა? კარგი, მაშინ, მომდევნო კვირისთვის რაიმე განსაკუთრებულს მოვიფიქრებ, რომ თქვენც განსაკუთრებული მესიჯები მომწეროთ. ახლა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მკითხველი საკმაოდ უხერხულ კითხვებს მისვამს. მაპატიეთ, მაგრამ სხვისი საიდუმლოს გათქმა არ შემიძლია. მესმის თქვენი, როცა მეუბნებით, არავის ვეტყვი, უბრალოდ, ჩემთვის მაინტერესებსო, მაგრამ არ შემიძლია თქმა და რა ვქნა? არ ვიქნები მართალი ზოგიერთ მკითხველთან. ახლა ჩამოვწერ იმ კითხვებს, რომელიც ასე გაინტერესებთ და საიდუმლოს „პატრონები" თუ ინებებენ, პასუხს თავად გაგცემენ. ვინ არის პარიუანკას შეყვარებული? ვინ არის ჩიხტიკოპიანი დილეტანტი? სად წავიდა კანიბალკა? ენიგმა უფრო მიყვარს თუ მაესტრო? ეს ამორ-ძალი მეგერა ვინღაა? რას ამბობს მგზავნელებზე ეთო? რა ხდება მაესტროსა და ერთ-ერთ მგზავნელს შორის? სად არის ბოხო? რამდენი წლისაა და სად სწავლობს ჩორი? რას და ვის გულისხმობდა ჩიხტიკოპიანი დილეტანტი, როცა ლუდით სადღეგრძელოებს ამბობდა? რატომ არის ავად აპოლონი? მეგრელ მგელოს კიდევ უყვარს თავისი ფეხბურთელი? პავლიკა ანუ მინასტრის ბიჭი მართლა ასეთი მექალთანეა? როგორ გათხოვდა ელისო? როგორი ქმარი ჰყავს ლორელაის? მგონი, საკმაოდ ბევრი კითხვაა, არა? ვნახოთ, რას იტყვიან ისინი, ვის შესახებაც ინფორმაცია გაინტერესებთ.

ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.



ცვლილება

„მოულოდნელი ბედნიერება იყო, როცა ჩემი საყვარელი ადამიანი სიყვარულში გამომიტყდა, თავბრუ დამახვია, უბედნიერესი გოგო გამხადა, გრძნობათა მორევში ჩამითრია, ცხოვრება გამილამაზა, ოცნების კოშკები ამაგებინა, სიხარულის მეცხრე ცაზე ამიყვანა... ქვეყანა — ჩემი, თავი კი სიზმარში მეგონა. მოულოდნელი ბედნიერება მალე მოულოდნელი იმედგაცრუებით შემეცვალა. მეცხრე ციდან — ბრახ!.. და მიწაზე მოვადინე ზღართანი. მართალია, ტკივილი ჯერ კიდევ არ გამნელებია, მაგრამ ამას დეპრესიაში არ ჩავუგდივარ. ღვთის წყალობით, მეორე მხრიდან შევაფასე მომხდარი. მას შემდეგ უფრო რეალისტი გავხდი და ამან საკუთარი თავის რწმენა შემმატა. მარ, ხომ მიცანი? „გზავნილების“ ძველი და უერთგულესი მგზავნელი ვარ. უბრალოდ, ნიკი მაქვს ახალი. კეთილი ფერია“.



საკაიფო სიტუაცია

ჭირვეული მეზობლები

„ყველას გაუგონია — რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია. მრავალი ოჯახი, რომელიც წლების

„უნარშეფერხებული“

„ბიძიკოს ცოლი ორსულად იყო და ბავშვი, ექოსკოპიის მიხედვით, გოგო უნდა ყოფილიყო. ასე, ამ ომიანობის დროს, ყველა მოუთმენლად ელოდა პატალა ელენიკოს დაბადებას. დრომ მოუწია და ბიცოლა სამშობიაროში წაიყვანეს და ბიძაჩემს შეატყობინეს. მოვიდა გახარებული მამა, მაგრამ გოგო კი არა, ბიჭი უნდოდა და ცოტა დამწუხრებული კი იყო. გამოვიდა ექიმი, გილოცავთო... ბიძიკომ — ვიცი, რომ გოგოაო. მაგრამ როცა ექიმმა პასუხად უთხრა, რომ ექოსკოპიაზე შეშლიათ და ბიჭი დაიბადაო, ბიძიკო გაშტერდა და ამ მოულოდნელი ბედნიერებისგან კარგა ხანს „უნარშეფერხებული“ იდგა, სამშობიაროს ეზოში“.

ადამიანისთვის ტანჯვის მომტანი გახდა. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში 2 ოჯახი ცხოვრობს, რომელსაც საუკეთესო მეგობრობამ ნათელ-მირონობა გადააწყვეტინა. მართალია, ჯერ ბავშვები მონათლულები არ იყვნენ, მაგრამ და-ძმასავით იზრდებოდნენ. სოფელი რის სოფელია, ჭორი ვინმეს თუ არ გაუვრცელეს. ჰოდა, ერთ დღესაც ხალხმა დაიწყო ლაპარაკი, რომ გიოს და ანის ერთმანეთი დაძმურად კი არა, „სხვანაირად“ უყვართო. ამას მოჰყვა ნერვიულობა, ერთმანეთთან საქმის გარკვევ-გამორკვევა, მაგრამ ვინაიდან ბავშვებმა ყველაფერი უარყვეს, ხალხიც გაჩუმდა. გიომ სკოლა დაამთავრა და უნივერსიტეტში ჩააბარა, მაგრამ საქართველოში დიდხანს აღარ გაჩერებულა და საზღვარგარეთ, მამამისთან გაემგზავრა, დედამისი კი მარტო დარჩა სოფელში. 2 წელიწადში ანიმაც ჩააბარა და დედაქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. წლები გადიოდა. ანის მშობლები გიოს დედას გვერდში ამოუდგნენ და მარტოობას არ აგრძნობინებდნენ. ძველი

განმავლობაში მოსისხლე მტერი იყო, ქალ-ვაჟის სიყვარულს შეურიგებია და დაუმოყვრებია. მე კი მოგიყვებით ამბავს, რომელმაც წლობით ნაშენებ მეგობრობას, პატივისცემას და რაც მთავარია, ნათელ-მირონობას საფუძველი შეურყია. ამ შემთხვევაში, სიყვარული ბედნიერების ნაცვლად, არაერთი

დღესასწაულის მოლოდინი
ჯობს, მის შედეგს

ინტიმური მავნე ჩვევა

„გზავნილების“ ერთგული მკითხველი ვარ. ახალი ჩამოსული რომ ვიყავი ათენში, ისეთი რაღაც შემემთხვა, ვიფიქრე, მივწერ მარის, თუ არ დაბეჭდავს, გაიცინებს მაინც-მეთქი. 5 წლის წინ, აქ ჩამოსულმა, რა თქმა უნდა, ბერძნული არ ვიცოდი. ინგლისურად ვლაპარაკობდი და ბერძნულს „ვებრძოდი“. ერთ, აწ გარდაცვლილ ბებიას ვუვლიდი. ერთ დღეს მისი შვილი გვესტუმრა, შუახნის კაცი. ყავა შევთავაზე. დამთანხმდა და კისრისტეხით სამზარეულოსკენ გავიქეცი. ყავა მივართვი და მაგიდაზე დადგმული არ მქონდა, ფინჯანს ხელი რომ წამოავლო და ცხელი ყავა ხახაში გადაუშვა. თან ვნებიანად გამილიმა. ეს ღიმილი დიდად არ მესიამოვნა. თან „ვეტერანი“ ემიგრანტებისგან მკაცრად ვიყავი გაფრთხილებული, აქ ღიმილი თანხმობას ნიშნავსო. აქვე გეტყვით, რომ ბერძნულად „ხუი“ მავნე ჩვევას ნიშნავს. ჰოდა, ეს კაცი მეუბნება — ასეთი მავნე ჩვევა მაქვს, ყავა მდულარე მიყვარსო. მე „ხუი“ რომ გავიგონე, მერე აღარც მახსოვს, რა თქვა. ვნებიანი ღიმილიც, რომელიც ყავით ნასიამოვნებმა მტყორცნა, „ხუისთან“ დავაკავშირე და ვაი, იმ კაცს რომ დღე დაადგა... ქართულად გემრიელად გამოვლანძღე. რაში მაინტერესებს, შენ როგორი „ხუია“ გაქვს-მეთქი?! იმ კაცის გამოშტერებული სახე არ დამავიწყდება, მაგრამ როცა ყველაფერი ამიხსნა, სიმწრით ხერხემალი ამეწვა. მეც ავუხსენი და მას მერე, მდულარე ყავის დანახვისას ყოველთვის ის კაცი მახსენდება. მაკა, 29 წლის, ათენი“.

ბიძის ბედნიერება

„როგორც იქნა! დღეს დიდი დღეა, დიდი! დიახ, მომილოცეთ, ჩემი უცოლო ბიძა, რომელიც „შუა ქალაქის“ დათოს პონტში ცხოვრობდა ჩვენთან, ცოლს ირთავს, ცოლს! მოულოდნელი ბედნიერება კი მომავალი მეუღლის სახით სულ რამდენიმე დღის წინ ეწვია და გულში „ჩიტებიც აუფრთხიალა“. ეს ჩემი ბიძა, რომელიც საერთოდ მშვიდი და წყნარი ადამიანია, უცებ რადიკალურად შეიცვალა. ჯერ იყო და, დაბნეულობისგან 5 დღეში მანქანა 2-ჯერ გამოცვალა, მერე, 10-გრამიანი ქორწინების ბეჭდის მაგივრად 5-გრამიანი შეუკვეთა... და ყველაზე მთავარი: ქორწილი, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ 22 ნოემბერს დაუმიზნა. ალბათ იკითხავთ, მერე რა არის ამაში უცნაურიო? რა და, ის, ჩემო კარგებო, რომ 21-ში ოქროს დაბადების დღე მაქვს ანუ 21 წლის ვხდები და როგორც ჩემისთანა მხიარულ და ქეიფის მოყვარულ გურულს შეეფერება, ამ ღირსშესანიშნავი დღის აღნიშვნას გურიაში ვგეგმავდი, მეგობრებთან ერთად. მთელი ამბავი ყველამ დაივიწყა, ამ ორი ოჯახის მეგობრობა კი დღითი დღე მყარდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ გიო მამასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. მაშინ კი აღიარეს გიომაც და ანიმაც — ერთმანეთი მართლა გვიყვარდა, ახლაც გვიყვარს და ერთმანეთთან კავშირი მთელი ამ წლების მანძილზე არ შეგვიწყვეტიაო. ალბათ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა ამ ოჯახებს შორის. ეს ამბავი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და არავინ იცის, რა მოხდება, რას გადაწყვეტს შეყვარებული წყვილი. ღმერთმა ქნას, მშვიდობით დასრულდეს, მე ისინი ძალიან მიყვარს. სო-ნი“.

სვანი „პაკლო“

„მარი, სვანები ძალიან კარგები ხართ, მაგრამ ხანდახან... ერთი გულდამწვარი სვანი „პაკლონიკი“ მყავს. ჰოდა, მესიჯით უამრავი კოცნა გამომიგზავნა. გავეხუმრე, უხერხულია, გაჩერებაზე ვდგავარ და რას იფიქრებს ხალხი-მეთქი? დამირეკა და გაოცებულმა მითხრა: კარგი, მარტო რომ იქნები, მერე გამოვგზავნი კოცნას, არაა პრობლემა, მაგრამ მაგ ხალხმა როგორ დაინახა, მე რა მოგწერეო? მეგონა, ხუმრობდა და ისევ ვეხუმრე — კოცნას რომ გზავნი, ყველას ეკრანზე ფიქსირდება-მეთქი. მცირე პაუზის მერე შეწუხებულმა მკითხა — აუ, მამაშენიც ნახავდაო? ბიჭო, ბიჭო, ბიჭოოო... :) კარდიოლოგი“.

შეცდომებზე სწავლობენ, შეცდომების შემდეგ — მეცნიერობენ.

ჯგუფი საქეიფოდ განვაწყვე, მაგრამ ვატყობ, ჩემი „ფართის“ გადაწევა 1 კვირით მომიწევს. თუმცა, რახან ამდენი რჩევა-რჩევის მერე ბიძაჩემმა იდეალური გოგო იპოვა, შეუყვარდა და მისი ცოლად მოყვანა გადაწყვიტა, რაღას დავეძებ? იკუშკები“.

მიყვარხარ და „ვსიო“

„არ ვიცი, საიდან დავიწყო, რადგან ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი. მოკლედ, აპოლონის (გიო) ნომერი ერთ-ერთმა მგზავნელმა მომცა. თან მითხრა, მაგარი მუსუსიაო. მოსმენა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გადაიტანა ამ ცხოვრებაში, ისევ ადამიანად შეძლო დარჩენა. ამასთანავე, ძალიან ორიგინალური და არაორდინარულია, ადვილად შეუძლია სხვისი გულისკენ მიმავალი გზის პოვნა, საოცარი გამოხედვა აქვს, მაშინვე დაგიპყრობს და მოგაჯადოებს. საოცარ ლექსებს წერს. შეხვედრისას კი ისეთი, არაჩვეულებრივი სიურპრიზი მომიწყო, არასოდეს დამავიწყდება. მივხვდი, რომ გიო ძალიან მიყვარდა, მაგრამ ვერ გავბედე მისთვის მეთქვა. მართალია, ბევრჯერ უთქვამს, მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა მუსუსობა-მეთქი, ვთქვი და დავუმესიჯე. მხოლოდ გართობა მინდოდა. გიოს მექალთანეობა ვერ შევატყვე. პირიქით, ძალიან თბილი და ორიგინალური იყო. შეუძლია, დაგეხმაროს, ისე ლამაზად ილაპარაკოს ყველა საკითხზე, ცხოვრებაზე, რომ არასოდეს მოგბეზრდება მისი

„გზვნილების“ ავტორის სასამართლო

„მართალია, ეს ამბავი „მოულოდნელი ბედნიერების“ თემას არ უპასუხებს, მაგრამ იმედი მაქვს, ცოტას მაინც დაგაფიქრებთ. მინდა, „გზავნილ-იორკში“ მომხდარ, ერთ უცნაურ ამბავზე მოგიყვეთ. თურმე, ერთ მშვენიერ საღამოს, მარიმ „გზავნილ-იორკის“ დატოვება გადაწყვიტა ისე, რომ აეი-ტაეი არ გამოეწვია. უხმაუროდ აპირებდა ამის გაკეთებას და მხოლოდ კამელიას გაანდო მისი საიდუმლო. კამიც ბავშვების გულისტკენას მოერიდა და მარი ვერ გასცა. ამიტომ ბევრი იტირა მხოლოდ. ეხვეწა, ეშუდარა, მაგრამ მარიმ თქვა და წავიდა. არავინ იცის, რა მოხდებოდა, ელისო რომ არ გამოჩენილიყო. მან „გზავნილ-იორკში“ პატრულირებისას შენიშნა მარი, ბარგით ხელში. მიხვდა, რაც ხდებოდა, წამსვე ბოხოს შეატყობინა და ოპერატიულად აიყვანეს მარი. ხმა დაირხა, მარი დააკავესო და წამსვე შეიყარა „გზავნილ-იორკი“. მეორე დღეს სასამართლოც შედგა. დარბაზი სავსე იყო საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მგზავნელებით. ყველაზე ადრე იკუშკები მოვიდა, როგორც გურული. წინა რიგში სესი, ეშმაკუნა, ლუნა, პატარა მავნე, ნიკოლი, იკჩო და აბეზარა ისხდნენ, ცნობისმოყვარე თვალებით. იქვე იყვნენ ახალდაბრუნებული პარიუანკა და კარდიოლოგი. მოსამართლის სკამზე კანიბალკა იჯდა (არადა, წავიდაო, ამბობდნენ). ნოსტალგია მარის ადვოკატი იყო. ლიმონა პროკურორის ადგილზე იწონებდა თავს. მსაჯულთა შემადგენლობაში იყვნენ: ენიგმა, ბაო-ბაო, პენსიონერი, გრუზინკა და ლელუჩია. პროცესი მწვავედ წარიმართა. პირველ მოწმედ ოლეგარიო გამოიძახეს, თუმცა ისეთი რამეები თქვა, სიცილით დაიხოცა ყველა. მოსამართლე იძულებული გახდა, დარბაზიდან გაეძევებინა. მეორე მოწმედ — მარი, მესიჯებს რატომ არ უძლური აღმოჩნდა, მოწმის მიერ მოყვანილი არგუმენტების გასანეიტრალებლად. ხანგრძლივი განსჯისა და გარჩევის შემდეგ მარის საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მისცეს. — შეგიძლიათ, თავი იმართლოთო, — მიმართა მოსამართლემ. — „გზავნილების“ შექმნას ჩემი დიდი ენერგია და სიყვარული მოვახმარე, — ჩუმად დაიწყო მან, — ასევე დიდი გრძნობით ავაგე „გზავნილ-იორკი“. მისი ბინადარნიც ღირსეული და კეთილშობილი ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მხოლოდ. ასეთი იყო ჩემი ოცნება. თავიდან ასეც იყო. თუმცა, მერე ბევრი რამ შეიცვალა, ვილაცამ ეშმაკს გაუღო კარი და „გზავნილ-იორკში“ ბოღმამ და შურმა დაისადგურა. მე კი მხოლოდ იქ ვარ, სადაც სიყვარულია. ეს იყო ჩემი წასვლის მიზეზი“, — დაასრულა მარიმ. დარბაზი სულგანაბული იყო. ბევრს ცრემლი მოადგა თვალზე. მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს გადასცა სიტყვა და მარის განაჩენი გამოუტანეს. განაჩენი: მარის ბრალად მგზავნელთა გულებში ღრმად შეჭრა და მათგან უსაზღვრო სიყვარულის მოპოვება, აგრეთვე „გზავნილ-იორკის“ ყველა მოსახლეზე საშინელი ვირუსის — გზავნილომანიის შეყრა და მერე აუხსნელად წასვლის მცდელობა წაუყენეს... მიუხედავად ყველაფრისა, მარი ჯაფარიძეს არ გაჩნია არანაირი უფლება, ჩვენი მიტოვებისა, რადგან ჩვენ მის გარეშე არ შეგვიძლია. მსაჯულთა გადაწყვეტილებით, მიესაჯოს მთელი სიცოცხლე სიკეთის კეთება, ჩამოერთვას ყველა უფლება, რომელიც მგზავნელთა მიტოვების ნებას მისცემს, აეკრძალოს „გზავნილ-იორკის“ დატოვება და იყოს მუდამ მგზავნელთა მეგობარი. განაჩენის წაკითხვის შემდეგ მოსამართლე შებრუნდა და გასასვლელად მოემზადა. უეცრად, დარბაზის კარი გაიღო და სირბილით ღონემიხდილი მგზავნელი შემოვიდა. — „დავიგვიანე?“, — ჩურჩულით იკითხა. — „ეს რომელია?“, — უკანმოუხედავად იკითხა მოსამართლემ. — „მარი ჯაფარიძეს გაუმარჯოს!“ — დაიძახა მგზავნელმა მთელი ხმით და კართან ჩაიკეცა, ღონემიხდილი. დარბაზში ქაოსი ატყდა, ისეთი ქაოსი, როგორიც ნამდვილ, სიცოცხლით სავსე „გზავნილ-იორკს“ შეეფერის და იმ დღეს ყველა ბედნიერი იყო. მაესტრო“.

ჭესიმისცა — ადამიანი, შიმეორეც ხეგის მხარზე ღიმის. ოჭციმისცა — ადამიანი, შიმეორეც ხეგის დეკოლტეში ღიმის.

ძალიან კარგი და ლამაზი ხარო, მაგრამ მის თვალებში სიყვარული არ დამინახავს. ამიტომაც გადავწყვიტე, სიმართლე მისსავე საყვარელი ჟურნალიდან გაეგო. თუ გიომ ხელი არ მკრა, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები და შეიძლება, მოულოდნელი ბედნიერებაც მეწვიოს. გიო, მიხვდები ალბათ, თამუნა ვარ".

ბიძაშვილი

„დღეს ბიძასთან მივდიოდი (წუხელ ესპანეთიდან ჩამოვიდა, ოჯახთან ერთად) და ქუჩაში მაგარი ბიჭი დავლანდე, რომელიც უაზროდ მომშტერებოდა. თვალი თვალში გავუყარე და სანამ მზერა არ ამარიდა, არ მოვეშვი. „შემთხვევით" დამეჯახა და ბოდიშიც მომიხადა. ალბათ ვიტყოდი, ეს იყო დიდი და ლამაზი სიყვარულის დასაწყისიმეთქი, მაგრამ ბედი არ გინდა?! ქვედა ტუჩის კუთხეში პატარა ნაიარევმა და ერმანეთისგან ოდნავ დაცილებულმა ორმა კბილმა მიმახვედრა, რომ ბიძაშვილი დამევასა. აუ, რა გამიტყდა?! ასე გაოცებულგახარებული ჩავეხუტე 4 წლის უნახავ ძამიკოს და სიცილ-კისკისით მოვუყევი ყველაფერი. — შენმა შემხედვარემ ვიფიქრე, ეს „სიმპო" ბიჭი ნეტავ, აქამდე სად მემალებოდა-მეთქი? — დავამატე. არც თვითონ დამრჩა ვალში: როცა დაგინახე, მეგონა, ბედი გამეხსნაო, მითხრა. კახელო".

მოტყუებული

„4 წლის ვიყავი, როცა დედიკო ყოველდღე 50 თეთრს მაძლევდა, რომ გავეხარებინე. მეც ვაგროვებდი და ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა მეორე დღე, სანატრელი 50-თეთრიანი რომ მიმეღო. დღეში ლამის ოცჯერ ვნახულობდი ხოლმე ჩემს სამალავს და მონეტების ცქერით ვტკბებოდი. ამ ფულის შესახებ იცოდა ჩემმა ბიძაშვილმა და გადაწყვიტა, „გავებედნიერებინე". როცა უამრავი 5-თეთრიანი მიჩვენა და ჩემს ფულში გაცვლა მთხოვა, უყოყმანოდ დავთანხმდი. მეგონა, მოულოდნელი ბედნიერება დამატყდა თავს და სიხარულით გავუცვალე ათი 50-თეთრიანი ოც 5-თეთრიანში. ბედნიერმა კი დედას ვახარე — შეხედე, დე, რამდენი ფული მაქვს-მეთქი! დედამ ბევრი იცინა 5-თეთრიანების დანახვაზე. ჩემს ბიძაშვილს კი შერჩა ჩემი ფული. დედა არ გაუბრაზდა, რადგან მე გამაბედნიერა. მე კი კვლავ მაფინანსებდა, ოღონდ, უკვე 5-თეთრიანებით. ტოპოლინა".

„44 ზომა ბედნიერება"

„ჩემთვის მოულოდნელი ბედნიერება იყო, როცა მობილური არ მქონდა და ქუჩაში ვიპოვე. ძალიან მინდოდა, მქონოდა და ასე მგონია, ღმერთმა „ჩამომიგდო". მას მერე ბევრი მიპოვია, მაგრამ პატრონისთვის დამიბრუნებია. კიდევ, სტუდენტობისას ტალახიანი 2-ლარიანი ვიპოვე და მაგრად გამიხარდა. ჰო, ამას წინათ კი მაღაზიაში მართლა მოულოდნელად გადავაწყდი ძალიან მაგარ ჩექმას, 44 ზომას (ჩემი ზომაა) და სიხარულით აღარ ვარ. როცა მოვიზომე და მომერგო, აღარც გამიხდია. მოულოდნელი ბედნიერება იყო, როცა ჩემს შვილს კიჩი ამოუვიდა. სულ პირში ჩავჩერებოდი, სტომატოლოგივით. კიდევ, მოულოდნელი ბედნიერებაა, როცა ხუთშაბათობით ჩემს სახელს ვნახულობ „გზაში" და ჩემდა სასიხარულოდ, ყოველთვის დადებით ასპექტში როცა მახსენებენ. გაიხარეთ, ყველანი მიყვარხართ. გაკოცეთ. ელისო".

„მეკაცთანე" თიკო

„ჩემი ჯგუფელი თიკო ცოტა „მეკაცთანეა". ბიჭების შებმა მისი სტიქიაა. თავიდან ვცადე მისი „ლოვეების" სახელების მეხსიერებაში აღბეჭდვა, მაგრამ მათი კოლოსალური რაოდენობის გამო უარყოფითი რეზულტატი მივიღე და შევეშვი. რალაცას რომ ჰყვება, ვეკითხები, — ეგ რომელია, დათოს წინ და ნიკას მერე რომ იყო-მეთქი? ჰოდა, ჩვენმა თიკუნამ 1 იურისტი ამოიღო მიზანში, მაგრამ ლუკას გაცნობა ადვილი არ აღმოჩნდა. თიკო გულს ჩვენთან იოხებდა. ისე დაგვლალა, მთელი ჯგუფი მზად ვიყავით, მისი ტურფა მოგვეტაცებინა, ოღონდ გაჩუმებულიყო. ერთ სალამოს, გოგოები ჭავჭავაძის გამზირზე მივსეირნობდით. მოგეხსენებათ, ტროტუარზე ფეხით მოსიარულეზე მეტი, მანქანაა გაჩერებული. ერთ-ერთი უკუსვლით დაიძრა. თიკომ მანევრირება ვერ მოასწრო და ოდნავ დაარტყა მანქანამ. არაფერი დაშავებია, მსუბუქად დაეცა. უცებ სალონიდან ლუკა გადმოხტა და საშველად მივარდა. მოკლედ, ის საღამო რესტორანში გავატარეთ და მანქანით „მოვარდნილი" მოულოდნელი ბედნიერებაც დავლოცეთ. თიკო კი საოცრად ერთგული აღმოჩნდა. რამდენიმე თვეა, ახალი სასიძო აღარ წარმოუდგენია. :) პარიუანკა".

ავი ცოლები ჭმაშს შიბლზე ყოკს ასვამენ, ჭკვიანი ცოლები — შჭეშს.

მთხოვნელების რიგი

„მოულოდნელი გაბედნიერების მცდელობის სცენარი: დღევანდელი დღე ჩემთვის ჩვეულებრივად დაიწყო. როგორც ყოველთვის, დედამ დამირეკა და გაიმართა ჩვეული დიალოგი — „ქალბატონო, ადგომას არ ინებებ?" — „კარგი, რა, დე, ცოტაც მაცალე", — „აშენდა, გოგო, ქვეყანა,

იქნებ მთხოვნელები მოდიან, საწოლში უნდა დახვდე?“ — ამ ფრაზას ჩემი ირონიული ჩაცინება მოჰყვა. ვიცი, ეს არ მოხდება, მთელი ჩემი სანათესავოს დიდი სურვილის მიუხედავად (შინაბერა ვარ, 24 წლის, ეს ზომიერად ფერხორციანი და მოწიფული გოგო) და უდარდელად ვიცვალე გვერდი, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, ზუსტად დღეს მოხდა სასწაული და ჩვენი ეზოს კარს მთხოვნელები მოადგნენ. ჰოდა, რას გეუბნებოდით — „მოსატანი მოეტანათ, გო, შავი ლაკი ტუფლები, თავი თეთრი ნასკებითა...“ მთლად ასეც არ იყო, მაგრამ დაპირება ბევრი დატოვეს. ჰოდა, მეც ის გოგო ვარ, დაპირებებს დავჯერდე?! თავაზიანი ღიმილით გავისტუმრე და ამათ კიდევ, — ხვალაც მოვალთ, ხვალაცო. ვაა, ბედი კარს მომდგომია და ხელი ვკრა? ამასობაში, მოსაღამოვდა და მეორე, მოულოდნელი ახალი ამბავი მომაფეთეს: თურმე კი არა და, ნამდვილად მეტრფიან შორიდან და მპირდებიან ბედნიერებას. არჩევანის არეალი ფართო კია, მაგრამ ეჰ, მე უბრალოდ, არ მაქვს ბედნიერების უფლება. უდიდესი სისულელე ჩავიდინე, რაც ქალს შეიძლება დაემართოს. ამის გამო კი მარტოობისთვის ვარ განწირული. დავდივარ და დავღიღინებ, „გულდამწვრისას“ — „კარგი იყო, არ გამეცან თავიდაააააან“... შუა წყალში რომ მაგდებენ, აქ ვჩერდები, ცრემლს მოვიწმენდ და ვცვლი სიმღერას — „ყარაჩოხელნო, მე ჩემს სატრფოს აღარ ვუყვარვაააარ, ჩემმა ლამაზმა დამაბნია გულზე ეკაალიიი“ და „რა ვქნა, რომ ბედი არ მწყალობს“-ით ვამთავრებ, მოთქმა-გოდებას. მე“.

ჯანმრთელი ავადმყოფი

„ჩემს მეზობლად დედისერთა ბიჭი ცხოვრობს. მის მშობლებს მასზე ამოსდით მზე და მთვარე. ერთხელ ამ ბიჭს ფილტვების ანთება დაემართა. დედამისმა გადაწყვიტა, სისხლის ანალიზი გაეკეთებინა. მიიყვანა კახეთის ერთ-ერთ ლაბორატორიაში, სადაც სისხლის საერთო ანალიზი გაუკეთეს. ის დღე მოლოდინში გაატარეს, მეორე დღეს ანალიზის პასუხს რომ მიაკითხეს, ლაბორანტმა შემაშფოთებელი პასუხი უთხრა: თქვენს შვილს სისხლში სერიოზული ცვლილებები აქვს, რაც ძალიან საშიშია და თბილისში წაიყვანეთო. შემოირტყა დადამისმა თავში ხელი და გააქანა თბილისში. მიიყვანა ყველაზე ძვირად ღირებულ საავადმყოფოში, ცნობილ პროფესორთან (კიდევ კარგი, ნაცნობი აღმოჩნდა). პროფესორმა ანალიზების თავიდან გაკეთება დაავალა. ამ პერიოდში გამწარებულმა დედამ ღმერთს სთხოვა: ღმერთო, ოღონდ შვილი გადამირჩინე და საკლავს დავკლავ შენს სახელობაზეო. რადგან ამ ოჯახთან ძალიან ახლოს ვიყავით, დედაჩემმა ალაჰს სთხოვა: ალაჰ, ანალიზის პასუხი წინას არ დაემთხვეს და ძვირიან შოკოლადებს დავარიგებო (ჩვენთან ასეთი წესია). მეორე დღეს ანალიზის პასუხი წინას არ დაემთხვა. ბიჭის დედამ პროფესორს დიდი მადლობა გადაუხადა და ერთი სული ჰქონდა, რაიონში როდის ჩამოვიდოდა. ჩამოსვლა და იმ ლაბორანტთან მისვლა ერთი იყო. ისეთი დღე აყარა, მტრის კარს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ცხვარიც დაიკლა და შოკოლადებიც დარიგდა. გრუზინკა“.



სურათი „დედაენისთვის“
— აი, თითი

პაემანი

„დავიწყოთ იმით, რომ ამის წინის წინა ნომერში ჩემი მესიჯის დაბეჭდვა ნამდვილად მოულოდნელი ბედნიერება იყო. წინა ნომერში დაუბეჭდავი 2 მესიჯი კი — ნამდვილი კატასტროფა. არადა, როგორ ველოდი?! არა უშავს, მაგასაც გადავიტან, თუ ამ ნომერში იმათაც და ამასაც დამიბეჭდავ, მომდევნო ნომერში ისეთ სიურპრიზს მოგიწყობ, რაც დარწმუნებული ვარ, ყველას გაგახარებთ (რა ინტრიგანი ვარ, არა?). აბა, რა ვქნა? მას მერე, რაც ჩემი მესიჯების „გზაში" ხილვით გამოწვეული ბედნიერება მომაკელი? ნუ გეწყინება, მარიამულო, რადგან იცი, რომ ამას საწყენად არ გეუბნები. ვიცი, თუ საჭიროდ მიიჩნევ, დამიბეჭდავ, მაგრამ მე მაინც მრჩება გულის ყველაზე ბნელ კუნჭულში პატარა იმედი. ჰო, და კიდევ, ერთი რამ: აღარ უნდა შევიკრიბოთ მგზავნელები? ერთ დიდ შეკრებას ვაწყობ, სამშაბათს, 18 ნოემბერს, 3 საათზე. გელოდებით უნივერსიტეტის ბაღში, ყველას. „არ და ვერ მოვალ", „არ მცალია", „ლექცია მაქვს" და ა.შ. არ მიიღება. უცნობებმა „გზა" დაიჭირეთ ხელში, თქვენი გაცნობაც მინდა. ეს მაინც დამიბეჭდე, მარი. ლორელაი".

წყევლა

„მე მოულოდნელ უბედურებაზე გიამბობთ. გიორგი პაპასა და ნინო ბებოს სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდათ. გიორგი ადრე გარდაიცვალა. ნინომ რის ვაი-ვაგლახით გაზარდა შვილები და რომ ეგონა, ვეღირსე ბედნიერ ცხოვრებასო, სწორედ მაშინ დაიწყო სამამულო ომი. ორი უფროსი ვაჟი გაიწვიეს ომში. ქალიშვილები გათხოვდნენ. ოჯახში უმცროსი ვაჟი, ლექსო დარჩა. მას და მეზობლის გოგოს, ანას, ერთმანეთი შეუყვარდათ. ანას ოჯახი შეძლებული იყო და მამამ ღარიბ ბიჭზე დაქორწინება აუკრძალა. ქალ-ვაჟი ერთმანეთისთვის რომ დაეშორებინათ, რას აღარ აკეთებდნენ უფროსები, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ლექსომ ანა შინ მიიყვანა. ძველად, ვისთვისაც დიდი სასჯელი უნდოდათ, ხატს გადასცემდნენ ანუ წყევლიდნენ ხოლმე. სწორედ ასე მოიქცა ანას მამა. მწარედ დაწყევლა შვილი და სიძე და... სოფელში ამბობდნენ, საღამო ჟამს „ამინმა" ჩამოიარა და მამის წყევლა გულით გაიყოლაო. ცოტა ხანში ლექსოც ფრონტზე წაიყვანეს და იქ დარჩა სამუდამოდ. ანა კი უკურნებელი სენით, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამ ღამაზ წყვილს 1 წლის ბიჭი დარჩა. ნერტისი".

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ჩემთვის მოულოდნელი ბედნიერება ის იყო, როცა დედაჩემი ოთახში მესტუმრა და მითხრა, გელა ტელეფონს გჩუქნისო. რომ წამოვხტი, ყურებამდე გავხსენი პირი და ავბღუყუნდი, — აუ, დეე, ხომ არ მატყუებ-მეთქი? დიდუ, რა ბედნიერი დღე გამითენდა... ღამის ოცნება".

„მოულოდნელი სიხარული ის იყო, როცა მე და ჩემმა დამ 18 წლის ასაკში, გავიგეთ, რომ ძმა გვეყოლებოდა. მე გათხოვილი ვიყავი და სულ გადავირიე სიხარულით. დედა 35 წლისაა. ახლა ის ყველაზე დიდი სიხარულია, ჩვენს ოჯახში. მე სამი თვის შვილი მყავს და ჩემი ძმა კი წლინახევრისაა. ცრემლი".

„მეზობელი მყავს ერთი, ელო. დღეში ცხრაჯერ მოდის დედაჩემთან, წნევის გასაზომად. არადა, არაფერი აწუხებს და სულ კრუსუნებს. თუ დედაჩემი ეტყვის, — კარგად ხარო, ისეთი ნაწყენი თვალებით უყურებს, თითქოს მაგის მამა დედაჩემმა მოკლა. თუ ეტყვის, — ავად ხარო, მასზე ბედნიერი მიშა სააკაშვილიც კი არ არის. მისი ბედნიერება მაშინ აღწევს პიკს, თუ შემთხვევით წამოგცდა და უთხარი — ელოო, ქალო, ეს როგორი ცუდი ფერი გადევსო. კახელი სალომე".

„ალბათ ობამასთვის იყო ამერიკის პრეზიდენტობა მოულოდნელი სიხარული. ქუთაისში ჩავიდნენ და ეკითხებიან, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ვის უჭერთ მხარსო? რა თქმა უნდა, ობამასო. რატომო? იმიტომ, რომ შავიაო. :) ქუთაისს და ქუთაისელებს გენაცვალეთ. GREEN GIRL".

„პატარაობაში დედაჩემს ვეკითხებოდი: — დე, ზღაპარი რატომ მთავრდება, როცა მთავარი გმირები ქორწინდებიან-მეთქი? ის კი მპასუხობდასავით: მერე რაღა გაინტერესებს, პრინცესა ჭურჭელს როგორ რეცხავსო? მას რომ ჰკითხოთ, რომეო და ჯულიეტას დაქორწინება რომ მოესწროთ, ან განქორწინდებოდნენ, ან ცხოვრებას მაინც თვითმკვლელობით დაასრულებდნენ. პრანჭო".

„მარი, პრივეტ, ცალ ხელში ჟურნალი მიჭირავს, მეორეთი ჩემს შვილს ვაჯანჯღარებ, რომ როგორმე დაიძინოს, თორემ იმხელა პირს ვაღებ, სადაცაა, გადამეყლაპება „გზავნილებიც" და შენი მგზავნელებიც. ვერც მოულოდნელი ბედნიერება გავიხსენე და ძილის მეტი არაფერი მინდა. დამიბეჭდე, მარი, ეს გზავნილი და ჩემი შვილი როცა გაიზრდება, წავაკითხებ და მეც მეშველება. უძილო დედა".

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — უხერხული სიტუაცია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის" კითხვა კი ასეთია — ლიფტში რომ გავიჭედო, ვის და როგორ მოვუხმობდი საშველად?



ადამიანები მუშაობენ, თუ ყარგად იხდიან. ჭარბიანები მუშაობენ — თუ იხდიან — ყარგია.

გამოგონებები, რომლებმაც სამყარო შეცვალეა

ჩვენ უკვე შევეგუეთ მეცნიერების ყოველდღიურ სიახლეებს და მათგან სასწაულს ველით. 30-40 წლის წინ კაცობრიობა სუნთქვაშეკრული ელოდა ფიზიკისა თუ ქიმიის დარგში მომხდარ ახალ აღმოჩენას. ტექნიკური პროგრესი XX საუკუნის ჰიმნად იქცა. ყველას ეგონა, რომ კაცობრიობის სრულ ბედნიერებამდე სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი, მაგრამ საინტერესოა, მეცნიერულმა მიღწევებმა მიგვაახლოვა თუ არა ნათელ მომავალს? გავაკეთოთ მცირე ექსკურსი წარსულში და ვნახოთ, რა მიღწევები აქვს კაცობრიობას.

1. დამწერლობა

კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ცდილობდა, ინფორმაციის გადაცემის ხერხი მოეძებნა. პირველყოფილი ადამიანები საამისოდ, რაც ხელთ მოხვდებოდათ, იმას იყენებდნენ. ისინი კვამლის, ხის ტოტებისა და ნაკვალევის საშუალებით გადასცემდნენ ინფორმაციას. კაცობრიობის განვითარების უმთავრეს ტრამპლინად ჩვ.წ.აღ-მდე 4 ათასი წლის წინ, დამწერლობის წარმოშობა იქცა.

2. გამომცემლობა

მას შემდეგ, რაც გუტენბერგმა XV საუკუნის შუა წლებში წიგნის დაბეჭდვის ტექნოლოგია გამოიგონა, წიგნი ადამიანის განვითარებისთვის აუცილებელ პირობად იქცა. წიგნი ინფორმაციის გადაცემის გაიოლებას ხელს უწყობდა. აღორძინების ეპოქას სწორედ ამ მოვლენამ დაუდო საფუძველი.

3. ტელეგრაფი

XIX საუკუნემდე ადამიანები სხვა ქვეყანაში მომხდარი მოვლენების შესახებ თვეების დაგვიანებით იტყობდნენ. ინფორმაციის გადაცემის ყველაზე სწრაფი საშუალება ხომალდი გახლდათ. ინფორმაციის უფრო სწრაფად გავრცელების საჭიროება თანდათან იზრდებოდა. იმ დროის ყველაზე საჭირო გამოგონებად ტელეგრაფი იქცა. 1832 წელს, მორზემ, ამერიკაში მოგზაურობის დროს ტელეგრაფის მოდელი და თავისი ცნობილი ანბანი შექმნა.

4. ტელეფონი

კაცობრიობა კვლავ განაგრძობდა ძიებას, რათა ინფორმაციის გადაცემის სიჩქარე გაზრდილიყო. საჭირო იყო ტელეგრაფზე სრულყოფილი მეთოდის გამოყენება, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა. XIX საუკუნის დასასრულს, რამდენიმეწლიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ ბელმა თავის დამხმარეს, ვატსონს დაურეკა და ხმა გააგონა: „მისტერ ვატსონ, თუ შეიძლება, ჩემთან მოდით“. ბელმა თავისი გამოგონება დააპატენტა და რამდენიმე თვის შემდეგ ტელეფონით უკვე 800 ადამიანი სარგებლობდა. მოთხოვნა კი ყოველდღიურად იზრდებოდა.

5. ფოტოგრაფია და კინო

კაცობრიობის ცივილიზაციისთვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა გამოსახულების გადაცემას. 1826 წელს ჯოზეფ ნიეპსმა კამერის საშუალებით თავისი ფანჯრიდან ქუჩის ხედი გადაიღო, რომელიც მეტალისგან დამზადებულ ფირფიტაზე აღიბეჭდა. 1837 წელს კი ლუი უაკ მანდე დაგერმა გაცილებით მაღალი ხარისხის გამოსახულება მიიღო.

1891 წელს ედისონმა კინეტოსკოპი გამოიგონა, რომელიც რამდენიმე ფოტოს ერთმანეთის მიმდევრობით აჩვენებდა, რასაც მოძრაობის ეფექტი ჰქონდა. ამ გამოგონებამ ძმებ ლუმიერებს კინოს გამოგონებისკენ უბიძგა და 1895 წლის დეკემბერში, პარიზში, კაპუცინების ბულვარში პირველი კინოსეანსი შედგა. მაყურებელი სასწაულის მომსწრე გახდა: თეთრ ეკრანზე რეალური, მოძრავი სურათები ერთმანეთს ცვლიდა.

6. ხიდი

გამომგონებელთა ფანტაზია სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდა. ისინი ადამიანთა დაახლოების ახალ-ახალ ხერხებს ეძებდნენ. 1895 წელს პოპოვმა უკაბელო ტელეგრაფის აპარატის დემონსტრირება მოახდინა. 1899 წელს, იტალიელმა გამომგონებელმა, მარკონიმ რადიოსიგნალის გადაცემა მოახდინა, ხოლო 1913 წელს გერმანელმა მეისნერმა პირველი რადიოტელეფონი შექმნა.

7. ტელევიზია

XX საუკუნის ყველაზე მთავარ გამოგონებად ტელევიზია



მიიჩნევა. პეტერბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, როზინგმა შუშის ეკრანზე გამოსახულების დემონსტრირება მოახდინა. 1928 წელს კი ბორის გრაბოვსკიმ მიაგნო მეთოდს, რომელიც მოძრავი გამოსახულების შორ მანძილზე გადაცემას უზრუნველყოფდა. ამის შემდეგ დაიწყო ტელევიზიის აღორძინების ხანა.

8. პერსონალური კომპიუტერი

კომპიუტერის გამოგონებამ უკანასკნელი ასწლეულის ყველა გამოგონების შეჯამება მოახდინა. ის ინფორმაციის ნებისმიერ მანძილზე გადაცემის, დამუშავებისა და შენახვის საუკეთესო საშუალებად იქცა.

9. მობილური ტელეფონი

1973 წლის აპრილში „მოტოროლის“ მთავარმა ინჟინერმა, მარტინ კუპერმა პირველი მობილური ტელეფონით დარეკა და კაცობრიობის ოცნება აასრულა. შესაძლებელი გახდა უსადენო, მომენტალური კავშირი. მობილური ტელეფონების სერიული გამოშვება 1983 წელს დაიწყო. ამჟამად მსოფლიოში 3 მილიარდი მობილური ტელეფონი ფუნქციონირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დედამიწის მოსახლეობის ნახევარი მობილური ტელეფონით სარგებლობს.

10. ინტერნეტი.

1989 წელს, ბერნერს ლიმ კაცობრიობას ურთიერთობის ფანტასტიკური მეთოდი შესთავაზა, რომელსაც ახლა მსოფლიო ქსელი ეწოდება და დედამიწის მოსახლეობის 1/4 იყენებს. ინტერნეტმა სამყარო პატარა „სოფლად“ გადააქცია, სადაც ინფორმაცია „ბგერის სიჩქარით“ ვრცელდება. ინტერნეტმა შეამცირა მანძილი. მონიტორს იქით ვირტუალური რეალობა იქმნება, სადაც ჩვენი შესაძლებლობები დროითა და და მანძილით შეზღუდული არ არის. ●

ყველაზე ურღვევი ფიცი

ინგლისის ზოგიერთ ქალაქში დღემდე მოქმედებს უჩვეულო წესი: ის, ვინც 1-ელ იანვარს დაიფიცებს, რომ ცოლს არ ეჩხუბება და სიტყვას წლის ბოლომდე პირნათლად შეასრულებს, მომდევნო წლის 1-ელ იანვარს ქალაქის მუნიციპალიტეტისგან საჩუქრად ლორის ხორცის საუკეთესო ნაჭერს მიიღებს. 1144 წლიდან დღემდე ეს საჩუქარი სულ 8 მამაკაცმა მიიღო.

• ძველად, იაპონიაში ფიცის ტექსტს ქაღალდზე წერდნენ, რომელსაც დამფიცებელი წვავდა, ფერფლს კი ყლაპავდა. იაპონელებს სჯეროდათ, რომ ფიცის დარღვევის შემთხვევაში ფერფლი შხამად გადაიქცეოდა.

• ყველასთვის ცნობილია ჰიპოკრატეს ფიცი. ექიმები ამ ფიცის შემდეგ იღებენ ლიცენზიას. თუმცა, ექიმების ნაწილი ამ ფიცს არ ცნობს. ეს ექიმების ებრაული ნაწილია. ისინი მიიჩნევენ, რომ ჰიპოკრატეს ფიცი უიდაიზმის პირველ და მეორე მცნებას ეწინააღმდეგება. საერთოდ, ექიმები ხუმრობენ ხოლმე: ჰიპოკრატეს ფიცის მიღების შემდეგ ექიმს კისერზე სტეტოსკოპის „მარყუჟი“ უჭერს, მის ცხოვრებას კი დიდი, წითელი ჯვარი დაესმება ხოლმეო.

• ძველი, ფლანდრიული თქმულების მიხედვით, ერთ-ერთ ბრიუსელელ, მდიდარ კაცს 4 წლის შვილი დაეკარგა. ძებნამ შედეგი არ გამოიღო. იმედგადაწურულმა მამამ ღმერთის წინაშე ფიცი დადო: თუ მისი შვილი გამოჩნდებოდა, მის ოქროს ქანდაკებას შეუკვეთდა იმ პოზაში, როგორ პოზაშიც იპოვიდნენ. მისი პატარა მაშინ იპოვეს, როდესაც ის შარდავდა. ეს ქანდაკება დღემდე ამშვენებს ბრიუსელის ერთ-ერთ ქუჩას.

• ძველად, ირლანდიაში მამაკაცი ფიცის წარმოთქმის დროს ხელს თავის მამაკაცურ ღირსებაზე იდებდა ხოლმე.

• მელოტთა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრების მსურველებმა აუცილებლად ფიცი უნდა დადონ. ისინი ბილიარდის ბურთზე ხელს დებენ და ამბობენ, რომ არასოდეს შეიცვლიან ვარცხნილობას. ამის შემდეგ ახალ წევრს თავზე კონიაკს ასხამენ.

• ძველად, ბრიტანეთში ასე იფიცებდნენ: თუ ვტყუოდე, მაშინ ჩემს სიდედრს ხელს ჩამოვართმევ.

• ყველა დროის ყველაზე ურღვევი ფიცი საფლავის ქვაზეა ამოტვიფრული: „ვფიცავ ცოლს აღარასოდეს შევირთავ!“ ●

საქორწინო ცრურწმენები

• თუ იანვარში დაქორწინდები, ადრე დაქვრივდები;

• თუ თებერვალში გათხოვდები, ქმართან კარგი ურთიერთობა გექნება;

• მარტში — თვალი სხვისკენ გეჭირება;

• აპრილში — ბედნიერება და უბედურება ერთმანეთს შეცვლის;

• მაისში — ოჯახი ღალატის გამო დაინგრევა;

• ივნისში — მთელი ცხოვრება თაფლობის თვე გექნება.

• ივლისში — ცხოვრების ბოლოს ტკბილ-მწარე მოგონებების იმედად დარჩები.

• აგვისტოში — მუდმივი სიყვარული იქნება შენი ოჯახის თანმხლები.

• სექტემბერში — მშვიდი, სიყვარულით სავსე ცხოვრება გელის.

• ოქტომბერში — მძიმე, რთულ ცხოვრებას ელოდე.

• ნოემბერში — ბედნიერი, მატერიალურად უზრუნველყოფილი მომავალი გექნება.

• დეკემბერში — წლების განმავლობაში სიყვარულის ვარსკვლავი სულ უფრო მკვეთრად იკაშკაშებს.

• თუ საქორწინო რგოლს დაკარგავ, მეუღლეს გაშორდები;

• თუ საქორწინო რგოლს სხვას ათხოვებ, ბედს მას გადაულოცავ. თუ თხოვებაზე უარის თქმა არ შეგიძლია, ბეჭედი მაგიდაზე დადე. ხელში ნუ მიაწვდი.

• თუ მაგიდის კუთხესთან ზიხარ, 7 წელი ოჯახს ვერ შექმნი.

• ნეფე-პატარძლისთვის შამპანურის ჭიქაში ჩაყრილი მონეტები ლეიბის ქვეშ უნდა ამოდო. ეს მატერიალურ სფეროში წარმატების მომტანია.

• თუ საპატარძლო ხარ, ქორწილის წინა საღამოს აუცილებლად ცრემლით უნდა იტირო.

• თუ ხელისმომკიდედ 10-ჯერ იყავი, თავად ვერასოდეს დაქორწინდები.

• შეყვარებულს სურათი არ უნდა აჩუქო, აუცილებლად დაშორდები.

• თუ ქორწილის დღეს ძლიერი ქარია, შენი ცხოვრებაც „ქარიანი" იქნება; თუ თოვს, ბედნიერების ნიშანია.

• თუ საქმრომ საქორწილო კაბა წინასწარ ნახა, უბედურების მომტანია.

• ქორწილში ნეფე-პატარძალი სულ ერთად უნდა იყოს და შუაში ჩადგომის უფლება სხვას არ უნდა მისცეს.

• ეკლესიაში, ჯვრის დასაწერად მიმავალ წყვილს ტანისამოსში ქინძისთავი უნდა ჩაარჭონ, რომ არ გაითვალოს.

• თუ ეკლესიის წინ სასიძომ ფეხი რაღაცას წამოჰკრა, ის საკუთარ არჩევანში დარწმუნებული არ არის.

• ოჯახი ურღვევი რომ იყოს, ქორწილში ახალდაქორწინებულები ერთ სკამზე (და არა — სკამებზე) უნდა ისხდნენ.

• თუ ქორწილში დანა-ჩანგალს გაჩუქებენ, საჩუქრის მომტანს აუცილებლად მონეტა უნდა აჩუქო.

• მეჯვარედ გასათხოვარი ან უცოლო

ოდითგანვე გავრცელებული იყო აზრი, რომ შესაძლოა, პატარძალი ქორწილში ვინმეს გაეთვალა. ეს რომ არ მომხდარიყო, დედა შვილს ათასგვარ რჩევას აძლევდა. ცნობილია ისიც, რომ მაისში ქორწინება არ შეიძლება... თურმე, გარდა ჩვენთვის ცნობილი ცრურწმენებისა, უამრავი სხვაც არსებობს. გაეცანით ამ ინფორმაციას, ხოლო გაითვალისწინებთ თუ არა მას, ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული.

მეგობრის წაყვანა ბედნიერების მომტანია.

• თუ ჯვრისწერის დროს მარცხენა ხელისგული მოგეფხანა, მდიდარი ოჯახი გექნება; თუ მარჯვენა — სახლში მუდამ ბევრი სტუმარი გეყოლება და მხიარულება იქნება.

• თუ ქორწილში აბრეშუმის ლენტით 2 ბოთლ შამპანურს გადააბამ და მათ გაუხსნელად შეინახავ, წლისთავზე ბიჭი შეგეძინება.

• თუ პატარძალს ქორწილში თმიდან მოსართავი მოსძვრა, ცუდის მომასწავებელია.

• თუ პატარძალს კაბა დაეხა, ავი დედამთილი ეყოლება.

• თუ ქორწილში ნეფე-პატარძლის ბეჭდებს შეეხები, მალე შენი ქორწილი იქნება.

• თუ გინდა, რომ ბედნიერი ოჯახი გქონდეს, ქორწილისთვის საყურე ბედნიერად გათხოვილმა მეგობარმა უნდა გაგიკეთოს.

• ნეფე-პატარძალს გზა არ უნდა გადაუჭრა, თორემ უბედურებას მოუტან.

• ქორწილის დღეს, დილით, პატარძალმა საქმრო არ უნდა ნახოს.

• თუ ქორწილში ძველ ფახსაცმელს ჩაიცვამ, ბედნიერებას მოგიტანს. სწორედ ამიტომაა, რომ საქორწინო ფეხსაცმელი რამდენიმე დღით ადრე უნდა ჩაიცვა. თუ ქორწილში ფეხსაცმელზე ქუსლი მოგტყდა, ოჯახური ცხოვრება „მოიკოჭლებს".

• თუ ჯვრისწერისას ბეჭედი დაგივარდა, ცუდი ნიშანია. ვიდრე დავარდნილ ბეჭედს თითზე გაიკეთებ, მასში ძაფი უნდა გაატარო. ჯვრისწერის შემდეგ ეს ძაფი მან უნდა დაწვას, ვისაც ბეჭედი დაუვარდა.

• პატარძალმა ახალი სახლის ზღურბლს მარტომ არ უნდა გადააბიჯოს, ქმარმა ის ხელში აყვანილი უნდა შეიყვანოს.

• მას შემდეგ, რაც საქმრო საცოლეს ბეჭედს გაუკეთებს, პატარძალმა ბეჭდის ცარიელი კოლოფი არ უნდა გამოართვას, ის მეჯვარემ უნდა აიღოს, რადგან არსებობს ცრურწმენა, რომ ვინც კოლოფს აიღებს, მალე გათხოვდება.

• ჯვრისწერის შემდეგ სიძე-პატარძალმა ერთ სარკეში უნდა ჩაიხედოს.

• ჭიქა, რომლითაც ნეფე-პატარძლის სადღეგრძელო შეისმება, წყვილმა უნდა გატეხოს.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. რამდენი ალფონსი გვყოლია და არ ვიცოდი. თუ იცი, რომ ხარ 45 წლის ზევით, ნამდვილი მამაკაცი, იცი შენი და ქალის ფასი, დამირეკე. უმჯობესია, თუ კახეთიდან ხარ. ვარ შვილიანი, არანაირი ქონება არ გამაჩნია, ადამიანის გულის გარდა, რომელსაც სჭირდება თანადგომა. „გზა“ თუ მოგიყვანს ჩემამდე, გმადლობთ.

2. ვარ მოხდენილი გარეგნობის, განათლებული, დასაქმებული, გაუთხოვარი. გავიცნობ შესაფერის, განათლებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცს, 45-50 წლამდე, ვისაც ენატრება ოჯახური სითბო.

3. ვარ 24 წლის ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მამაკაცს, 25-35 წლამდე. ნინო.

4. ვარ წესიერი, პატიოსანი გოგო, წესიერი ოჯახის შვილი, 23 წლის. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, პატიოსან ბიჭს.

5. ვარ 33 წლის, ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 34-40 წლამდე ასაკის მამაკაცს. სამაიმუნოდ და გასართობად თავს ნუ შეიწუხებთ.

6. მე ვარ ნინო, 44 ნომრის, ერთ-ერთი მესიჯის ავტორი. ჩემი ტელეფონი ნომერთან ერთად პატარა შემთხვევას ემსხვერპლა. გთხოვ, დამირეკე ან დამიმესიჯე ამ ნომერზე.

7. მყავს მეგობარი ქალბატონი, 47 წლის, ფილოლოგი. ჰყავს 1 შვილი, დაბინავებული. არის ქმარს გაშორებული. ვეძებ მისთვის პიროვნებას, რომელიც იქნება სერიოზული, ინტელიგენტი.

8. ვარ 40 წლის, ლამაზი, მხიარული და მგრძნობიარე. მხოლოდ 50 წლამდე ასაკის, ფინანსურად უზრუნველყოფილი მამაკაცებისთვის. თქვენი სილამაზე თქვენი ხასიათია. თბილისელი არ ვარ.

9. 37 წელია, გელოდები. ჯერ მარიკოს „გზაში“, მერე კი ცხოვრების გზაზეც თუ დამემგზავრები, ულამაზეს ოჯახს გპირდები, დაგვიანებულო მგზავრო.

10. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაურეთ. ვარ 176/70/39, პატიოსანი, განათლებული, თბილი ქალბატონი.

11. ბედს ვეძებდი, ვაი, სად არ ვიარე... ჰოდა, აქაც შემოვიარე, ღირსეული მამაკაცისთვის, თორემ უღირსების მეტი რაა... 37 წლის შინაბერა.

მამაკაცები

12. ვარ 30/180/75, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლამდე ასაკის, სიმპათიურ გოგონას.

13. მყავს გადასარევი, უცოლო მეგობარი, 170/70/32, ბინით, მანქანითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. დაურეკეთ მხოლოდ ლამაზმა გოგონებმა.

14. ვარ 33 წლის, სიმპათიური და მაღალი მამაკაცი, კარგი ოჯახის შვილი, გამრჯე და პატიოსანი. არ მაკლია ფული. გამომეხმაუროს 30 წლამდე ასაკის ქალიშვილი, მეოჯახე გოგო.

15. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ, თბილისელ, უშვილო მანდილოსანს, 40 წლამდე. ვარ 184/80/38, სიმპათიური, ერუდირებული, თბილისში დასაქმებული მამაკაცი.

16. გავიცნობ თბილისელ, ბინით უზრუნველყოფილ მანდილოსანს. ხევსური.

17. მსურს გავიცნო 45 წლამდე ასაკის, თბილისელი, ექიმი ქალბატონი. დამიმესიჯე, იქნებ გავუგოთ ერთმანეთს.

18. გთხოვთ, გამომიგზავნოთ მე-9 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

19. ვარ 30/180/70, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. სურვილი მაქვს, გავიცნო სერიოზული, სიმპათიური გოგონა.

20. ვარ 41 წლის, ეროვნებით — ბერძენი, განქორწინებული. ვცხოვრობ სოფელში, მაქვს მეურნეობა. გავიცნობ 37 წლამდე ასაკის, გამგებიან ქალბატონს. მინდა შევქმნა ოჯახი.

21. ვარ 26 წლის, 175 სმ სიმაღლის, კარგი აღნაგობის. დაოჯახების მიზნით გავიცნობ მანდილოსანს. გთხოვთ, დამიკავშირდეთ. თემური.

ოჯახები

22. ვარ 19 წლის. თუ ვინმეს გსურთ ჩემთან მეგობრობა, დამიმესიჯეთ.

ბავშვები

23. მარი, ბიძიკო, ამ მესიჯებით მარტო ახალგაზრდები ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობიან, ვხედავ. ბერიკაცს მეცი პატივი და ამხანაგი მომაძებნინე. სად ხარ, სოსო ძინძიბაძე? ბიჭო, მე ათენიდან გეხმაურები. ვნახე ჩვენი თანაკურსელები და შენც გაგიხსენეთ. შენი ამბავი

გოგონა ჩერნობილიდან

არავინ იცოდა. გამოგვეხმაურე. საჩხერე, სოფელი ჩალაურთა, სოსო ძინძიბაძე. ზურა.

• სიცილი მოგინდა? იცინე, რა მოხდა, ტირილი მოგინდა? სულელი რატომ ხარ? გულში არ გაივლო, რომ თითქოს მარტო ხარ, მე მუდამ შენთან ვარ, მე მუდამ მახსოვხარ. მარი, ჩემო სიცოცხლევ, ეს ლექსი შენ. მგზავნელებო, ძალიან მიყვარხართ, სიამოვნებით გაგიცნობდ.ით, მაგრამ... ბევრი, ბევრი გაკოცეთ. ლიმა.

• ამას წინათ, სახლში დავრეკე, თითქოს გულმა მიგრძნო და დედაჩემს პირდაპირ ჩემს ძაღლზე ვკითხე — როგორ არის, ვენატრები-მეთქი? შავი ავჩარკა, სახელად ჰესკი, რომელმაც, ვინ იცის, რამდენჯერ შეუჭამა მეზობელ ქეთოს გალიაში მოჭახჭახე ციცრები... ძაღლი, რომელიც უზომოდ მიყვარდა, სენმა შეიპყრო და მოკვდაო. დავტირი დღემდე. უკარება.

• გამარჯობა, მე ნინი ვარ, 20 წლის და უკვე ქვრივი. ეს ჩემი ტრაგედიაა. ამ უცხო ხალხში მხოლოდ „გზაა" ჩემი იმედი. მესიჯებით ყველას გიცნობთ, მგზავნელებო. ყველანი კარგები ხართ. ხშირად მოგწერთ და იმედია, მიმიღებთ თქვენს კლუბში და ცოტას გამახალისებთ. ჩაკეტილობა აღარ შემიძლია. სურვილიც დავკარგე სიცოცხლის. გკოცნით. სტამბოლი.

• ხუთშაბათმშვიდობისაო, უთქვამს ერთხელ მარიკელას. ამ მესიჯით საბერძნეთში მყოფი ჩემი მეზობლის მოკითხვა მინდა. ნონა, რავა ხარ, თუ იცი, მაქანა? ხომ ხედავ, დანაპირები არ დამვიწყებია. შენ ჩემი დაქალიც ხარ, მარტო მეზობელი კი არა. გკოცნი და შორიდან გეხუტები. ვერიკია.

• ენიგმას ლექსს ვპასუხობ: ჩემი ძვლების ჩხაკუნი,/ ვხედავ გაფრთხობს აშკარად,/ შენც იქ მოხვალ მექალთანევ,/ ჯოჯოხეთის მაშხალავ! შინაბერა.

• დიდი ხანია, „გზის" ფურცლებზე ჩემი გზავნილი არ მინახავს. მარ, ძალიან მინდა, „გზაში" დავბრუნდე. მგზავნელებო, მიყვარხართ და გაფასებთ, ხალხნო. გვიყვარდეს ერთმანეთი, დავივიწყოთ წყენა, ვიყოთ მიმტევებლები და უფალი ყოველთვის დაგვიცავს. გაკოცეთ. ფლამინგო.

• მოკითხვები ყველას, ვისაც ვახსოვარ. 13.07 არ იკარგება, თაფლობის თვე ყველას ეკუთვნის. ასე რომ, ისევ „გზავნილებში" ვარ.

• ყველა რომ გაიძახით, ძველი „გზა" გვენატრებაო, ბევრს ნუ იწუწუნებთ და ახალ ცხოვრებას შეუდექით. წარმატებები. 13.07.

• მარ, საშინლად მტკივა გული იმ ყველაფერზე, რაც წავიკითხე ჯარისკაცებზე. ასეთი უმადური ხელისუფლება თუ გვყავდა, ნამდვილად არ მეგონა. იმის მაგივრად, რომ გმირობა მიენიჭებინათ, ციხეში ჩასვეს და ათას სისაძაგლეს აბრალებენ. განადგურებული ვარ ამ ყველაფრით. ფიქრია.

• გამარჯობა, ლამაზო და კარგო ხალხო. გუ-ათენო, რომ ჩაგიცვამს „რეიტუზები" და დადიხარ და დეიტუზები, რაფერაა საქმე, ა? ჩაიცვი ძმაო კალოშები, გაივლი და გამოჩნდები. ლანდი.

• strange boy, ბიჭო, ათენში ამდენი მგზავნელები ვართ, გამო გარეთ, გაგვეცანი, გულს გადააყოლებ, გაერთობი. ჰო, გაკოცეთ. ლანდს მოკითხვა. უკარება.

• ე-რთხელ შეგავლო მინდა თვალები,
ნ-ატვრა კი ისევ ოცნებად მრჩება,
ი-სევ მოველი იმედით დილას, და
„გ-ზაში" შენი სახელის ხილვას,
მ-ე ვიცი, შენში სიყვარული არ უნდა ვძებნო,
ა-რ ვიცი, ამ გულს უშენოდ რა მოვუხერხო...
ს-აყვედურს მეტყვი? როგორც გენებოს...
ენიგმა, მალე შემოგეხმიანები. ათენი-27.

• გამარჯობა, მარი, მინდა, რაღაც გთხოვო და იმედია, უარს არ მეტყვი თხოვნაზე. მას

შემდეგ, რაც green girl-ის სურათი ვნახე „გზის“ 41-ე ნომერში, მოსვენება დავკარგე. გეფიცები, ყოველღამე მესიზმრება და სულ მაგ გოგოზე ვფიქრობ. ასეთი რამ არასდროს მომსვლია. გთხოვ, ჩემი ნომერი მისცე. დამიმესიჯოს. ვიცი, რომ შეგიძლია ამის გაკეთება. გაცნობის სხვა გზას ვერ ვხედავ, თორემ არ შეგაწუხებდი. მარი, ძაან გთხოვ, დამეხმარე. ლაშა.

• ჩემთვის ბედნიერება იქნებოდა, დედა რომ ჩამოვიდეს. არავის ვუსურვებ ემიგრანტის შვილი იყოს. თაისი.

• ბარო-ბარო, მგზავნელებო. მე მოვედი. ყველანი მაგრები ხართ და მიხარია. ნიკა-11-88.

• დუჩი, ნუ ილანძღები, ძალიან გთხოვ. რა შუაშია ლანძღვა? შენზე კარგი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ... უნიკოს კი შეეშვი. სულ არ ვიცნობ, მაგრამ „გზავნილებში“ კარგი სიტუაცია უნდა იყოს. შენ ვინმემ რომ გაგლანძღოს, კარგი იქნება? მარიამულ, შენ არ თქვი, რომ თავი შეიკავეთ ყველამ ლანძღვისგანო? ისევ ვხედავ ამ „გზავნილებში“ ლანძღვა-გინებას. ქართველებმა ერთმანეთს თუ არ გავუგეთ, რუსები რას გვიზამენ? ენიგმა, რა გინდა ბაქოში? ზარი შემომიშვი და დაგირეკავ. მაგრად მიყვარხარ.

• ათენი 23, მინდა გითხრა, რომ ტყუილის მთქმელს, ურცხვს და ორგულს ნუ გაიხდი თანამგზავრად, თორემ ბოლოს დაინანებ, და გაგყვება გულში დარდად. ნათათო.

• მანაველს: ჯანმრთელი სამიანი ალალია. კოკოს: არ გიცნობ, მაგრამ მადლობა მოკითხვისთვის. ტირიფო, დაი, ნუ ხარ სევდიანი. შენს ბაგეს ღიმილი არ მოაკლო. სურათისთვის მადლობა. გრუზინკა.

• კამის გამო თბილისში წავედი. დავურეკე და ვუთხარი: ერთმა ტანსაცმლიანმა გიჟმა შენს სანახავად კილომეტრები გამოიარა და იქნებ, შეხვდე „ისანთან“-მეთქი. მოვიდა და ვნახე. გრუზინკა.

• აუ, ჩემი ნომერი ვერ დავიბრუნე. ეს ნომერი მაქვს. პავლიკ, წინა „გზა“ ვერ ვიყიდე და არ მინახავს მესიჯი. ენიგმა, ბედნიერ მგზავრობას გისურვებ. o.k. დაგელოდები. :) ანუშკა.

• ჩიხტიკოპიანო დილეტანტო, მერე რა, რომ გოგას კლანიდან ხარ და ლუდიც გიყვართ? კარგი რა, დეიდა, არ მოგბეზრდათ ომი? ნუ, გადავირიე, რაა... აბა, თვითკრიტიკული თქვი რამე, ძნელია?

• ყველა კაი ხალხს მოკითხვა. დადუ, მაგრად მიყვარხარ, ჩემი სიხარული და ჩემი ცხოვრება ხარ. მეგრელი კაცი, დადუ.

• ენიგმა, არსად მეჩქარება. რომ ჩამოხვალ, მაშინ გიპოვი. მანამდე კი იკუშკების, კაჭკაჭის, ლუნას, 9717-ს და მაესტროს მესიჯებით შევიქცევ თავს. გაკოცეთ. ნერეიდა.

• ღმერთმა ლამაზად არ გამაჩინა, არც სიმდიდრე მომცა... და ყურადღებას არავინ მაქცევს... სულ მარტო ვარ... დავიღალე... ანა.

• ეჰ, ჩიხტიკოპიანო დილეტანტო, ისე დამწვარი ლაპარაკობ გრანდიოზულ, უარის მთქმელ კაცებზე, ალბათ ჩემსავით ქმარი გყავს მასეთი. იქნებ, ასაკის ბრალია, დაგენაცვლე? ეთერი.

• დღეს მე დავმარხე ჩემი ვნებები, ვარ სიყვარულის ჭირისუფალი... დამპ... მშვიდობით, მომენატრები კი არა და, უკვე მენატრები და მსურხარ, მაგრამ... „ვოტ, კონეც“! მე.

• რატომ ხდება ცხოვრებაში ასე, ნიღბებს რატომ იკეთებს ხალხი? ამ ნიღაბში დავიხუთე უკვე, ნიღბის უკან მე ქალი ვარ ალბათ, უნიღბოდ კი მეშინია ხალხის. დოპინა.

• წყევლა მაწყევარსო, დუჩ, ჩიხტიკოპიანო დილეტანტო, სულ სამმა მგზავნელმა მოგწერა, შენ ჩაურიცხე, გენავ? შენი სადღეგრძელოდან ასე ჩანს. ყელში გაჩხერილი ფხა (ჩემი ნიკია).

• მშობლიურო! ეს ოცნება, ციდან მონაბერია/ ეს სიმღერა, ეს ცრემლები შენთვის მონაწურია/ აი, წიგნი-სამშვიდობო ცისკრად მოქარგულია/ ღმერთო შენს მადლს ნუ მოაკლებ/ მგზავნელებს და მარიას./ ერთად დარგული ნერგი/ აგვიყვავდება მგზავნელნო/ ერთი ღიმილიც კმარა/ გალღვეს ყინულის ხერგი./ ყველანი ძალიან მიყვარხართ, გაიხარეთ. მგზავრი.

• ვიფიქრე, ენიგმაც ჭკვიანი, მეც ჭკვიანი და ჭკვიანური კამათი გამოგვივა და ცოტას ვიდიპლომატებთ-მეთქი, მაგრამ აქ არ ყოფილხარ. მშვიდობით დაგვიბრუნდი. დროებით. ანკა.

• ალლო! როგორ ხართ? ლუნა, გრუზინკა და ენიგმა, ჩემი სულის იადონები ხართ. იკუშკები, კამი, ოლე, უზნეო ანგელოზო, ედელვაის, ნერთის უზომოდ მიყვარხართ! crazy girl.

• გამოუსწორებელი რომანტიკოსის გაცნობა მინდა ძალიან, რადგან ის თბილი მეჩვენება. თან, მეც რომანტიკოსი ვარ და ერთმანეთს შევეწყობით. ხომ, სიხარულო? ლამაზი თოჯინა.

• მიხარია, სიხარულებო, რომ არ ჩხუბობთ. კარგი გოგონები და ბიჭები ხართ. ჩეემი თბილი და ტკბილი ადამიანები ხართ. ნეტავ იცოდეთ ბარტყებო, როგორ მიყვარხართ. ლამაზი თოჯინა.

• ჯეჯე, მიყვარს შენი იუმორი. ენიგმა და იკუშკები, ნიჭს შეგიქებთ, სიხარულებო. ლელუჩია ნეტავ, სადაა ან უზნეო ანგელოზი? მაესტროც უნდა შევაქო. ლამაზი თოჯინა.

• ალბათ არ მომწყინდება თქვენი მოფერება. მე ძალიან მიყვარხართ. თქვენ? იცით, ბელურებო, მე ვგრძნობ, რომ თქვენც გიყვარვართ. კარგია თქვენთან ულურტული. ლამაზი თოჯინა.

• იცით, ენიგმასა და ჩიხტიკოპიან დილეტანტს შორის რა სხვაობაა? პირველის გზავნილი იუმორია და გაცინებს, მეორესი კი ბოლმაა და გამხედრებს. მეტი საკბილო მეორეს ნაწერშია. ნერუ.

• მარი, მადლობა, მესიჯი რომ დამიბეჭდე. ახალი ვარ, მინდა „წარწერადაკარგული“ ფოტოსთვის კარგი რაღაცები გამოვგზავნო, მაგრამ

ბაბუ ენაცვალოს... ეს ვოვას, ეს მედვედევს, ესეც კიდევ – კოკოითის

შენი ტელეფონი სულ გათიშულია და რა ვქნა? მწარე.

• ენიგმა და კამელია, მაგრები ხართ. გრუზინკა, შენ „ჩოხ იახში ადამსან? იორუმ". ზესტაფონელო ლამაზმანო, მე ვარ ზესთტაფონიდან. გიუ-ხიფათა.

• 9717, სიხარულო, პრინცესას ნიკით აქ მარტო მე ვამესიჯებ, მაგრამ შენთვის მაწონივით მიყვარხარ-მეთქი, არ მითქვამს. იქნებ სხვა პრინცესას გულისხმობ და მე ვცდები? მპუა, შენ.

• ნაცნობო-უცნობო, დაკარგულო მეგობარო, დიდი მადლობა, მაგრამ რომელი ხარ? ვერ გიცანი. იქნებ პირადად დამიკავშირდე. p.s. მოკითხვა უკარებას და 9717-ს. ნონ სტოპ.

• კაცი გვიან ღამით ბრუნდება სახლში. ცოლი: — კაცო, სად ხარ აქამდე, ალბათ ბიბლიოთეკაში? ქმარი: — არა, ბაღში ვიყავი, ვარდს ვეძებდი ეკალში. ცოლი: — ყველაფერი გავიგე, ვიცი, სადაც დადიხარ. ქმარი: — ეკალივით გულს მიჩხვლეტ, მაინც გულის ვარდი ხარ. ცოლი: — სიცოცხლე გამიმწარე, არაფერი მაღირსე, ნასვამი რად მინდიხარ, ნურც მოდიხარ სახლისკენ. ქმარი: — სახლს თუ ვაგნებ, რა გინდა, ესე იგი, ფხიზლად ვარ. ცოლი: — ჩემ ადგილზე სხვა ქალი, ნახავდი, რას გიზამდა. ქმარი: — თქვენ, სუყველა ცოლებმა, ასე იცით თავდასხმა. შენგან სისხლი გამიშრა, მინდა სისხლის გადასხმა. ცოლი: — სიცოცხლე შემოგწირე, ბოლოს ამას ველოდი? რომ მცოდნოდა, ლოთი ხარ, შენ არ გამოგყვებოდი. ქმარი: — ღმერთს უმადლე იგი დღე (თან უმღერის გიტარით), მთვრალი არ ვყოფილიყავ, აბა, შენ შეგირთავდი? ჯეჯე.

• დიდი, დიდი, დიდი მადლობა ეთოს, რომ ტირესთან ჩაწერა ინტერვიუ. ტირე ძალიან მიყვარს. მოვიკითხავ კახუჩელას, ანკას, სვეტას, გიოს და ყველა კაი ხალხს. ნერტისი.

• გენაცვალეთ ყველას, გულებში. მანაველს მაგრად უყვარხართ. ედელვაისს და აპოლონს მალე გამოჯანმრთელება! მაპატიეთ, ყველას ვერ გწერთ ხოლმე. p.s. გიო, რავა ხარ?

• აპოლონ, მაგარი ნიჭიერი ხარ, გაიხარე! ლუნა, სურამში რომ გავივლი, ყველგან გეძებ, სურამელებსაც ვეკითხები შენზე, მაგრამ ამაოდ. ქუთაისს მოკითხვა. მანაველი.

• ნეტავი, ტემბოლეე სად დაიკარგა? ფინტიკოზა, არ გიცნობ და მინდა, გაგიცნო. რას იტყვი? აქ ფშაველებიც იყვნენ, სად ხართ, ხალხო? არ ვიცი, არ ვიცი... p.s. მანჯუ, მიყვარხარ. მანაველი.

• დე, იქნებ ეს ზამთარიც გავიტანოთ, როგორმე. ჭირს მიჩვეულები ვართ, მაინც. მეზობელო, დედას ძალიან უჭირს და შენს კისერზეა ეს, იცოდე. ღიმილი დამავიწყდა, რა ფერისაა.

• უკარება, ქუთათელო და მანაველო, ნათათო ტოჟე ლუბიტ გულში. 21 ნოემბერს ნეტავ ვინ მომილოცავს დაბადების დღეს? ციყვო, ჩემი ლოთი ძამიკო ხარ. სიკვდილა, ზდრასტი. green girl.

• გაუ, ყველას! რავა ხართ, მარგალიტებო? მაესტროს, ენიგმას და ჩიხტიკოპიანი დილეტანტის გზავნილები მომეწონა და... ყველა. გაიხარეთ და ნუ იჩხუბებთ. მიყვარხართ! ვიკა.

• ენიგმა, ძამი, რომ მომენატრე, ხომ იცი? მე ვიამაყებდი, შენნაირი ძმა რომ მყოლოდა. კამი, გულში მიყვარხარ, შენც, გრუზინკა. ეთო, შენც და შენც, მაესტრო. ლუნა.

• ხალხო, მიშველეთ, გავთხოვდი, მაგრამ უსიყვარულოდ. ქმარი მცემს და გული მთლად გამიტეხა. თან სხვა მიყვარს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

ლოლია, ძამა გახდე,
ძამად დარჩენაა ძნელი.

ბავშვობა

• ჩემო სიყვარულო და სიხარულო, უზომოდ მიყვარხარ. ჩემი ცხოვრება ხარ, ჩემო სიცოცხლევ. მიყვარხარ ძალიან, ძალიან მაგრად. მარი, ჩემი ხარ. გკოცნი. ოთოსგან.

• მინდა, თქვენი მეშვეობით ფრიდონს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. ნინო.

ცაცვრები



• მართლაც იმ ბედნიერ დღეს, 10 ნოემბერს გაუმარჯოს, როცა შენ გაჩნდი ამ ქვეყანაზე, ნინო, ჩემო სიცოცხლევ, დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ მეუღლესთან და პატარებთან ერთად. შენი დედა, ათენიდან, მზევინარი.

• 7 ნოემბერს დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ დალი მამიდულის. მამიდა, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ულევ ბედნიერებას. გვსურს, მოგილოცოთ დაბადების დღე და ზედ დავურთოთ ათასი კოცნა, შენი ცხოვრების მეგზური იყოს სიხარული და „იესოს ლოცვა". გვიყვარხარ ძალიან. ძმისშვილები — ხათო, ნათო, ეთო.

• ჩემს დეიდას, მანანა გედენიძე-კუბლაშვილს ვულოცავ 7 ნოემბერს, დაბადების დღეს. დეი, გისურვებ ჯანმრთელობას, გახარებას და ღმერთის მფარველობას, შენს ოჯახთან და პატარა შვილიშვილ ათულიკოსთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. თიაკო. ათენი.

• ათენში მზია ხარაბაძეს დაბადების 45 წლისთავს ულოცავენ მეუღლე ოლეგი, შვილები — კახა, ძაკო, ხათუნა მამასახლისი. სიძე, ლაშა ჭუმბურიძე. ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგაკლოს ღმერთმა. გვენატრებით და გკოცნით შორიდან.

• გიო ღარიბაშვილს და მარი ბალახაძეს ვულოცავ გაბედნიერებას. გისურვებთ ბედნიერებას და დიდ სიყვარულს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ლელა.

• ჩემს სიხარულსა და სიცოცხლეს, გაგა გამეზარდაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, შვილო. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. შენს მოფერებას მონატრებული, შენი დედა, ლალი.

• მინდა, მივულოცო დაბადების დღე ტარიელ აბუსელიძეს და ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება და ყოველივე კარგი, ცხოვრებაში. მეუღლე და დედ-მამა.

• დაბადების დღეს ვულოცავ 10 ნოემბერს, ჩემს ძმებს და ვაჟკაც ბიჭებს, მალხაზ როგავას და მუხრან შუბითიძეს. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენს ოჯახთან და ყველა თქვენთვის ძვირფას ხალხთან ერთად. გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში. მაგრად იყავით, ბიჭებო. კეთილი სურვილებით, ნანა ლემონჯავა.

• ქობულეთელ ნათია კიკვაძეს: ჩემი სიყვარულის სიყვარულო, გილოცავ შენი გაფურჩქნის მე-19 წელს. იფრინე ლაღად. სიყვარულით, დედიკო.

• ჩემს მეუღლეს, ქობულეთელ გია კიკვაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მე მჯერა, ღმერთი გადაგვარჩენს. ირმა.

• ჩემს პატარა შვილს, ნიაკო სინათაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 ნოემბერს. 5 წლის ხდება. ღმერთი გფარავდეს, ჩემო ლამაზო. სალომე.

• ჩემს მეგობარს, მარი შუბითიძეს 15 ნოემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ლამაზ ბავშობას და ბედნიერ მომავალს. დიდი სიყვარულით, მეგი ხურცია.

• ჩემს უსაყვარლეს შვილს, მარიკა მაღრაძეს მისი უსაყვარლესი „გზის" ფურცლებიდან ვულოცავ დაბადების დღეს, 17 ნოემბერს. ვუსურვებ ულევ სიხარულს და ღვთის წყალობას. ლალი.

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი ალარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

საინტერესო ფაქტები კინოინტერესის ტარიუმი



- თეთრ დათვს შავი კანის ფერი აქვს.
- ესპანეთი — „კურდღლების მიწას“ ნიშნავს.
- მუხამ რკო რომ მოისხას, 40 წლის მაინც უნდა იყოს.
- ჭუჭყიანი თოვლი უფრო მალე დნება, ვიდრე სუფთა.
- ფუტკარს 5 თვალი აქვს.
- დინამიტის დასამზადებლად არაქისს იყენებენ.
- პირველი ოდეკოლონი „შავი ჭირის“ პროფილაქტიკისთვის გამოიგონეს.
- ჭიანჭველას ყველაზე დიდი ტვინი აქვს — ტანთან მიმართებაში, რა თქმა უნდა.
- ყავის საშუალებით თვითმკვლელობის ჩადენაა შესაძლებელი. საამისოდ, 100 ფინჯანი ყავა ერთდროულად უნდა მიირთვა.
- ცნობილ მეზღაპრეს, ჰანს ქრისტიან ანდერსენს არც ერთი სიტყვის სწორად დაწერა არ შეეძლო.
- კვირის სხვა დღეებთან შედარებით, ორშაბათობით 25%-ით მეტი ზურგის ტრავმა და 33%-ით მეტი გულის შეტევა ფიქსირდება.
- ადამიანი ცხოვრების მანძილზე 2 კვირას შუქნიშნის მწვანე ფერის მოლოდინში ატარებს.
- ადამიანი ჩაის უფრო იოლად ეჩვევა, ვიდრე ჰეროინს.
- კოღო იმ ადამიანებს ეტანება, ვინც ბოლო 2 საათის განმავლობაში ბანანი მიირთვა.
- ნეანდერტალელის ტვინი მოცულობით თანამედროვე ადამიანის ტვინზე დიდი იყო.
- ავტომობილის ძრავას გასაღებით დაქოქვა 1949 წელს დაიწყეს.

- პოლარულ დათვს სირბილის დროს 40 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია.
- ხმამაღალ ხვრინვას შეუძლია დეციბელის ისეთ ნიშნულს მიაღწიოს, როგორსაც — ურო.
- მთელი ჩინეთის მოსახლეობა ერთმანეთს თავებზე რომ შეადგეს, მთვარიდან დედამიწამდე მანძილს სამჯერ დაფარავს; თუ ხელებს ჩასჭიდებს, დედამიწას გარს სამჯერ შემოერტყმება.
- 1955-დან 1973 წლამდე საბჭოთა კავშირმა, ამერიკამ და ბრიტანეთმა 960 ატომური გამოცდა ჩაატარეს.
- თუ 111111111-ს 111111111-ზე გავამრავლებთ, მივიღებთ — 12345678987654321-ს.
- 1863 წელს ჟიულ ვერნმა დაწერა წიგნი „პარიზი XX საუკუნეში“, სადაც დაწვრილებით აღწერა ავტომობილი, ფაქსი და ელექტროსკამი. გამომცემელმა მას ხელნაწერი უკან დაუბრუნა და იდიოტი უწოდა.
- წლის განმავლობაში ადამიანის ნეკნი 5 მილიონ მოძრაობას აკეთებს.
- მსოფლიოში მომხდარი 7 ქურდობიდან მხოლოდ 1 იხსნება.
- ზოგიერთი კბილის პასტის შემადგენლობაში ანტიფრიზი შედის.
- ამერიკელების მხოლოდ 55%-მა იცის, რომ მზე ვარსკვლავია.
- მაკრატელი ლეონარდო და ვინჩიმ გამოიგონა.
- ნიანგი თანამედროვე ჩიტების ყველაზე ახლო ნათესავია.
- ჯვრიანი ობობა თავის ქსელს ყოველ დილით ჭამს, შემდეგ თავიდან ქსოვს.

უნიტაზზე დაწებებული

- დიდი ბრიტანეთის მოქალაქე საზოგადოებრივი ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა. უცნობმა ხუმარამ მას სიურპრიზი მოუწყო: უნიტაზის ნაპირებს წებო წაუსვა, რის გამოც ხუმრობის მსხვერპლს ექიმების დახმარება დასჭირდა. საწყალი დაზარალებული გვიან მიხვდა, რომ უნიტაზის ზედაპირი წებოთი იყო დაფარული. უნიტაზიდან ადგომის მცდელობა კრახით დასრულდა. ვერც მაშველებმა გააწყვეს რამე. იძულებული გახდნენ, საპირფარეშოდან უნიტაზთან ერთად გამოეყვანათ. როგორც იქნა, მამაკაცი და უნიტაზი ერთმანეთს დააცილეს, რის შემდეგაც ტუალეტის მოწყობილობა ძველ ადგილზე დააბრუნეს, შეშინებულ კაცს კი დამამშვიდებელი აბი დაალევინეს და შინ გაისტუმრეს.

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ზაზარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

ცნობილი საიტის ქართული ანალოგი უკვე 12 ათას მომხმარებელს ითვლის

ომი, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ წამოიწყო, ვირტუალურ სამყაროში გრძელდება. ცოტა ხნის წინ, პოპულარულ რუსულ სოციალურ ქსელში „ოდნოკლასნიკი", რომელიც დაახლოებით 20 მილიონ მომხმარებელს აერთიანებს, ქართველ მომხმარებლებს გამაფრთხილებელი შეტყობინება დაეგზავნათ. შეტყობინება იუწყება, რომ „ოდნოკლასნიკის" ქართველი წევრები უნდა მოერიდონ ვინმე კონსტანტინ ბიკოვისა და ალექსანდრ დმიტრიევის სახელებით დარეგისტრირებულ მომხმარებლებთან ვირტუალურ ურთიერთობას, რადგან ისინი კომპიუტერული ვირუსის მატარებლები არიან. აღმოჩნდა, რომ ამ სახელებით რეგისტრირებულ მომხმარებლებს „იერიში" ინტერნეტგვერდის ქართველ მომხმარებლებზე მიაქვთ და ძლიერი კომპიუტერული ვირუსით, მის „სამეგობრო" წრეში რეგისტრირებული მომხმარებლების კომპიუტერების „დავირუსებაც" შეუძლიათ.



ემა ტუხიაშვილი

დაახლოებით ერთი თვის წინ, ვირტუალურ სამყაროში, რუსული „ოდნოკლასნიკის" ქართული ალტერნატივა — face.ge გაჩნდა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში, ქართულმა სოციალურმა საიტმა, სადაც ასევე შესაძლებელია დიდი ხნის უნახავი თანაკლასელების, ჯგუფელებისა და თანაკურსელების მოძიება, უკვე 12 ათასზე მეტი მომხმარებელი მიიზიდა. ახალი ინტერნეტგვერდის შემქმნელებს კიდევ უფრო შორს მიმავალი გეგმები აქვთ და მუშაობენ გაცილებით გრანდიოზულ პროექტზე — სოციალურ ქსელზე, რომელიც 30 ქვეყნის მომხმარებლებისთვის ერთდროულად ამოქმედდება.

გიგა პაიჭაძე, *face.ge-ს მოდერატორი:*

— ზოგადად სოციალური ინტერნეტქსელები ძალიან მოდურია მთელ მსოფლიოში. წარმოიდგინეთ, რომ ნებისმიერი მიზნით, ნებისმიერი ინტერესის გარშემო შესაძლებელია სოციალური ქსელის შექმნა. „ფეისის" შექმნის იდეა წლეულს თებერვალში გაჩნდა, როდესაც დამიკავშირდნენ ერთ-ერთი ესტონური კომპანიის მფლობელები და დაინტერესდნენ: არის თუ არა საქართველოში სოციალური ინტერნეტქსელები, არსებობს თუ არა მათზე მოთხოვნა... ამის შემდეგ, ესტონელმა პარტნიორებმა გამოთქვეს სურვილი, შემოსულიყვნენ ქართულ ინტერნეტბაზარზე. მოხდა ისე, რომ ივნისში, ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, საერთაშორისო ინტერნეტკონფერენცია გავმართეთ. ღონისძიებას დსთ-ის ქვეყნების 150-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა. სტუმრები გვყავდა აღმოსავლეთ ევროპიდანაც. ამ კონფერენციაზე ჩვენი ესტონელი პარტნიორებიც ჩამობრძანდნენ და ახალი ქართული სოციალური ინტერნეტქსელის პრეზენტაციაც შედგა. პირველი ოქტომბრიდან კი ეს გვერდი ოფიციალურად ამოქმედდა.

— შეიძლება ითქვას, რომ ქართული „ფეისჯი" რუსული „ოდნოკლასნიკის" ალტერნატივაა?

— ეს არის „ოდნოკლასნიკის" მცირე ალტერნატივა. ამ საიტზე შეგიძლია მოძებნო შენი მეგობრები მთელი საქართველოს მასშტაბით, ჩატვირთო შენი ფოტოები, შექმნა ფოტოალბომები. შემდეგ სხვა მომხმარებლები აძლევენ ხმას შენს ფოტოებს. ამ გვერდის მეშვეობით შეგიძლია მოძებნო სკოლა, სადაც სწავლობდი ან უმაღლესი სასწავლებელი. დღეისათვის ჩვენს გვერდზე ყველაზე რეიტინგული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტია. „ფეის.ჯიზე" უკვე დაახლოებით 12 ათასი ადამიანია რეგისტრირებული. აქედან 7 ათასი თბილისელია. ბევრი, უცხოეთში მცხოვრები ქართველია და ამ გვერდის მეშვეობით ქართულად ეკონტაქტება მონატრებულ თანამემამულეებს. გვყავს მომხმარებლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ, შექმნან კლუბები. მაგალითად, მას, ვინც კარგად ხატავს, შეუძლია შექმნას კლუბი „მხატვარი" და ინტერნეტში თავისი ნამუშევრები გამოფინოს. ასევე შეუძლია ამ კლუბის გარშემო შემოიკრიბოს მეგობრები. „ოდნოკლასნიკებისგან" განსხვავებით, ჩვენთან შეგიძლიათ, თქვენს გვერდზე ვიდეორგოლები განათავსოთ. გვაქვს ასევე გაცნობითი ხასიათის ინტერნეტთამაში „ამირჩიე", სადაც მონაწილეები ერთმანეთის დასმულ კითხვებზე პასუხობენ. ამ ინტერნეტგვერდზე შესაძლებელია ბლოგების ანუ დღიურების შექმნა და ყველაზე პოპულარული ჩანაწერები საიტის მოწინავე გვერდზე განთავსდება. როგორც ხედავთ, „ოდნოკლასნიკისგან" განსხვავებით, ბევრი საინტერესო ფუნქცია გვაქვს და რაც მთავარია, ეს საიტი მთლიანად ქართულენოვანია. „ოდნოკლასნიკის" ბევრი ქართველი მომხმარებელი უკვე გადმოვიბირეთ და ვფიქრობთ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ადამიანი შემოგვიერთდება. ვემზადებით უფრო დიდი პროექტის განსახორციელებლად. ეს იქნება გაცილებით სოლიდური „ინტერფეისის" მქონე საიტი და მსგავსი საიტები მსოფლიოს 30 ქვეყანაში ერთდროულად გაიხსნება. ეს დიდი პროექტია, რომელიც ტოლს არ დაუდებს „ოდნოკლასნიკის", მრავალენოვანი იქნება.

— ხშირად ისმის, რომ „ოდნოკლასნიკი" „ფეისბუქს" (რუსეთის უშიშროების სამსახური) საიტია. ხომ შეიძლება, ასეთი ეჭვები ქართულმა სოციალურმა ქსელმაც აღძრას?

— ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ვერავინ მოითხოვს და გვაიძულებს მოდერატორებს, გავცეთ საიტზე განთავსებული დაფარული ინფორმაცია. შესაძლოა, არ იცით, რომ ჩვენთან მომხმარებელს შეუძლია დარეგისტრირდეს ისე, რომ არ ჩანდეს მისი პირადი ინფორმაცია. ამისათვის კი მხოლოდ იმ ღილაკზე თითის დაჭერაა საკმარისი, სადაც წერია: „არ გამოაჩინო ეს ინფორმაცია". ასეთი ინფორმაცია შესაბამის საინფორმაციო ბაზაში ინახება და მხოლოდ უნიკალური პაროლის შეყვანის შემდეგ შეიძლება მისი ნახვა. „ფეის.ჯიზე" იკრძალება ისეთი ფოტოების განთავსება, სადაც ჩვენი მომხმარებლები ცეცხლსასროლი იარაღით, სიგარეტით ან ნარკოტიკებთან ერთად არიან აღბეჭდილი. გაწევრების მსურველთათვის გვაქვს ასევე ასაკობრივი შეზღუდვა. 9 წლამდე ასაკის მომხმარებლები „ფეის.ჯიზე" ავტომატურად „იბლოკებიან". მაქსიმალური ზღვარი კი არ არსებობს. მაგალითად, ჩვენი ყველაზე ასაკოვანი მომხმარებელი, 68 წლის ქართველი მამაკაცია, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, მონატრებულია ქართველებთან დალაპარაკებას და ამ ქსელის საშუალებით, ნოსტალგიის გრძნობას იქარვებს. ერთი მომხმარებელი კი ქსელში შრი-ლანკიდან დარეგისტრირდა. აქამდე ნამდვილად არ ვიცოდი, იქაც თუ იყვნენ ქართველები... ჩვენი ქსელის დახმარებით, რამდენიმე წყვილმა გაიცნო ერთმანეთი და თქვენ წარმოიდგინეთ, ოჯახებიც კი შექმნეს. ■

თამუნა კვინიკაძე

რით მოიხიბლა ჯონ სტაინბეკი საქართველოში

60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკში ჯონ სტაინბეკის „რუსული დღიური“ გამოიცა. წიგნში აღწერილია ამერიკელი მწერლისა და მისი მეგობარი ფოტორეპორტიორის, რობერტ კაპას მოგზაურობა ყოფილ საბჭოთა კავშირში. შეუძლებელია, სტაინბეკის ბიოგრაფიას, შემოქმედებას გაეცნო და მის მიმართ გულგრილი დარჩე — ის დღემდე რჩება ამოუცნობ მწერლად.



კინომცოდნე ოლიკო ულენტი პირველი უცხოელი ჟურნალისტია, ვინც მწერლის ნიუ-იორკის ბინაში შელწევა შეძლო, შეხვდა სტაინბეკის ახლობლებს, ბიოგრაფებს, მკვლევრებს და მათგან ბევრი საინტერესო ამბავი მოისმინა. ასე შეიქმნა დოკუმენტური ფილმი — „ჯონ სტაინბეკი და „რუსული დღიური“ 60 წლის შემდეგ“.

ოლიკო ულენტი:

— რამდენიმე წელია, ვმუშაობ პროექტზე — „ცნობილი ადამიანები კავკასიაში“. 2005 წელს გადავიღე ფილმი ნორვეგიელი მწერლის — კნუტ ჰამსუნის კავკასიაში მოგზაურობის შესახებ. შემდეგ ჯონ სტაინბეკის შემოქმედებით დავინტერესდი. გავეცანი მის ნაწარმოებებს, რომლებიც ჩვენშიც საკმაოდ პოპულარულია. მაგრამ სტაინბეკს უფრო მეტად იცნობენ მისი რომანებით, ვიდრე „რუსული დღიურით“. ჩემი მიზანი იყო, გამერკვია, თუ რას წერდა სტაინბეკი საქართველოზე. ქართველებისთვის ცნობილია პუშკინის, ლერმონტოვის, სხვა რუსი მწერლების თხზულებები საქართველოს შესახებ. ცხადია, მათ აქვს მხატვრული ღირებულება, მაგრამ ისინი საქართველოს, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილს — კოლონიას, ისე აღიქვამდნენ. სხვაგვარი დამოკიდებულება და განცდა ჰქონდათ ევროპელ და ამერიკელ მწერლებს. სტაინბეკმა და ჰამსუნმა ჩვენი ქვეყანა სრულიად სხვა რაკურსში წარმოაჩინეს. მათთვის ეს „სულიერი მოგზაურობა“ უფრო იყო...

— როდის ჩამოვიდა სტაინბეკი საქართველოში?

— მწერალმა საბჭოთა კავშირში 1947 წელს იმოგზაურა — რუსეთსა და ამერიკას შორის „ცივი ომის“ დროს. ომი ახალი დასრულებული იყო და სტალინის ძალაუფლება მსოფლიოს უკვე აფრთხობდა, მაგრამ სტაინბეკის მიზანი არ იყო, საბჭოთა პოლიტიკის შესახებ რაიმე დაეწერა. ასე რომ მომხდარიყო, მის „რუსულ დღიურს“ მალე დაივიწყებდნენ და წიგნი არ იქნებოდა ისეთი აქტუალური, როგორიც დღეს არის. ცნობილია, რომ ბევრი უცხოელი მწერალი აღტაცებული იყო „დიადი საბჭოეთის მიღწევებით“ და სტალინის ფენომენით, ამიტომაც გახდნენ ისინი „საბჭოთა კავშირის მეგობრები“, მათი წიგნები კი აქ პოპულარულ ლიტერატურად იქცა. მათგან განსხვავებით, სტაინბეკს აინტერესებდა, თუ როგორ ცხოვრობდნენ ქართველი, უკრაინელი ადამიანები, რომლებმაც დიდი, დამანგრეველი ომი გადიტანეს და უზარმაზარი მსხვერპლი გაიღეს ამ ომში. იმ დროს დასავლეთში საბჭოთა კავშირს გაზეთებიდან უფრო იცნობდნენ. სტაინბეკს სურდა, სიმართლე დაეწერა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ უბრალო ადამიანები, აინტერესებდა მათი ყოფა, მათთან ურთიერთობები. „რუსულ დღიურში“ მან აღნიშნა, რომ არ გააკეთებდა არანაირ კომენტარს, რომ ეს იქნებოდა ჩვეულებრივი რეპორტაჟი ჩვეულებრივ ადამიანებზე. მაგრამ საბჭოთა დაზვერვის თვალთვალის პირობებში, ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა — ამერიკელ სტუმარს სრულიად სხვა რეალობას სთავაზობდნენ, თავს ახვევდნენ. მაგრამ მიუხედავად წინააღმდეგობებისა, სტაინბეკმა მაინც მიაღწია თავის მიზანს... ამ მოგზაურობის დროს შედგა ორი გენიალური ადამიანის — მწერალ ჯონ სტაინბეკისა და ფოტორეპორტიორ რობერტ კაპას ტანდემი. ისინი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს დამეგობრდნენ იტალიაში, როცა ორივე სამხედრო რეპორტაჟებს ამზადებდა; ისინი განსაცდელშიც ერთად იყვნენ და სიკვდილსაც გადაურჩნენ. მათი სურვილი იყო, საბჭოთა კავშირშიც ერთად ემოგზაურათ, ბევრი საინტერესო თუ სახალისო ამბავიც გადახდათ. „რუსულ დღიურში“ სტაინბეკმა შეინარჩუნა იუმორი, რაც მკაცრი, დამთრგუნველი მეთვალყურეობისა და იდეოლოგიური წნეხის პირობებში მეგობრებს განსაკუთრებით ეხმარებოდა.

— სტაინბეკისგან განსხვავებით, კაპა საბჭოთა კავშირის მალალჩინოსნებისთვის მისალები პიროვნება არ იყო...

— 1940 წელს გამოიცა სტაინბეკის რომანი — „მრისხანების მტევნები“, რომელმაც დიდი სკანდალი გამოიწვია ამერიკაში, განსაკუთრებით — მწერლის მშობლიურ კალიფორნიაში. რომანში აღწერილი იყო უსახლკარო, მიწიდან იძულებით აყრილი ფერმერების მძიმე ცხოვრება. სოციალური სიმწვავის გამო, სტაინბეკი მარქსისტად და კომუნისტად შერაცხეს. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ეს რომანი რუსეთში უმალ თარგმნეს, ავტორი კი საბჭოთა კავშირის მეგობრად მიიჩნიეს. სინამდვილეში, სტაინბეკი კომუნისტი არასოდეს ყოფილა, ის იყო ჭეშმარიტი დემოკრატი და ამერიკული ფასეულობების დამცველი. მარქსიზმი მისთვის მიუღებელი იყო. ის სიცოცხლის ბოლომდე თანაუგრძნობდა ამერიკის დემოკრატთა პარტიის პრეზიდენტებს. 50-იანი წლებიდან მას „თეთრ სახლთან“ დაახლოებულ და ნდობით აღჭურვილ პირად მიიჩნევდნენ. ამის შესახებ საბჭოთა კავშირში მერე შეიტყვეს, მანამდე კი, „მრისხანების მტევნების“ წყალობით, 1947 წელს სტაინბეკმა საბჭოთა კავშირის ვიზა უპრობლემოდ აიღო. კაპას კი რუსეთის საკონსულომ მტკიცე უარი განუცხადა. კაპას მანამდეც უცდია სამოგზაუროდ ვიზის მიღება, მაგრამ — უშედეგოდ. მას „ტროცკისტად“ მიიჩნევდნენ. სტაინბეკმა კატეგორიულად მოითხოვა კაპასთვის ვიზის გაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უარს ამბობდა მოგზაურობაზე. მის განაწყენებას მოერიდნენ. ამ მოგზაურობის შემდეგ, სტაინბეკის, როგორც კომუნისტის იმიჯი, დაიმსხვარა — საბჭოთა კავშირში მიხვდნენ, რომ მწერალი არც ისე კეთილგანწყობილი იყო კომუნისტური რეჟიმის და ზოგადად, ტოტალიტარული სისტემის მიმართ. ზოგიერთი უცხოელი მწერლისგან განსხვავებით, მას არაფერი დაუწერია ამ სისტემის სასარგებლოდ.

— საბჭოთა კავშირის რომელი ქალაქები მოიარეს?

— მოსკოვი, სტალინგრადი, კიევი, თბილისი, ბათუმი...

— მათ ჩვენს ქვეყანაში ვინ მასპინძლობდა?

— არსებობდა ასეთი ორგანიზაცია — უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, რომელიც უცხოელ სტუმრებს უწესებდა სპეციალურ პროგრამას — სად უნდა წასულიყვნენ, რა უნდა ენახათ და ა.შ. სტაინბეკსა და კაპას ეს განრიგი დიდად არ იზიდავდათ, მათი თავისუფალი გადაადგილებაც კი მკაცრად კონტროლდებოდა... თბი-

ლისში ჩამოსულ მწერალს შეხვედრა მოუწყვეს მწერალთა კავშირში, რომლის თავმჯდომარეც სიმონ ჩიქოვანი გახლდათ. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ: აკაკი გაწერელია, გრიგოლ ცეცხლაძე, დემნა შენგელაია, იაკინთე ლისაშვილი. სტუმრისთვის დასმული თითოეული კითხვა წინასწარ იყო შეთანხმებული მაღალ ინსტანციებთან...

— რა ნახა სტაინბეკმა საქართველოში?

— ლენინის მუზეუმებზე, კოლმეურნეობებსა და ოფიციალურ შეხვედრებზე მეტად, მას ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება და ყოფა აინტერესებდა. მწერალს განსაკუთრებით გაუკვირდა, როცა ნახა, რომ ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა იმართებოდა: სტაინბეკი და კაპა სიონში დაესწრნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის წირვას მარიამობის დღესასწაულზე. სტაინბეკი თავის დღიურში წერდა: „ამერიკელებმა ვიცოდით, თითქოს სტალინმა საბჭოთა კავშირში წირვა-ლოცვა აკრძალა და ეკლესიები დახურა". სტუმარი განაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებში, „ქართველი ხალხი დიდ თაყვანს სცემს თავის უძველეს სარწმუნოებას" და აღნიშნა თავის დღიურში, რომ საქართველოში ქრისტიანობა უკვე არსებობდა, როდესაც ევროპის წამყვანი სახელმწიფოები ჯერ კიდევ წარმართულ ქვეყნებად რჩებოდნენ. სტაინბეკი დაინტერესდა ჩვენი ქვეყნის ისტორიით, ერის ტრადიციებით, ძველი თბილისის არქიტექტურით. ქართველებს ის შუმერთა შთამომავლებად მოიხსენიებს და ამას წერს მაშინ, როცა სტალინური თეორიების მიხედვით, ქართველები, როგორც ერი, მხოლოდ XIX საუკუნეში, „ბურჟუაზიულ გარემოში" ჩამოყალიბდა. სტუმარმა მცხეთაში მოინახულა ბერების მონასტერიც და სვეტიცხოვლის მონაზვნისგან, ქრისტეს კვართის შესახებ არსებული გადმოცემაც მოისმინა. დღიურის კითხვის დროს ერთი ეპიზოდიც განგაცვიფრებთ: სტაინბეკი აღწერს ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ტრაგიკულ ფაქტს — თბილისის დაპყრობის დროს, თუ როგორ მოჰკვეთეს თავი მეტეხის ხიდთან 100 ათას ქართველს იმის გამო, რომ მათ ღვთისმშობლის ხატს შეურაცხყოფა არ მიაყენეს...

— საინტერესოა, ეს ამბავი მას ვინ უამბო?

— ალბათ, ბერებისა და მონაზვნებისგან მოისმინა... აღსანიშნავია, რომ „რუსულ დღიურში" საქართველოში მოგზაურობის თავები სრულიად განსხვავდება წინა თავებისგან. აქ რადიკალურად შეცვლილია მწერლის განწყობილება: მოსკოვში ყოფნის დროს სტაინბეკს უკიდურესად დაძაბულ, დამთრგუნველ ვითრებაში უწევს მუშაობა; შემდეგ — უკრაინაში ჩადის და თითქოს ოდნავ ეხსნება დაძაბულობა; როცა საქართველოს უახლოვდება და მისი თვითმფრინავი სოხუმს გადაუფრენს, ის აღმოჩნდება სრულიად განსხვავებულ სამყაროში ანუ სამოთხეში — როგორც ამას თავად წერს. პირველი სიტყვა, რომელიც მან აქ წამოიძახა, იყო „კალიფორნია"...

— ანუ საქართველომ მას მშობლიური კალიფორნია მოაგონა?

— დიახ, მან თავად აღნიშნა ამ მსგავსების შესახებ. როდესაც თვითმფრინავმა საქართველოს მთებს გადაუფრინა, სტუმარს მშობლიური კალიფორნია გაახსენდა. ეს მოგონება მისთვის სევდიანიც იყო და სასიამოვნოც: სევდიანი იმიტომ, რომ ის გულნატკენი იყო თავის მშობლიურ მხარეზე — კალიფორნიაში მწერალი ძლიერ გაანაწყენეს იმის გამო, რომ კომუნისტობას სწამებდნენ, საჯაროდ უწვავდნენ წიგნებს... მაშინ ის ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად... საქართველოში ჩამოსვლისთანავე კი მასში საოცარი მეტამორფოზა მოხდა — მას კალიფორნიაზე ნოსტალგია მოეძალა.

— კაპას მიერ გადაღებული ფოტოები მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ამ მოგზაურობაში...

— ნიუ-იორკის საერთაშორისო ფოტოსააგენტოში შევხვდი კაპას ცნობილ ბიოგრაფს — რიჩარდ ველანს, რომელმაც ამ გენიალური ფოტოგრაფის უნიკალური კოლექცია მიჩვენა — 1000-ზე მეტი ფოტო. ვნახე კაპას ობიექტივში ასახული ჩაქვი, გორი, თბილისი, ეკლესიები, უბრალო ადამიანები...

— ნიუ-იორკში ყოფნის დროს სტაინბეკის შთამომავლებს თუ შეხვდით?

— მწერალი სამჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი მეუღლე ქეროლ ჰენინგი — ორთოდოქსი მარქსისტი გახლდათ. მათ შვილი არ ჰყოლიათ. ამ ქალბატონმა მეუღლის კარიერას, ფაქტობრივად, თავი შესწირა და დიდი როლი შეასრულა სტაინბეკის სამწერლო კარიერაში: სტაინბეკს ძალზე რთულად ამოსაცნობი კალიგრაფია ჰქონდა. მის ხელნაწერებს, ქეროლის გარდა, ჯერავინ კითხულობდა... შემდეგ სტაინბეკი შეხვდა ჰოლიკვუდის მომღერალს — გვინ კინგერს, რომელზეც დაქორწინდა. მათ ორი ვაჟი შეეძინათ. ისინი ვიეტნამის ომში იბრძოდნენ. სანტა-ბარბარაში შეხვდი და ვესაუბრე მწერლის უმცროს შვილს — თომას სტაინბეკს, რომელიც ასევე მწერალია. მან მითხრა, რომ ბავშვობიდან ახსოვს, თუ როგორი სითბოთი და იუმორით იხსენებდა მამამისი საქართველოს: თქვენს ზღაპრულ ქვეყანაზე საინტერესო ამბებს მიყვებოდაო. ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მდებარეობს სტაინბეკის სახლი, რომელშიც მისი ნათესავი ცხოვრობს და, მისივე ნებართვით, მწერლის პირადი კაბინეტი და ბინა მოვინახულე. იქ ვნახე სტაინბეკის ხელით დაბეჭდილი, კაპას ნეკროლოგი, რომლის წაკითხვა ჩემთვის, დიდი ემოციის მომგვრელი იყო... ვიცოდი, რომ თბილისში სტაინბეკს აჩუქეს ინგლისურენოვანი „ვეფხისტყაოსანი", რომელსაც ის ხშირად კითხულობდა რუსეთში მოგზაურობის დროს. შევეცადე, ეს წიგნი მომეძიებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მივაგენი. თომასმა მითხრა, რომ „ვეფხისტყაოსანი" დიდხანს ინახებოდა მამის ბიბლიოთეკაში, მაგრამ შემდეგ სადღაც დაკარგულა. სამაგიეროდ, ჩემი ჩატანილი „ვეფხისტყაოსანი" ახლა აქვს სტაინბეკის შვილს.

— ფილმში ახსენებთ სასტუმრო „ბედფორდის" ბარს, სადაც მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ და საბჭოთა კავშირში მოგზაურობის იდეა გაუჩნდათ.

— მწერალს მეორე ცოლთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. კაპას საცოლე — კინოვარსკვლავი ინგრიდ ბერგმანი გახლდათ. რადგან კაპას ჰოლივუდი და შოუბიზნესი არ უყვარდა, ბერგმანმა კი, მისი მოთხოვნის მიუხედავად, კარიერა არ მიატოვა, ეს მათი დაშორების მიზეზი გახდა. როდესაც სტაინბეკი და კაპა სასტუმროს ბარში ერთმანეთს შეხვდნენ, ორივეს დეპრესია აწუხებდა, საბჭოთა კავშირში მოგზაურობა მათთვის გაქცევა უფრო იყო...

— თქვენ კაპას მეგობარი და კოლეგა ჯონ მორისიც გადაილეთ, არა?

— ჯონ მორისი ლეგენდარული ფოტოჟურნალისტია. ის 90 წელს არის გადაცილებული და ამჟამად პარიზში ცხოვრობს. ასაკის მიუხედავად, საუცხოო მთხრობელია და ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი გაიხსენა კაპასთან დაკავშირებით. მისი ინიციატივით, 1947 წელს ჟურნალ „ლაიფში" პირველად გამოქვეყნდა კაპას ფოტოები და სტაინბეკის რეპორტაჟი. მორისმა ისიც გაიხსენა, რომ კაპას, ჰონორარის სახით, 20 ათასი დოლარი გადაუხადეს, ხოლო სტაინბეკს — 3 ათასი, რამაც მწერალი თურმე ძალიან გაანაწყენა... დღეს სტაინბეკი ამერიკაში პოპულარული მწერალია. სტენფორდის უნივერსიტეტში გაეცანი სტაინბეკის უნიკალურ პირად არქივს. იქვე ინახება სტაინბეკის ნობელის პრემიაც, რომელიც სტენფორდს მწერლის მესამე ცოლმა — ელენ სკოტმა უსახსოვრა. სტაინბეკი სტენფორდის უნივერსიტეტში სწავლობდა და პარადოქსია, რომ მას ამ სასწავლებლის დიპლომი არ მისცეს: როგორც მითხრეს, ხშირად აცდენდა ლექციებსო... მის არქივში უნიკალური წერილებია დაცული, ბევრ გამოჩენილ ადამიანთან ერთად, მას ამერიკის პრეზიდენტებთანაც ჰქონდა მიმოწერა.

— როგორც ვიცი, ფილმის მეორე ნაწილზე მუშაობთ, რომელშიც საკუთრივ საქართველოში მოგზაურობის ამბავი იქნება ასახული...

— დიახ, მუშაობა უკვე დაწყებულია. ნაწილში უშუალოდ სტაინბეკისა და კაპას მოგზაურობა იქნება ასახული. ფილმი სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულისთვის დასრულდება. ■

ფილმის ავტორი (მარცხნივ) სტაინბეკის სახლ-მუზეუმში



დასაწყისი იხ „გზა“ №43-45

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

მაკასთან დღითი დღე მოსაწყენი ხდებოდა ურთიერთობა. ამის მიზეზად ორი რამ შეიძლებოდა დამესახელებინა. პირველი ის, რომ ნატას გაცნობის შემდეგ ნაკლებად მიზიდავდნენ სხვა ქალები, მეორეც — ისედაც არასდროს მყვარებია მაკა. გაგანია შეყვარებულობის პერიოდში რა გრძნობაც გამაჩნდა მის მიმართ, ისიც გამიქრა. ერთადერთი, რაც მასთან ჯერჯერობით მაკავებდა, სინდისის ქენჯნა იყო — ერთი ხელის მოსმით ვერ შევაქცევდი ზურგს. მართალია, ის მიჩვეული იყო ჩემგან ღალატს, ბევრჯერ გაუგია ჩემი ერთჯერადი თავგადასავლების შესახებ, მაგრამ იცოდა, რომ ჩემი მხრიდან ეს მხოლოდ გართობა იყო, რადგან მთელი ორი წლის განმავლობაში, რაც ერთმანეთს ვხვდებოდით, შეყვარებული ერთხელაც არ ვყოფილვარ. ახლა კი...

ჩემს თავს ვერ ვაპატიებდი იმას, რომ მაკას სულ სხვა მიზნებისთვის ვიყენებდი. მხოლოდ იმიტომ ვსტუმრობდი მას, რომ ქალთან ყოფნის სურვილი დამეკმაყოფილებინა. ვნება დაცხრებოდა თუ არა, ეგრევე შინ გავრბოდი, ხუთი წუთითაც ვერ ვჩერდებოდი მის გვერდით. შემატყო გულცივობა. ერთი პერიოდი შორიდან მაკვირდებოდა, თვალებით მზვერავდა, თითქოს ჩემი დიდი საიდუმლოს წაკითხვა სურდა, მაგრამ როცა არაფერი გამოუვიდა, ფრთხილად დამიწყო გამოკითხვა.

— ამ ბოლო დროს ვერ გცნობ, რა გემართება?

— არაფერი, რა უნდა მემართებოდეს, — ყასიდად ავიჩეჩე მხრები და ჩაცმა დავიწყე.

— შეგიძლია, ცოტა ხანს დარჩე? სალაპარაკო მაქვს.

— იქნებ სხვა დროისთვის გადავდოთ?

— არა, თუ ახლა არ მომისმენ, სხვა დრო აღარ იქნება.

— კარგი, — პულოვერი გადავიცვი და საწოლზე ჩამოვჯექი.

— რა ხდება, ზაზა? — ისევ თავიდან დაიწყო მაკამ.

— ვინ გითხრა, რომ რამე ხდება? — მტკიცედ გავუყარე თვალი თვალში, თითქოს ასი პროცენტით მართალი ვიყავი.

— აბა, რატომ იქცევი ასე? იშვიათად მოდიხარ და მოსვლისთანავე ერთი სული გაქვს, როდის გაიქცევი.

— გეჩვენება.

— მეჩვენება? არაფერიც არ მეჩვენება. არ ჯობია, პირდაპირ მითხრა, რომ აღარ გიყვარვარ და მოგბეზრდი?

— განა ოდესმე მითქვამს, რომ მიყვარხარ? რაღაც არ მახსენდება, — წარბები შევკარი.

— არ გიყვარვარ?

— არც ეგ მითქვამს, თუ მეხსიერება არ მღალატობს.

— შენი ნართაული ვერ გავიგე. იქნებ წესიერად ამიხსნა, რა გინდა ჩემგან?

— მე რა მინდა შენგან? დაკითხვას შენ მიწყობ და კიდევ მე რა მინდა? ჯერ შენ მითხარი, რით ხარ უკმაყოფილო და მერე მე გეტყვი.

— იმით, რომ ჩემდამი ყურადღება მოადუნე. ჯერ იყო და, ახალი წელიც არ მომილოცე...

— აკი გითხარი, რაც მოხდა ახალ წელს.

— კარგი, ბატონო, მერე? მერეც მოხდა რამე? ნაახალწლევს ერთხელ მოხვედი, ისიც გაბრუებული და მას მერე სამი კვირა დაიკარგე. ახლა მოხვედი და ისევ გარბიხარ. თუ არ გინდა ჩემთან ურთიერთობა, მითხარი. მირჩევნია, ყველაფერი ვიცოდე. შარვლის ტოტებს არ დაგახევ, ნუ გეშინია.

— დამშვიდდი და ზედმეტ კითხვებს ნუ მისვამ. შენს მიტოვებას არ ვაპირებ. ყველაფერი ძველებურადაა. შენგან წასვლა არც მიფიქრია, გასაგებია? ცოტაც მაცალე და მერე სულ ერთად ვიქნებით, — მისი დაშოშმინება ამ გზით ვცადე.

— რას ნიშნავს სულ ერთად ვიქნებით? — ლოგინში წამოიწია და შიშველ მკერდზე ხელები გადაიჯვარედინა.

— იმას, რომ ერთად ვიქნებით. ვერ გაიგე? არ ვაპირებ შენს მიტოვებას. როგორც აქამდე ვიყავით, ისე ვიქნებით.

— მე კი მგონია, რომ რაღაც გაშფოთებს. შემთხვევით, ვინმე ხომ არ შეგიყვარდა?

— არავინ, დაწყნარდი.

— შენი საქციელი სხვა რამეზე მეტყველებს.

— მაკა, პრობლემები მაქვს. არ მინდა ამ თემაზე საუბარი. ცოტა ხანს მაცალე. არც არავინ მიყვარს და არც ცოლის შერთვას ვაპირებ. არც სხვასთან დავდივარ. მეტი რა გითხრა? — ვატყუებდი და მრცხვენოდა საკუთარი თავის, მრცხვენოდა სიმართლის აღიარების.

ის ამას ვერ გაიგებდა და არც მაპატიებდა. მე კი არ მინდოდა მისთვის ტკივილი მიმეყენებინა. მას დიდი ამაგი ჰქონდა ჩემზე, ამიტომაც უნამუსობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, ზურგი შემექცია.

— არ ვიცი, ზაზა, არ ვიცი. თუ ჩემი მიტოვება გადაწყვიტე, დროზე მითხარი... იმიტომ, რომ მთხოვნელი მყავს და ბარემ გავთხოვდები, ნულარ გამაწვალებ და ნურც ბედს დამიკარგავ.

— მთხოვნელი? — მისი ნათქვამი უსიამოვნოდ მომხვდა გულზე, თუმცა, წესით, უნდა გამხარებოდა.

— ჰო, რატომ გაგიკვირდა, არც შენით დაწყებულა საკაცეთი და არც შენით მთავრდება, სხვებიც არიან, — ნიშნის მოგებით თქვა.

— გათხოვდი, თუ ასე გინდა, — გულგრილად ვუპასუხე და წამოვდექი.

— შენ როგორ გინდა? — ჩიხში მომამწყვდია.

— არ იცი, როგორ მინდა?

— არა, არ ვიცი და მიპასუხე.

— მაკა... — ჩავახველე და პაუზა გავწელე. — მე შენი ბედის გამგებელი არ ვარ. ცოლის მოყვანას ამ ეტაპზე არ

ვაპირებ, მაგრამ როცა დავაპირებ, ვერც იმას შეგპირდები, რომ შენ იქნები ის ქალი, ვისაც შევირთავ, თუმცა გამორიცხული არაფერია. ამიტომ, თუ ოჯახის შექმნა გინდა და სერიოზული თაყვანისმცემელი გყავს, თავად გადაწყვიტე, მე ხელს არ შეგიშლი. ეს შენი გად...

— შენ როგორ გინდა-მეთქი, გკითხე, — ცივად გამაწყვეტინა.

— ვერ გავიგე, ამხელა ქალი ჩემს სურვილზე დადიხარ?

— არ იცი, რომ ასეა?

— მე ჩემი გითხარი, დანარჩენი შენ გადაწყვიტე, — მაინც ავირიდე პასუხი.

— მე შენთან მინდა ყოფნა, მაგრამ...

— ჰოდა, თუ ჩემთან გინდა, იყავი, არავინ გიშლის და არც არავინ გეცილება ჩემში.

— მაგრამ ასე გაგრძელებაც არ შემიძლია. მთელი დღე დებილივით ვზივარ და გელოდები, როდის დამირეკავ ან როდის დააკაკუნებ კარზე.

— მე ჩემი საქმეები მაქვს, ოცდაოთხი საათი შინ ვერ დაგიჯდები.

— ანუ, გინდა მითხრა, რომ თავისუფალი კაცი ხარ?

— რაც ვარ, ეს ვარ. თუ მოგწონვარ, მიმიღე ასეთი, თუ არა და...

— თუ არა და?

— ნუ ცდილობ, სიტყვაზე გამომიჭირო. ეს ჩვენს ურთიერთობას კარგს არაფერს მოუტანს.

— კარგი, გასაგებია. ახლა წახვალ და როდის გამოჩნდები? კიდევ სამი კვირა უნდა ველოდო, როდის გაგახსენდები?

— არ გინდა, რა, ძალიან გთხოვ. კარგად იცი, რომ ისტერიკებს ვერ ვიტან. თუ ოდესმე წასვლას დავაპირებ, გეტყვი, არ დაგიმალავ.

— როდის მეტყვი, წასვლამდე ერთი საათით ადრე?

— შენ რამდენი ხნით ადრე გინდა, რომ გითხრა?

— მე მინდა, რომ არასდროს წახვიდე, — ხმა აუკანკალდა და თვალები ცრემლით აევსო.

გული მომიკვდა. მეცოდებოდა, ასეთ დღეში რომ ვხედავდი, მაგრამ თავს ზევით ძალა არ მქონდა, მხოლოდ სიტყვებით თუ ვანუგეშებდი.

— ვეცდები. და მაინც, თუ ოდესმე წასვლა დავაპირე, პირობას გაძლევ, რომ ამას უმტკივნეულოდ გავაკეთებ. შევთანხმდით? — ხელი მოვხვიე და მისი თავი მკერდზე მივიკარი, მერე ნიკაპი ავუწიე და ზრდილობის გულისთვის ვაკოცე.

ვკოცნიდი და ვფიქრობდი...

რაზე შეიძლება იფიქროს კაცმა, როცა ქალს კოცნის? ეჰ! ხომ დარწმუნდით, რომ ეს არ იყო სიყვარული? ვიღაცას უმართლებს ცხოვრებაში, ვიღაცას — არა. ჩემთვის ამას არ ერქვა გამართლება. მერე რა? ამის გამო ღირს დატანჯო საკუთარი თავი? ცხოვრება ცხოვრებაა! ლამაზიც, სევდიანიც, მხიარულიც და ნაღვლიანიც. ბედისწერის მიხედვით ვის როგორიც ერგება, ისეთს მიიღებს. შეუძლებელია, აირჩიო. ამის გაფიქრებაც კი სასაცილოა. შენ არავინ გეკითხება, როგორი ხვალინდელი დღე გექნება. ეს იმ ლოტოს კოჭივითაა, ბნელ ტომარაში რომ ეძებ და არ იცი, ამოღებული ნომერი გაგიმართლებს თუ არა.

რაში მჭირდებოდა ასეთი როლის თამაში? თუკი ადამიანს ცუდი როლი შეგხვდა ცხოვრებაში და მას კარგად ითამაშებ, არ უნდა გქონდეს იმის იმედი, რომ მომავალში უკეთეს როლს შემოგთავაზებენ. ეს ცხოვრებაა და არა თეატრი! ცხოვრებას კი თავისი მგლური კანონები აქვს...

შინ მისული საწოლზე წამოვწექი. ნახევარი საათი ისეთი შეგრძნება მქონდა, როგორიც კორიდიდან დაბრუნებულ ტორეადორს. ერთიანად დანგრეული ვიყავი, თითქოს ბრძოლის ველი გამომევლოს. პატარა აღარ ვიყავი. რა ვნახე ცხოვრებაში? ბევრი არაფერი. რა პერსპექტივა მეჭყანებოდა? არანაირი. ჩემნაირთან ცხოვრებას მხოლოდ მაკასნაირი ქალი თუ შეეგუებოდა. ნატა? მას უბედურებას უფრო მოვუტანდი, ვიდრე ბედნიერებას. ეს კარგად ვიცოდი... მაგრამ მაინც ვერ ველეოდი. მხოლოდ მის



გვერდით ყოფნა მგვრიდა შვებას. მთელი კვირის განმავლობაში იმდენად ცოტა დროს ვუთმობდი მასთან ურთიერთობას, დახარბებული ვიყავი. არადა, შეგნებულად ვიქცეოდი ასე. თან მინდოდა ყველაზე მეტად მე ვყვარებოდი, თან არ მინდოდა. კარგად რომ ჩავუფიქრდებოდი, თავადაც არ ვიცოდი, რა უფრო მინდოდა.

ის იმდენად კარგი იყო, იმდენად არამიწიერი, არ მემეტებოდა ცუდი ცხოვრებისთვის. არადა, ეგოისტი ვიყავი, მის გარეშეც ვერ ვძლებდი. ყოველღამე, თორმეტი საათის შემდეგ, ზუსტად დათქმულ დროს ვრეკავდი. ისიც ჩასაფრებული იყო და პირველსავე ზარზე იღებდა ყურმილს. მთელი ღამე ლაპარაკში გადიოდა. ვერც ვხვდებოდით, ისე გვათენდებოდა თავზე. ერთი ბედნიერება იყო მასთან მასლაათი. ნებისმიერ თემაზე შემეძლო ნატასთან საუბარი, ყველაფერს ადვილად იგებდა. ქალური თვისებები ხომ ჰქონდა და ჰქონდა, მაგრამ მამაკაცურიც მოჭარბებულად იყო მასში. მისი ერთადერთი აუხდენელი ოცნებაც სწორედ ეს იყო — მამაკაცი ყოფილიყო. ასე მეგონა, ერთდროულად კაცსაც ველაპარაკებოდი და ქალსაც. იშვიათი ბუნებით იყო დაჯილდოებული. ქალი-ქალში — ასე შევარქვი. თუმცა იმ ასაკში ჯერ კიდევ არ იყო ქალი-ქალში, მაგრამ ამის ყველა მონაცემი ჰქონდა. ამიტომაც ველტვოდი ასე, ამიტომაც მიზიდავდა იგი.

ეჰ... რას ვიფიქრებდი მაშინ, საბედისწერო ქალის როლი თუ ერგებოდა ცხოვრებაში. მალე მივხვდი, რომ სატელეფონო საუბრებით ვერ შემოვიფარგლებოდით. შექმნილმა სიტუაციამ იძულებული გამხადა, სააშკარაოზე გამომეტანა ჩვენი ურთიერთობა. მას მამაკაცები არ ასვენებდნენ, ყველას მისი გაცნობა და მასთან დაახლოება სურდა. ის სუსტი იყო, თანაც — მთლად ბავშვი და უჭირდა მათი მოგერიება. ვერც მე მთხოვდა შველას, რადგან ჩვენს ურთიერთობას, ფაქტობრივად, სახელი არ ერქვა. მე არასდროს მითქვამს მისთვის, ჩემი შეყვარებული ხარ-მეთქი, ვერც თავად იტყოდა ამას. ჩვენ მხოლოდ შევიგრძნობდით ერთმანეთს, ეგ იყო და ეგ.

მოვუხშირე მასთან შეხვედრას. ახლა თითქმის ყოველ მეორე დღეს ვაცილებდი, რათა მის თაყვანისმცემლებს ერთხელ და სამუდამოდ შეეგნოთ, რომ ეს გოგო მე მეკუთვნოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ სიყვარულით მხოლოდ მე ვუყვარდი, მაგრამ იმდენად ბავშვი იყო, ვგრძნობდი, რომ სხვების ყურადღებაც სიამოვნებდა. ეს კი საშიში იყო. ნებისმიერს, ვინც კი შეეცდებოდა, ნატასადმი ჩემზე მეტი ყურადღება გამოეჩინა, შეეძლო მისი, ასე ვთქვათ, გადაბირება.

ჩვენი შეხვედრა ძირითადად, ქუჩაში ხდებოდა. აბა, რა უნდა მექნა, სად წამეყვანა? შინ ვერ მივიყვანდი, ვერც ძმაკაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, აუცილებლად კუდებს გამოაბამდნენ. გარდა ამისა, ასე რომც მოვქცეულიყავი, საკუთარი თავისაც მეშინოდა, ვაითუ, ვერ გამეძლო ცდუნებისთვის. ამიტომაც დავხეტიალებდით ალმადალმა — ცენტრალური პარკის ერთი ბოლოდან მეორეში. თუ ძალიან შეგვცივდებოდა, კინოში შევდიოდით. იშვიათად, როცა მამაჩემს მანქანას წავართმევდი, გავიყვანდი ხოლმე ქალაქგარეთ და სადმე უკაცრიელ ადგილას განვმარტოვდებოდით. ეს ყველაზე ბედნიერი წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში. ასეთ მომენტში არაფრის თქმა არ იყო საჭირო, უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის.

სამწუხაროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. რა თქმა უნდა, ბოლოს მაკას ყურამდეც მივიდა ჩვენი ურთიერთობის ამბავი. ეს გაზაფხულზე მოხდა. მაკას ჩემთვის არაფერი უთქვამს, არც უგრძნობინებია, მაგრამ ჩემს ზურგს უკან დაუწყია საქმის მოგვარება.

ერთ დღესაც, როცა ნატას შინ ვაცილებდი, მოუსვენრობა დაეტყო, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა.

— რა იყო, მოხდა რამე? — დავინტერესდი.

— ზაზა... შეიძლება რაღაც გკითხო? — გაუბედავად თქვა.

— როგორ არ შეიძლება. რა ხდება? — გულმა რეჩხი მიყო.

— მაკა ვინ არის?

ამის გაგონებაზე სისხლმა ტვინში ამასხა.

— რომელ მაკაზე მეუბნები? — შევეცადე, ბუნებრივად გამომსვლოდა.

— ბევრ მაკას იცნობ?

— სიმართლე გითხრა, ამწუთას ასეთი არავინ მახსენდება, წესით, ასეთი სახელის ქალს არ უნდა ვიცნობდე, — დაბნეულმა ჩავილაპარაკე.

— აი იმაზე, პატარა ბავშვი რომ ჰყავს და რომელსაც მამობას შენ უწევ, — ძალიან, ძალიან მშვიდად წარმოთქვა.

— მე ვუწევ მამობას? — გაკვირვებული შევდექი. — ეგ ვინ გითხრა?

— მაკამ.

— მაკამ? — კიდევ უფრო გაოგნებული ნატასკენ შევტრიალდი და დაძაბული მივაჩერდი. — შენ საიდან იცნობ მაკას?

— აკი ასეთს წესით არ უნდა ვიცნობდეო? — ნაღვლიანად გაიღიმა.

— მითხარი, ვისგან გაიცანი მაკა, — ახლა უკვე დაჟინებით მოვითხოვე.

— თვითონ გამეცნო.

— თვითონ? როგორ?

— ჩვეულებრივად, წუხელ დამირეკა.

— მერე?

— მერე არაფერი.

— რას ნიშნავს არაფერი?! წელან მთელი ისტორია მოთხარე და ახლა მეუბნები, არაფერიო?

— ისეთი არაფერი, უბრალოდ, შენი გაცნობა მინდაო.

— ვინ ვარო, რა გითხრა?

— ზაზას საცოლე ვარო. შვილი მყავს, რომელსაც ზაზა მაზრდევინებსო.

— ეგ ტელეფონში გითხრა?

— არა, დღეს შევხვდი და მაშინ მითხრა.

— შეხვდი? მაკას შეხვდი? მართალს მეუბნები?

— ჰო, მართალს გეუბნები.

— სად შეხვდი?

— თეატრის წინ, სანამ რეპეტიცია დაიწყებოდა. წუხელ მითხრა, შენი ნახვა მინდაო. მეც ვუთხარი, სად ვიქნებოდი და ნახევარი საათით ადრე დავიბარე, სანამ რეპეტიცია დამეწყებოდა.

— მერე? დაწვრილებით მომიყევი, რა გითხრა.

— შენთვის უცხო და უცნობი არაფერი. ორი წელია, ერთმანეთი გვიყვარს, ცოლივით ვყავარო. ჯერ ოჯახის შექმნას არ აპირებს, მაგრამ როცა დააპირებს, მისი რჩეული მე ვიქნებიო. ისიც კი მითხრა, რა საალერსო სიტყვებს იყენებ, როცა მას ეფერები. ძალიან ნაცნობი მომეჩვენა ზოგიერთი. მაგალითად...

— გეყოფა, ნატა. შენ ნურავის უსმენ, მე მომენდე. ხომ იცი, როგორ ვარ შენთან, რა დამოკიდებულებაც მაქვს. დაივიწყე ის ქალი და ამ თემაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ. ბოროტ და შურიან ადამიანებს რა გამოლევს ამქვეყნად.

— ვინ არის ბოროტი და შურიანი, მაკა?

— ნატა!

— არ ვიცი, ზაზა, ძალიან დავიბენი. ვერ გამიგია, რა ხდება. ისიც კი არ ვიცი, რას ნიშნავს ჩვენი ურთიერთობა. შენ არაფერს მეუბნები, რებუსებით ცდილობ, რაღაც მიმანიშნო. მე კი არ მინდა ასე. დავიღალე.

— მომისმინე!

— მაპატიე, მაგრამ მე შენ დიდხანს გისმინე. სამწუხაროდ, სულ ტყუილად, მაინც ვერაფერი გავიგე. იქნებ ერთხელ და სამუდამოდ მითხრა, რა გინდა ჩემგან?

— ნუ დამიწყებ ახლა სხვა ქალებივით, ნატა. შენ მე სხვანაირი მგონიხარ, სხვებს არ ჰგავხარ. მათგან რომ გამოირჩევი, იმიტომ მიხარია შენთან ყოფნა. ნუ გააფუჭებ ყველაფერს.

— ჩემთან ყოფნაში რას გულისხმობ, იქნებ ამიხსნა?

— მაგას, სკოლას რომ დაამთავრებ, მაშინ მიხვდები.

— სკოლას რომ დავამთავრებ? რა მოხდება, სკოლას რომ დავამთავრებ?

— ჩემთან წაგიყვან... სამუდამოდ. ახლა გაიგე?

ამის გაგონებაზე დადუმდა. ხმა არ ამოუღია. კვლავ გავაგრძელეთ გზა. დუმილი გაიწელა.

— მართლა გაქვს იმ გოგოსთან ურთიერთობა? — თქვა ბოლოს.

— მქონდა. სანამ შენ გაგიცნობდი, მქონდა. ახლა ის ჩემთვის არაფერს წარმოადგენს.

— ესე იგი, მე დავანგრიე თქვენი ურთიერთობა? — ამომხედა, ცრემლი უბრწყინავდა თვალებში.

— არა, შენ არაფერ შუაში ხარ. მე ის არასდროს მყვარებია. უბრალოდ...

— რა უბრალოდ?

— მას კაცი სჭირდებოდა, ქმარს გაშორებულია. ერთხელაც... მე აღმოვჩნდი ეს კაცი. ეს იყო და ეს.

— და მთელი ორი წელიწადი, არა?

— მერე რა?

— როგორ თუ რა? ორი წელი არ არის ცოტა დრო. მას შენ უყვარხარ, ზაზა.

— არ დაიჯერო. ეგ სიყვარული არ არის. უბრალოდ, მის ცხოვრებაში სხვა არავინ გამოჩნდა. ჩვენ მხოლოდ შევეჩვიეთ ერთმანეთს.

— გაკავშირებთ... — შეფიქრიანებულმა ჩაილაპარაკა.

— ახლა აღარ გვაკავშირებს, ნატა. ძალიან მინდა, რომ ეს დაიჯერო.

— არ ვიცი... ალბათ გამიჭირდება.

— შენ შენი ადგილი გიკავია ჩემს გულში, მაკას — თავისი. შენ ძალიან ბევრს ნიშნავ ჩემთვის, ძალიან, ძალიან ბევრს. რაც გაგიცანი, მას შემდეგ სხვაზე ფიქრიც კი არ შემიძლია, გესმის? ვერ ხედავ, სულ შენ გარშემო რომ ვტრიალებ?

— ვხედავ, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ღამე ვისთან ხარ, ხომ არ ვიცი?

— რა არ იცი, გოგო! — ვერ მოვითმინე და შევყვირე. — მთელ ღამეებს შენთან ლაპარაკში ვათენებ და არ იცი?

— მაგრამ ისეთი ღამეებიც ხომ არის, როცა არ მირეკავ?

— ძალზე იშვიათად.

— მაგრამ მაინც ხდება.

— არ გინდა, ნატა.

— შენ მართალი ხარ... მართლა არ მინდა, თქვენ შორის ჩავდგე. იქნებ უმჯობესია, საერთოდ აღარ შევხვდეთ ერთმანეთს? იქნებ აჯობებს, უბრალოდ, კარგ ნაცნობებად დავრჩეთ? მალე თბილისში წავალ, გამოცდებს ჩავაბარებ. თუ გამიმართლა და ჩავირიცხე, იშვიათად მოგვიწევს ერთმანეთის ნახვა. ამასობაში თქვენი განელებული გრძნობა ახალი გზნებით იფეთქებს.

— არ გინდა ეს პოეტური სიტყვები.

— კარგი, მე წავალ. მეტს ნუღარ გამაცილებ, მარტო მინდა ყოფნა. ნახვამდის.

— ამაღამ დაგირეკავ.

— ვერ დამირეკავ, ტელეფონი არ მუშაობს.

— მაინც დაგირეკავ.

— როგორც გინდა, — მწარედ გამიღიმა და თავჩაღუნული გაუყვა გზას.

დიდხანს გავყურებდი მიმავალს, მერე მოვტრიალდი და უმისამართოდ დავუყევი ბულვარს...

მთელი საღამო საშინელ გუნებაზე ვიყავი. არავის ნახვა არ მინდოდა. შინ ადრე მივედი, ჩემს ოთახში შევედი, ტელეფონი მოვიმარჯვე და ნატას ნომერი ავკრიბე. ზარი გადიოდა, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. მივხვდი, სპე-

ციალურად ჰქონდა გამორთული, რომ არ დამერეკა. სიმწრისგან ტუჩებს ვიკვნეტდი. როგორ მინდოდა, ერთი მაგრად გამომელანძღა მაკა, მაგრამ თავს ვიკავებდი. ქალს საქმის გარჩევას ხომ არ დავუწყებდი.

გადავწყვიტე, დავმთვრალიყავი. გოგას დავურეკე. ის ქორწილისთვის ემზადებოდა. ვუთხარი, ცუდ ხასიათზე ვარ და უნდა მიშველო-მეთქი. გამოდი, ჩვენი ბიჭებიც აქ არიან და მამაპაპურად მოვულხინოთო.

გავედი. გოგასთან მთელი საძმაკაცო დამხვდა — სერგო, პაპუნა და დათო. გაუხარდათ ჩემი დანახვა. ბოლო ხანებში იშვიათად ვკონტაქტობდი მათთან.

პირდაპირ ყანწი მაჯახეს, უნდა დაგვეწიოო. მალევე მომეკიდა სასმელი. ერთხანს თითქოს გადავერთე, მაგრამ რაც მეტს ვსვამდი, მით უფრო ვიბოღმებოდი, უარესად გამიფუჭდა ხასიათი. გოგამ შემატყო, უგუნებოდ რომ ვიყავი და მეორე ოთახში გამიხმო.

— მოხდა რამე? — დაკვირვებით შემომხედა.

— მაგ „აშარაშკამ“ საქმე გამირთულა, — არ დავუმალე მეგობარს.

— ვინ, მაკამ?

— ჰო.

— ნატასთან, არა?

— ჰო.

— აბა, რას ელოდი? მე რა გითხარი შენ ამას წინათ? დროზე შეეშვი მაგ გოგოსთან სიარულს-მეთქი, არ გაგაფრთხილე?

— კი, გამაფრთხილე.

— მერე? რა მითხარი, გახსოვს?

— მახსოვს, გოგა, ყველაფერი მახსოვს.

— ჰოდა, კიდევ შეიცოდე, მიდი! ქალი ჭკუაზე არ არის, როგორ დაგითრიოს და აღარ იცის, რა მეთოდი გამოიყენოს ამისთვის, შენ კი უკან დასახევი ყველა გზა მოიჭერი. რატომ, გეკითხები? გინდა, გითხრა, რა იქნება ხვალ?

— რა? — დამნაშავის მზერით შევხედე.

— რა და, გამოგიცხადებს, შენგან ორსულად ვარო. მერე სად მიდიხარ?

— კარგი ერთი...

— ჰო, ჰო. კარგად ვიცნობ, ვინც არის. მაგის თავში რომ აზრები ტრიალებს, არც დაგესიზმრება. ათი წელი რომ იფიქრო, ვერ გაშიფრავ. როგორ გავიდა ნატამდე?

— ტელეფონი გაუგია და დაურეკავს.

— მერე, რა მინდაო?

— ჩემი საქმროაო, უთქვამს.

— აუჰ! გინდა, ახლავე დავურეკავ და დედას მოვუხსენიებ?!

— არა, არ მინდა. რაც უფრო გავაღიზიანებ, მით მეტს გააკეთებს.

— მომეცი უფლება, დავურეკო და მე ვიცი, რასაც ვეტყვი. შენ ვითომ აზრზეც არ ხარ.

— რა ვიცი, — მხრები ავიჩეჩე.

— აგერ დაჯექი! — გოგამ სკამზე მიმითითა, თვითონ ტელეფონს მიუჯდა და ნომერი აკრიბა...

— მაკა, შენ ხარ?.. გოგა ვარ... არა მიშავს, გმადლობთ... დიდი მადლობა, დიდი... მომისმინე, ახლა ერთ საქმეზე გირეკავ, — გოგამ ყურმილი ოდნავ მოაშორა ყურს და ხელით მანიშნა, ახლოს გადმოჯექი და შენც მოუსმინეო.

— გავიგე, ნატასთან დაგირეკავს...

— ვინ ნატასთან? — მაკა დახშული ხმით ლაპარაკობდა.

— ხომ იცი ახლა, ვისზეც გელაპარაკები?!

— მერე, შენ რა?

— ის, რომ ის ბავშვი ჩემი ახლობელია და დაანებე თავი. რა ხელი გაქვს ასეთ პატარა გოგოებთან, თავს რატომ იბანძებ?

— მე ვიბანძებ თავს? თუ შენი ძვირფასი ძმაკაცი? თუ ასეთი „პატარა გოგოა“, რას დაეთრევა მასთან? მე აქ სხვა რამეებს მეუბნება, იქ კი იმას ურევს ტვინს. შენი აზრით, ეს ნორმალური საქციელია?

— მაკა, მომისმინე. ხომ იცი, არ მიყვარს, როცა ვიღაც ზაზაზე ცუდს ლაპარაკობს. ის ჩემი მეგობარია და არ მსიამოვნებს, როცა ლანძღავენ.

— მე ვიღაც ვარ, არა?

— ჩემთვის ყველა ვიღაცაა, ვინც ზაზას აუგად იხსენიებს, ეს იცოდე. მეორეც: დაანებეთ იმ ბიჭს თავი, როგორმე თვითონ გადაწყვეტს, ვის შეირთავს ცოლად და ვისთან დარჩება. სხვანაირად მე და შენ ვერ მოვრიგდებით.

— შენთან მოსარიგებელი არაფერი მჭირს. შენ საერთოდ ვინ გეკითხება, რატომ ერევი ჩემს ცხოვრებაში?

— იმიტომ, რომ ნაწილობრივ მეც მეხება. იცი შენ, რასაც ვგულისხმობ.

— რა იყო, ჩემს ჩაშვებას აპირებ?

— თუ ჭკვიანად არ იქნები, ასეც მოვიქცევი. მე ზაზა მთელ ქვეყანას მირჩევნია.

— არ მაინტერესებს, რას გააკეთებ. ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთია. ის მაინც დაკარგულია ჩემთვის, მაგრამ იმდენს მაინც ვიზამ, რომ არც მასთან დარჩეს. პაატას გეფიცები, ჩავუშლი მაგ საქმეს, არ გავახარებ.

— ნუ-მეთქი, გოგო!

მაკამ ბოლომდე არც მოუსმინა და ყურმილი დაკიდა. გოგამ თავი უკმაყოფილოდ გადააქნია და გვერდულად ამომხედა.

— რა ჩაშვებაზე ლაპარაკობდა? — ვკითხე გოგას.

— ისეთი არაფერი, ბავშვობის შეცდომა გავუხსენე.

— მაინც რა შეცდომა? — ჩავაცივდი.

— არაფერი, მოსაყოლადაც არ ღირს. ვიფიქრე, იქნებ შევაჩერო-მეთქი, მაგრამ არ გამოდის.

— არ უნდა დაგერეკა. წავალ მე, დავიძინებ.

— დარჩი, ჯერ ადრეა, გავაგრძელოთ ქეიფი.

— არა, არ მინდა. სხვებსაც გავუფუჭებ ხასიათს...

წამოვედი. შინ მისული არ ვიყავი, რომ ტელეფონმა დარეკა. ნატა მეგონა, ამიტომ ეგრევე ვეცი ყურმილს. მაკა შემრჩა ხელთ.

— ხვალ, პირველ საათზე, ჩემთან გელოდები სახლში, სალაპარაკო მაქვს.

— არ მცალია, — თავს ძლივს ვიკავებდი, არ მეგინებინა.

— მოიცლი. ნუ გეშინია, მარტო არ ვიქნებით. მოგიწევს რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა.

— რა იყო, საქმეს მირჩევ?

— ჰო. შენც და იმასაც. ორივე აქ დაგხვდებით, ამიტომაც მოგიწევს გამოსვლა, — უკმეხად თქვა და ყურმილი დამიკიდა.

ღრმად ამოვიხვნეშე. ხვალ კიდევ ერთი ბრძოლა მელოდა, რომელსაც ან წავაგებდი, ან მოვიგებდი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საკვარიში

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგეხედოთ თვალი

1. პეტრე პირველის გამეფებამდე მოსკოვში ივანე მრისხანის დროინდელ სამრეკლოზე მაღალი შენობის აშენება კანონით იკრძალებოდა. მსგავსი აკრძალვის გამო, ვაშინგტონში კაპიტოლიუმის შენობაზე მაღალი დღესაც არაფერი შენდება. ამდაგვარი კანონი კუნძულ ფიჯიზეც მოქმედებს (ან შესაძლოა, ამ ახლო წარსულამდე მოქმედებდა). რა არის იქ აღებული ეტალონად?

2. როგორ ძაღლებს ჭამენ ვიეტნამელები მათივე მტკიცებით?

3. ვის ეძახდა კარლ მარქსი ყველაზე კეთილშობილ წამებულ წმინდანს?

4. რომელი განთქმული მსახიობის სიყვარული უარყო თავის დროზე „ბესამე მუჩოს“ ავტორმა — კონსუელა ველასკესმა?

5. დაასახელეთ ალექსანდრე დიუმას რომანის პერსონაჟი, რომელსაც პარიზში ჩასვლისას მხოლოდ 4 ეკიუ ედო ჯიბეში, მაგრამ მზად იყო, დუელში გაეწვია ნებისმიერი, რომელიც გაბედავდა და ეტყოდა, ლუვრის ყიდვა არ შეგიძლიაო.

6. დაასახელეთ ქართველი მხატვარი, რომელიც ერთხანს ტრამვაის კონდუქტორად მუშაობდა.

7. როგორი ქართველის გამჭრიახობას ნატრობენ ებრაელები?

8. ასტრიდ ლინდგრენის რომელი პერსონაჟის ნამდვილი სახელი და გვარია სვანტე სვანტესონი?

9. დაასახელეთ ნატო ვაჩნაძის ქალიშვილობის გვარი.

10. რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის კალიფორნიის ნახევარკუნძული?

11. რითი მოიკლა თავი სტალინის მეორე ცოლმა, სვეტლანა ალილუევამ?

12. დაასახელეთ ყველაზე დიდი ხორცისმჭამელი ცხოველი დედამიწაზე.

ანეკდოტები

***

ექიმი მოძღვრავს ჭარბწონიან პაციენტს:



— თქვენ შეგიძლიათ მიირთვათ ყველაფერი, რაც მოგინდებათ. აი, სია იმ პროდუქტებისა, რაც უნდა მოგინდეთ.

***

კაცი რეკავს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში:

— ყოველ დილით ერთი კაცი გადმოხტება ხოლმე ჩემს ღობეზე, ხეზე ძვრება, იქიდან ჩემს ძაღლს აშინებს და თან ამტკიცებს, ფოსტალიონი ვარო.

***

ცოლ-ქმარი საკუთარი მანქანით აგარაკიდან თეატრში მიდის. კაცი გამოპრანჭულ ცოლს გადახედავს და ტყის პირას გააჩერებს მანქანას.

— რას შვრები, ჩვენ ხომ თეატრში მივდივართ?!

— მოიცა, თუ ღმერთი გწამს!.. თეატრი დგას და იდგება, მე კი ამ მომენტს ვერ გავუშვებ ხელიდან!..

***

ბავშვი აივანზე მდგარ დედას ეძახის:

— დედი, 70 თეთრი ჩამომიყარე რა!

— დაიბნევა, შვილო!

— ათლარიანში გაახვიე და აღარ დაიბნევა, — ასწავლის ბავშვი.

***

ჭიჭიკია ძმაკაცს ურეკავს:

— მაგარი პურმარილი მაქვს, წამოდი და ქალები წამოიყვანე.

შემდეგ მეორე ძმაკაცს ურეკავს:

— მაგარი ქალები მყავს, წამოდი და პურმარილი წამოიღე.

***

ერთი მწყემსი შესჩივის მეორეს:

— წუხელ ისე ცუდად ვიყავი, ცხვრები თვითონ ითვლიდნენ ერთმანეთს.

***

— აბრამ, გძინავს?

— არა, რა გინდა?

— ხუთი შეკელი მომეცი!

— ვერ ხედავ, რო მძინავს?!

***

— ხშირად ირჯებით ხოლმე, მამაო? — ეკითხება დაკრძალვაზე ექიმი მღვდელს.

— დიახ, ღვთისა და თქვენი შეწევნით, — პასუხობს მღვდელი.

***

— რატომ არ ავადდებიან ებრაელები შიდსით?!

— იმიტომ, რომ ისინი არავის უყვარს!

***

სახანძროში რეკავენ:

— ჩქარა! ხანძარია!

— არ ჩააქროთ, ხუთ წუთში მანდ ვიქნებით!

***

ახალგაზრდა ქალი ხანში შესულ მამაკაცს ეკითხება:

— რამდენი წლის ხართ?

— ოთხმოცის.

— ნამდვილად არ მოგცემდით.

— არც მინდა.

***

ხანში შესულ კაცს ცოლი გარდაეცვალა. მდუმარედ მიუყვება კუბოს. იქვე მოდის ცოლის საყვარელი, ახალგაზრდა კაცი და მოთქმით ტირის. უყურა ქმარმა საყვარელს, ბოლოს ვერ მოითმინა და ეუბნება:

— ნუ წუხხართ, ახალგაზრდავ, მე კიდევ ვაპირებ ცოლის მოყვანას.

***

მოსაზრება: მსოფლიოს სიყვარული მართავს. ის კი, როგორც მოგეხსენებათ, ბრმა და ბოროტია.

***

დედა ეუბნება შვილს:

— როდის აპირებ გაკვეთილების სწავლას?

— კინოს მერე.

— კინოს მერე გვიანია.

— დედა, სწავლა არასოდეს არის გვიანი!

***

სვანმა ძაღლი მიიყვანა კბილის ექიმთან.

— რა ვქნა, კბილი ამოვუღო? — ეკითხება ექიმი.

— არა, გაულესე!

***

— ექიმო, მინდა ჩემს ცოლს დაელაპარაკოთ.

— რაშია საქმე?

— რამდენჯერაც მასთან დავწვები, იმდენჯერ 40 დოლარს მთხოვს.

— ჰო, ასეთი რამ ხდება ხოლმე, ალბათ თქვენს ცოლს ელექტრას კომპლექსი შეეყარა ნევროტიკული სინდრომით.

— კი, გასაგებია, მაგრამ მე რატომ უნდა გადავიხადო 40 დოლარი, როდესაც ყველასგან 20 დოლარს იღებს?!

***

განცხადება გაზეთში: „ვეძებ სამუშაოს. დამავიწყდა, რომელ ქუჩაზე მდებარეობს."

***

ჭიჭიკია უყვება მეგობარს:

— რა კარგი რამეა ეს ჯგუფური სექსი, ისე გამოვიპარე, კაციშვილმა ვერაფერი გაიგო.

***

ორი მეზობელი ქალი საუბრობს:

— ვერ გამიგია, რატომ ამბობენ, რომ კაცები ციხიდან უხეშები და გაავებულები გამოდიანო?! მაგალითად, ჩემი

ძმა გუშინ გამოვიდა ზონიდან, ისეთი კეთილი და ნაზია, რომ მოფერება მოგინდება. თვალებსაც კი იღებავს.

***

ერთი ადვოკატი ეკითხება მეორეს:

— იმ მილიონერი ცოლ-ქმრის განქორწინების საქმე თუ დაასრულე?

— კი, ორი დღის უკან დამთავრდა პროცესი.

— ქონება როგორ განაწილდა?

— შვილები ცოლს დარჩა, მანქანა — ქმარს, დანარჩენი — მე.

ერუდიტის საფარჯილო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. აქ აშენებული შენობა სიმაღლით კუნძულზე არსებულ ყველაზე მაღალ პალმას არ უნდა აღემატებოდეს.
2. უჭკუო ძაღლებს.
3. პრომეთეს.
4. გრეგორი პეკის.
5. მუშკეტერების მომავალი კაპიტანი დე ტრევილი.
6. ნიკო ფიროსმანი.
7. გაჭირვებული ქართველის.
8. ბიჭუნასი („ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი").
9. ანდრონიკაშვილი (ვაჩნაძე პირველი მეუღლის გვარია).
10. მექსიკას.
11. რევოლვერით.
12. თეთრი დათვი.

ჩვენი ფოტოგალერეა

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა თამუნა ძრელაშვილმა გამოგვიგზავნა და ასე დაასათაურა: „გზის" პატარა მკითხველი

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ეროვნის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის") მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ვიქტორია ბექჰემის რეკორდული ჰონორარი

ბექჰემების ოჯახი საცხოვრებლად იტალიაში გადასასვლელად ემზადება. როგორც ცნობილია, დევიდ ბექჰემმა „მილანთან“ გააფორმა კონტრაქტი. უმუშევარი არც ვიქტორია დარჩება; მას სატელევიზიო ფილმზე მუშაობა შესთავაზეს, რომელშიც ვარსკვლავური ოჯახის მილანური ცხოვრება იქნება ასახული. ეს საინტერესო შეთავაზება მისის ბექჰემმა თავად სილვიო ბერლუსკონისგან მიიღო, რომელიც საფეხბურთო კლუბ „მილანის“ და რამდენიმე იტალიური ტელეარხის მფლობელია. პროექტში მონაწილეობა ვიქტორიას კაპიტალს — 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს შემატებს. ეს თანახა კი იტალიის ტელევიზიის არსებობის ისტორიაში, რეკორდული ჰონორარია! „სილვიო ამ პროექტს საფეხბურთო კლუბ „მილანის“ სარეკლამო კამპანიის ნაწილად მიიჩნევს. მისი მხარდაჭერით ნებისმიერი საკითხის გადაჭრა შეიძლება“, — ამბობს სილვიო ბერლუსკონის ერთ-ერთი მეგობარი. აღსანიშნავია, რომ ბექჰემების ოჯახის შესახებ მსგავსი ფილმი ლოს-ანჯელესშიც გადაიღეს, სადაც დევიდ ბექჰემი საფეხბურთო კლუბში — L.A. Galaxy თამაშობდა. ფილმის შემკვეთი კი კომპანია NBC იყო.

ახალი ფილმი წინასწარმეტყველის ცხოვრების შესახებ



პროდიუსერი ოსკარ ზოგბი ახალ ფილმზე The Messenger of Peace მუშაობას იწყებს, რომელიც წინასწარმეტყველი მუჰამედის ცხოვრებას ეძღვნება. ახალი პროექტი რეჟისორ მუსტაფა აქადის მიერ 1977 წელს გადაღებული კლასიკური სურათის — „გზავნილი“ (ენტონი ქუინი მთავარ როლში) რიმეიკი იქნება. „მუსტაფა აქადის ფილმს უდიდეს პატივს ვცემთ, მაგრამ სურათის გადაღების შემდგომ, კინოტექნოლოგიები წინ წავიდა. კინოტექნოლოგიის დახმარებით, უფრო მძლავრად გამოვყოფთ იმ იდეებს, რომლებიც ორიგინალურ ფილმშია ჩადებული“, — ამბობს ოსკარ ზოგბი. ახალი ფილმის გადაღებები წინასწარმეტყველის ცხოვრებასთან დაკავშირებული ქალაქების — მექასა და მედინას შემოგარენშია (საუდის არაბეთი) დაგეგმილი. მკითხველს შევახსენებთ, რომ 1977 წლის მარტში ფილმის — „გზავნილი“ პრემიერის საზეიმო განწყობილება დაჩრდილა ორგანიზაციის — „შავი მაჰმადიანები“ — ტერორისტულმა აქტმა, რომელმაც ვაშინგტონში 149 ადამიანი მძევლად აიყვანა. ორგანიზაციის წევრებმა ირწმუნეს გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ ენტონი ქუინიმ ეკრანზე წინასწარმეტყველი განასახიერა. სინამდვილეში კი მაჰმადიანმა რეჟისორმა მუსტაფა აქადმა გაითვალისწინა რელიგიური მოთხოვნა, რომელიც მუჰამედის გამოსახულების შექმნას სასტიკად კრძალავს და ფილმი იმგვარად გადაიღო, რომ მასში წინასწარმეტყველის ხმა მხოლოდ კადრს მიღმა ჟღერს. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ გადაჭრიან ამ პრობლემას ახალი ვერსიის ავტორები.

ბოლო ხანებში დასავლეთში წინასწარმეტყველის პორტრეტის ჩვენებას მორწმუნე მაჰმადიანთა საპროტესტო ტალღა მოჰყვა. 2005 წელს ერთ-ერთი დანიური გამოცემის მხატვარმა წინასწარმეტყველის კარიკატურები გამოაქვეყნა, რასაც ანგარიშსწორების მუქარა მოჰყვა. მოგვიანებით, დანიურმა და ნორვეგიულმა გაზეთებმა კარიკატურები გადაბეჭდეს და ამით ისლამისტთა საპროტესტო აქციების ახალი ტალღა გამოიწვიეს, რასაც სხვადასხვა ქვეყანაში 50 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ნაიტ შიამალანი „ეშმაკს“ შეეკრა

ფილმების — „მეექვსე გრძნობა“ და „ნიშნები“ რეჟისორი ნაიტ შიამალანი ახალი მისტიკური ტრილერ „ეშმაკის“ პროდიუსერია. ფილმს საფუძვლად თავად შიამალანის კონცეფცია დაედება, მაგრამ სცენარს ბრაიან ნელსონი (30 Days of Night 2007 წ.) დაწერს. პროდიუსერმა სურათის რეჟისორებად ძმები — ჯონ ერიკი და დრიუ დაუდლები მიიწვია. მათი სურათი „კარანტინი“ ამერიკის კინოეკრანებზე 2008 წლის ოქტომბრის დასაწყისში გამოვიდა. ახალი ფილმი „ეშმაკი“ პირველი ნაწილია შიამალინის მიერ ჩაფიქრებული ტრილოგიისა, რომლის პირობითი დასახელებაა Night Chronicles. პროექტს კომპანია Media Rights Capital დააფინანსებს. შიამალანის ბოლო ფილმი „გამოცხადება“ ეკრანებზე 2008 წლის ივნისში გამოვიდა. სურათმა, რომლის ბიუჯეტმა 60 მილიონი შეადგინა, მსოფლიო გაქირავებაში მოკრძალებული 64,5 მილიონი დოლარი შემოსავალი მიიღო.

გაეცანით სამყაროს «გზასთან» ერთად!

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" საჩუქრად!

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" ან აირჩიეთ გამოცემლობა „პალიტრა L-ის" ამ სამი გასტსელერიდან ერთ-ერთი:

„ვეფხისტყაოსანი"

„დიდი სამკაგიდო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"



მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

დასახელება	1 ფასი	ფაზ. რაოდენობა 1 წლის განმავლობაში	ფასი 1 წლით
ქვირის პალიტრა	1.00	52	52.00
სიტყვა და საქმე	1.00	260	260.00
ყველა სიახლე	0.80	52	41.60
გზა	0.80	52	41.60
რეიტინგი	1.00	52	52.00
არსენალი	1.50	26	39.00
კარიბჭე	1.00	26	26.00
ოჯახის მკურნალი	1.00	26	26.00
კარუსელი	0.50	52	26.00
საბავშვო კარუსელი	1.00	52	52.00
ბოგინდი	5.00	12	60.00
ლელო	0.50	312	156.00
ოსკარი	1.00	52	52.00
ლიტერატურული პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge

T: 38 26 73; 38 26 74

elva@kvirispalitra.com

მასალარიზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.

რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეიძლებათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დაზუსტდეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი

თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

„ქართველთა ქვეყანა წიგნთაგან ნაკლოსელია და ეს სინაკლოსელე მენ სენდა შეუვსია, — ეს სიტყვები ზერ კიდევ ერმოზის ასაკში თუქვამს ექვთიმე მთაწმინდელისთვის მამას — წმინდა იოანე მთაწმინდელს, სწორედ რომ სიმართლე გამქელიენდა წმინდა მამის ბაგეებიდან — მამა ექვთიმე შეიქნა „ძლიერი მეუფე ქართული სიტყვისა და აზრისა“. შეავსო კიდეც ძვირი და ნაკლოსელოვანი „ქართული საწიგნობელი“.

იოანე მთაწმინდელი

„ლმობა შენი არს დავიწყება ქართულისა ენისაი...“

შორენა მერკვილაძე

X საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მეფეს, დავით III კურაპალატად ცნობილს, ბიზანტიის კეისარმა რომანოს მეორემ მისცა „ზემონი ქვეყანანი“, სანაცვლოდ კი კონსტანტინოპოლში წასაყვანად, ქართველ წარჩინებულ ოჯახთა ძენი ითხოვა მძევლად. მათ შორის აღმოჩნდა 5 წლის ექვთიმეც, შვილი იოანე მთაწმინდელისა. ბერად აღკვეცამდე მამა იოანე ერისკაცობაში — ვარაზვაჩე ჩორდვანელი — ტაოელი დიდებული გახლდათ. იგი დავით კურაპალატის კარზე მსახურობდა და უდიდესი პატივით სარგებლობდა, მაგრამ ღვთის სიყვარულმა ხელი ააღებინა საერისკაცო ცხოვრებაზე. ყოველივე დაუტევა — ოჯახიც, სიმდიდრეც და პატივიც, ქონება უპოვართ დაურიგა და ყველასგან მალულად, ბერად აღიკვეცა. ერთხანს საქართველოში მოღვაწეობდა, სხვადასხვა მონასტერში, შემდეგ საერთოდ დატოვა საქართველო და ულუმბოს მთას მიაშურა, რათა ფარულად და მყუდროებით ეღვაწა ღვთისთვის, წმინდა მამა ყოველთვის „ელტვოდა დიდებასა კაცთასა“.

ორი წლის შემდეგ შეიტყო მამამ შვილის ამბავი. მაშინ კი იძულებული გახდა, თავი გაემჟღავნებინა. მაშინვე დატოვა ულუმბოს მთა და კონსტანტინოპოლისკენ გაემართა. კეისარს სმენოდა მამა იოანეს სახელი. თბილად მიიღო ბერი, ყურად იღო მისი თხოვნა და შვილი უკანვე დაუბრუნა. ყრმა ექვთიმესთან ერთად, კვლავ ულუმბოს მთაზე დაბრუნდა მამა იოანე...

ორწლიანმა მძევლობამ სულ დაავიწყა ექვთიმეს ქართული ენა, მხოლოდ ბერძნულად საუბრობდა. დიდად ნაღვლობდა მამა იოანე ამის გამო, დღენიადაგ იმის მცდელობაში იყო, როგორმე კვლავ ქართულად აემეტყველებინა შვილი.

მალე ექვთიმეს მძიმე სენი შეეყარა და ლოგინად ჩავარდა. მაღალი სიცხისგან გონებაც დაკარგა და სუნთქვაც უწყდებოდა ხოლმე. რა არ იღონეს ულუმბოელმა ბერმონაზვნებმა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. სიკვდილის პირას მისულიყო ექვთიმე. დამწუხრებული მამა კვლავ წავიდა ტაძარში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო და წმინდა ქალწულს ცრემლთა ღვრით შესთხოვა შვილის გადარჩენა. ტაძრიდან გამოსულმა მაინც შეუთვალა მღვდელს — ამოდი და ჩემი მომაკვდავი შვილი აზიარეო. თვითონ კი შვილისკენ გაემართა. სენაკში შესულს, საოცარი კეთილსურნელება მიეგება. ექვთიმე მშვიდად იჯდა სარეცელზე, ყრმა ქართულად მეტყველებდა. გაოცებული და გახარებული შესცქეროდა მამა სრულიად განკურნებულ შვილს: „ის იყო, ტკბილ ბურანში ვიძირებოდი, ვინმე დიდებული დედოფალი წარმომიდგა და ქართულად მითხრა — რაი არს, რა გელმის, ექვთიმე? — არ ვიცი, რა მელმის, მაგრამ ვკვდები, დედოფალო, — მივუგე მე. მან კი დამამშვიდა, — ლმობა შენი არს დავიწყება ქართულისა ენისაი; ხოლო ამიერიდან არარაი არს ვნებაი შენთანა და აღდეგ. ვითარცა ქართველი ქართულითა ენითაი! ამის შემდეგ დედოფალი გაუჩინარდა“, — აუწყა ექვთიმემ მამა იოანეს. თავად ყოვლადწმინდმა ღვთისმშობელმა განკურნა ყრმა ექვთიმე... სამადლობელი ლოცვა აღავლინეს ღვთისმშობლის ხატის წინ...

სწორედ იმხანად უთქვამს მამა იოანეს ექვთიმესთვის: „შვილო ჩემო, ქართველთა ქვეყანა ფრიად ნაკლულოვან არს წიგნთაგან, და მრავალნი წიგნნი აკლიან. ვხედავ, რა ნიჭიც მოუმადლებია შენთვის ღმერთსა მაღალსა და აწ იღვაწე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან და შეუვსო დანაკლისი იგი ერსა შენსა მშობელსა“...

გამოხდა მცირე ხანი. მამა იოანემ ულუმბოს მთის დატოვება განიზრახა, რადგან დიდად განითქვა სახელი მისი, ის კი ყოველთვის გაურბოდა პატივსა და დიდებას. ერთ დღეს მოჰკიდა ხელი ექვთიმეს და ულუმბოდან ფარულად წავიდა, თან რამდენიმე მოწაფეც გაიყოლა... მამა იოანე ათონის წმინდა მთას მიადგა, სადაც სიკვდილამდე მოღვაწეობდა, ხორციელ და სულიერ შვილთან ერთად. მოგვიანებით მამა იოანემ ივერონის ქართველთა მონასტერი დააარსა, თვითონვე წინამძღვრობდა სავანეში მოღვაწე მრავალრიცხოვან ქართველთა საძმოს. ბოლოს მძიმე სენი შეეყარა — სარეცელს მიჯაჭვულ წმინდა მამას აღარ შეეძლო მონასტრის წინამძღვრობა, მამა ექვთიმე იხმო და უთხრა: დრო დადგა და „მიითვალე ივერონის მეთაურობა და მზრუნველობა“. დიდხანს უარობდა ექვთიმე, მაგრამ ბოლოს ველარ აღუდგა

წინ დაუძლურებული მამის ვედრებას და ივერონზე მზრუნველობა, ეკონომოსობა ითავა. სიკვდილის მოახლოებისას მამა იოანემ მამა ექვთიმეს სავანის წინამძღვრობა დაავალა.

ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში დაიწყო ექვთიმემ „წიგნთა ნაკლოვანების" შევსება ქართველთათვის. შეუსვენებლად თარგმნიდა და წერდა. ძირითადად, ბერძნულიდან ქართულად თარგმნიდა. პირველად სწორედ მამა იოანე კითხულობდა შვილის მიერ ნათარგმნ და დაწერილ წიგნებს, შენიშვნებსაც ის აძლევდა. შემდეგ უკვე გადამწერები გადაწერდნენ და საქართველოში გზავნიდნენ. ყოველი წიგნის პირველ ნუსხას მამა ექვთიმე ქართველთა მეფეს, დავით კურაპალატს უგზავნიდა: „მადლი ღმერთსა, რომელმაც ჟამთა ჩვენთა ახალი ოქროპირი გამოგვიჩინა", — ბრძანებდა თურმე, ექვთიმეს მოღვაწეობით აღტაცებული გვირგვინოსანი.

„წესი მისიერი თარგმნისა იყო წესი „შემატებისა და დაკლებისა", ქართული სიტყვებით გამდიდრება ან გამარტივება სათარგმნელი აზრისა". წიგნთა უმეტესობა ღამით დაუწერია. მთელი ღამე სანთელი კრთოდა თურმე მისი სამყოფლიდან. დღისით ხომ ქართველთა სავანისთვის უნდა ეწინამძღვრა...

ერთი ასეთი ჩვევა ჰქონია მამა ექვთიმეს: ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს თავისი სენაკიდან არ გამოდიოდა. ხან წერდა, ხან ლოცულობდა. მზის ჩასვლის შემდეგ იხმევდა მცირეოდენ პურსა და წყალს.

მისი წინამძღვრობის ჟამს საოცარი წესრიგი სუფევდა სავანეში. დღენიადაგ ცდილობდა სათნოებებში განემტკიცებინა მასთან მოღვაწე ბერმონაზონები, ცოდვილი ჩვევები კი გადაეგდოთ და მიეტოვებინათ. მის დაუკითხავად ვერც ერთი ბერი ვერაფერს მოიმოქმედებდა. ვინც მაინც გაბედავდა ურჩობას, მას წმინდა მამა მკაცრად ამხელდა და განაკანონებდა. ერთხელ თურმე ერთ-ერთ მთავარდიაკონს, რომელიც ბერად აღკვეცამდე წარჩინებული ოჯახის შვილი გახლდათ და მრავალი საფასე შეეწირა მონასტრისთვის, წირვა-ლოცვისას თავისი კვართის გამოყენებას უკრძალავდა საძმოს წევრებს. როდესაც მამა ექვთიმემ ამის შესახებ შეიტყო, მთავარდიაკონი იხმო და ჰკითხა: „მითხარ, რაი დაგიტევებიეს სოფელსა შინა?" — „წმინდა მამაო, კარგად მოეხსენება შენს ღირსებასა, რამეთუ მშობელნი და-ძმანი და საფასენი არამცირედი დამიტევებიან, და ამას გარდა, რაც კი შენს წმინდათა ხელთა მომიცია, თვითონვე უწყი", — მშვიდად მიუგო დიაკვანმა. ღირსმა მამამ კი მიუგო: „შვილო ჩემო, მაგოდენა მადლი და სასყიდელი ამ ერთი კვარ-



ექვთიმე მთაწმინდელი

თისთვის გინდა, რომ დაკარგო?" ამის გაგონებაზე ბერმა იყვირა: „ნუ იყოფინ, მამაო!" — შემდეგ კი მორჩილებს ცეცხლის დანთება სთხოვა, კვართი ცეცხლში დაწვა, თვითონ კი მუხლებში ჩაუვარდა მამა ექვთიმეს და შენდობა სთხოვა არასწორი საქციელის გამო.

ფიზიკურ შრომასაც ახერხებდა სიტყვითა და საქმით დაუცხრომელი ღმერთშემოსილი მამა.

თვეში ორჯერ ან სამჯერ მასთან მოღვაწე ყველა ბერმონაზონს შემოიკრებდა სულისთვის მარგებელი საუბრისთვის — მოძღვრავდა და ასწავლიდა მათ, როგორ მოეპოვებინათ სათნოებები: სიყვარული, სიმდაბლე, მორჩილება, კრძალულება, სიმშვიდე, უშფოთველობა თუ სხვა სულიერი თვისებები...

თვითონ ყველა სათნოებით იყო შემკული, „სავსე ზეგარდმოითა მადლითა", სულითა და სხეულით წმინდა და უბიწო. მუდამ შავი ძაძა ემოსა, რომელზეც მძიმე ჯაჭვს ატარებდა, მისი ერთადერთი საზრუნავი ღვთივსათნო საქმეთა ქმნა გახლდათ, თუმცა უფლის გარდა ბოლომდე არავინ უწყოდა, რაოდენ მკაცრი მოღვაწე იყო მამა ექვთიმე, რამეთუ ცდილობდა, პირადი ღვაწლი ფარულად ეტვირთა.

თოთხმეტი წელი წინამძღვრობდა მამა ექვთიმე ათონზე მოღვაწე ქართველთა საძმოს. შემდეგ მასთან ღირსი მამები — არსენ ნინოწმინდელი და იოანე გრძელიძე მივიდნენ და ურჩიეს, წინამძღვრობა დაეტოვებინა, რადგან ესოდენ დიდი და მძიმე საზრუნავი ხელს უშლიდა სამწერლო საქმიანობაში.

მამა ექვთიმემ გიორგი ხუცესს გადაულოცა ათონის მთაზე არსებულ ქართულ სავანეთა წინამძღვრობა, თვითონ კი თავის სენაკში განმარტოვდა და წერას შეუდგა. დღითი დღე მრავლდებოდა „ქართველთა საწიგნობელი".

ექვთიმე მთაწმინდელის წინამძღვრობიდან განდგომა ძალზე საზიანო აღმოჩნდა სამონასტრო ცხოვრებისთვის. ქართველ მონაზონთა შორის და მთელ სამონასტრო ცხოვრებაში ერთბაშად მოიშალა მამა იოანესა და მამა ექვთიმეს მიერ წლების განმავლობაში დადგენილი წეს-განგებულება. დღითი დღე უკან იხევდა სათნო ცხოვრება სავანეთა შიგან. ბერძნებსა და ქართველებს შორისაც იმატა შუღლმა და შფოთმა. როდესაც ამის შესახებ ბიზანტიის მაშინდელმა კეისარმა, კონსტანტინე მერკემ შეიტყო, მამა ექვთიმე იხმო, რომლის მიმართაც დიდი სიყვარული ჰქონდა. სწამდა კიდეც მისი. სურდა, რომ სწორედ მას მოეგვარებინა ქართველთა ლავრაში არსებული მდგომარეობა.

კონსტანტინოპოლს ჩავიდა ღირსი მამა; ეახლა კეისარს... მანამდე კი ათონის მთიდან წამოღებული, წმინდა იოანე მახარებლის ხატი მიაბარა კოსტანტინოპოლელ მხატვარს შესამკობად. შეყოვნება მოუხდა კონსტანტინოპოლში მამა ექვითმეს. ერთ დღესაც ერთ-ერთი მოწაფე იხმო და ხატმწერთან წასვლა დაავალა, მაგრამ შემდეგ იფიქრა, — უმჯობესია, თავად ვნახო მხატვარიც და ხატიცო. მორჩილს ჯორის გამზადება დაავალა. პირუტყვი ახალი ნაყიდი იყო და არავინ არაფერი უწყოდა მისი ზნის შესახებ. მაინც გაუდგა გზას მამა ექვთიმე. გზაზე, ერთ-ერთ მოსახვევთან, კუთხეში მჯდომი შავოსანი წამოდგა და მოწყალება სთხოვა წმინდა მამას. ძაძებით შემოსილი ადამიანის დანახვისას პირუტყვი დაფრთხა და მამა ექვთიმე ძირს ჩამოაგდო. როდესაც მოწაფეები და თანმხლები მონაზონები წმინდა მამას საშველად მიეხვივნენ, კიდევ უფრო გააფთრდა ცხოველი და ექვთიმეს წიხლები დაუშინა...

ასე დასრულდა მიწიერი ცხოვრება ღმერთშემოსილი ქართველი მამისა. მისი წმინდა ნეშტი ჯერ კონსტანტინოპოლს, იოანე მახარებლის ეკლესიაში დაასვენეს, რათა მორწმუნეთ მასთან გამოთხოვების საშუალება მისცემოდათ, შემდეგ კი ათონის მთაზე გადაასვენეს. დამწუხრებულმა ბერებმა დაიტირეს ღირსი მამა და დაკრძალეს „სამარხოსა ლუსკუმასა ტაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა". წმინდა მამის წმინდა ნაწილები დღემდე ანიჭებს კურნებას მათ წინაშე რწმენითა და სასოებით მლოცველთ. ■



კაცხის სვეტის საიდუმლო...

ულდე, მასზე აგებული ტაძარი და ბერი, რომელსაც განდეგილის ბედი ურჩევია

თამუნა კვინიკაძე

— იქ, იმ სიმაღლეზე ტაძარი ვინ ან როგორ ააგო-მეთქი? — ვკითხე ტაქსის მძღოლს, რომელიც ჭიათურის მკვიდრი გახლდათ. — ეკლესია ერთმა ბერმა ადგილობრივი მოსახლეობისა და კეთილი ხალხის დახმარებით ააშენა, ახლა კი სურვილი აქვს, სვეტზე ავიდეს და განდეგილივით იცხოვროსო. მისმა ნათქვამმა კიდევ უფრო გამაოცა. ჩემი პროფესია გავუმხილე. — ინტერვიუს ჩაწერა გინდა? — მიმიხვდა ჩანაფიქრს. — არა მგონია, უარი გითხრას, კარგად ვიცნობ, ოღონდ შეხვედრა მანამდე უნდა მოასწრო, სანამ სვეტზე ავა და საღვთო ღვაწლს შეუდგებაო.

რამდენიმე დღის შემდეგ, სოფელ დიდი კაცხისკენ ავიღე გზა.

ეს სოფელი, კერძოდ, კაცხის სვეტის კომპლექსი ჭიათურა-ზესტაფონის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მე-3 კმ-ზე მდებარეობს. სვიმონ მესვეტის სახელობის ეკლესიას, საძვალეს, ძველ სამრეკლოსა და ბერების საცხოვრებელ სახლს ერთიანებს. სოფელი დიდი კაცხი ზღვის დონიდან 610 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ისტორიულ წყაროებში პირველად XI საუკუნეშია მოხსენიებული. გვიანდელი ფეოდალური ხანის ცნობებში კი გვხვდება — „კაცხის ციხე" — რომელიც ჯერ სამეფო ხელისუფლებას, ხოლო XVII საუკუნის 60-იან წლებიდან — აბაშიძეთა ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. სოფლის ცენტრში აღმართულია X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — კაცხის ტაძარი.

სოფელში მისულს, ადგილობრივი საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ინგა ასანიძე შემხვდა. როცა ჩემი სტუმრობის მიზანი შეიტყო, მომიბოდიშა, — ჭიათურაში მივდივარ და თქვენს მეგზურობას ვერ შევძლებო, — და ეს მისია მოსწავლეს, ლაშა ბუჭუხიშვილს გადაულოცა.

მე და ლაშამ საავტომობილო გზიდან მარცხნივ გადავუხვიეთ და ტყეში მიმავალ ბილიკს გავუყევით. ლაშა მეუბნება, რომ ამ გზას კვირაში 2-3-ჯერ გადის, ის და მისი თანატოლები მამა მაქსიმეს (ქავთარაძეს) ხშირი სტუმრები არიან. ბილიკს თანდათან მაღლა ავყავართ, მზიანი ამინდია. ხევიდან მდინარე კაცხურას ხმა ისმის, ტყეში ჩიტები ჭიკჭიკებენ. ირგვლივ ყველაფერს ვათვალიერებ, საოცარი სილამაზეა. ჩემი მეგზური წინ მისწრებს და ყოველი 10 წუთის შემდეგ ვუმეორებ: — ლაშა, დამელოდე-მეთქი. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, ბილიკს სვეტად აღმართულ კლდესთან მივყავართ.

კომპლექსი გალავნით არის შემოსაზღვრული, ასწლოვანი ხეების ჩრდილქვეშ ბზის უამრავი ბუჩქი ხარობს. ლაშა თეთრჯვრიან რკინის კარს მიღებს. ეზოში პატარა კრავი გვეგებება. სვეტის აღმოსავლეთით წმინდა სვიმონ მესვეტის სახელობის ბაზილიკური ეკლესიაა. მის გვერდით მდებარე, ბერის საცხოვრებელი სახლის წინ ორი ახალგაზრდა ტრიალებს.

— მამა მაქსიმე აქ არის? — ვეკითხები ერთ-ერთ მათგანს. ბერი ჩვენი ხმის გაგონებისთანავე გამოდის, გვლოცავს, ორ-ორ სანთელს გვაძლევს და გვეუბნება, რომ ერთი — ტაძარში, ხოლო მეორე — სვეტის ძირში მოწყობილ პატარა სამლოცველოში უნდა დავანთოთ. ტაძრიდან გამოსულებს კი ტკბილეულით განყობილ სუფრასთან გვპატიჟებს.

— ჟურნალისტი ხართ, ხომ? ქალბატონმა ინგამ დამირეკა და მითხრა, რომ მოდიოდით.

— დიახ. სვეტის ისტორია ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მასზე აშენებული ტაძარი შევნიშნე და თქვენ შესახებ შევიტყვე, კიდევ უფრო დავინტერესდი.

— ღვთის შეწევნითა და კეთილი ადამიანების დახმარებით, შევძელით. სამუშაოები ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სვეტზე, სალოცავის გარდა, ბერების საცხოვრებელსაც ვაშენებთ, როგორც ეს საუკუნეების წინ იყო. კედლები ამოყვანილია, მაგრამ დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი შრომაა საჭირო.

ეზოს ერთ კუთხეში სამშენებლო მასალებია თავმოყრილი, ხოლო სვეტიდან თოკია ჩამოშვებული, რომლის მეშვეობითაც, სამშენებლო მასალებს ზემოთ ეზიდებიან. თვით სვეტზე ხისა და არმატურის კონსტრუქციაა აგებული, რომლითაც ზევით ასვლაა შესაძლებელი, მაგრამ — არა ქალებისთვის. ჩანთიდან დიქტოფონი ამოვიღე. მამა მაქსიმე ჩანაფიქრს მიმიხვდა. ინტერვიუ არ გამაგონო, თუ გინდა, ისე მთელი დღე ვილაპარაკოთო, — მეუბნება ღიმილით და დიქტოფონის ნაცვლად, მთავაზობს, მისი მონათხრობი ხელით ჩავიწერო. ბოლოს, იძულებული ვხდები, მის სურვილს დავყვეთუმცა მალულად, ჩართულ დიქტოფონს მაგიდაზე მაინც ვდებ...

— სვეტის ისტორია გაინტერესებთ? (პირველი კითხვა თავად დამისვა).

— დიახ. ამასთანავე, ცოტა რამ თქვენ შესახებაც მიამბეთ.

— ჩემზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ, ადამიანის სიცოცხლეში განდიდება სახიფათოა... მეცნიერები ამბობენ, რომ ეს სვეტი უძველეს დროში, ტექტონიკური ძვრების შედეგად წარმოიშვა. მისი სიმაღლე აღმოსავლეთის მხრიდან — 40, ხოლო დასავლეთიდან — 50 მეტრია. სვეტის თავზე ეკლესია უძველეს დროშიც იდგა. ასეთ ადგილებში სამლოცველოების აგებას მკვლევრები მესვეტეობას უკავშირებენ. სვეტზე ერთ დროს განდეგილთა სამყოფელი იყო. კაცხის სვეტზე პირველად 1940-იან წლებში ავიდნენ. ექსპედიციას ალექსანდრე ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა და ეს ამბავი კარგად აქვს მოთხრობილი ლევან გოთუას „კაცხის სვეტის საიდუმლოში".

— ლევან გოთუა სვეტზე თავადაც ავიდა?

— დიახ. ერთ დღეს მას თბილისში, რუსთაველის გამზირზე მწერალი აკაკი ბელიაშვილი შეხვედრია და უკითხავს: შენ კაცხ-

ბოხოვე, ჩემზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ



სვეტზე ხისა და არმატურის კონსტრუქციაა აგებული, რომლითაც ზევით ასვლაა შესაძლებელი

ის სვეტის შესახებ რამე თუ გსმენიაო? — მე კაცხის მაცხოვარი მსმენია, ჭიათურის მახლობლად არის; ისიც ვიცი, აკაკი წერეთელს უთქვამს, — კაცხში ხეც არ იზრდება სწორიო... ამ სიტყვებით ცნობილი კრიტიკოსი, კაცხელი კიტა აბაშიძე გაუკვირვლავს და თურმე დასძინა, — მაგრამ კაცხის სვეტის შესახებ არაფერი მსმენიაო. ასეთი პასუხის შემდეგ, აკაკი ბელიაშვილს ლევან გოთუასთვის კაცხის სვეტი აღუწერია: კლდეა სვეტად აღმართული, ზედ ეკლესიის ნანგრევებიც მოჩანს, მაგრამ დღემდე ასვლა ვერავის გაუბედავსო. შემდეგ მათ კაცხის სვეტის შესახებ ვახუშტის წიგნში ასეთი სიტყვები ამოუკითხავთ: „...ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი ფრიად მაღლა, იმ კლდის თხემზე არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა"... მართალია, „აღსვლის ხელოვნება" არავინ იცოდა, მაგრამ ალექსანდრე ჯაფარიძემ, ლევან გოთუამ, არქიტექტორმა ვახტანგ ცინცაძემ და კიდევ რამდენიმე ადამიანმა შეუვალ სვეტს მაინც შეჰბედეს. მათ მთელი სოფელი ინტერესით შეჰყურებდა, მაგრამ პირველ დღეს, უამინდობის გამო, სვეტზე ასვლა ვერ შეძლეს. ის ღამე ლევან გოთუას ხანდაზმულ მეწისქვილესთან გაუთენებია. მას მწერლისთვის ურჩევია, — განზრახვაზე ხელი აიღეთ, სვეტზე ასვლა რამდენიმე ვაჟკაცმა მოინდომა, მაგრამ ყველანი დაბრმავდნენო... მიუხედავად დიდი რისკისა, მეორე დღეს, ჩემ მიერ ხსენებული ადამიანები სვეტზე ავიდნენ და იქ არსებული, საუკუნოვანი მყუდროება დაარღვიეს. ეს გასული საუკუნის 40-იან წლებში მოხდა.

— იქ რა უნახავთ?

— რამდენიმე ნაგებობის ნანგრევები, აკლდამა, მიწაში ჩაფლული ქვევრები, კერამიკული ნივთების ნამტვრევები... თავიდან ეგონათ, იქ ორი ეკლესია იყო, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ ერთი სალოცავი და ბერების ორი საცხოვრებელი იყო აღმართული.

— ეს ეკლესიები, სავარაუდოდ, როდის აუშენებიათ?

— საყდრის არქიტექტურით, კლდის ძირში გამოკვეთილი ბოლნური ჯვრით, აკლდამის ნალისებური შესასვლელითა და აღმოჩენილი ნივთებით დასტურდება, რომ ეკლესია VI-VII საუკუნეებში უნდა იყოს აშენებული. სვეტის თხემზე ნაპოვნია ქვა, რომელზეც წერია: „ქრისტე ღმერთო, მეოხებითა მშობლისა შენისათა, ძალითა ჯვარისაითა, წმინდათა ზეცისა ძალითაითა და ყოველთა წმინდათა შენთაითა შეიწყალე სული ფრიად ცოდვილისა გიორგისი, რომელმან აღაშენა სამნი ესე სახლნი, სადიდებლად შეწევნად დაყუდებულთა შენთა წმინდისა ძელისა ცხოვრებისა და განსასვენებლად მსახურთა მისითა". სვეტის თხემის ფართობი 80 კვადრატული მეტრია, ხოლო სალოცავის — 2.50X3.50. იქ 6 ქვევრი დღესაც მიწაშია ჩაფლული, მაგრამ უმეტესობა გატეხილია.

— როგორც ვიცი, სვეტის შესახებ არაერთი ლეგენდა არსებობს.

— დიახ, ამბობდნენ, ოდესღაც სვეტის თავიდან კაცხის მაცხოვრამდე ჯაჭვი ყოფილა გაბმული; როცა მესვეტე ლოცვას იწყებდა, კაცხის მაცხოვრის ეკლესიას ანიშნებდა და მლოცველები იქაც მუხლს მოიდრეკდნენო. კაცხელი მოხუცები იმასაც ამბობდნენ, ვინც სვეტს ასვლა შეეხებოდა, ყველანი დაიღუპნენო.

— სვეტზე უკანასკნელი მესვეტე როდის ცხოვრობდა?

— არავინ იცის. ლევან გოთუა წერს, რომ სვეტის თავზე ადამიანის ჩონჩხიც იპოვეს, რომელიც მუხის ფესვებში იყო ჩახლართული. ალბათ ეს უკანასკნელი მესვეტის ძვლები იყო. იქ მას დამმარხავი აღარავინ ეყოლებოდა; როგორც ჩანს, სიკვდილის მოახლოება იგრძნო, აკლდამის შესასვლელთან მიწვა და სული განუტევა. ექსპედიციის წევრებს უკანასკნელი მესვეტის ჩონჩხი ქსოვილის იმ ნაჭერში გაუხვევიათ, რომელსაც ფოტოკამერების დატენვისას იყენებდნენ და აკლდამაში შეუსვენებიათ.

— არავინ იცის, რამდენმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სვეტის თხემზე უკანასკნელმა მესვეტემ განისვენა. დღეს აქ თქვენ ცხოვრობთ და როგორც მითხრეს, სურვილი გაქვთ, რომ დაყუდებული ბერი გახდეთ, სვეტზე ახვიდეთ და იქ განმარტოვდეთ.

— ამის სურვილი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით საპატრიარქო კურთხევას არ მაძლევს...

— უფლისკენ მიმავალ გზას როგორ დაადექით? როგორ ცხოვრობდით მანამდე, სანამ ბერად აღიკვეცებოდით?

— ღმერთი ყოველთვის მწამდა და პირჯვარს ვიწერდი. შემდეგ, განსაცდელმა უფალს დამაახლოვა, ეკლესიაში სიარულს მოვუხშირე; როცა ნირვას ვესწრებოდი, ვგრძნობდი, რომ ჩემი ადგილი იქ იყო. შემდეგ, ბეთანიის მონასტერში ნავედი და ბერად აღვიკვეცე. იმ დღიდან უკვე 11 წელი გავიდა.

— თქვენს ოჯახზე რას გვეტყვით?

— ცოლ-შვილი არასდროს მყოლია. ცოტა ხნის წინ დედა გარდაეცვალა, რომელიც აქვე, გალავანთან დაკრძალე.

— ეს მისი სურვილი იყო?

— დიახ. გარდაცვალებამდე ლექსი დაწერა: „მიხმობს, მეძახის სანატრელი სვეტი კაცხისა/ უფალო ღმერთო, შემოქმედო ქვეყნად კაცისა/ მიბოძე სამარე მისი მიწისა/ იქ იფარფატოს ჩემმა სულმა ჩემს შვილთან ახლოს/, შენდობას ვითხოვ, საფლავი ჩემი თუ ვინმემ ნახოს". მე მისი სურვილი აღვასრულე.

— მამაო, როგორც ვიცი, სანამ აქ მშენებლობას დაიწყებდით, ერთი ზამთარი სვეტის ძირში მდებარე პატარა აკლდამაში გაატარეთ...

— არ გინდა, რა, ხომ გთხოვე, ჩემზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ.

— ტაძრის მშენებლობა როდის დაიწყეთ?

— შარშან. წელს უკვე სახცოვრებელი ოთახების მშენებლობას ვამთავრებთ. ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებული, კულტურისა და მემკვიდროების დაცვისა და გადარჩენის ფონდი გვეხმარება.

— დღეს საქართველოში დაყუდებული ბერი არ არსებობს?

— არა, მაგრამ სხვა ქვეყნებში არიან. ათონის მთაზე განმარტოებულად არაერთი ბერი ცხოვრობს, ისინი ადამიანებთან კავშირზე უარს არ ამბობენ. ერთ-ერთ ბერთან — იოსებთან მეც ვარ ნამყოფი.

— იმ შემთხვევაში, თუ საპატრიარქოსგან კურთხევას მიიღებთ, სვეტზე ახვალთ და წუთისოფელს განერიდებით. რატომ იქცა ეს თქვენს მიზნად? იქ ცხოვრება როგორ წარმოგიდგენიათ?

— მინდა, ღმერთს კიდევ უფრო მივუახლოვდე, ლოცვებით განვიწმინდო. ეს თოკი, რომელიც სვეტიდან არის ჩამოშვებული, ასე დარჩება. მორწმუნე ადამიანები პურსა და მწვანილს მომაწვდიან. თუ რომელიმე ბერს სურვილი ექნება, იქ ერთად 2-3 ადამიანის ცხოვრებაც შეიძლება. ასე უფრო ადვილიც იქნება.

ერთი — ტაძარში, ხოლო მეორე — სვეტის ძირში მოწყობილ პატარა სამლოცველოში უნდა დავანთოთ

— განდეგილობისთვის სვეტი რატომ აირჩიეთ?

— ჭიათურაში ვარ დაბადებული და გაზრდილი, ეს ადგილი ყოველთვის მიზიდავდა. უკვე გითხარით, რომ მესვეტეები აქ საუკუნების წინაც ცხოვრობდნენ.

— გულწრფელად გეტყვით — როცა თქვენ შესახებ შევიტყვე, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი" გამახსენდა. სვეტზე რომ ვერ გაძლოთ და უკან დაბრუნება მოგინდეთ? ალბათ ამაზეც გიფიქრიათ...

— ჩემი მიზანი სვეტზე გარდაცვალება არ არის. ადრეც ცხოვრობდნენ დაყუდებული ბერები, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ, წუთისოფელს უბრუნდებოდნენ. სხვას ნულარაფერს მკითხავ, როგორც ღმერთს უნდა, ყველაფერი ისე იქნება...

მამა მაქსიმეს გვერდით 2 საათზე მეტი დავყავი. იმ დღეს კაცხის სვეტს დამთვალიერებლები ნამდვილად არ აკლდა. როგორც ბერმა მითხრა, იშვიათად სვეტს უცხოელი მოგზაურებიც სტუმრობენ და აღფრთოვანებას ვერ ფარავენ.

მამა მაქსიმეს დავემშვიდობე და ჩემს მეგზურთან ერთად, იმ ბილიკს დავადექი, რომელმაც სვეტად აღმართულ კლდესთან მიმიყვანა...

აფხაზეთიდან ლტოლვილი საქუდაქოდ ბორში დარჩა...

ლტოლვილად ქცეული პატარა ლუკასთვის მამას — 25 წლის ელგუჯა ჭუმბურიძეს ცელოფანის პარკით საბავშვო საპონი და ტანსაცმელი მიჰქონდა, მაგრამ რუსი ჯარისკაცების მიერ ნასროლმა ტყვიამ ცოლ-შვილთან შეხვედრის საშუალება არ მისცა... ახალგაზრდა კაცს ერთი სული ჰქონდა, ლუკა 2 თვის როდის გახდებოდა, რათა ხელში აეყვანა და ჩაეხუტებინა. მანამდე კი შვილს ეხოლოდ ალერსიანი მზერით ეფერებოდა...



სულ რაღაც ერთი წლის წინ გვქონდა ქორწილი

ეთო ყორღანაშვილი

ნონა ღვინიაშვილი, *24 წლის, ელგუჯას ქვრივი:*

— ორსულად რომ ვიყავი, ელგუჯა ამბობდა: ბიჭი დაიბადებაო. ახლობლები აბრაზებდნენ, — ტყუილად ოცნებობ, გოგონა გაჩნდებაო. ის კი დაბეჯითებით იმეორებდა: ბიჭი იქნება და ვაუკაცურად გავზრდიო!.. ჩემი მეუღლე საოცარი ადამიანი იყო, უამრავი მეგობარი ჰყავდა, ყველა დიდ პატივს სცემდა. ერთხელ ვუთხარი, — აფერისტი ხარ-მეთქი! — რატომ? — გაოცდა. — ამდენი ადამიანის სიყვარულს გულში როგორ იტევ-მეთქი?!.

— რამდენი ხანია, რაც ოჯახი შექმენით?

— ჩვენი ნიშნობის წლისთავამდე 3 დღით ადრე რუსმა ოკუპანტებმა მოკლეს... სიყვარულით სავსე ოჯახი გვქონდა. ერთმანეთი 4 წლის წინ, ტელეფონით გავიცანით. დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ შევხვდით, მაგრამ ურთიერთობა აღარ გაგვიგრძელებია — ელგუჯა დაიკარგა, აღარ მეკონტაქტებოდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ერთმანეთს შემთხვევით გადავაწყდით. ტელეფონის ნომერი ხელმეორედ მთხოვა. იმ დღიდან მოყოლებული, სულ უკან დამდევდა, მაკითხავდა სილამაზის სალონში, სადაც ვმუშაობდი... მოკლედ, მიზანს მიაღწია: თავი შემაყვარა და ცოლად გავყევი.

— სად ცხოვრობდით?

— ელგუჯა აფხაზეთიდან ლტოლვილი გახლდათ. გორის სასტუმროში, სხვა დევნილებთან ერთად ცხოვრობდა. შეუღლების შემდეგ მეც მასთან გადავედი. გათხოვებამდე მშობლების სახლში (გორში) ვცხოვრობდით. ნიშნობის მერე ჩვენი ოთახის გარემონტება დავიწყეთ. ყველაფერს ერთად ვაკეთებდით. ვაჩქარებდი: სწრაფად იმუშავე, ქორწილამდე ცოტა დრო რჩება-მეთქი! მსაყვედურობდა: ასე ნუ ამბობ, თორემ სიჩქარისგან ჩაქუჩს თითებზე ვირტყამო... ნაბოლარა შვილი იყო. დებიც და მშობლებიც ხელისგულზე ატარებდნენ. ოჯახის ყველა წევრს მზე და მთვარე ამოსდიოდა მასზე. დღეს, მისი თითქმის ყველა და, მეორედ ლტოლვილია — ერთის გარდა, რომელიც ვლადიკავკაზშია გათხოვილი... ელგუჯა ამბობდა ხოლმე: გორი ძალიან მიყვარს; აფხაზეთს რომ დავიბრუნებთ, დედასა და მამას იქ გავამგზავრებ, მაგრამ საცხოვრებლად მე არ წავალ, სულ აქ ვიქნებიო. საბრალო, მართლაც, სამუდამოდ გორში დარჩა... რუსულმა თვითმფრინავებმა ქალაქის დაბომბვა რომ დაიწყეს, ჩემმა მეუღლემ მე და ჩვენი პატარა შვილი თბილისში გამოგვხიზნა, თავად კი გორში, მშობლებთან დაბრუნდა.

— თბილისში ვისთან იყავით?

— ჩემი ბიძაშვილის ოჯახმა შეგვიფარა. ელგუჯა გორში რომ ბრუნდებოდა, ყველას განსაკუთრებულად დაგვემშვიდობა, ჩაგვეხუტა... ლუკას პაწაწინა ხელზე ხელი მოჰკიდა... ბავშვზე ამბობდა ხოლმე, — ძალიან პატარაა, ვიდრე 2 თვის არ გახდება, მანამდე ხელში ვერ ავიყვანო... ლუკა 10 აგვისტოს 2 თვის გახდა. მამამისი 13 აგვისტოს გორში მოკლეს.

— ეს როგორ მოხდა?

— რუსმა ოკუპანტებმა ქუჩაში ჩაცხრილეს... 13 აგვისტოს გორში ძალიან რთული ვითარება იყო, ხალხი ქალაქიდან გასვლას ცდილობდა. დილით ელგუჯასთვის დედამისს უთქვამს: შვილო, ჩაი დალიე და ნონასთან წადიო. ელგუჯას ლუკას ტანსაცმელი და საბავშვო საპონი პარკში ჩაუწყვია, მერე წვერის გაპარსვა დაუწყია. თურმე მოულოდნელად, სახეზე საპონწასმული, ოთახში შესულა, ბავშვის ტანსაცმელი აუღია, გულში ჩაუხუტებია და თვალები ცრემლებით ავსებია... გაოგნებულ დედამისს უკითხავს, — რა გჭირს, შვილოო?! — არაფერი, დედი, თავს უცნაურად ვგრძნობო, — უთქვამს... ქუჩაში მეგობრებთან ერთად გავიდა. ბიჭებმა რუსი სამხედროები დაინახეს. რუსებმა ელგუჯასა და მის მეგობრებს ცეცხლი გაუხსნეს. მეგობრები „კანაოში" ჩაწვნენ, ჩემმა მეუღლემ ვერ მოასწრო — დაუნანებლად ჩაცხრილეს და გზა განაგრძეს. უიარაღო ბიჭებს რას ერჩოდნენ?! ძალიან საცოდავად დაიღუპა: ხელში ბავშვის ტანსაცმელი ეჭირა... — ვაიმე, დედი, მომარტყესო!.. — ამის თქმაღა მოუსწრია. მისმა მეგობრებმა ვიღაცის მანქანა გააჩერეს და ელგუჯას ცხედარი საავადმყოფოში „ბაგაუნიკით" წაიღეს. გორის ჰოსპიტალში ერთი ექიმიღა იყო დარჩენილი. 5 დღის განმავლობაში ჩემი მეუღლის გვამი მორგში ყოფილა, მე კი არაფერი ვიცოდი. ახლობლები ამ საშინელ ამბავს მიმალავდნენ. საშუალებას არ მაძლევდნენ, რომ ვინმეს ტელეფონით მესარგებლა. ბოლოს ძოვახერხე, რომ ჩემი ნათესავი ქალის მობილურით დედამთილთან

მეგობრები „კანაოში" ჩაწვნენ, ჩემმა მეუღლემ ვერ მოასწრო — დაუნანებლად ჩაცხრილეს

დამერეკა. დედამთილმა იფიქრა, რომ ტელეფონის პატრონი ურეკავდა და შემომტირა, — ციცო, დავიღუპე, ჩემი შვილი მორგში წევსო!.. ცუდად გავხდი, ისტერიკული ტირილი ამივარდა... ვეღარც ბავშვს ვეკარებოდი... ნელ-ნელა დავწყნარდი... ყველა მეუბნებოდა: ამ უბედურებას უნდა გაუძლო, შვილი გყავს და მასზე უნდა იფიქროო... მიცვალებულის სანახავადაც, გორში გამგზავრება ვერ მოვახერხე. ვცადე, მაგრამ ახლობლებმა არ გამიშვეს, თან, გზები ჩაკეტილი იყო... ტელევიზიით, საინფორმაციო გამოშვებაში გამოაცხადეს: 25 წლის მშვიდობიანი მოქალაქე რუსული აგრესიის გამო დაიღუპაო. კადრში ცხედარი რომ აჩვენეს, გვამს წელს ზემოთ თეთრი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული, ფეხზე ჩემი ნაჩუქარი „ბასანოჟკი" ეცვა და ვიცანი... — ხომ მაინც გნახე-მეთქი! — გიჟივით ვყვიროდი.

— ვინ დაასაფლავა?

— ელგუჯას მშობლები დაღუპული შვილის დაკრძალვას ვერ ახერხებდნენ. რუსებმა გორში, სატანკო ნაწილი ააფეთქეს, რომლის უკანაც სასაფლაოა. სასაფლაოს ტერიტორია დანაღმული იყო... ამიტომ, ელგუჯა გორის ჰოსპიტლის მორგში, უპატრონო მიცვალებულებთან ერთად იყო დასვენებული. შემდეგ, ჩემმა მამამთილმა ქალაქის გამგეობას თხოვნით მიმართა და საკუთარი სახლის ეზოში შვილის დასაფლავების ნებართვა აიღო... მიცვალებულის ახლობლებმა საკუთარი ხელით გაუკეთეს სასახლე და მასში ჩაასვენეს... ყელზე ბავშვის ნათლობის ჯვარი ეკეთა... როგორც კი გზები გაიხსნა, მაშინვე გორში გავემგზავრე და ეზოში გაკეთებულ საფლავთან მივედი... მხოლოდ ის მახსოვს, რომ ელგუჯას საფლავს ვეხუტებოდი... 21 სექტემბერს, ღვთისმშობლობის დღესასწაულზე მისი გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა. ეს დღე ორმოციც იყო და დაკრძალვაც: მისი ცხედარი სასაფლაოზე გადავასვენეთ. მღვდელი მოვიყვანეთ და ყველაფერი ქრისტიანული წესისა და რიგის მიხედვით გავაკეთეთ, მაგრამ გარდაცვლილი ახალ სასახლეში ვერ ჩავასვენეთ — გვამი გახრწნილი იყო. მამამისის ხელით, სხვადასხვა ფერის ფიცრებით შეკრული კუბოთი დავკრძალეთ...

— ახლა თქვენ და თქვენი შვილი სად ცხოვრობთ?

— დღისით სულ დედამთილ-მამამთილთან ვარ, მაგრამ ღამით, იმ ოთახში, სადაც მე და ელგუჯას გვეძინა ხოლმე, ვერ ვჩერდები! მშობლების სახლში ვიძინებ... მეშინია. არ მჯერა, რომ ჩემი მეუღლე ცოცხალი აღარაა... მისი მობილური ტელეფონის ნომერი ახლა მე მაქვს. რამდენიმე კვირის წინ ვიღაცისგან მესიჯი მოვიდა: „გუჯა, როგორ ხარ, სად დაიკარგე?" ცუდად გავხდი... ელგუჯას მეგობრებს ვთხოვე, რომ მესიჯის ავტორისთვის დაერეკათ და მომხდარის შესახებ შეეტყობინებინათ... ბედნიერი ოჯახი გვქონდა. ასე მოულოდნელად დაგვატყდა თავს უბედურება... სულ რაღაც ერთი წლის წინ გვქონდა ქორწილი. საქორწინო დარბაზი ერთად მოვრთეთ ფერადი ბუშტებითა და ლენტებით... ბოლო დროს, ელგუჯას ყველა წვრილმანი განსაკუთრებულად ახარებდა. ახალი, 2008 წელი რომ დგებოდა, სანტა-კლაუსის ფორმა და ნაძვის ხის სათამაშოები იყიდა. ახალი წლის დადგომა პატარა ბავშვივით უხაროდა, ოინბაზობდა... ახლობელ გოგონას ტაქსიში საახალწლო ასაფეთქებელი შეუგდო. შეშინებული მძღოლი მანქანიდან პირველი გადმოხტა (იღიმება)... აი, ასე მხიარულად და ბედნიერად ვცხოვრობდით. 14 სექტემბერს ერთი წელი შესრულდა, რაც დავქორწინდით.

— საარსებო მატერიალური წყარო გაქვთ?

— მამამთილის პენსია და დედამთილის მცირე შემოსავალი — ბაზარში ვაჭრობს ხოლმე... რაც გვქონდა, იმითაც კმაყოფილი ვიყავით. მშვიდად ვცხოვრობდით, არავის არაფერს ვუშავებდით... სამწუხაროდ, ჩვენი შვილი — ლუკა ერთადერთი არაა, ვინც რუსული აგრესიის შედეგად დაობლდა. უამრავი ოჯახი გამწარდა. ეს ტკივილი არასდროს დაგვავიწყდება. ერთადერთი, რაც თავს დამტყდარი უბედურების გადატანაში მეხმარება, ჩემი შვილის არსებობაა... ■



ლიდგორის ცაგე ფრენდა ის ხვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-45

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

მოგზაურები ნელ-ნელა ეცნობოდნენ მონღოლთა სამფლობელოსა და იქ მცხოვრები ხალხის ჩვეულებებს. ერთი შეხედვით, ისინი მართლაც, ველურებად გამოიყურებოდნენ, ცხოვრობდნენ თვალუწვდენელ სტეპებში, სადაც თავიანთ ცხვარ-ცხენს აძოვებდნენ. ცხენი მათთვის ისეთივე პირუტყვი იყო, როგორიც ცხვარი. საპატიო სტუმარს ყოველთვის კვიცით უმასპინძლდებოდნენ. დროდადრო, ზრდასრულ ცხენებსაც კლავდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ შეძლებულ ოჯახებს შეეძლოთ. ხელმოკლეებს კი ცხვრითა და ამუავებული რძით, კუმისით გაჰქონდათ თავი. აქლემის ნაშიერი კი ყველასთვის ფუფუნებად ითვლებოდა. მისი დაკვლა მხოლოდ მდიდარი ტომების ბელადებს შეეძლოთ. სწორედ ასეთ ბელადთან მოუხდათ სტუმრობა მექარავნეებს.

მონღოლთა სამფლობელოს საზღვრებზე გავლისას, მექარავნეებს მხოლოდ მეომართა რაზმები ხვდებოდნენ. ამ რაზმებს მხოლოდ სიდიდე განასხვავებდა ერთმანეთისგან. ზოგ მათგანში ათი-თორმეტი მეომარი იყო, ზოგშიც — ორმოცდაათზე მეტი. დანარჩენები კი ტყუპისცალებივით გამოიყურებოდნენ. ყველას ტყავის უხეში ტანსაცმელი ეცვა და ვაჭრობისას გააფთრებულები გაჰყვიროდნენ.

მონღოლთა მიწაზე ყოფნის კვირისთავზე, მექარავნეებს პირველი სოფელი შეხვდათ. სოფელში ათიოდე დიდი და პატარა კარავი იდგა. კარვებს შორის, ტყავის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები საქმიანობდნენ. ვინ საჭმელს ამზადებდა, ვინ თავისი ქმრის ჯღანებს კემსავდა. იქვე ტრიალებდნენ მონღოლი ბავშვები. გოგონები დედებს ეხმარებოდნენ, ბიჭები კი მამების მსგავსად იქცეოდნენ — შეშლილებივით, დააჭენებდნენ ცხენებს აქეთ-იქით, ისარს ისროდნენ და ჭიდაობდნენ. სოფლის განაპირას წყარო მოჩუხჩუხებდა. მისი ნაპირები მოზრდილ ლეღვის ხეებს დაეფარა. ჰასანს დანახვისთანავე მოეწონა ეს ალაგი და დაბანაკება გადაწყვიტა, მაგრამ შიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: აქ არამც და არამც, არ შეიძლება ღამის გათევაო.

— რატომ? — გაუკვირდათ მექარავნეებს. — მშვენიერი წყაროა. კარვების გასაშლელი ადგილიცაა. მალე მოსაღამოვდება და ამაზე უკეთეს ადგილს ვეღარ მოვნახავთ.

— დამიჯერე, ბატონო, — ჰასანთან ლაპარაკი განაგრძო შიმ, — მონღოლებს არ მოეწონებათ მათ წყაროსთან ჩვენი დაბანაკება, მაგრამ აქედან მაინც არ გაგვდევნიან. მათი ბელადი რომელიმე კარავს შემოგვთავაზებს ღამის გასათევად. ნუ იფიქრებთ, რომ მათ კარავში ყოფნა სჯობს, ღია ცის ქვეშ დარჩენას. იქ ფეხიც რომ შედგა, მკბენარს ვეღარ გამოილევ. თანაც, ბელადთან სტუმრობა ძალიან ძვირი დაგიჯდებათ: მისი ცოლ-შვილისა და ოჯახის წევრებისთვის საჩუქრების მირთმევა მოგიწევთ. ისინი კი ძალიან ბევრნი და განუზომლად ხარბები არიან. ამას სჯობია, ქრთამი მივართვათ ბელადს და ღამე სხვაგან, სოფლიდან მოშორებით გავატაროთ.

— საჩუქრები რა ბედენაა, მაგრამ ჩემს ხორცს მკბენარს საჯიჯგნად არ მივუგდებ, — დაეთანხმა ჰასანი და ქარავანს გზის გაგრძელება უბრძანა.

რაც უფრო ღრმად შედიოდნენ მონღოლთა სამფლობელოში, უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდათ მათი დასახლებები, ზოგი მცირე, ზოგიც — შედარებით მოზრდილი. მექარავნეებიც შეეჩვივნენ ამ სურათების ხილვას. დარწმუნებული იყვნენ, რომ მონღოლთა მთელი ტომი ასეთ სოფლებსა და კარვებში ცხოვრობდა. ამიტომაც, გაოცებულები დარჩნენ, როდესაც გზად მონღოლთა მთელი ქალაქი შემოხვდათ. ეს დასახლება არაფრით ჰგავდა მათ მიერ ადრე ნანახ ქალაქებს: დასახლებაში ერთი შენობაც არ იდგა, ირგვლივ მთა და ველი კარვებს დაეფარა. კარვებს შორის კი აუარება ხალხი მოჩანდა.

ამჯერად მექარავნეებმა ვეღარ შეძლეს მონღოლთა დასახლებისთვის გვერდის აქცევა. გზად შემხვედრმა მეომართა რაზმმა შის აცნობა, რომ დიდი ყაენი ვაჭრებს თავისთან იწვევდა. შიმ მდაბლად დაუკრა თავი მონღოლთა მეთაურს და ჰასანს მიუბრუნდა: ახლა ვეღარ დავიძვრენთ თავს, ყაენთან სტუმრობა მოგვიწევსო.

— ყაენი? — გაიკვირვა ჰასანმა. — შენ არ გვიყვებოდი, მონღოლები ველური ხალხია და მეფენი და დიდებულები არ ჰყავთო?!

— არცა ჰყავთ, — უპასუხა შიმ; — დროდადრო რომელიმე ტომი ძალას მოიკრებს, სხვა ტომებს დაიმორჩილებს და თავის ბელადს ყაენად გამოაცხადებს. ასე იქნება მანამ, ვიდრე სხვა ტომი არ მოძლიერდება. მერე ისევ ატყდება ომი. ძველ ყაენს მოაშთობენ და სხვას გამოაცხადებენ ყველა ტომის ბელადად.

— მაგაში ახალი არაფერია. ჯერ არ მსმენია ქვეყანაზე, სადაც ახალს, წინა მეფე არ მოეშთოს. შენ ის თქვი, რისთვის გვიბარებს ყაენი თავისთან? ერთხელ უკვე მივიღეთ ასეთი მიპატიჟება და კინაღამ ყველა დავიღუპეთ, — კარანაუსელები გაიხსენა ჰასანმა.

— მაგაზე ნუ იდარდებ, ბატონო. აკაი ყაენს მემკვიდრეობით ერგო მონღოლთა ტომების ბელადობა. თავად ერთი დიდი ომიც არ გადაუხდია. მხოლოდ რამდენჯერმე მოუხდა გაჯიუტებულ და განდგომილ მონღოლთა დარბევა-დაწიოკება. ახლა კი თავი უდიდეს მმართველად მიაჩნია. უყვარს უცხოელებთან შეხვედრა და თავის სიმდიდრესა და ქონებაზე ტრაბახი. უნდა, რომ იმ უცხოელებმა ქვეყანას მოსდონ მისი ამბავი, ყველამ გაიგოს, თუ როგორი დიდებული და ყოვლისშემძლე თავკაცი ჰყავთ მონღოლებს.

— ამას ეძახი ყოვლისშემძლეობას?! — გვიდომ სიცილით გაიშვირა ხელი სტეპში გაშლილი კარვებისკენ.

— ნუ ხუმრობ, ახალგაზრდა ბატონო. მონღოლთათვის ეს ძალიან ბევრია და ყაენთან შეხვედრისას არამც და არამც წამოგცდეს, რომ ამქვეყნად უფრო დიდი ქალაქები არსებობს. პირიქით — უთხარით, რომ არსად გიხილავთ ამაზე დიდი და მშვენიერი სატახტო. საჩუქრებზეც ნუ გამოიდებთ თავს. მონღოლებს თიხისა და სპილენძის ჭურჭლის გარდა არაფერი გაჩნიათ. ერთი-ორი ვერცხლის სინი და სურა საკმარისი იქნება მისი გულის მოსაგებად, — თქვა ჰასანმა.

ყაენი კარვების ქალაქის შუაგულში წამოჭიმულ, ვეებერთელა კარავში ცხოვრობდა. მექარავნეებმა მიახლოებისთანავე შენიშნეს მისი საცხოვრებელი, რომლის თავზეც უზარმაზარი დროშები ფრიალებდა. კარვის შესასვლელში ბრგე მცველები გაქვავებულიყვნენ. ისინი უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი. ტანს სპილენძისბალთებიანი აბჯრები უფარავდათ, ხმლის ქარქაშებიც სპილენძითა და ჭრელი მძივით მოეპირკეთებინათ. კარავთან მიახლოებისას მექარავნეებმა სუნით შეიცნეს მონღოლთა მიერ „ავსულთა“ განდევნის წესი, რომელზეც მათ ში უამბობდა. იქაურობა შარდის სუნით იყო გაჟღენთილი.

— ავსულებსა და ქაჯებზე სრულიად სხვა წარმოდგენის ვიყავი. აქაურობა ისე ყარს, რომ უკეთურს კი არა, მოყვარესაც ძალიან გაუჭირდებოდა გაჩერება, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა გვიდომ.

შის ყველა გაფრთხილებული ჰყავდა, რომ დიდი მოწიწებით მოჰქცეოდნენ ყაენსა და მის საცხოვრებელს. მაგრამ გვიდოს ნათქვამზე ვერავინ შეიკავა თავი და მექარავნეებმა ერთბაშად გადაიხარხარეს. კარვის მცველებმა უმალ ხმლებს სტაცეს ხელი და ავად ჰკითხეს შის: ამ ხალხს რა აცინებსო?

— მაგათ ქვეყანაში ეგრე გამოხატავენ გაკვირვებას. იმის თქმა უნდათ, — ეს რა დიდებული კარავი ჰქონია მონღოლთა დიდ ყაენსო! — წარბშეუხრელად უპასუხა შიმ და ნათქვამის დასტურად, თვითონაც გადაიხარხარა.

უცნაური იყო, მაგრამ მცველებმა დაიჯერეს ეს სიბრიყვე. ხმლები ქარქაშებში ჩაბრუნეს და მექარავნეებს გზა გაუთავისუფლეს.

კარავში ისეთი ხმაური იდგა, რომ მექარავნეებს შეშლილთა თავყრილობად ეჩვენათ, მაგრამ თურმე შეშლილობა არაფერ შუაში იყო. უბრალოდ, ყაენთან მისი ნათესავები მოსულიყვნენ, რომლებსაც რამდენიმე ცხვარზე მოსვლიათ დავა და ახლა გაშმაგებულები ამტკიცებდნენ თავიანთ სიმართლეს. ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა მათი გნიასი, თავად ყაენი რომ არა? მმართველს მალე მოჰბეზრდა ხმაური და მცველებს ნიშანი მისცა, — მთხოვნელები დაითხოვეთო. მათ უმალ მოიმარჯვეს მათრახები და მოდავეები ცემა-ტყეპით დაიფრინეს კარვიდან. ამის შემდეგ ყაენმა მექარავნეებისთვის მოიცალა.

მათ შორის, ში ერთადერთი იყო, რომელსაც მონღოლების ენა გაეგებოდა, მაგრამ მანაც ვერაფერი გაახერხა. დიდხანს ელაპარაკა ყაენს, ხელ-ფეხიც მონდომებით იქნია, მაგრამ მაინც ვერაფრით მიახვედრა, თუ სად იყო ვენეცია. ბოლოს ყაენს თავად მოჰბეზრდა ლაპარაკი და შის უთხრა: არ მაინტერესებს, საიდან ჩამოვიდა ეს ხალხი, მთავარი — საჩუქრებიაო.

შის ნიშანზე მსახურებმა საჩუქრები ყაენის ფეხებთან დააწყვეს. აქ იყო რამდენიმე ვერცხლის სინი და ფიალა და ერთიც, ვენეციური ბროლის ჭიქა. ბროლით მოხიბლულ ყაენს ვერცხლის ჭურჭლისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. მაშინე აიტაცა ჭიქა, მაშხლის შუქზე გახედა და იკითხა: ვინ და როგორ დაამზადა ყინულივით გამჭვირვალე ნივთიო?

— მაგ ჭურჭელს ვაჭრების სამშობლოში ამზადებენ, — უპასუხა შიმ.

— მერედა, მხოლოდ ერთი ჭიქა რატომ მომართვით?! — წარბი შეიკრა ყაენმა.

ში აქაც არ დაიბნა და სწრაფად უპასუხა:

— ეს შეუძლებელი იყო, დიდო ყაენო. ასეთი ჭურჭელი მხოლოდ და მხოლოდ მეფეებისთვის მზადდება. რისთვის უნდა წამოგველო მეტი, თუკი აღმოსავლეთში თქვენზე დიდი და ძლიერი ყაენი არ გვეგულებოდა?!

ყაენი კმაყოფილი დარჩა პასუხით და ამის დასტურად მსახურებს სანადიმო სუფრის მომზადება უბრძანა.

აქამდე მექარავნეებს მონღოლთა ნადიმი არ ეხილათ და მალე გაარკვიეს, რომ სტეპის მეომრებთან ერთად ლუკმის გატეხა არც ისე იოლი საქმე იყო. სანადიმო სუფრა საქონლისა და ფრინველის ხორცისგან შედგებოდა. მსახურებმა სტუმრებს უზარმაზარ ხის სინებზე დალაგებული ცხვრის ხორცი მიართვეს. ცხვარი ტყავიანად მოეხარშათ, მერე დიდ ნაჭრებად დაეჩეხათ. მექარავნეთაგან ვერც ერთმა ვერ შეძლო ხორცის შეჭმა. ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ბეწვმოდებული, ოხშივარადენილი ცხვრის ხორცი, მათში მადას კი არა, გულისრევის შეგრძნებას აღძრავდა. სამაგიეროდ, თავად მონღოლებმა მოილხინეს. ისინი სწრაფად იტაცებდნენ ხორცის ნაჭრებს, ნადირივით ღრღნიდნენ, ძვლებს ამტვრევდნენ, ტვინს ხვრეპდნენ, ხოლო დაღრღნილ ძვლებს იქვე, იატაკზე ყრიდნენ. ამ დროს მექარავნეები თავდახრილები ისხდნენ. ცდილობდნენ, თვალი აერიდებინათ მონღოლთა ღრეობისთვის, მაგრამ ხორცის გასინჯვამ მაინც მოუწიათ. ეს ყაენის დამსახურებით მოხდა: სტუმრებს თავისივე სინიდან გადმოუყარა ხორცის ნაჭრები და ჭამა უბრძანა.

— არ გაგიჟდეთ და უარი არ თქვათ ხორცზე. ეს წყალობა და კეთილგანწყობილების ნიშანია და უარით, არნახულ შეურაცხყოფას მიაყენებთ მონღოლებს. ამის გულისთვის ყველას თავებს დაგვაყრევინებენ ან ხერხემლის მალებს ჩაგვიმსხვრევენ, — სწრაფად ჩაილაპარაკა შიმ და ნაწყალობევი ხორცი ფრთხილად გაღეჭა.

მოგვიანებით მსახურებმა სპილენძის ქოთნებით, რაღაც ფრინველი ჩამოატარეს. მექარავნეებს ეგონათ, ახლა მაინც გვეშველებაო, მაგრამ მათი მოლოდინი ამაო აღმოჩნდა: ფრინველს არანაკლებ უსიამოვნო სუნი ჰქონდა, ვიდრე ტყავიანად მოხარშულ ცხვარს. საბოლოოდ, ყველაფერი აქლემის კოზაკით დაგვირგვინდა. მონღოლები არნახული ღრიანცელით შეხვდნენ უზარმაზარი ქვაბის გამოჩენას. ფრინველისა და ცხვრის ძვლები სასწრაფოდ მიმოყარეს იატაკზე, ცხიმიანი ხელები გულმკერდზე შეინმინდეს და მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრეს ყაენს.

ყაენი არ ჩქარობდა. ვიდრე ჭამას შეუდგებოდა, ოხშივარადენილი კოზაკის სურნელით დატკბა. მერე უკანა ბარკალი მოაგლიჯა და ჭამას შეუდგა. ყაენი ისეთი გულმოდგინებით იქნევდა ყბას, რომ მექარავნეებს იმედი გაუჩნდათ: კოზაკს მარტო შეჭამს და ამით ჩვენც გვეშველებაო. მაგრამ მათ ისევ იმედგაცრუება ელოდა. როგორც ყველა გულისხმიერმა მასპინძელმა, ყაენმაც მალე გაიხსენა სტუმრები და ისევ გადმოუყარა ხორცის მოზრდილი ნაჭრები. მექარავნეებს შის გაფრთხილება აღარ დასჭირვებიათ. თავადაც ამჩნევდნენ, როგორ უთვალთვალებდნენ მონღოლები და ისინი რომ არ გაენაწყენებინათ, მაშინვე შეუდგნენ ჭამას. კოზაკი ცხვრისგან განსხვავებით, გატყავებული მოეხარშათ. მაგრამ თაფლითა და შაქრით შეზავებული ხორცი უფრო აძლიერებდა გულისრევის შეგრძნებას, რომელიც ცხვრის გასინჯვის შემდეგ დარ-

ჩათ. მონღოლები კი არას დაგიდევდნენ ხორცის უგემურობას, სიხარულით იჭერდნენ ყაენის მიერ გადმოყრილ ნაჭრებს და ნადირებივით სწრაფად ნთქავდნენ.

მექარავნენი მოუთმენლად ელოდნენ წვეულების დამთავრებას, მაგრამ მასპინძელს თურმე კიდევ ერთი ნუგბარი მოემზადებინა მათთვის. ეს იყო კუმისი — ცხენის აჭრილი რძე, რომელზედაც არაერთხელ სმენოდათ შისგან. მსახურებმა კუმისი სპილენძის თუნგებით ჩამოატარეს. სტუმრებს კი ფიალები დაურიგეს. მექარავნეებს უკვე ამოსწურვოდათ მოთმინება. მაგრამ მასპინძელი რომ არ გაებრაზებინათ, თითო ფიალა მაინც გასინჯეს. თავად ყაენი ცხენის რძეს საჩუქრად მიღებული ბროლის ჭიქიდან მირთმევდა და სტუმრებსაც აძალებდა კუმისს. სასმელი არც ისე ცუდი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე უკეთესი რამ იყო იმ საჭმელ-სასმელს შორის, რომლის გასინჯვამაც მოუწიათ.



კუმისის შემდეგ მონღოლებმა ბოყინი მორთეს. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ხმამაღლა დააბოყინებსო. სხეულს ძაბავდნენ, იგრიხებოდნენ, ხმამაღლა აბოყინებდნენ, მერე კი სუფრაზე მსხდომთ ნიშნს უგებდნენ: ხედავ, როგორ დავაბოყინეო!.. ყველაზე დიდ ხმებს მაინც ყაენი გამოსცემდა. მაგრამ ამაში მსახურები ეხმარებოდნენ — ისინი მის გვერდით ისხდნენ და ბატონის ნიშანზე, გვერდებში ქიმუნჯებს ურტყამდნენ, რომ რაც შეიძლება ხანგრძლივი გაბმით დაებოყინებინა.

— მორჩა... დამთავრდა თქვენი წამება, — ხმადაბლა ჩილაპარაკა შიმ, — ცოტა ხანს კიდევ ისხდებიან. გაზებისგან დაიცლებიან და ამით ნადიმიც დამთავრდება.

თითქოს მისი სიტყვა მოისმინაო, ყაენმა ჭიქა გვერდზე გადადო და რაღაც დაიყვირა. სუფრასთან ფეხმორთხმით მსხდომი მონღოლები უმალ წამოიშალნენ და კარვიდან გასვლა დაიწყეს. ადგნენ მექარავნეებიც და შიმ თავდამბლად სთხოვა ყაენს წასვლის ნებართვა. ყაენმა საქმიანად მოიფხანა ნიკაპზე ჩამოგრძელებული, თხელი წვერი და მერე უპასუხა: შენს ამხანაგებს შეუძლიათ წავიდნენ, შენ კი დარჩი — შორეული ქვეყნის შესახებ კიდევ მიამბობ რამესო.

ჰასანმა უთენია წამოშალა ქარავანი. უნდოდა, რაც შეიძლებოდა მალე გასცლოდა მონღოლთა „უდიდესი" მმართველის ქალაქს და სწორედ ამ დროს ღულამებმა მოახსენეს, რომ გამცილებელი არსად ჩანდა. თავიდან მექარავნეებს ეგონათ, რომ ის ჯერაც ყაენთან იმყოფებოდა, მაგრამ მერე დაადგინეს, რომ შისთან ერთად, მისი ცხენი და აბგაც გამქრალიყო. ეს უკვე ცუდად ენიშნა ჰასანს და მეგზურის ასავალ-დასავლის გასარკვევად, ყაენის კარავს მიაშურა.

მცველებმა კარავს ახლოს არ გააკარეს. სამაგიეროდ, თავად აუხსნეს, რომ შიცოტა ხნით დარჩა ყაენთან, მერე კი თავის ამხანაგებთან დაბრუნდა. ჰასანი ხელების მოშველიებით უხსნიდა მონღოლებს, რომ გამცილებელი არსად ჩანდა. მაგრამ ყოველ მის ჟესტს მონღოლები ერთ პასუხს სცემდნენ: აქ არ არის, სხვაგან მოძებნეთო. როცა შეგონებამ არ გაჭრა, ერთ-ერთმა მცველმა შუბი მოიქნია. ჰასანი არ შეეპუა, შუბზე ხმალი აუკრა, გზიდან ჩამოიშორა და კარვისკენ დაიძრა. ამან მცველები საშინლად გააბრაზა. მათ მაშინვე ხმლები იშიშვლეს და მაშველს უხმეს. მექარავნეებმა ადგილიდან დაძვრაც ველარ მოასწრეს, ისე აღმოჩნდნენ შუბშემართულ მონღოლთა გარემოცვაში. ცოტაც და, ისინი ნაკუწებად აქცევდნენ თავხედ გადამთიელებს. მაგრამ ამ დროს კარვიდან ყაენი გამოვიდა. მონღოლთა ბელადმა მრისხანე მზერა სტყორცნა კარავთან მყოფთ და რაღაც იყვირა. მონღოლები ერთხმად აყაყანდნენ და თან ხელებს ჰასანისა და მისი ხალხისკენ იშვერდნენ. ჰასანი წინ წარდგა და იმის ახსნას შეეცადა, თუ რას მოჰყვა შეხლა-შემოხლა. მისდა საბედნიეროდ, ყაენი მალე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ამით მექარავნეებისთვის არაფერი შეცვლილა. ყაენმა მხრების აჩეჩითა და ხელების ქნევით მიახვედრა: თქვენი მეგზური აქ არ არის და თუ კიდევ გაბედავთ ხმაურს, ყველას გაგამათრახებთ და მაწანწალა ძაღლებივით გაგყრით აქედანო. ამით ყველაფერი ითქვა და ჰასანი თავის ხალხთან ერთად, უკან გამობრუნდა.

— რა ვქნათ? — ჰასანმა მის ირგვლივ შეკრებილ მექარავნეებს მოავლო მზერა.

— გამცილებელი უნდა მოვძებნოთ. მის გარეშე გზას ვერ გავაგრძელებთ, — თქვა გუელმომ.

— მარტო გზის გაგრძელებაშიც არ არის საქმე, — ჩაურთო მუროჩიმ, — მეგზურს აქაც მოვძებნით. მაგრამ ხომ უნდა გავარკვიოთ, სად გაქრა ში?

— არც ვიცი, რა ვიფიქრო. უცნაური ამბავია. რისთვის უნდა გადაემალათ მონღოლებს? — ჩაილაპარაკა ჰასანმა. — და თუ შიმ რაიმე დააშავა და დაატუსაღეს, ჩვენ რატომ გვიმალავენ?

— არ უნდა იყოს ეს მონღოლების საქმე. რაში სჭირდებათ უქონელი ში? — განაგრძო მუროჩიმ. — ფული რომ ნდომოდათ, რატომ დაგვიმალავდნენ?.. გამოსასყიდს მაინც მოითხოვდნენ.

— ასეა თუ ისე, გამცილებელი დავკარგეთ და მის გარეშე გზას ვერ გავაგრძელებთ... — ჩაილაპარაკა გვიდომ. — ისევ უნდა ვცადოთ მონღოლებთან მოლაპარაკება.

— როგორ? — მხრები აიჩეჩა ჰასანმა. — ხომ ნახეთ, რაც მოხდა. ყაენმა გაგვაფრთხილა: თუ კიდევ შემაწუხებთ, გაგამათრახებთ და ისე გაგყრით აქედანო.

— მაინც უნდა ვცადოთ. მუქარით, დაგვემუქრა, მაგრამ რაიმე ნობათი იმ მუქარას მიავიწყებს, — თქვა გუელმომ და თავისი კარვისკენ მიბრუნდა...

ყაენმა კმაყოფილებით მიიღო საჩუქარი — რამდენიმე ვერცხლის სინი და ბაჰრეინის მარგალიტი, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. შის გაქრობის მიზეზი მაინც ვერ გაირკვა. ამას ვერც ყაენმა უშველა. მისი ბრძანებით, მონღოლებმა საგულდაგულოდ გაჩხრიკეს კარვების ქალაქი, მაგრამ შის კვალს მაინც ვერ მიაგნეს. მაშინ ჰასანმა ყაენს მეგზურის გამოყოფა სთხოვა.

— ცინში მეგზურს ვერ გაგაყოლებთ, — თავი გაიქნია ყაენმა.

— რატომ? — დაინტერესდა ჰასანი.

— ადრე ცინთან კარგი ურთიერთობა გვქონდა. მათ იმპერატორს ჩვენგან მიჰყავდა საომარი ცხენები, ჩვენ კი ცინთან

ვაჭრობის ნებას გვაძლევდა. მერე იმპერატორი მოკლეს და ჩვენშიც მტრობა ჩამოვარდა. ჩვენ ცინისკენ აღარ მივდივართ, ისინი კი ჩვენს მიწას ახლოსაც არ ეკარებიან. ცინში ჩემმა გამცილებელმა რომ ჩაგიყვანოთ, ყველას მსტოვრებად მიგიჩნევენ და შეიძლება, თავებიც დაგაყრევინონ, — თქვა ყაენმა. მაგრამ მისი უარი მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ბაჰრეინის რამდენიმე მარგალიტმა ყველაფერი შეცვალა. ყაენმა თავის ხალხს მეგზურის მოძებნა უბრძანა, რომელსაც ცინის მისადგომებამდე უნდა მიეცილებინა ქარავანი.

მექარავნეებმა დამძიმებული გულით დატოვეს კარვის ქალაქი. მხოლოდ ახლა იგრძნეს, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა ქარავანში შის ყოფნას. მართალია, ის სიტყვაძუნწი, მიუკარებელი და უცნაური ადამიანი იყო, სამაგიეროდ, ზედმიწევნით კარგად ასრულებდა თავის საქმეს. მისი დამსახურებით, მექარავნეები სიკვდილს გადაურჩნენ და ცინის მისადგომებამდეც მიაღწიეს. ის ცინშიც დიდ სამსახურს გაუწევდა მათ. მაგრამ ში გაუჩინარდა და ქარავანი ისე გავიდა კარვების ქალაქიდან, რომ მის შესახებ ვერაფერი შეიტყო. გაქრა ადამიანი და ამით ყველაფერი დამთავრდა. ახლა კი ქარავანს ყაენის მიერ წარგზავნილი ორი მონღოლი მიუძღოდა. მექარავნეებს ერთადერთი ის ახარებდათ, რომ ახალი გამცილებლები საკუთარი ხელისგულივით იცნობდნენ გზას. დანარჩენი კი...

მათთან ურთიერთობა შეუძლებელი იყო. ორი გამცილებლიდან, მხოლოდ ერთმა იცოდა არაბული, ისიც — ძალიან ზერელედ. მხოლოდ ჰასანი ახერხებდა მასთან დალაპარაკებას, ისიც — სულ რამდენიმე სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს. მთელი დანარჩენი დრო კი ორივე მეგზური ქარავანს წინ მიუძღოდა.

მგზავრობის მესამე დღეს მექარავნეებმა მათ ზურგს უკან ავარდნილი მტვრის ღრუბელი შენიშნეს. ჰასანმა მაშინვე თავისთან იხმო მეგზური და ჰკითხა: რა არის ეს ღრუბელი? ქარბორბალა ხომ არ გვიახლოვდებაო?

მეგზურმა დაამშვიდა: წლის ამ დროს სტეპში ქარბორბალა არ იცის და რომც შეგვხვდეს, სუსტი იქნება, ძლიერ ქარად მოგეჩვენება, რომელიც ქარავანს ვერ შეაჩერებსო. — უპასუხა მონღოლმა.

— მაშ, რა უნდა იყოს ის ღრუბელი, თუ არა ქარბორბალა? — განაგრძო ჰასანმა.

— ისეთი მიმართულებით მოდის, რომ ჩვენი ბატონის, დიდი ყაენის ლაშქარი უნდა იყოს.

მონღოლთა ჯარის მოულოდნელმა გამოჩენამ ჰასანი საგონებელში ჩააგდო. სამი დღის წინ კარავთა ქალაქს საომარი სამზადისი არ ეტყობოდა. ახლა კი ყაენის ჯარი მათ კვალდაკვალ მოდიოდა. რისთვის უნდა დასჭირვებოდა ყაენს ჯარის სასწრაფოდ აშლა და აქეთ წამოსვლა?..

ამასობაში ლაშქარი მოახლოვდა. მონღოლი მეომრები ყიჟინით შემოერტყნენ ქარავანს, შუბები შემართეს და მეგზურები და ჰასანი თავისთან იხმეს.

— შენს ხალხს უთხარი, რომ იარაღი დაყარონ, თორემ ყველა დაიღუპებით! — მრისხანედ უთხრა მონღოლთა მეთაურმა მასთან მიახლოებულ ჰასანს.

— რატომ?! ჩვენ ყაენმა მოგვცა მის მიწაზე გავლის ნება!

— ახლა კი ყაენის ბრძანებით, იარაღი უნდა დაყაროთ! — განაგრძო მონღოლმა.

ჰასანმა სიმწრით აღსავსე მზერა ესროლა ქარავანს. გუელმოს სამი მსახურით, თავისი ექვსი ღულამით, მუროჩითა და ვენეციელებით, ორ ასეულ მონღოლს ვერ შეებრძოლებოდა. ძალები არათანაბარი იყო. მონღოლებს შუბის ან ხმლის მოქნევაც არ დასჭირდებოდათ — ისრის სეტყვას დააყრიდნენ და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა.

— მაინც რა დავუშავეთ დიდ ყაენს? — მეთაურს მიუბრუნდა ჰასანი. — იქნებ, რაიმე გაუგებრობაა და აქვე გავარკვიოთ ყველაფერი.

— მაგას ყაენი გეტყვის! — დაიყვირა მონღოლმა და თავის მეომრებს ნიშანი მისცა, იარაღი ჩამოართვითო.

ჰასანი ელვის სისწრაფით მიუბრუნდა ქარავანს. უნდოდა დაეყვირა, — არ შეეწინააღმდეგოთო! — მაგრამ უკვე გვიან იყო: მექარავნეებმა, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ჰასანისა და მონღოლთა მეთაურის საუბრის შესახებ, ზედმივარდნილ მონღოლებს ხმლები შეაგებეს. ქარავნის გარშემო ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. საპალნეებით დატვირთული პირუტყვი, მონღოლებს ხელს უშლიდა და რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ ასე მხოლოდ ბრძოლის დასაწყისში იყო. რამდენიმე მეომრის დაღუპვამ მონღოლები მიახვედრა, რომ პირდაპირი დაძგერებით ბრძოლას ვერ მოიგებდნენ. ამიტომაც, სწრაფად დაიხიეს უკან და მექარავნეებს ისრები დააყარეს. ამჯერად ბრძოლის სასწორი მათკენ გადაიხარა.

— ჩამოქვეითდით... ცხენებსა და ჯორებს მოეფარეთ და ისარი დაუშინეთ! — იყვირა მუროჩიმ და პირველი გადმოხტა ცხენიდან. იგივე მოიმოქმედეს სხვებმაც, მაგრამ ყველამ მაინც ვერ მოასწრო ჩამოქვეითება. ორი ვენეციელი მსახური და ჰასანის ღულამი უსულოდ დაენარცხნენ მიწაზე.

ცხენიდან ჩამომხდარმა მექარავნეებმა მშვილდებით განაგრძეს ბრძოლა. მონღოლები ისევ მიხვდნენ, რომ უპირატესობას კარგავდნენ. თვითონაც ჩამოქვეითდნენ და ხმლებით მიუხტნენ მოწინააღმდეგეს. დროდადრო კი ქამანდებს სტყორცნიდნენ, რომ მტერი შეებოჭათ და იარაღი აერთმიათ.

მექარავნეები ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდნენ. მონღოლთა ხმლებს ჰასანის სამი ღულამი და კიდევ ერთი ვენეციელი მსახური შეეწირა. დაიჭრა ჰასანიც. მუროჩი გაშმაგებული იქნევდა ხმალს აქეთ-იქით. ხვდებოდა, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება არ ეწერა და უნდოდა, რაც შეიძლება მეტი მომხდური გაეყოლებინა თან, მაგრამ არ ეწერა იმ დღეს დაღუპვა. რამდენიმე მონღოლმა ერთად სტყორცნა ქამანდი. მუროჩი ისე გაიხლართა თოკში, როგორც ბუზი — აბლაბუდაში. მონღოლებმა უმალ ისარგებლეს ამით, აქეთ-იქიდან ეცნენ, მიწაზე დასცეს და ხმალი წაართვეს. ამის დანახვისას, გუელმო ხმალშემართული გაქანდა მისკენ, მაგრამ ერთი ნაბიჯის გადადგმაც ვერ შეძლო: მონღოლი მეომრის ნატყორცნმა ისარმა ბეჭის ძვალი ჩაუმსხვრია. გუელმო შემობრუნდა, ისარს ხელი ჩაავლო და ამოგლეჯა სცადა, მაგრამ ზუსტად ამ დროს, გვერდით მყოფმა მონღოლმა ხმალი გადაუქნია და მარცხენა მკლავი მოჰკვეთა.

— მამა!!! — სიმწრით იყვირა გვიდომ, მის დასახმარებლად გაქანდა, მაგრამ იქამდე მიღწევა ვერ შეძლო: მონღოლები აქეთ-იქიდან ეცნენ, ერთი ზურგზე შეახტა და მარჯვენა გაუკავა, რომ ხმალი არ მოეხმარა; წინიდან მოცვენილმა მონღოლებმა ხელიდან ხმალი გააგდებინეს, მიწაზე დასცეს და მუროჩივით, გაკოჭეს.

ამით ბრძოლა შეწყდა. იმისთვის, რომ ყველა არ ამოეხოცათ და ვინმე მაინც გადარჩენილიყო, ჰასანმა თვითონაც დააგდო ხმალი და თავის ღულამებს დანებება უბრძანა. ამხანაგების დაღუპვით გაშმაგებული მონღოლები, მშიერი მგლების ხროვასავით ეცა მექარავნეებს. დატყვევებულნი ერთმანეთის გვერდით დაყარეს და მათრახი დაუშინეს, დაღუპულებს კი თავები მოჰკვეთეს და შუბებზე წამოაგეს.

— რა გინდათ?! რას გვერჩით?! თუ ყაენის ერთგული მეომრები ხართ, რატომ გვესხმით თავს?! ყაენმა თავად მიგვიღო და მის მიწაზე ყოფნის ნებაც მოგვცა!.. თუ მძარცველები ხართ, ქარავანი თქვენს ხელთაა, წაიყვანეთ და თავი გაგვანებეთ! — სიმწრით აყვირდა ჰასანი.

— ხმა ჩაიგდე, ცოფიანო ძაღლო!. ყაენმა დიდი პატივით მიგიღოთ. თქვენ კი სამაგიერო იმით გადაუხადეთ, რომ ძმა და ძმისწული მოუკალით და მათი ქონება გაიტაცეთ! — შმაგად შესძახა მონღოლმა. მერე შებრუნდა და თავის მეომრებს უბრძანა:

— ტყვეები ცხენებს აჰკიდეთ, უკან ვბრუნდებით!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩუსი ჯარისკაცებისგან დაშინებული მოგზაურები

„თეა აფხაზებმა გააუპატიურეს, მშობლების თვალწინ"

„კარგია, როცა არაფერი გაწუხებს და პრობლემებს ძალით იქმნი. აი, მაგალითად, ბევრ ჩემს თანატოლს აწუხებს პრობლემა, რომელსაც მე არაფრად მივიჩნევ, ისინი კი რაღაცის გამო სახეს იხოკავენ და წუწუნით სხვებსაც აწიოკებენ", — მოგვწერა 14 წლის ნინომ, რომელსაც ომის დაწყება აშინებს: „— აი, ნამდვილ პრობლემაზე კი არავინ ფიქრობს. ქვეყნად ომია მოსალოდნელი, რუსები ჩვენს ტერიტორიებს არ ტოვებენ, თინეიჯერებს კი ეს სულ ცალ წიხლზე ჰკიდიათ". ნინის და არა მარტო მის გასაგონად მინდა ვთქვა, რომ სინამდვილეში, ეს პრობლემა მოზარდ თაობას აწუხებს. კვირა ისე არ გავა, ამასთან დაკავშირებით 1-2 მესიჯი მაინც რომ არ მივიღო. ამჯერად, სწორედ ამ პრობლემაზე გავამახვილებ ყურადღებას.



ლიკა ქაჯაია

ეკატერინე, *16 წლის:*

„მეშინია ომის! მეშინია ახლობელი ადამიანების დაკარგვის! მეშინია, რუსებმა სახლიდან წასვლა არ გვაიძულონ და ჩემი მშობლების ნაოფლარი არ მიისაკუთრონ! მეშინია, რომ რუსები (და არა მარტო ისინი) ჩვენს გოგონებსა და მათ შორის მეც, შეურაცხყოფას მოგვაყენებენ! მოკლედ, მეშინია, მეშინია, მეშინიაააა!!! ხალხო, რა გვეშველება? როდემდე უნდა ვიცხოვროთ შიშის ქვეშ? ნუთუ, უშფოთველი ცხოვრება არასდროს გველირსება? ნუთუ, სიბერის მოახლოების ნაცვლად, სიკვდილის უნდა გვეშინოდეს? ხალხო, დავდგეთ ერთად და ვერავინ დაგვამარცხებს!"

მიკაკო:

„გორში რუსები არ არიანო, — ამბობენ. საინტერესოა, ვის ატყუებენ? ჩემს სოფელში რუს ჯარისკაცებს ხშირად ვხედავ და შიშით ვკანკალებ. ზოგჯერ, ისეთი თვალებით მიყურებენ, მგონია, სადაცაა მეცემიან და შემჭამენ. ნუთუ, ომი ისევ დაიწყება? ნუთუ, ტყვიების წვიმამ ისევ უნდა გადაგვიაროს? საშინელებაა ომი და არ მინდა, კიდევ ერთხელ გამოვცადო ის გასაჭირი, რაც რამდენიმე ხნის წინ გამოვიარეთ. ქართველებო, იმედია, ეს ურჩხულები შეგვეშვებიან და ნორმალურად ცხოვრების საშუალება მოგვეცემა".

გიო, *29 წლის:*

„მე აფხაზეთიდან დევნილი მერქვა, ახლა კი გორიდანაც გამომაძევეს და ორმაგად ლტოლვილი ვარ. ძალიან მინდა, ამქვეყნად სიმშვიდე იყოს. ამაზე მეტი საფიქრალი არ მაქვს. ახალგაზრდა კაცი მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, რომ მშვიდად ვიცხოვრო და მერწმუნეთ, არც საჭმელი მინდა და არც — სასმელი. მხოლოდ ხილს შევჭამ და წყალს მივაყოლებ. აღარ მინდა, ამდენი გვამის, ამდენი გაუბედურებული, გაუპატიურებული ქალის დანახვა. სხვათა შორის, ჩემი მეუღლე, თავის დროზე, აფხაზებმა გააუპატიურეს, მშობლების თვალწინ. მისმა დედ-მამამ ეს ამბავი ვერ აიტანა და მათ გული ადგილზევე გაუსკდათ. ჩემი მეუღლის ძმამ აფხაზებს შეაკლა თავი, მაგრამ მანამდე, თეა (*მეუღლეს გულისხმობს. — ავტ.*) გამოაპარა. მე ის გორში გავიცანი, ერთმანეთი შეგვიყვარდა და ცოლადაც მოვიყვანე. საერთოდ, ქართველ კაცებს მსგავსი რაღაცის გაკეთება გვიჭირს, მაგრამ თეა მართლა შემიყვარდა და მისი წარსული არ მაინტერესებდა. იმედია, საქართველოში ქალებსაც მიეცემათ ბედნიერად ცხოვრების უფლება... ჩვენს ხელისუფლებას ვთხოვ, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ომი აგვარიდოს. უფალო, დაგვიფარე..."

ქეთათო, *15 წლის:*

„თბილისელი გახლავართ, მაგრამ კარგად ვიცი, აფხაზეთში რაც ხდება, იქ ჩემი ნათესავები ცხოვრობენ და ისინი გვეუბნებიან, — საქართველოში ომია მოსალოდნელი. რუსები რაღაცას აპირებენო. არ ვიცი, მართლა ომის დაწყებას აპირებენ თუ — არა, მაგრამ ყოველი ახალი დღის მეშინია. როცა სკოლაში ჩასახლებულ ლტოლვილებს ვუყურებდი, გული მეთუთქებოდა. ერთ-ერთ ბავშვს მერხზე თავისი სოფლის სახელი ამოუტვიფრავს. ეს რომ დავინახე, ტირილით გავსკდი. საშინელებაა ომი და იგი ღმერთმა გვაშოროს. გვეყო ის, რაც გამოვიარეთ. ღმერთო, გვიშველე და შეგვიწყალე... აფხაზეთში ხალხს შიშისგან თმა გაუთეთრდა, ნერვები აწეწილი აქვთ და ჭკუაზე არ არიან. იმედია, დაკარგულ ტერიტორიებს მოლაპარაკებების საფუძველზე დავიბრუნებთ და იმ საწყლებსაც მიეცემათ ნორმალურად ცხოვრების საშუალება. ამ ადამიანებს გამძლეობას ვუსურვებ და იმედია, მათ გულში მალე ჩავიხუტებთ".

ელენე:

„ისევ ომის სუნი მცემს. ვიცი, ეს რუსები არ გაჩერდებიან, ჩვენი ტერიტორიიდან გასვლა უძნელდებათ. ნეტავ, რა უნდათ? რას გადაგვეკიდნენ? მეგობრულად ორი მეზობელი ქვეყანა კი არა, ზოგჯერ, ერთი ოჯახიც ვერ ცხოვრობს და რით ვერ მიხვდნენ, რომ მათი „მზრუნველობა" და „მფარველობა" არაფერში გვჭირდება. რუსეთის ხელისუფლებას ჩვენი პრეზიდენტის გადაყენება სურს. საინტერესოა, ვინ მისცა უფლება, რომ ჩვენს საქმეში ერევა? ქართველებს უფლება გვაქვს, თუ ხელისუფლება არ მოგვწონს, ის თავად, სხვების დაუხმარებლად გადავაყენოთ. ამ საქმეში არც ამერიკელების დახმარება გვჭირდება, რა... კი, ბატონო ვიმეგობროთ ყველასთან, მაგრამ ზედმეტი არაფერია საჭირო. ხომ გაგიგონიათ, — ზედმეტმა სიყვარულმა ჩხუბი იცის, სიყვარულიდან სიძულვილამდე კი ერთი ნაბიჯიაო... არ გვინდა ომი! ძირს სისხლის ღვრა! ჩვენ, ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ და ნებისმიერი ეროვნების ადამიანს ვუმასპინძლებთ, საქართველოში პრობლემა არავის შეექმნება, თუ მეგობრობას შემოგვთავაზებენ. რუსებო, ამერიკელებო, აფრიკელებო, ავსტრალიელებო და ა.შ. მოდით, ვიმეგობროთ და ტყვია-წამლის არსებობა სამუდამოდ დავივიწყოთ. ამ შემთხვევაში, უფალიც გაგვიღიმებს და ყველაფერში დაგვეხმარება. აბა, წარმატებებს ვუსურვებ მთელი მსოფლიოს მოსახლეობას და იმედია, უცხოელები აღარ აგვაწიოკებენ. უფალს ვებარებოდეთ".

ამ თემასთან და წინა ნომერში დაბეჭდილ წერილებთან დაკავშირებით თინეიჯერები გვწერენ:

თინეიჯერები გვწერენ

ნინო, *20 წლის:*

„გამარჯობათ. მე ნინო ვარ, სევდიანი წარსულით. ჯერ იყო და, შვილი დავკარგე, შემდეგ — საყვარელი მეუღლეც. დღემდე ვერ შევხვდი იმ მამაკაცს, ვისაც ვეძებ. ამიტომაც იტალიაში წასვლა გადავწყვიტე. იქ მყავს ერთი ძველი ნაცნობი, მაქვს მისი მისამართი და მონაცემები. მინდა, შევეხმიანო და იქნებ, მიწვევა გამიკეთოს... ვცხოვრობ ერთ-ერთ რაიონში და ნაკლები შეხება მაქვს ინტერნეტთან. ნაცნობს ამიტომაც ვერ ვეკონტაქტები. მინდა, გკითხოთ, — ჩემი დახმარება თუ შეგიძლიათ? ძალიან მიყვარხართ. თქვენი მუდმივი მკითხველი ვარ“.

— ნინო, მოგვწერეთ თქვენი ნაცნობის სახელი, გვარი, მისი მეილი ან სხვა ისეთი რამ, რაც მის პოვნას გაგვიადვილებს და შევეცდებით, დაგეხმაროთ.

პანკუშკა:

„ლიკ, ჩემი „ესემესები“ შენამდე არ მოდის. რატომ? არადა, გულით მინდოდა, ერთგული მრჩეველი ვყოფილიყავი“.

— ჩემი კარგო, არ ვიცი, რომელ „ესემესებს“ გულისხმობ, მაგრამ ამ კვირაში შენი რამდენიმე მესიჯი მივიღე. სხვათა შორის, თინეიჯერების ყველაზე ერთგულ მრჩეველებს წლის ბოლოს სიურპრიზი ელით...

მუკო პანძელი:

„ლიკუ, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე. ვეძებ ეკა დადიანს (უკვე 1 თვეა). თუ ვინმემ მისი ტელეფონის ნომერი იცით, გთხოვთ, ლიკას მეშვეობით შემატყობინეთ; წინასწარ გიხდით მადლობას“.

ეშმაკუნა:

„რა არის დღეს ჩვენი ცხოვრება? — არარაობა, დიდი სიყალბე, არაჩვეულებრივად გარყვნილი იდეფიქსით, რომელსაც თავისუფლებას უწოდებთ თქვენ — ის ადამიანები, რომლებიც რაღაც ხავსს ებღაუჭებით, ვითომდა, მძლავრად. საკუთარი მესათვის, მზად ხართ, სხვის უბედურებაზე საკუთარი კეთილდღეობა ააგოთ. ვერ ამჩნევთ? არა, არ ამჩნევთ! არ გინდათ, სიმართლეს თვალებში ჩახედოთ. რა თქმა უნდა, იქ ხომ თქვენი დანაშაულია ჩამალული. თავიდან, ვითომდა გმირებად გვევლინებით, ჭკუას გვასწავლით, მაგრამ ღმერთმა იცის, საკუთარ ომში როგორი შემწყნარებლები იქნებით. თუმცა, თუ საჭიროებამ მოითხოვა, დაივიწყებთ, ფეხქვეშ გათელავთ იმ სტერეოტიპებს, რომლებიც თავად შექმენით. ამას მე სულის სიკახპეს ვეძახი. ეს სხვა არაფერია, თუ არა სულის გარყვნა. და იცით, ამ ყოველივეს რას დააბრალებთ? იცით, რით გაიმართლებთ თავს? — ჩვენც ადამიანები ვართ და ჩვენგან სასწაულს რატომ მოითხოვთო? მიმიფურთხებია ასეთი თავისუფლებისთვის! ვაძაგებ ასეთ ბედნიერებას! მერწმუნეთ, ადამიანებმა თავადაც იციან, რომ ეს ყველაფერი ყალბია, მაგრამ...“

უცნობი:

„ლიკ, მერწმუნე, არც ნარკომანს, არც — ცისფერს არ ახარებს საკუთარი ზნე-ჩვეულება. რა, კიბოთი დაავადებულს უხარია, ავად რომ არის? იმავე მდგომარეობაში არიან ეს ადამიანებიც. ნარკომანია და მამათმავლობა პათოლოგიაა და ეს მკითხველებსაც უნდა განუმარტო, როცა ზემოხსენებულ თემებზე წერ.

— რატომლაც, ზოგიერთ მკითხველს ჰგონია, რომ მე მამათმავლობასა და ნარკომანიას ვამართლებ, რომ მე ყველაფერი მომწონს. უცნობო, მერწმუნე, ასე ნამდვილად არ არის. ამ თემასთან დაკავშირებით, მე უფრო ვრცელი წერილებიც დავწერე და თუ ჩვენი ერთგული მკითხველი ბრძანდები, ეს აუცილებლად გეცოდინება. ამ წერილებში კომენტარი ჰქონდათ გაკეთებული სპეციალისტებს — ფსიქოლოგს, სექსოლოგს და ა.შ. მაგრამ ეტყობა, იმ კომენტარებმა არ დაგაკმაყოფილა. ეს გასაგებიცაა. და კიდევ, ამ თემასთან დაკავშირებით, ჟურნალის ფურცლებზე ჩემი მოსაზრების დაფიქსირება არ შემიძლია, რადგანაც ჟურნალისტი ვარ და ამის უფლებას ჩემი პროფესია არ მაძლევს. თუ ჩემი მოსაზრება გაინტერესებს, შეგიძლია, დამიკავშირდე და ვისაუბროთ. მგონი, ჩემი ტელეფონის ნომერი იცი, გელოდები.

გედნიერი ლია:

„თქვენი ჟურნალის მეშვეობით ბევრი მეგობარი შევიძინე და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი მეუღლის ოჯახიდან სამუდამოდ წამოვედი და ახლა დედასთან ვცხოვრობ. შემიყვარდა ბიჭი, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ, მაფასებს. ჩემი წარსულის შესახებ ყველაფერი ვუამბე და გამიგო — მიუხედავად ყველაფრისა, ვუყვარვარ და მალე ერთად ვიქნებით. სხვათა შორის, ეს თქვენი დამსახურებაა და დიდი მადლობა ამისთვის. მინდა, ათენიდან ციცო დეიდა შემეხმიანოს, რადგან ძალიან მომენატრა (ტელეფონის ნომერი თქვენთან დატოვოს, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნება). ასევე მოვიკითხავ ჩემს მეგობრებს — კესოს, მარიანას და ირინკას... ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. ტანჯვა წარსულში დარჩა — მე თავს ვწირავდი უილბლო სიყვარულს, რადგანაც გამომიყენეს, მატყუებდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში მოტყუებულნი თავად დარჩნენ. ახლა ყოფილი მეუღლე და მისი ოჯახის წევრები მეხვეწებიან, — გვაპატიეო, მაგრამ არაფრის პატიება არ შემიძლია. „გზის“ ერთგულო მკითხველებო, მიყვარხართ“.

„ეშოკლეკამ მიპოვეს და სახლში წამომიყვანეს... დამეხმარეთ“

ინა, *17 წლის:*

„რამდენიმე დღის წინ გავიპარე, მაგრამ მშობლებმა იმ დღესვე მიპოვეს და სახლში წამომიყვანეს. ამ ამბავს ძალიან განვიცდი. ვნერვიულობ, — ხალხი რას იტყვისმეთქი? თუმცა, რა უნდა თქვან? — მე იმ დღესვე წამომიყვანეს, ჩვენ შორის არაფერი მომხდარა. ლიკა, როგორ მოვიქცე? თანატოლების რჩევა ძალიან მჭირდება“.

„ქუჩა იყო ჩემი სახლი... ნარკომანი გავხდი“

ლოლო:

„ძალიან მიძნელდება, მაგრამ ჩემს გასაჭირზე მინდა გიამბოთ. მძიმე წარსული მქონდა — 9 წლიდან მარტო ვიზრდებოდი, უმამოდ (მან მიმატოვა). ცხოვრების ხალისი დაკარგული მქონდა, ყველაფერს შავ-თეთრ ფერებში ვუყურებდი. ქუჩა იყო ჩემი სახლი და მეგონა, ეს საშინელი ცხოვრება არასდროს დასრულდებოდა, მაგრამ მალე შემიყვარდა ადამიანი, რომელსაც ჩემი გრძნობა არ დავუმალე. სხვათა შორის, მისგანაც დადებითი პასუხი მივიღე. სიხარულით დავფრინავდი, ბედნიერი გახლდით და ცხოვრებაც ავიწყვე. მე ის უსაზღვროდ მიყვარდა, მასაც ვუყვარდი, მაგრამ 3 წლის შემდეგ დამშორდა. ამის მიზეზი დღესაც არ ვიცი. ალბათ, ყველაფერი ჩემი ურღბლობის ბრალია... ამის მერე ისევ ჯოჯოხეთი დაიწყო — ნარკომანი გავხდი და ჩემი ცხოვრებიდან ყველა ლამაზი ფერი გაქრა. ალ.ბათ, ბედნიერება ყველას არ უწერია. ცხოვრება დაუნდობელი და სასტიკია“.

P.S. მაშ ასე, თუ **ინასა** და **ლოლოს** წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 173527. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

„გათხოვება „შატალოზე“ წასვლას არ ნიშნავს“

„მას უფლება აქვს იცოდეს, რომ არ გიყვარს“

„გზის“ №45-ში დაიბეჭდა კოკოს მესიჯი; შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ ჰყავს საქმრო, რომელიც არ უყვარს, მაგრამ იძულებულია, ცოლად გაჰყვეს, რადგანაც მას პატივს სცემს და არ უნდა, გული ატკინოს. კოკო ამბობდა, — ბედნიერებისა და სიყვარულის უფლება მეც ხომ მაქვს? ძალიან მინდა, ისეთ ადამიანზე დავქორწინდე, რომელიც მეყვარებაო.

პუბსიკა:

„საქმროს აუცილებლად უნდა დაელაპარაკო. მას უფლება აქვს, იცოდეს, რომ არ გიყვარს. თუ ვერ ეუბნები, მაშინ წერილი მისწერე. გთხოვ, უსიყვარულოდ არ გათხოვდე. მერწმუნე, ეს მთელი ცხოვრება სანანებელი გექნება“.

აზიელი:

„ძვირფასო კოკო, დაფიქრდი, იქნებ, შენი საქმრო თავისებურად მაინც გიყვარს? იქნებ, ამ სიყვარულს წიგნებში ამოკითხული ან ფილმებში ნანახი სიყვარულის ამბებს ადარებ და ამიტომაც გგონია, რომ ის ბიჭი არ გიყვარს? დააფასე ადამიანი, რომელსაც ასე უყვარხარ. ამბობ, — მას დიდ პატივს ვცემ და არ მინდა, გული ვატკინოო. მერწმუნე, შენ საყვარელ ადამიანს უფრთხილდები, მაგრამ ამის აღიარება არ გინდა. საერთოდ, ადამიანს ყოველთვის იმაზე მეტი უნდა, ვიდრე აქვს... ისე, თუ გული გეუბნება, რომ უნდა დაშორდე, ასეც მოიქეცი, მაგრამ უკან დასახევი გზა დაიტოვე — ვინ იცის, იქნებ, ამის შემდეგ მაინც მიხვდე, რომ გიყვარს. თუ მას დაშორდები და ოდესმე ნამდვილ სიყვარულს შეიგრძნობ, ესეც შეგვატყობინე“.

მუკოგანძელი:

„არაფერია იმაზე ცუდი, როცა საკუთარ გრძნობებში ვერ ერკვევი. თუ არ გიყვარს, მასთან ოჯახი არ უნდა შექმნა, რადგან ამ შემთხვევაში ორივე დაიტანჯებით. გამოფხიზლდი!“

ანო:

„ჯობია, გულახდილად დაელაპარაკო, ყველაფერი აუხსნა და დარწმუნებული ვარ, გაგიგებს. მერწმუნე, უსიყვარულოდ ცხოვრება ძალიან გაგიჭირდება... 17 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. ახლა 3 ოვის გოგონა და მოსიყვარულე მეუღლე მყავს. ამით ბედნიერი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ამ ასაკში არ უნდა გავთხოვილიყავი“.

უსკო:

„ჩემო კარგო, მხოლოდ მისი პატივისცემის გამო, ცხოვრება არ უნდა დაინგრიო. დაელაპარაკე და თუ ასეთი კარგია, აუცილებლად გაგიგებს. ჯობს, ახლა ეტკინოს გული, ვიდრე მერე, რადგან არ არსებობს, უსიყვარულოდ შექმნილ ოჯახში უთანხმოება არ მოხდეს“.

ლაძჩო:

„საქმროს უთხარი, რომ გათხოვებისთვის მზად არ ხარ და შეცდომის დაშვება არ გინდა. ბოლოს და ბოლოს, ამიხსენი, რა აზრი აქვს ქორწინებას, როცა ბედნიერი არ ხარ და ერთი სული გაქვს, ყველაფერი მალე დასრულდეს? ცხოვრებას ნურავის გამო ნუ დაინგრევ“.

იკუშკები:

„საერთოდ, ნამდვილი სიყვარული არაჩვეულებრივი რამაა, მაგრამ ის ადამიანს იშვიათად ეწვევა. ამიტომაც, თუ შენი შეყვარებული მართლა ისეთი ყურადღებიანი და მზრუნველია, როგორსაც შენ ამბობ, სჯობს, ბედი მას დაუკავშირო. ოჯახი ისეთი რამაა, რომ მარტო სიყვარული საკმარისი არაა. შენი საქმრო საიმედო და ერთგული ადამიანი ჩანს, რაც ჩვენს დროში, კაცის მხრიდან იშვიათობაა. კარგად დაფიქრდი და გადაწყვეტილება მერე მიიღე“.

ფისო:

„თუ მართლა ასეთი კარგი ადამიანია, იქნებ, მისი შეყვარებაც შეძლო. ვიცი, გულს ვერაფერს უბრძანებ, მაგრამ ეს მაინც სცადე — ერთად მეტი დრო გაატარეთ, ერთმანეთს სურვილები და აზრები გაუზიარეთ. იქნებ, მასში ამის შემდეგ მაინც აღმოაჩინო ისეთი რამ, რაც მის შეყვარებაში დაგეხმარება. თუ ამის შემდეგაც არ შეგიყვარდება, ნუ გაჰყვები, თორემ ეს სანანებელი გაგიხდება. დრო გაწელე, სად გეჩქარება? იქნებ, გამოჩნდეს ისეთი ადამიანი, რომელიც შეგიყვარდება“.

მარი:

„თუ არ გიყვარს, ახლავე დაშორდი... მეც შენს დღეში ვიყავი — არ მიყვარდა, მაგრამ მასთან ურთიერთობა მომწონდა. ყველა მეუბნებოდა, — მაგარი ბიჭიაო. მეგონა, მის გარეშე თავს მარტოსულად ვიგრძნობდი, ჩემზე იჭორავებდნენ, მაგრამ გავბედე, დავშორდი და თავს მშვენივრად ვგრძნობ. არადა, აპრილში ქორწილი უნდა გვქონოდა. კოკო, თავს ნუ გაიუბედურებ. მერწმუნე, გათხოვება „შატალოზე“ წასვლას არ ნიშნავს“.

პანკუშკა:

„გულისთქმას მიენდე. თუ გაჰყვები, ცხოვრების ბოლომდე მასთან უნდა იყო და უსიყვარულოდ ცხოვრებას შეძლებ?“

ლამაზი თოვზინა:

„ბიჭებსაც აქვთ გული. ახლა იშვიათობაა, ბიჭს გოგო ასე რომ უყვარდეს. დაფიქრდი, იქნებ, შენც გიყვარს? მის გრძნობას გაუფრთხილდი, გთხოვ“.

ლუციფერი:

„ე, კოკო, რას ამბობ? „ცვეტში“, რალაცას იტყუები. აჰა, თან არ გიყვარს, თან ცოლად უნდა გაჰყვე, არა? რა იყო, ან მამა არ გყავს, ან ძმა, რომ ის ბიჭი მოგაშორონ?“

GREEN GIRL:

„თუ არ გიყვარს, უთხარი, რომ მთელი ცხოვრება დაიტანჯები. შენ მისი ყურადღებით და სითბოთი ბრუნდები. ჰოდა, ამასობაში დროც გადის. დაფიქრდი“.

ეშმაკუნა:

„ჩემო კარგო, ცუდად იქცევი, იმ ადამიანს, რომელიც არ გიყვარს, ცოლად მიჰყვები?! ადამიანი ამქვეყნად ერთხელ მოდის და სიყვარული მაშინაც არ უნდა გამოცადოს? ბედნიერება არ უნდა შეიგრძნოს? ჩემო მშვენიერო, იმ ბიჭს გულახდილად დაელაპარაკე, ყველაფერი აუხსენი და იმედია, გაგიგებს. ერთ დროს მეც ანალოგიურ სიტუაციაში ვიყავი — 2 წელი იმ ადამიანის შეყვარებულად მივიჩნეოდი, ვინც მეგონა, მიყვარდა, მაგრამ როცა მივხვდი, რომ ეს ყალბი გრძნობა იყო, მისთვის ამის თქმა გამიჭირდა. არ მინდოდა, გული სტკენოდა, მაგრამ როცა ქორწილსა და სხვა რაღაცებზე დაიწყო ლაპარაკი, იძულებული გავხდი, მისთვის სიმართლე მეთქვა... იმას, რომ მერე სხვა შეყვარებოდა და მოღალატე დამრქმეოდა, სიმართლის თქმა ვარჩიე. მერწმუნე, ტყუილს ყოველთვის, სიმართლის თქმა სჯობს. ღმერთს ებარებოდე“.

სვანის ასული:

„იმ ბიჭის დადებითი თვისებები გცოდნია. შეეცადე, კიდევ უფრო კარგი თვალით შეხედო. წარმოიდგინე, როგორი შესანიშნავი ქმარი იქნება. თუ ამანაც არ გაჭრა, სხვა გზა არ გრჩება — მას გულახდილად უნდა დაელაპარაკო და რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესია“.

რამაზი, *ხაშურიდან:*

„შენი საქმრო მოძღვართან მიიყვანე და მისი თანდასწრებით უთხარი ის, რაც განუხებს. თუ პატივს გცემს და მოძღვრის სიტყვასაც დაუგდებს ყურს, გზას აუცილებლად გაგითავისუფლებს. უსიყვარულოდ გათხოვებას არ გისურვებ“.

„ვერ ვსვლები, იდუმალი და მიუწვდომელი რატომ უნდა იყო?“

„გზის“ №45-ში დაიბეჭდა ერთი ბეწოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ჰყავს შეყვარებული, რომელსაც არაფერს უმალავს. გოგონა ამბობს, — შეყვარებულიც არაფერს მიმალავს, მაგრამ მეშინია, ჩვენი ურთიერთობა მომაბეზრებელი არ გახდეს, რადგან გამიგონია, — ბიჭებს იდუმალებით მოცული გოგონები მოსწონთო.

„თუ შენი დაკარგვის შიში ექნება, უფრო მაგრად ჩაგჭიდებს ხელს“

პანკუშკა:

„კარგი იქნება, ბოლომდე რომ არ გაენდო, მაგრამ თუ უყვარხარ, არა მგონია, ამის გამო შენთან ურთიერთობა მოჰბეზრდეს“.

ზუკა:

„გამაგრდი, მეგობარო. თუ გიყვარს, არავითარ შემთხვევაში არ დაშორდე, ეს მაგარი სისულელე იქნება“.

სოფო 16-15:

„არსებობს ბიჭების ისეთი კატეგორია, რომლებსაც გულწრფელი ქალები მოსწონთ. ეტყობა, შენი შეყვარებული ამ კატეგორიას მიეკუთვნება, თორემ რაიმეს მაინც გაგრძნობინებდა და თავადაც ბევრ რამეს დაგიმალავდა. იყავი ისეთი, როგორიც ხარ. უამბე ბევრი რამ, მაგრამ ცოტა რაღაც შენთვისაც დაიტოვე. მერწმუნე, ეს აუცილებელია“.

ნერტილი:

„გოგონა, მამაკაცებს იდუმალებით მოცული და მიუწვდომელი ქალები უფრო რომ მოსწონთ, ეს ხომ მანამდეც იცოდი, ვიდრე შეყვარებულს „ზედმეტად“ დაუახლოვდებოდი? შენ მისთვის ისედაც მიუწვდომელი ხარ... პატარავ, ნურაფრის გეშინია. უბრალოდ გიყვარდეს და „ვსიო“.

სიკვდილა:

„დინებას მიჰყევი. კაცო, უყვარხარ და გიყვარს, ერთად თავს კარგად გრძნობთ და რაღა გინდა?! სულელური ფიქრებით თავს ნუ იტანჯავ, თორემ შესაძლოა, ამით გული მასაც ატკინო“.

იგეკშუ:

„ჩემო კარგო, აუტკივარ თავს ნუ აიტკივებ და ნუ სულელობ. შენს ადგილას ყველა ბედნიერი იქნებოდა, რადგან გყავს „ლოვე“, რომელიც არაფერს გიმალავს, შენ კი რაღაც უაზრობაზე ფიქრობ. თანაც, „მიუწვდომელში“ ის არ იგულისხმება, რასაც ფიქრობ. რადგანაც ყველაფერს უყვები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაკარგავ. წარმატებები!“

გრუზინკა:

„იცი, რა, ამ ყველაფერზე ადრე უნდა გეფიქრა. ახლა მასთან გულწრფელი თუ არ იქნები, მიხვდება, რომ რაღაცას უმალავ და შესაძლოა, ამის გამო თქვენ შორის კედელიც აღიმართოს. იყავი ისეთი, როგორიც ხარ და ძალით პრობლემებს ნუ შეიქმნი“.

იკუშკები:

„თუ არ გეწყინება, გეტყვი, რომ ჯერ პატარა ხარ, ბავშვური შეხედულებები გაქვს და შენს „ლოვეს“ სწორედ ამიტომ უყვარხარ. საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, რომ მამაკაცებს უკარება ქალები მოსწონთ, ნუ გაშინებს. მერწმუნე, ყველაფერს თავისი ხიბლი აქვს, მათ შორის, თქვენს გულწრფელობასაც“.

ფისო:

„ზოგჯერ აუცილებელია, რაღაცრაღაცები ჩვენთვისაც შევინახოთ, მაგრამ არც ყველაფრის დამალვა ივარგებს. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ!“

ანისო:

„ნუ ღელავ და იცოდე, ყველა მინუსი პლუსად უნდა აქციო. თუ სურვილი გაგიჩნდება, დამეკონტაქტე“.

პარიუანკა „დეიდა“:

„შე მართლა ერთი ბეწო :)) თუ შეყვარებული ყველაფერში გენდობა, ამას რა სჯობს? იდუმალება მომხიბვლელია მანამ, ვიდრე ერთმანეთს გრძნობებს გავუმხელთ. თუ მართლა უყვარხარ, არასდროს მოჰბეზრდები. უბრალოდ, ერთფეროვანი ნუ იქნები. შეყვარებულს მეც არაფერს ვუმალავ და მიხარია, მასთან ყველაფერზე ლაპარაკი რომ შემიძლია. წარმატებები!“

ლიკა, *13 წლის:*

„შეყვარებულს თუ მართლა უყვარხარ და გაფასებს, არ დაგშორდება. თან, თუ თავადაც ყველაფერს გიყვება, რა გადარდებს?“

ავრილი:

„ჩემს „ლოვესთან“ მეც ასეთი ურთიერთობა მაქვს და ამის გამო, ჩემი ბევრს შურს თეთრი შურით :)). თუ სანდო ადამიანია, სწორადაც იქცევი“.

ლამაზი თოვზინა:

„ბიჭთან ბოლომდე არ უნდა გაიხსნა. თუ შენი დაკარგვის შიში ექნება, უფრო მაგრად ჩაგჭიდებს ხელს. მართალი ხარ, მიუწვდომელი უნდა იყო. გკოცნი და წარმატებას გისურვებ!“

სვანის ასული:

„მეც ზედმეტად გულახდილი ვარ. ნებისმიერ დროს მზად გახლავართ, ადამიანებს დავეხმარო. ეს თავგანწირვა კი ხშირად, კონფლიქტამდე მიდის. სამაგიეროდ, თაყვანისმცემლებს აღაფრთოვანებთ ჩემი იდუმალება და არაპროგნოზირებადობა. ასე რომ, იყავი სანდო, მაგრამ მიუწვდომელი“.

GREEN GIRL:

„ეს არაბუნებრივი კი არა, ბუნებრივი ურთიერთობაა. ყველა ადამიანი ინდივიდია — ზოგს შენნაირები მოსწონს, ზოგს — მიუწვდომლები. ისევ ისე გააგრძელე, თორემ დაკარგავ“.

ლუციფერი:

„ჩემო კარგო, ეს ასაკის ბრალია. შენ ამით ყურადღების მიქცევას ცდილობ და სხვა რამე მოიფიქრე, „პლიზ“.

ერეკლე:

„რას ბოდიალობ? რა სჯობია იმას, როცა შეყვარებულები ერთმანეთს არაფერს უმალავენ? როცა მათ შორის იდეალური ურთიერთობაა? ვერ ვხვდები, მისთვის იდუმალი არსება და მიუწვდომელი რატომ უნდა იყო? თუ თავს დაიფასებ, მას აუცილებლად დაკარგავ! კარგი იქნება, თუ შეყვარებულს სიურპრიზებს მოუწყობ და საჩუქრებით გაანებივრებ. ასე თქვენი ურთიერთობა უფრო საინტერესო გახდება. აბა, შენ იცი. გთხოვ, სულელურად არ მოიქცე და შეყვარებულს არ აწყენინო. წარმატებებს გისურვებ!“

ნინო:

„შეყვარებულთან მეც ასეთი ურთიერთობა მაქვს და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ეტყობა, ვილაცამ ტვინი აგირია. კარგი იქნება, თუ შენს უაზრო ფიქრებს შეყვარებულს გაანდობ. მერწმუნე, ის დაგამშვიდებს და სანერვიულოც არაფერი გექნებათ. რომ არ მოსწონდე, დაგშორდებოდა. წარმატებები! უფალს ებარებოდე! მერე მოგვწერე, რა მოხდება თქვენს ცხოვრებაში და ჩვენი რჩევა რაიმეში თუ დაგეხმარება“.

„რელიგიური უმცირესობის დევნისთვის" დაკარგული ფელიფანი



რუსთაველი გოგიტა მელიქიძე ორი წლის წინ — არც მეტი, არც ნაკლები — „ჭეშმარიტ ღმერთზე" მქადაგებელი იეღოველების მსხვერპლი გახდა. სექტანტებმა მანამდე არ მოისვენეს და წერეს საჩივრები, სანამ მართლმადიდებლური რწმენისა და ეკლესიის გულმხურვალე დამცველი, „რელიგიური უმცირესობის დევნისთვის" ერთი წლით საკანში არ მოათავსეს.

„ერთადერთი, რისთვისაც პასუხი მაგებინეს, იყო სიტყვა — „წადით", — ასე დაიწყო საუბარი ჩვენმა რესპონდენტმა, რომელიც, თავადაც რომ არ თქვას, ნათელია — უსამართლო სასამართლოს მორიგი უკანონო პატიმარი გახლდათ.

„ჩემი გათავისუფლების მოთხოვნით, ნამდვილი მოძრაობა დაიწყო"...

ნანა ფიცხელაური

— წარმოშობით, მესხი ვარ და ქრისტიანობის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ჩვენთვის ტრადიციულად, ქრისტიანობა არა მარტო რელიგია, არამედ თვითგადარჩენის საშუალებაც იყო... 9 წლის წინ რუსთავში, ქვემო ქართლის ტელეკომპანია „კლდეკარში" მივიდნენ „იეღოვას მოწმეებად" წოდებული სექტანტები და ტელეეთერი ითხოვეს. ტელევიზიამ მათ მრგვალი მაგიდა შესთავაზა, სადაც მათთან ერთად, პირდაპირ ეთერში მართლმადიდებლები ისაუბრებდნენ. ამის შემდეგ, რუსთავის ეკლესიაში, რომლის მრევლიც გახლავართ, ტელეფონის ზარი გაისმა: ტელევიზიის მესვეურები გვთავაზობდნენ, იეღოველებთან დებატებში მიგვეღო მონაწილეობა. ტელევიზიაში ორი პირი სასულიერო აკადემიიდან მოიყვანეს, ერთიც — მე. იეღოველებიც სამნი იყვნენ, მათ შორის, იეღოველთა საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი კოპალიანი. დებატები თეოლოგიის საკითხებზე გაიმართა. იეღოველები შერცხვნენ, რომ იტყვიან, თავზე ნაცარი დაიყარეს. პირდაპირ ეთერში ჩემმა გამოსვლამ ბევრი გააღიზიანა და მას შემდეგ გავხდი სექტანტებისთვის საშიში და მიუღებელი. ისინი ხან ქუჩაში მხვდებოდნენ, ხან კარზე მიკაკუნებდნენ და „ჭეშმარიტ ღმერთზე" მონოლოგს მთავაზობდნენ... ერთი სიტყვით, მცდელობას არ იშურებდნენ ჩემს გადასაბირებლად. ბევრჯერ დავითხოვე, მაგრამ — ამაოდ. განსაკუთრებით, ორი ასაკოვანი ქალი მაწუხებდა. მათ მკაცრად ვუთხარი, — ხომ ხედავთ, კარზე რამხელა ჯვარი მიკიდია, რატომღა ბევდავთ მოსვლას-მეთქი?! მიპასუხეს, — აი, ეგ ჯვარი რომ გიკიდია, სწორედ მაგიტომ მოვდივართ, თვალი უნდა აგიხილოთო. ძლივს ვიცილებდი აბეზარ სექტანტებს. ვფიქრობდი, სამსახური აქვთ ასეთი, ქუჩაში დაძრწიან, ყველას ხვდებიან, აგიტაციას ეწევიან და მათ შორის, ჩემთანაც-მეთქი. როგორც შემდეგ მათ სასამართლოზე განაცხადეს, — მიზანმიმართულად ვმუშაობდით გოგიტა მელიქიძეზე, ვიცოდით, სად და როდის მიდიოდა და მის გზაზე ვმოძრაობდითო... ერთი სიტყვით, მათი სამიზნე ვიყავი. 2006 წლის ზაფხულის ხვატის დროს, როცა მთელი რუსთავის მოსახლეობა სოფელში იყო გაკრებილი, სექტანტებმა ამით ისარგებლეს და დაცლილი ქალაქის ცენტრში, ერთ თვეში იეღოველების რეგიონული ოფისი ააშენეს.

— ამის შესახებ იცოდა რუსთავის ადმინისტრაციამ თუ ფარულად მოახდინეს შენობის დაკანონება?

— ქონება, სრულიად კანონიერად, შეისყიდა ვინმე ციალა ტაბატაძემ — იეღოველები ამ კერძო პირს ამოეფარნენ. სექტემბერში ჩამოვედით რუსთავში და ცენტრში წამოჭიმული დაგვხვდა იეღოველების ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი. მას 6 რაიონზე უნდა ემუშავა. იქიდან უნდა გაევრცელებინათ ლიტერატურა და ა.შ. აღნიშნული უბანი შემთხვევით არ იყო შერჩეული, ვინაიდან იქ 6 სასწავლო დაწესებულებაა — ქართული, რუსული, მუსიკალური, სამხატვრო და სხვა სკოლები. ცხადი იყო, მათ ბავშვებზე, მოზარდებზე უნდოდათ ზეგავლენის მოხდენა. უბნის მოსახლეობა ამ ფაქტით შეწუხებული იყო. ადამიანები ეკლესიაში მიდიოდნენ და დახმარებას ითხოვდნენ. იმ პერიოდში წიგნი გამოვეცი. გარდა ამისა, ტელევიზიაში მართლმადიდებლობის თემაზე დოკუმენტურ ფილმებს ვიღებდი. ხალხმა კარგად იცოდა ჩემი სარწმუნოებრივი დაინტერესება, ამიტომ დახმარება მთხოვეს — გვერდით დაგვიდექი, მივიდეთ და ვუთხრათ ამ მავნებლებს, აქედან წავიდნენო. ერთ დღესაც მათ ოფისთან მივედით. ვიცოდით, რა ავანტიურისტებიც იყვნენ და რაიმე რომ არ დაებრალებინათ, პატრულს დავურეკე და ვთხოვე, მოსულიყო და მოვლენებისთვის თვალყური ედევნებინა. მართლაც, პოლიციელები ორი მანქანით მოვიდნენ და შორიახლოს დადგნენ. იმ შენობას დიდი გალავანი აქვს შემორტყმული. ჩვენ ახლოს არ მივედით, შეგნებულად, დისტანცია დავიცავით: ხომ შეიძლებოდა, ფანჯარა ჩატეხილიყო და ჩვენთვის დაებრალებინათ. იეღოველებს ვუხსნიდი, რომ არასწორად იქცეოდნენ, ხალხს თავს ახვევდნენ საკუთარ შეხედულებებს. სულ 8-პუნქტიანი არგუმენტაცია გვქონდა ჩამოწერილი. ამ პუნქტების ჩამოთვლისას, ხშირად ვამბობდი სიტყვას „წადით" (მაგალითად, „თუ ასე არ მოიქცევით, წადით"). შევამჩნიე, რომ ვიღაც „კასკიანები" ფარულად ილებდნენ ამ მიტინგს, რომელზეც არავითარ ძალადობასა და შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. პატრულის ბიჭებმა დასასრულს ხელი ჩამოგვართვეს, — ყოჩაღ, ბიჭებო, ასე უნდა მაგათ, ჯიგრები ხართო, — გვითხრეს და წავიდნენ. იეღოველებმა რუსთავის სასამართლოში მეორე დღესვე შეიტანეს საჩივარი.

— რას გემართლებოდნენ?

— თითქოს ჩემს ხალხთან ერთად, დავესხი თავს და ვდევნიდი. თან ამბობდნენ, ვიდეოფირიც გვაქვსო... იმ პერიოდში ბასილ მკალავიშვილი უკვე დაპატიმრებული იყო. ალბათ კვლავ ეძებდნენ სექტანტების „ბჩაგვრელს". ადგილზე ტელევიზიების გადამღები ჯგუფებიც მოვიდნენ. „რუსთავი 2"-ზე ვრცელი სიუჟეტი გავიდა, მეც ჩამწერეს და უსინათლო ბერი — 80 წელს გადაცილებული მამა მიქაელი, რომელმაც საკმაოდ რადიკალურად და მწვავედ ილაპარაკა. საჩივრის საფუძველზე პოლიციაში დამიბარეს და დამკითხეს. იქ მითხრეს, — იეღოველები ირწმუნებიან, რომ თქვენ მიტინგზე ქვებს ისროდითო, — რაც უარვყავი. იქ იყო ასეთი ფაქტი: მომიტინ-

გეებს სკოლიდან გამოსული მოსწავლები შემოგვიერთდნენ. შემდეგ მიჩვენეს ფარულად გადაღებული კადრები, სადაც რამდენიმე ბიჭია შეკრებილი, მერე ერთ-ერთი მათგანი, ასე — 11-12 წლის ბავშვი იღებს ქვას და ისვრის. ჩვენ ისეთ დისტანციაზე ვიდექით, თან იმხელა გალავანი იყო, იქამდე ქვა რას მიაღწევდა?! ფირზე ჩანს, თუ როგორ მივიდა ამ ბავშვებთან ჩემი წარმომადგენელი, რომელმაც მათ შენიშვნა მისცა და გააჩერა. მათ უტრირება მოახდინეს ამ ფაქტის და თქვეს, თითქოს შეურაცხყოფა მივაყენე, ქვები დავუშინე და შევაგინე. ცხოვრებაში არ შემიგინია და ძალიან რომ მნდომოდა, იმდენ ქალსა და ბავშვში ვერც შევიგინებდი. ამის შემდეგ, იეღოველებმა მეორე საჩივარი აფრინეს. დამიჭირეს სიტყვისთვის — „წადით" და მომიყენეს 156-ე მუხლი, რომელსაც სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა — „დევნა". სამართალდამცველებს ვუხსნიდი, რომ მე მათ არ ვდევნიდი, უბრალოდ ვუთხარი, — თუ მავნებლურ საქმიანობას თავს არ დაანებებთ, მაშინ წადით-მეთქი. ეს იყო სიტყვის თავისუფლების გამოვლინება, კონსტიტუციური ნორმა... მიუხედავად ამისა, 2006 წლის 20 დეკემბერს სრულიად უსაფუძვლოდ, დამაპატიმრეს, მხოლოდ იეღოველთა მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. ორი თვის შემდეგ, 6 სასამართლო პროცესი გაიმართა. ცხადია, სამართალს ვერ მივაღწიე. მოსამართლემ მითხრა, — არავინ გყავს, გიგა ბოკერიასთან რომ მიგზავნო? იმის ზარი დამოკლეს მახვილივით მკიდია თავზეო!.. როგორც გაირკვა, ბოკერიას მოთხოვნით მომისაჯეს სასჯელი... ჯერ ერთი, არავინ მყავდა, მასთან რომ მიმეგზავნა, მეორეც — რომც მყოლოდა, არ მივგზავნიდი. მოსამართლეს ვუთხარი, — როგორც გინდათ, ისე განიხილეთ საქმე-მეთქი. სასამართლომ ჩემი არც ერთი არგუმენტი არ გაიზიარა და ერთი წლის ვადით პატიმრობაც მომისაჯა.

— სად გაგამწესეს და როგორ პირობებში გიწევდათ სასჯელის მოხდა?

— თავდაპირველად, ორთაჭალაში, საგუბერნიო ციხეს რომ ეძახიან, იქ ვიჯექი; 4 თვის შემდეგ, რუსთავის №1 საპყრობილეში გადამიყვანეს, სასჯელის ვადის ამოწურვამდე. ეს ერთი წელი ჩემთვის, როგორც უკანონო პატიმრისთვის, ჯოჯოხეთი იყო. საკანში 101 პატიმარი ვიყავით, კედელზე მიყუდებულებს გვეძინა და შემდეგ ძირს ვცვიოდით. იყვნენ ისეთი პატიმრები, რომელთა შორისაც ზოგს, 25 და 22 წელი ჰქონდა მისჯილი. მეუბნებოდნენ, — შენ რა გიჭირს? „კანფეტივით სროკი" გაქვსო! — მაგრამ ციხე ისეთი საშინელებაა, რომ იქ გატარებული ერთი დღეც აუტანელია.

— დავუშვათ, გეცადათ, სასჯელი აგცდებოდათ?

— დარწმუნებული ვიყავი, ამას აზრი არ ჰქონდა. გავარკვიე, რომ ამ საქმით და ჩემი დასჯით, თავად ბოკერია იყო დაინტერესებული. შემდეგ, როცა ყველაფერი დამთავრდა, ინტერნეტიდან მონაცემები ამოიღეს, რომელიც ამერიკის კონგრესს წარუდგინეს, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხთან დაკავშირებით. ამ ანგარიშში მითითებულია ჩემი სახელი და გვარი და ნათქვამია: „სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა პირი, რომელიც იეღოველებს სდევნიდა". შემდეგ, სახალხო დამცველის ანგარიშში ეს ფაქტი ამგვარად შევიდა: „საქართველოში გამოსწორდა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ დამოკიდებულება. ურთიერთობები გაცილებით კანონმორჩილი გახდა და ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები, როგორიც არის რუსთავში გოგიტა მელიქიძის, ხოლო ზესტაფონში გია ფერაძის (ყოფილი გამგებლის მოადგილე, გრიგოლ ფერაძის შთამომავალი) დაჭერა"... საქართველოში სექტანტებს აშკარად, მწვანე შუქი აქვთ ანთებული. იცით, რომ საბაჟოზე მათი ლიტერატურა არც იბეგრება?.. თუნდაც ჩემი ფაქტი აიღეთ: მათი ინტრიგანული განცხადება საკმარისი აღმოჩნდა ჩემი დაპატიმრებისთვის.

— ვინმე თუ ამოგიდგათ მხარში და თუ იღონა რაიმე თქვენს გასათავისუფლებლად?

— რა თქმა უნდა, მაშინვე პარლამენტში 12 დეპუტატის ხელმოწერილი შუამდგომლობა დაიწერა და გამოძიებას გაეგზავნა. მაგრამ სასამართლომ ის არ გაიზიარა. მას უნდოდა, მაინცდამაინც პატიმრობა მოესაჯა ჩემთვის. ხომ შეიძლებოდა, პირობითი სასჯელი მოეცათ, მაგრამ ეს არ იქნებოდა ეფექტური. სასამართლომ არც საპატრიარქოს შუამდგომლობა გაიზიარა. რუსთავში, ჩემი გათავისუფლების მოთხოვნით, ნამდვილი მოძრაობა დაიწყო: ცენტრალურ პროსპექტზე დიდი მანიფესტაცია გაიმართა, შემდეგ — რეგიონულ პროკურატურასთან და სასამართლოსთან გადაინაცვლეს პლაკატებით — „თავისუფლება გოგიტა მელიქიძეს", „შეწყდეს მართლმადიდებლობის დევნა" და ა.შ. არც ამან გამოიღო შედეგი, დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"... 8-9 თვის შემდეგ, ციხის ადმინისტრაციამ დამიბარა, „უდოზე" (პირობით, ვადამდე გათავისუფლება) უნდა წარგადგინოთო, — მითხრეს, რისთვისაც განცხადება უნდა დამეწერა და შეწყალება მეთხოვა. მე ისეთი შემწყნარებელი მყავს, რომ იმის ფონზე ამათ როგორ ვთხოვდი შეწყალებას?! უარი ვთქვი. უკანონო პატიმრობისთვის ჩემი პროტესტის ფორმა ის იყო, რომ მთელი წლის განმავლობაში წვერი არ მომიპარსავს. ციხეში შიმშილობაც დავიწყე, მოთხოვნით, — სახალხო დამცველს, ჟურნალისტებს ან ახალაიას დეპარტამენტის პრესსამსახურის თანამშრომლებს მაინც შემახვედრეთ-მეთქი. ვფიქრობდი, იქნებ, ვინმეს გაეტანა ხმა ციხიდან. თურმე ყველა საქმის კურსში იყო. ქვეყანამ იცოდა ჩემი პატიმრობის შესახებ, რაშიც მას შემდეგ დავრწმუნდი, რაც ის ანგარიშები ვნახე ინტერნეტში... თქვენ წარმოიდგინეთ, იქაც იყვნენ სექტანტები, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლობა ჰქონდათ ციხეში. ერთ-ერთ მათგანს 6 წლის ბავშვი ჰყავდა დაცხრილული; მეორე — ყაჩაღობისთვის, მესამე — ქურდობისთვის, მეოთხე — თაღლითობისთვის იჯდა... სარწმუნოებისთვის არც ერთი მჯდარა ციხეში. მათ იქაც ჰქონდათ თავიანთი კერა და ეწეოდნენ პროპაგანდას. ისინი, ჩვენგან განსხვავებით, თავისუფლად იღებდნენ პროდუქტებს და ჩვენს ბიჭებს მუდმივად მურაბით უმასპინძლდებოდნენ.

— პარალელურად, ალბათ „ჭეშმარიტ ღმერთზე" საუბრით „აბოლებდნენ"...

— რა თქმა უნდა, თან მურაბას აჭმევდნენ, თან პროპაგანდას ეწეოდნენ. იქაც „ჭეშმარიტ ღმერთზე" საუბრობდნენ. მათ ჩემზე „გამოსვლა" არც უცდიათ. ვინც ჩემ გარშემო იყო, მათთან ერთად, 40-კაციანი ჯგუფი შევქმენით. წმ. ნინოს ტაძარია და იქ მუდმივად დავდიოდით, იკითხებოდა დაუჯდომელი ლოცვები, ფსალმუნები.

— დღეს რა ურთიერთობა გაქვთ იმათთან, ვისი „დევნისთვისაც" დაისაჯეთ? ალბათ ისინი კვლავაც გხვდებიან რუსთავის ქუჩებში, მათთან ურთიერთობისას სიფრთხილეს თუ იჩენთ?

— დიახ, იეღოველები კვლავაც მხვდებიან ქუჩაში, ისინი ძველებურად ქადაგებენ „ჭეშმარიტ ღმერთზე". კვლავ ფუნქციონირებს მათი ოფისი და ძველებურად მავნებლობენ. ვცდილობ, მათთან კონტაქტში არ შევიდე. უწინ თუ დებატებს ვმართავდით, ახლა ვერიდები მათთან საუბარს. თუმცა სიფრთხილეს კვლავაც ვერ ვიჩენ. მოსამართლესაც მივწერე, — ამ ერთი წლის განმავლობაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ არამც და არამც არ შეიძლება კომპრომისზე წასვლა იქ, სადაც უფალზეა ლაპარაკი. ეს თავისთავად, უფლის ღალატსა და მისგან განდგომას ნიშნავს. კვლავაც ისევ ვუერთგულებ ჩემს უფალს, როგორც ვერთგულებდი. მე არც მაშინ და არც ახლა, არ ვუქმნი საფრთხეს იეღოველებს. ეს იყო შეთითხნილი საქმე. როცა ციხიდან გამოვედი და ცოტა სული მოვითქვი, ჩემს ორ შვილს ჩავკიდე ხელი და იეღოველთა ოფისში წავედი. მოვითხოვე, — შემახვედრეთ მათ, ვინც ჩემს დაჭერაში იაქტიურა-მეთქი. ხელმძღვანელობა ადგილზე არ აღმოჩნდა. სხვები გამესაუბრნენ, მითხრეს, — ჩვენ თქვენი დაჭერა არ გვინდოდაო, — რაც აბსურდია: სამჯერ შეიტანეს საჩივარი და მათი უკან გატანა არც უფიქრიათ, პოზიციას არ იცვლიდნენ... როცა იქიდან წამოვედით, ბავშვები მეკითხებოდნენ, — მამი, იმ ბიძიებს შუშის თვალები რატომ ჰქონდათო?.. იცით, მათ ყველას როგორი გამომეტყველებაც აქვთ...

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში პატიმართა მრავალრიცხოვნება თავმოწონების საგნად იქცა. მაგრამ ამ მთავრობას არავინ უსვამს კითხვას — რატომ ჰყავს ასეთ მცირერიცხოვან ქვეყანას 23 ათასი დასაჭერი ადამიანი? საქართველოს თავისი არსებობის მანძილზე ამდენი პატიმარი არ ახსოვს. ამის ახსნა მგონი, მარტივია — ეს ხალხი ხელისუფლების მიმართ შიშის დანერგვას ემსახურება. ■

დასაწყისი იხ. გვ. 6

ვიდდეს, მათ შორის ევროკავშირიცო.

კახა გოგოლაშვილი:

— ჩემი აზრით, რუსეთს ევროპასთან თანამშრომლობის კიდევ ერთი შანსი მისცეს.

— საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ვერც რუსული მხარის კონტროლირებად ტერიტორიებზე შედის და არც ოკუპანტების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე აკეთებს განცხადებებს. ამ ფაქტს როგორ შეაფასებთ?

თორნიკე შარაშენიძე:

— ევროკავშირი უძლურია იქ, სადაც რუსული ჯარი დგას. ამას თავადაც აღიარებს. ევროპელები რუს ჯარისკაცებს იმიტომ არ უმტვრევენ კარს, რომ სამხედრო კონფრონტაცია არ აძლევთ ხელს და სადაც ძალა ხვდებათ, იქ ჩერდებიან. სამწუხაროდ, სიმართლე ესაა.

კახა გოგოლაშვილი:

— ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ წარმოადგენს სრულ ანგარიშს იმის თაობაზე, თუ რომელი მხარე როგორ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. ვფიქრობ, რუსული მხარის დარღვევებზე ევროპა თვალს ვერ დახუჭავს, მაგრამ მანამდე, ენერგეტიკული ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ დათმობებზე წავა.

— ევროპამ უკვე ისეთ სერიოზულ დარღვევაზე დახუჭა თვალი, როგორიც პერევში სახელმწიფო საზღვრის გავლებაა.

— ეს იმიტომ, რომ პერევის, ისევე, როგორც ახალგორისა და კოდორის საკითხი, დღეს დავის საგანს წარმოადგენს. სამწუხაროდ, სარკოზი-მედვედევის მეორე შეთანხმებაში ნათქვამია, რომ რუსული ჯარი, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარდა, საქართველოს ყველა დანარჩენი ტერიტორიიდან უნდა გავიდეს: საბჭოთა კავშირის დროს კოდორი აფხაზეთის, ახალგორი და პერევი კი — ცხინვალის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედიოდა. მოსკოვმა სწორედ ამიტომ წაგვართვა ეს ტერიტორიები. იმედი მაქვს, ამ თემაზე უენევაში იმსჯელებენ და დასკვნებს ჩვენს სასარგებლოდ გამოიტანენ.

— კი, მაგრამ ხსენებულ შეთანხმებაში წერია, რომ ქართული და რუსული ჯარები 7 აგვისტოს პოზიციებზე უნდა დაბრუნდნენ.

— დიახ, ესეც მართალია, მაგრამ სამწუხაროდ, ევროკავშირის ზოგიერთი წარმომადგენელი ამაზე თვალს ხუჭავს და ცდილობს, ამ თემას თავი აარიდოს. შეთანხმების იმ პუნქტზე, რომელიც 7 აგვისტოს პოზიციებზე დაბრუნებას ეხება, ხმამაღლა მხოლოდ ლიტვის პრეზიდენტი ლაპარაკობს და აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, რუსეთთან არანაირი თანამშრომლობის აღდგენა არ შეიძლება. სხვათა შორის, ბრიტანეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმაც გაუსვეს ხაზი იმ ფაქტს, რომ რუსეთს ნაკისრი ვალდებულებები ჯერ ბოლომდე არ შეუსრულებია.

— და მაინც, ბრიტანეთის მინისტრმა, რომელიც ადრე მოსკოვის მიმართ პრინციპული და რადიკალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, რუსეთთან მოლაპარაკების განახლებას დაუჭირა მხარი.

— დევიდ მილიბანდი მართლაც, ძალზე კრიტიკული იყო მოსკოვის მიმართ, მაგრამ როგორც მახსოვს, კიევში ვიზიტის დროს საქართველოც გააკრიტიკა იმის გამო, რომ რუსეთის მიერ დაგებულ მახეში გაება და ცხინვალზე შეტევა მიიტანა. მილიბანდმა მოსკოვთან ურთიერთობების აღდგენას იმიტომ დაუჭირა მხარი, რომ არ სურს, საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები დაზარალდეს, მაგრამ როგორც თავად აღნიშნა, არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას შეურიგდება.

თორნიკე შარაშენიძე:

— ის, რომ ბრიტანეთის მინისტრმაც კი განაცხადა, — რუსეთთან დაპირისპირების დრო არ არისო, — ნამდვილად, შემაშფოთებელია. ბოლო დროს, ომის დაწყების „ქართულ ვერსიას" ამერიკული და დასავლური პრესა ხშირად აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. ეს ყველაფერი იმაზე მითითებს, რომ ჩვენ საინფორმაციო ომი წავაგეთ.

კახა გოგოლაშვილი:

— არა მგონია, რომ საინფორმაციო ომი წაგვეგო. მსოფლიო საზოგადოებრიობის მხრიდან მხარდაჭერა ისევ გვაქვს. ჩვენ ომის ინსპირირებას კი არ გვაბრალებენ, არამედ იმის გამო გესაყვედურობენ, რომ რუსეთის მიერ დაგებულ მახეში გავებით. იქნებ, ვინმემ ისიც გვითხრას, როგორ უნდა დაგვეღნია თავი ამ ხაფანგისთვის?.. ყველამ შესანიშნავად იცის, რომ რუსეთი ამ პროვოკაციას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აშზადებდა და მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ჩემი აზრით, გარდა იმისა, რომ რუსული სპეცსამსახურები მეთოდურად აგრძელებენ საინფორმაციო ომს, ევროპული ქვეყნების ლიდერები საქართველოს მსუბუქი კრიტიკით, თავიანთი პოზიციების გამართლებას ცდილობენ: რაღაცით ხომ მაინც უნდა გამართლდეს ის კომპრომისი, რომელზეც ევროპა მიდის.

— მალე ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა გახდება ჩეხეთი, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობის მწარე გამოცდილება აქვს. რას შეცვლის ეს ფაქტი ევროპა-რუსეთის ურთიერთობებში?

კახა გოგოლაშვილი:

— ჩემი აზრით, ბევრს ვერაფერს. სარკოზიზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, იმიტომ, რომ ის ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფოს მეთაურია. ჩეხეთი პატარა ქვეყანაა, არც გავლენა აქვს და არც დიპლომატიური რესურსები, რომ მთელი ევროკავშირის კურსის შეცვლა შეძლოს.

თორნიკე შარაშენიძე:

— ჩეხი პრეზიდენტი რუსეთთან დამოკიდებულებაში შეიძლება, უფრო მკაცრი და პრინციპული იყოს, მაგრამ მედვედევი მას ანგარიშს არ გაუწევს. სარკოზის გულის მოგებას რუსეთი ყოველთვის ცდილობდა, იმიტომ, რომ ის გავლენიანი ქვეყნის წარმომადგენელი და დიდი პოლიტიკური მოთამაშეა. უახლოეს მომავალში მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი, ევროკავშირის პრეზიდენტი კი არა, ამერიკა იქნება. ახლა ყველა იმის მოლოდინშია, თუ რა საგარეო კურსს აირჩევს ობამას ადმინისტრაცია. თუ ის შემრიგებლური და კომპრომისული იქნება, ევროპაც მას მიჰბაძავს, მაგრამ თუ ობამა პრინციპული პოლიტიკის გატარებას გადაწყვეტს, ევროპაც ამ რელსებზე გადაეწყობა.

— თქვენი აზრით, ამერიკის ახალი პრეზიდენტი საქართველოში და ზოგადად, კავკასიაში პოზიციებს ხომ არ დათმობს?

— ამერიკამ კავკასიაში „შემოსვლა" ჯერ კიდევ კლინტონის დროს დაიწყო, ამ საქმეში უმრავი ფული და პოლიტიკური რესურსი ჩადო. აქედან გამომდინარე, ობამა კი არა, ვინც უნდა მოვიდეს ამ ქვეყნის სათავეში, ამერიკა კავკასიაში თავის პოზიციებს არ დათმობს.

კახა გოგოლაშვილი:

— იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ობამას საშინაო ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან ერთად, ავღანეთის, ერაყისა და ბირთვული განიარაღების პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, საქართველოსთვის ის ზაფხულამდე ვერ მოიცლის. ჩვენ კი მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ შეძლებთ იმის გარკვევას, შეიცვალა თუ არა საქართველოსადმი ამერიკის დამოკიდებულება.

— მომავალი წლის ზაფხულისთვის უკვე გადაწყვეტილი იქნება, მიიღებს თუ არა საქართველო „მაპს". ანგელა მერკელმა უკვე განაცხადა, რომ საქართველოსა და უკრაინას შეუძლიათ, გახდნენ ნატოს წევრები, მაგრამ — არა ამ ეტაპზე. რას უნდა ნიშნავდეს მისი ეს განცხადება? „მაპს" მიღებაზე ისევ უარს ხომ არ მივიღებთ?

— „მაპს" მიღება ხომ უკვე ნატოს წევრობას არ ნიშნავს?! იმედი არ უნდა დავკარგოთ. ვფიქრობ, ახლა არანაკლები შანსი გვაქვს, ვიდრე ბუქარესტის სამიტის დროს გვქონდა. ისე, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის კომპენსაციად, „მაპს" თუ მოგვანიჭებენ, ძალიან კარგი იქნება. ამის საწინააღმდეგო ქართველებს არაფერი გვექნება.

თორნიკე შარაშენიძე:

— „მაპს" ვერ მივიღებთ.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— მე შარშანაც ვამბობდი, რომ „მაპს" ვერ მივიღებდით, მაგრამ არ დამიჯერეს. ამჯერადაც იგივე განმეორდება.

— კონკრეტულ მიზეზს ვერ დასახელებთ?

— შარშან კონკრეტული მიზეზის გამო გვითხრეს უარი?.. „მაპი" მხოლოდ იმიტომ არ მოგვცეს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე რუსი მშვიდობისმყოფლები იდგნენ. ახლა პრობლემა უფრო გართულდა — რუსეთმა ჩვენს ქვეყანაში თავისი სამხედრო ბაზები განალაგა. რისი იმედი გაქვთ?

— თქვენ რისი იმედი გაქვთ, გამოსავალს რაში ხედავთ?

— ჩვენი ერთადერთი გამოსავალი — ევროპისა და ამერიკის მხარდაჭერის მოპოვებაა. ამისთვის კი აუცილებელია, კიდევ უფრო დემოკრატიულები, კონსტრუქციულები და ძალიან ფრთხილები გავხდეთ. ■

„სუპერფერარი“ — მორიგი გამარჯვების აღსანიშნავად

კომპანია მოდელს — Ferrari Scuderia Spider 16M — შეზღუდული ტირაჟით გამოუშვებს: სულ 499 ეგზემპლარად გამოვა და „ფორმულა 1“-ში ავტოფარეხის მორიგ გამარჯვებას მიეძღვნება: როგორც ცნობილია, წლეულს „ფერარიმ“ თავის ისტორიაში უკვე მე-16 გუნდური თასი მოიპოვა. ექსკლუზიური სპაიდერები მოდელის — F430 Spider ბაზაზე აიწყობა, თუმცა სიახლეს 80 კგ-ით უფრო მსუბუქი ძარა და 8-ცილინდრიანი, 510 ცხ.ძ. სიმძლავრის ატმოსფერული ძრავა ექნება, რომელიც მოდელს — F430 Scuderia ახლდა. გარდა ამისა, თითოეულ მანქანას რობოტიზებული სიჩქარის გადაცემათა კოლოფი ექნება. ეს ავტომობილი 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,7 წმ-ში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 315 კმ/სთ იქნება. ამასთანავე, ამ სერიის ყველა სპაიდერს ექნება ტაბლო სერიული ნომრით, ინტერიერის უნიკალური გაფორმება და „საფირმო“ პლეიერი IPod Touch. სიახლის ფასის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი, მაგრამ სავარაუდოდ, უფრო მეტი ეღირება, ვიდრე დახურული ვერსია და დაახლოებით, 300 ათას დოლარს მიაღწევს. ■

„რენოს“ ელექტრომობილი

Renault-ს მესვეურთა განცხადებით, კომპანია 3 საქალაქო ელექტრომობილის შექმნას აპირებს. ერთ-ერთი მათგანი იქნება უნივერსალი Kangoo, მეორე — Megane-ის ბაზაზე შემუშავდება, ხოლო მესამე — Renault Twingo-ს მსგავსი იქნება. ამასთან, „ტვინგოს“ ნულიდან შექმნიან. იგი კონკურენტებისგან ხალასი და ემოციური დიზაინით იქნება განსხვავებული. მეორე მოდელი, რომელიც „მეგანის“ ბაზაზე აიწყობა, ოთხკარიანი იქნება. მას 2011 წელს შეიმუშავებენ. მესამე მანქანის შესახებ კი ამ ეტაპზე ინფორმაცია არ ვრცელდება. ფირმის ელექტრომობილების ქვედანაყოფის დირექტორი, სერუ იუკოზი იუწყება, რომ კომპანიაში შესაბამისი ტესტები უკვე ჩატარდა, რომელმაც უჩვენა, რომ ელექტროძრავათი აღჭურვილი ავტო თავისი დინამიკური მაჩვენებლებით, 1,6-ლიტრიანი, 100 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინისძრავიან მანქანას არაფრით ჩამოუვარდება. უფრო მეტიც, 70-100 კმ/სთ სიჩქარის დიაპაზონში, ელექტრომოტორი მეტი ელასტიკურობით გამოირჩევა. სავარაუდოდ, სიახლის მაქსიმალური სიჩქარე 130 კმ/სთ-მდე იქნება. იმისათვის, რათა ბატარეების ენერგია ეკონომიურად დაიხარჯოს, სპეციალისტები მუშაობენ ძარას დიზაინზე, რომელიც დაბალ ჰაერწინააღმდეგობას ითვალისწინებს. არსებული ექსპერიმენტული მოდელები ჩვეულებრივი დენის წყაროდან 8 საათის განმავლობაში იტენება. ეს ენერგია ავტომობილებს 160-200 კმ-ის დასაფარავად ეყოფა. გეგმის მიხედვით, სერიულ მოდელებს დატენვის სწრაფი რეჟიმი ექნება, რომლის მეშვეობითაც, ბატარეები მუშა მდგომარეობას 20-30 წთ-ში მიაღწევს. „რენოს“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ელექტროძრავათი აღჭურვილ მანქანებს ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე ვიხილავთ. ■

„ჰიუნდაის“ სიახლე

ორ წელიწადში „ჰიუნდაი“ ევროპულ ბაზარზე მოდელის — I40 — გაყიდვას დაიწყებს, რომელიც „სონატას“ შეცვლის. წინასწარი ინფორმაციით, ახალ მოდელს სრულიად ახალ პლატფორმაზე ააწყობენ, ხოლო მის დიზაინს კონცეპტუალური Genus-ის სტილში შეასრულებენ. ეს უკანასკნელი ჟენევის მოტორშოუზე 2006 წელს წარმოადგინეს. სიახლე 1,6 და 2,0-ლიტრიანი ბენზინის მოტორებით, აგრეთვე ანალოგიური მოცულობის ტურბოდიზელებით აღიჭურვება. მანქანის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ამ ეტაპზე არ გაუმჟღავნებიათ. თავდაპირველად, უნივერსალის წარდგენა იგეგმება, ხოლო სედანისძარიანი ავტომობილი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოჩნდება. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი“
ქ. თბილისი
ოსებაძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ოქტომბერი; 2. ტოფობა; 3. კორომი; 4. მანაგუა; 5. ბატისტუტა; 6. კრონა; 7. ლაფონტენი; 8. იარა; 9. რენე; 10. მარიამობა; 11. მიმი; 12. მელოდია; 13. საბუთი; 14. მენი; 15. ძე; 16. საუნა; 17. პორტუ; 18. ნატო; 19. რაი; 20. ტოტი; 21. რაისი; 22. ბრაუნი; 23. ქობულეთი; 24. რული; 25. ყუა; 26. კია; 27. კიი; 28. ცხინტაო; 29. ქვა; 30. ბაროკო; 31. ტოროლა; 32. ერკემალი; 33. ფიცი; 34. მიქელაძე; 35. მონდეო; 36. ტევრი; 37. მალი; 38. პასპორტი; 39. ტინი; 40. ნედლეული; 41. ისლანდია.

სურათებზე: ორლანდო ბლუმი; კეიტ მოსი.

როგორია თქვენი პედაგოგიური იდეალი?

1. თქვენი შვილი ძალზე ცელქი და ონავარია, უამრავ საზრუნავს გიჩენთ: ხან ჩალურჯებული თვალით ბრუნდება შინ და ხანაც დახეული შარვლით:

ა) თქვენ გამოჰკითხავთ მომხდარის თაობაზე, გაუკერავთ შარვალს და მტკივან ადგილზე ცივ კომპრესს დააფენთ — 3;

ბ) თავდაპირველად დახმარებას აღმოუჩენთ, შემდეგ კი დატუქსავთ და ეტყვით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ამგვარი ცელქობა ცუდად დამთავრდება — 0;

გ) საერთოდ არ მიაქცევთ ყურადღებას, საკუთარ თავს თვითონ მიხედოს — 5.

2. თქვენს შვილს ჰყავს მეგობრები, მაგრამ ისინი ურჩი, გაუგონარი და ცუდად აღზრდილი ბავშვები არიან:

ა) ამის თაობაზე დაელაპარაკებით მათ მშობლებს — 2;

ბ) შინ მიიპატიჟებთ შვილის მეგობრებს და შეეცდებით, მათზე კარგი ზეგავლენის მოხდენას — 5;

გ) მიუთითებთ შვილს მეგობრების ნაკლზე და აუხსნით, რომ ისინი ცუდ მაგალითს აძლევენ მას — 0.

3. თქვენს შვილს უყვარს თამაში, მაგრამ ატყობთ, რომ წაგების დროს ემოციების მოთოკვას ვერ ახერხებს:

ა) არანაირ ზომას არ მიმართავთ, დაელოდებით, როდის ისწავლის წაგების მშვიდად მიღებას — 0;

ბ) უარს იტყვით მასთან თამაშზე, ვიდრე ის ასე მტკივნეულად განიცდის წაგებას — 3;

გ) შეგნებულად შეუქმნით ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც ის წაგებაზე ნორმალურ რეაგირებას ისწავლის — 5.

4. თქვენი შვილი მზად არის, 24 საათი ითამაშოს. საღამოობით დაძინების არანაირი სურვილი არ აქვს:

ა) თქვენ აუხსნით, რაოდენ აუცილებელია ორგანიზმისთვის ძილი — 3;

ბ) უფლებას მისცემთ, გვიან დაიძინოს, მაგრამ დილას ჩვეულ დროს გააღვიძებთ — 5;

გ) განსაზღვრულ დროს აწვენთ დასაძინებლად და მარტო ტოვებთ. ზღაპარს მხოლოდ მაშინ უყვებით, როცა დღისით კარგად იქცევა — 0.

5. თქვენი შვილი საბავშვო გადაცემებით აღარ კმაყოფილდება და ტელევიზორის ყურების სურვილი მთელი დღის განმავლობაში აქვს:

ა) საბავშვო გადაცემის დამთავრებისთანავე თქვენ დასაძინებლად აწვენთ მას, ტელევიზორს კი მხოლოდ მისი დაძინების შემდეგ რთავთ — 0;

ბ) ცდილობთ აუხსნათ, რისი ყურება შეიძლება მისთვის და რისი — არა, თანაც ისე, რომ მან გაიგოს — 2;

გ) შეურჩევთ მას მისთვის შესაფერის ტელეგადაცემებს — 3;

დ) წინასწარ შეუთანხმდებით, რამდენი საათის განმავლობაში აქვს მას ტელევიზორის ყურების უფლება; აი, რას და როდის უყუროს, ამას თავად ბავშვი არჩევს — 5.

6. საკმაოდ თავხედი შვილი გყავთ და უკმეხ პასუხებსაც იძლევა:

ა) განუმარტავთ, რომ ასეთი საქციელი მიუღებელია და ამისთვის ყველა გაკიცხავს მას — 5;

ბ) ასე მოქცევას აუკრძალავთ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მკაცრად დასჯით — 0;

გ) ყოველდღიურად, როცა კი წესიერად მოიქცევა წაახალისებთ მას — 3.

7. მართალია, თქვენი შვილი ჯერ კიდევ პატარაა, მაგრამ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებით დაინტერესებას ატყობთ:

ა) მიგაჩნიათ, რომ ამგვარი გატაცებები ასეთ ასაკში სრულიად უწყინარია და თავს არაფერზე იწუხებთ — 3;

ბ) ბავშვური სიყვარულის აღკვეთას მაშინვე ეცდებით — 0;

გ) აუხსნით, თუ რა არის სიყვარული და როგორი ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ ქალსა და მამაკაცს — 5.

8. სხვა ბავშვები ავიწროებენ თქვენს შვილს: სცემენ და დასცინიან მას:

ა) ასწავლით, რომ თავი უნდა დაიცვას და ვალში არავის დარჩეს — 5;

ბ) მოჩხუბარი ბავშვების მშობლებს დაელაპარაკებით — 3;

გ) საკუთარ შვილს დაელაპარაკებით და ეცდებით, რომ იმ ბავშვებთან რაც შეიძლება, ნაკლები კონტაქტი ჰქონდეს — 0.

9. უფროს შვილს ყველა აუცილებელ პირობას უქმნით, მაგრამ ის ამას სათანადოდ არ აფასებს და უმცროს დას (ძმას) გამუდმებით ერჩის:

ა) უმცროსების თანდასწრებით კეთილგონიერი საქციელისკენ მოუწოდებთ უფროსს — 5;

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ის უფროსია, მას უფრო მეტ ყურადღებას უთმობთ — 3;

გ) შვილების ურთიერთობაში საერთოდ არ ერევით — 1.

10. თქვენი შვილი უხეშად ექცევა თანატოლებს, თანაგრძნობას არ იჩენს მათ მიმართ და თავს ესხმის მათ:

ა) თქვენ მიგაჩნიათ, რომ ისევე უნდა მოექცეთ შვილს, როგორც ის ექცევა თანატოლებს, რათა მან საკუთარ ტყავზე გამოცადოს ყველაფერი, რასაც სხვებს უკეთებს — 0.

ბ) ეცდებით, იმაზე მეტი ყურადღება დაუთმოთ მას, ვიდრე აქამდე უთმობდით — 5;

გ) აუკრძალავთ ისეთი ფილმების ყურებას, სადაც ძალადობის დემონსტრირება ხდება — 2.

ტესტის შედეგები

0-18 ქულა: საკუთარი მაგალითის გათვალისწინებით, თქვენ ისეთივე ცხოვრებისთვის ზრდით შვილს, როგორც თავად გქონდათ და გაქვთ; უგულებელყოფთ იმას, რომ ის სხვა თაობის წარმომადგენელია. მიგაჩნიათ, რომ თქვენი დამჯერი და უფროსების პატივისმცემელი შვილი საუკეთესო თვისებებითაა აღჭურვილი, მაგრამ გავიწყდებათ, რომ მესამე ათასწლეულში სხვა თვისებებია უმთავრესი: საკუთარი თავის რწმენა, დამოუკიდებლობა და შემოქმედებითი უნარი. ეს თვისებები მომავალში აუცილებლად დასჭირდება თქვენს შვილს, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენ არ ცდილობთ მათ განვითარებას. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ცხოვრება წინ მიდის და ყველაფერი იცვლება?!

19-35 ქულა: ჯერ კიდევ გიჭირთ სრულყოფილად იმის გაანალიზება, თუ როგორ გარემოში მოუწევს თქვენს შვილს ცხოვრება, მაგრამ ერთ რამეს ვერავინ დაგიკარგავთ: თქვენ ცდილობთ, იყოთ უფრო თანამედროვე, არ იყენებთ აღზრდის სტერეოტიპულ მეთოდებს, გარკვეული დოზით ბავშვს დამოუკიდებლობას აჩვევთ და არ ცდილობთ, საკუთარი ავტორიტეტით მის დათრგუნვას.

36-50 ქულა: ღრმად გწამთ, რომ თქვენს შვილს ისეთ გარემოში მოუწევს ცხოვრება, სადაც დაფასებული იქნება ინიციატივა, მაგრამ მკაცრად გაიკიცხება ეგოიზმი, სადაც პატივს მიაგებენ დამოუკიდებელ აზროვნებას, გულწრფელობასა და აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას. უნდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ ღირსეული პედაგოგიური პოზიცია გახლავთ. გვინდა, გვჯეროდეს, რომ მომავალში სამყარო მართლაც ამ იდეალების მატარებელი გახდება.

ჰოროსკოპი

(13 – 19 ნოემბერი)

ვერძი

მაკონტროლებელი ორგანოები თქვენი საქმიანობით დაინტერესდებიან. მეგობრების იმედი ნუ გექნებათ. ოჯახში სასიამოვნო ახალი ამბავი მოქმედების სტიმულს შეგმატებთ. ხშირად ილოცეთ.

ხუჩი

თავს ენერგიულად იგრძნობთ და პროფესიულ წინსვლასა და კარიერულ ზრდაში ინტუიცია და მოხერხებულობა დაგეხმარებათ. განსაკუთრებული სიფრთხილით კი საბუთებს უნდა მოეკიდოთ.

ტყუპები

კარგი დროა ხელმძღვანელებთან ახალ პროექტებზე სასაუბროდ. ახალი ნაცნობობა და ხშირი შეხვედრები დამქანცველი აღმოჩნდება.

ხიბლი

სიფრთხილე გმართებთ სასიყვარულო ურთიერთობაში, რადგან ეჭვიანობა ჩხუბისა და დაცილების მიზეზი შეიძლება გახდეს. მოზღვავებული ენერგია შემოქმედებითი საქმიანობისკენ მიმართეთ.

დიდი

საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა, შეიძლება დაგეძაბოთ, რაც თქვენი კავშირის დაშლის საბაბი გახდება. ასევე გაგიჭირდებათ ურთიერთობის დამყარება ყველა სფეროში.

ეჯაგები

გადაამოწმეთ საკვების ვარგისიანობა და თავი შეიკავეთ წამლების, გამაბრუებელი საშუალებებისა და ალკოჰოლისაგან, რათა ზიანი არ მიაყენოთ ორგანიზმს.

სასწორი

გონება არეული გექნებათ და შესაძლოა, თავად შეიყვანოთ თავი იმ ჩიხში, რომლიდანაც თავის დაღწევა ძალზე გაგიჭირდებათ. ხელფასის დაგვიანებას ნუ დააბრალებთ საკუთარ უიღბლობას.

ღრეჩო

ეცადეთ, ენერგიის მოზღვავება აგრესიით არ გამოხატოთ. საქმეებში დამოუკიდებლად იმოქმედეთ, თუმცა გართობის მიზნით, დაუკავშირდით მეგობრებს, დაამყარეთ ახალი კავშირები.

ფეთქადი

ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად გააკონტროლეთ ხარჯები. სამუშაო თავის დამკვიდრებისა და საკუთარი განსაკუთრებულობის შეგრძნებას გაგიღვივებთ.

თხრილ ჩქარ

სამსახურში ცვლილებები თქვენს შემოსავალზე აისახება, ამიტომ, ეცადეთ, ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ წარმართოთ. ნუ გარისკავთ და ყურადღებით იყავით საბუთების მიმართ.

ბეჭედი

მხიარულებას ბევრ დროს ნუ დაუთმოთ. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია კარიერისა და სამსახურისთვის. ეცადეთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ არც ერთი წვრილმანი და გაიაზროთ ყველა ნაბიჯი.

თევზები

ზღვარი გაავლეთ მუშაობასა და დასვენებას შორის. თუ შვებულებაში გაემგზავრებით, ეცადეთ, წყნარი კურორტი შეარჩიოთ. შესაძლოა, სპეციალობის ან სამსახურის გამოცვლის წინადადება მიიღოთ.

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5

3	8	4	9	7	6	5	1	2
5	6	7	1	3	2	4	9	8
9	1	2	4	5	8	7	6	3
7	3	8	2	4	1	6	5	9
6	4	1	8	9	5	2	3	7
2	5	9	3	6	7	1	8	4
8	7	6	5	2	9	3	4	1
4	9	5	7	1	3	8	2	6
1	2	3	6	8	4	9	7	5

6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

იაპონური სენსაციები

* მარტივი

1			5		9	7		3
8					2		9	
9	4		6					2
7			2		4		5	6
3					7			8
4	2			3				7
5					6		7	4
	1		9					5
2		3	4		1			9

** საშუალო

1			9					5
	4			7				
		3		8				6
4					8			7
		8	2			1		
7			6	3				9
2				1		8		
				2			6	
6					3			2

*** ძნელი

1					6		3	
			3					8
2			9				7	
4				9		8		
	5		2	8			9	
		6		7				4
	1				8			2
7					2			
	6		5					7

ფოტოკუთხეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო ბანკი

654/42

ანაბრების აქცია "პოზიტივი"

+2% საჩუქრად ყველას

თანხის გატანა ნებისმიერ დროს

5-ჯერ მეტი შანსი მოიგო:

5 ბინა თბილისში

50 პრიზი

500 საჩუქარი

პირველი გათამაშება - 2008 წლის 27 დეკემბერს

55-55-00

www.peoplesbank.ge